PRIME Time

N30 (228), ორშაბათი 29 ივლისი 2013 წ.

…კვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

# ბათუმში მომხდარი მკვლელობის ახალი დეტალები



## მკვლელმა გარდაცვლილს ოქროს სამკაულები მოხსნა

EXCLUSIVE

- რა დროში და რა მარშრუტით დატოვა ქვეყანა მკვლელობაში ბრალდებულმა?
- რა უამბო გამომძიებლებს ტაქსის მძღოლმა?
- რას ყვება „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გარდაცვლილის დედა?



- „რუსთავი 2“ იყიდება
- საპატრიარქოს არხი იხურება
- „მე-9 არხის“ ბიუჯეტი იზრდება

## ახალი მედიაგადანაწილება დაიწყო

## რატომ გადააყენა ივანიშვილმა ელისო ჩაფიძე პოსტიდან?



EXCLUSIVE

რატომ ჩამოდის რუსეთში მცხოვრები ქართველი მილიარდერი საქართველოში არჩევნების წინ



## „ჩვენ გვაქვს შოკისმომგვრელი დოკუმენტები“

EXCLUSIVE

ბიძინა ივანიშვილი მაჟორიტარებს ემუქრება



დავით საგანელიძე: „ვიცი, რომ ზოგიერთი მაჟორიტარი საკუთარ მოვალეობას სცდება“



# ლაშა ნაცვლიშვილი სოფლის მეურნეობის საქმეს ეწირება

EXCLUSIVE

## რატომ ვერ იჭერენ დავით კირვალიძეს?

„პროკურატურა უკვე მხარედ იქცა. აქ უკვე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას. თუ ეს ხალხი არ გაჭედეს, ამას მთელი პროკურატურის ზედა ეშელონი გადაჰყვება, ნაცვლიშვილი და სხვები“



## ვინ არის გიგა ბალავაძე და რა კავშირი აქვს მას კალაძის ძმისა და ზოდელავას შვილის გატაცებასთან?

EXCLUSIVE

კრიმინალურ „ავტორიტეტთან“ „სუზუტექსი“ სასქესო ორგანოთი შეჰქონდათ



## ახალაიას საქმის მთავარი მოწმე საქართველოს ტოვებს

„ბოლომდე მკლავდა და დიდი სურვილი მქონდა, რომ ბაჩო ახალაიას გავსწორებოდი“



## ვინ დაწვა აკვაპარკი?

რა კადრებს შიფრავს შსს და უკავშირდება თუ არა ქონების გადაწვა ოჯახურ შურისძიებას?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი მედიაგადანაწილება დაიწყო



## my View
### მირიან ბოქოლიშვილი

**ქართულ მედიაბაზარზე ახალი გადანაწილება იწყება. ცვლილებები მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა ტელეკომპანიას შეეხება, სიახლეების შესახებ ტელეკომპანიებში ჯერჯერობით ღიად არ საუბრობენ, თუმცა „პრაიმტაიმი“ შეეცადა, გაერკვია, რა ხდება რეალურად ქართული ტელესივრცის კულისებში.**

# ძმები ყარამანაშვილები „რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტს ყიდიან



- „ევრიკამ“ ლიცენზია „მაესტროს“ გადასცა
- საპატრიარქოს არხი მაუწყებლობას აჩერებს

„პრაიმტაიმს“ ინფორმირებული წყარო უყვება, რომ უახლოეს ხანში სერიოზული ცვლილებები იგეგმება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ არხის 90-პროცენტიანი წილის მფლობელები, ძმები ყარამანაშვილები საკუთარ წილს ყიდიან, მოლაპარაკებებს კი ბიძინა ივანიშვილის გარემოცვასთან აწარმოებენ. ჩვენი წყარო არ აკონკრეტებს, ივანიშვილის წარმომადგენლების ვინაობას, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია დადასტურდა, გამოდის, რომ „რუსთავი 2“-ზე კონტროლს პრემიერ-მინისტრის გარემოცვა დაამყარებს.

„რუსთავი 2“-ის გარდა, ივანიშვილის წარმომადგენლები „კავკასუს ონლაინითაც“ არიან დაინტერესებულნი“, – გვიყვება ჩვენი წყარო.

ძმები ყარამანაშვილების მიერ წილის შესაძლო გაყიდვის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია.

„მსგავს ინფორმაციას ნამდვილად არ ვფლობ, ვერაფერს გეტყვით“, – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გვარამია.

ამჟამად, ძმები ყარამანაშვილები, საერთო ჯამში, „რუსთავი 2“-ის 90%-იან წილს ფლობენ, 50% ლევან ყარამანაშვილის მფლობელობაშია, 40% კი გიორგი ყარამანაშვილს ეკუთვნის, არხის 10 პროცენტი გიორგი გეგეშიძეს საკუთრებაა. ლევან ყარამანაშვილს კომუნიკაციების სფეროში მოღვაწეობის საკმაო გამოცდილებაც აქვს. ის და ბიზნესმენი რევაზ შარანგია გვევლინებიან რუსული კომპანია „მობიტელის“, იგივე „ბილაინის“, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად. გარდა იმისა, რომ ლევან ყარამანაშვილი და რევაზ შარანგია ბიზნესპარტნიორები არიან, მათ, ასევე, ნათესაური კავშირი აქვთ. ლევან ყარამანაშვილის და, ნატა ყარამანაშვილი, რევაზ შარანგიას ცოლია. თავის მხრივ, შარანგიებსა და ყარამანაშვილებს ახლო ურთიერთობა აქვთ პრეზიდენტ სააკაშვილთან, ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო ცნობილი. ისინი კიევში სწავლის დროს ჯგუფელები იყვნენ.

„რუსთავი 2“-ზე წილების გადანაწილებაზე მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა, სამაგიეროდ მოლაპარაკებები უკვე დასრულდა „მაესტროსა“ და ტელეკომპანია „ევრიკას“ შორის. კომუნიკაციების ყოფილი მინისტრის, ფრიდონ ინჯიას კუთვნილმა ტელეკომპანია „ევრიკამ“ საპატრიარქოს არხთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი განაცხადა და ლიცენზია ტელეკომპანია „მაესტროს“ გადასცა. საუბარია იმაზეც, რომ მალე „მაესტრო“ „ევრიკას“ კუთვნილ შენობაშიც გადაინაცვლებს.

„ჩვენ ვთანამშრომლობთ „ევრიკასთან“, გაფორმდა ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, ოფიციალურად, გარკვეული დროით, თუმცა დეტალებს ვერ გეტყვით, არის რაღაც კონფიდენციალური საკითხები, რაზეც ვერ გესაუბრებით“, – განაცხადა „მაესტროს“ დირექტორმა, ბაჩო კიკაბიძემ.

ტელეკომპანია „ევრიკას“ კუთვნილი ლიცენზიით ამ დრომდე საპატრიარქოს არხი „ერთსულოვნება“ სარგებლობდა. „ევრიკასა“ და საპატრიარქოს ტელევიზიას შორის 2008 წელს გაფორმებული ხელშეკრულება 2013 წლის 1-ელ მაისს ამოიწურა, საპატრიარქოს ტელევიზიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის თამარ არჩვაძის განცხადებით, მათთვის უცნობია, რატომ აღარ გაუგრძელა „ევრიკამ“ საპატრიარქოს ხელშეკრულება. ამჟამად, „ერთსულოვნება“ მხოლოდ საკაბელო მაუწყებლობას ახორციელებს. საპატრიარქოს არხის ნაცვლად, „ევრიკას“ სამაუწყებლო ლიცენზიით უკვე სარგებლობს „მაესტრო“.

ახალი ლიცენზიის გარდა, „მაესტრომ“ შესაძლოა, მალე ახალი დაფინანსებაც მიიღოს. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, მოლაპარაკებები ამ თემაზე „მე-9 არხის“ გენერალურ დირექტორთან, ლუბა ელიაშვილთან მიმდინარეობს. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, „მე-9 არხს“ ბიძინა ივანიშვილმა დაფინანსების სახით დამატებით 20 მილიონი ლარი გამოუყო. ამ თანხის ნაწილით კი შესაძლოა, „მაესტროც“ დაფინანსდეს. როგორც უკვე გითხარით, მოლაპარაკებები ამ თემაზე „მაესტროს“ ხელმძღვანელობასა და ლუბა ელიაშვილს შორის მიმდინარეობს.

ეთერში აქტიური მაუწყებლობისთვის ემზადება „ტვ 3“. აღნიშნული ტელეკომპანია „რეალტივის“ ბაზაზე შეიქმნა და სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, მისი მფლობელი ფინანსთა ყოფილი მინისტრი, კახა ბაინდურაშვილია. არჩევნებამდე ტელეეთერში გასვლას გეგმავს „ტვ 7“-იც. ამ ეტაპზე ეს ტელეკომპანია „ბლექ სი სატის“ სიხშირით გადაიცემა. ის ეთერში სხვადასხვა სტუდიების პროდუქციას უშვებს.

„ჩვენს ტელეკომპანიას აქვს ძალიან კარგი შესაძლებლობები, არის საერთო მაუწყებელი, რომელსაც აქვს საინფორმაციო მაუწყებლობის უფლება. ჩვენ შეგვიძლია თანამგზავრზე მაუწყებლობა და შესაბამისად, შეგვიძლია, დავფაროთ ნახევარი მსოფლიო (ევროპა, რუსეთი, თურქეთი და ა.შ.). მოცემულ მომენტში არხი „ბლექ სი სატის სიხშირით გადაიცემა და ფარავს საქართველოს. გვაქვს მოლაპარაკებები და უახლოეს ხანში ვგეგმავთ სერიოზულ გაფართოებას“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას „ტვ 7“-ის მფლობელი ლია ახალაძე.

# „მე-9 არხს“ 20 მილიონი გამოეყო



# „ტვ 3“ და „ტვ 7“ ეთერში გასასვლელად ემზადება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბათუმში მომხდარი მკვლელობის ახალი დეტალები

## my View



მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მარიამ კოჩალიძის მკვლელობაში ბრალდებულ მოჰამმადამინ როოინტანის წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. დაუსწრებლად იმიტომ, რომ მკვლელობიდან რამდენიმე წუთში ბრალდებულმა ქვეყანა ოპერატიულად დატოვა. გამოძიებამ ამ საქმის ირგვლივ არაერთი მოწმე დაკითხა, ამოღებულია სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერებიც, რომელთა გაშიფვრის შედეგად, სავარაუდო მკვლელის გადაადგილების ზუსტი დრო და მარშრუტის დადგენა გახდა შესაძლებელი. როგორც „პრაიმტაიმმა" აჭარის შსს სამმართველოში გაარკვია, მარიამ კოჩალაძე ბათუმში, კობალაძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლს დაახლოებით **18:10** საათზე ტოვებს, **19:22** საათზე კი მკვლელობაში ბრალდებული ირანის მოქალაქე სარფის საბაჟოზე ფიქსირდება, საიდანაც ის ქვეყანას ტოვებს.








## მკვლელმა 16 წლის მარიამ კოჩალაძეს ოქროს სამკაულები მოხსნა

რა დროში და რა მარშრუტით გადაადგილდებოდა მკვლელობაში ბრალდებული? როგორც გარდაცვლილის დედა, ჟუჟუნა ბერიძე „პრაიმტაიმთან" საუბრისას ყვება, მარიამმა სახლი დაახლოებით 18:10 საათზე დატოვა. 18:50 საათზე მკვლელობაში ბრალდებული უკვე მარიამის კუთვნილი ველოსიპედით ფიქსირდება, რასაც გამოძიების მიერ დაკითხული ორი მოწმეც ადასტურებს. ტაქსის მძღოლის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მან მოჰამმადამინ როოინტანი 19:00 საათზე ჩაისვა მანქანაში და აეროპორტისკენ აიღეს გეზი. სავარაუდო მკვლელის გადაადგილება ასახა აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე მდებარე რამდენიმე ბენზინგასამართი სადგურის სამეთვალყურეო კამერამაც, კერძოდ: აეროპორტის წრიულთან მდებარე „ვისოლის" კამერა ზემოხსენებულ ტაქსს 18:58 საათზე აფიქსირებს, ახაშენთან მდებარე „ვისოლის" სადგურზე 19:03 საათია დაფიქსირებული, 19:05 საათზე მკვლელობაში ბრალდებული კვარიათში მდებარე „ემ ოილის" სამეთვალყურეო კამერაზეა აღბეჭდილი, 19:22 საათზე კი ის უკვე სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე იმყოფება, საიდანაც ქვეყანას ტოვებს.

ტაქსის მძღოლი საგამოძიებო ორგანოში საკუთარი ფეხით გამოცხადდა, მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა და მას გამოძიებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა. როგორც ჩვენ გავარკვიეთ, მოჰამმადამინ როოინტანი გზაში მძღოლს თითქმის არ გამოლაპარაკებია, მანქანაში ჩაჯდომისთანავე 20 ლარიანი მიაწოდა და სარფისკენ მიუთითა. მძღოლის მიერ კლიენტის აღწერილობა, ზუსტად ემთხვევა იმ მოწმეების ჩვენებებს, რომლებმაც ირანის მოქალაქე მარიამ კოჩალაძის კუთვნილი ველოსიპედით დააფიქსირეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ თურქ კოლეგებთან თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვთ და აქტიურად მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები. საქმეში ჩართულია ინტერპოლიც.

სანამ მკვლელის დაკავება გახდება შესაძლებელი, მანამდე ამ საქმის ირგვლივ ახალი დეტალები ხდება ცნობილი. „პრაიმტაიმმა" გაარკვია, რომ მკვლელმა გარდაცვლილ გოგონას ოქროს სამკაულები მოხსნა. საუბარია ყელსაბამზე, ბეჭედსა და საყურეებზე. მკვლელობის სავარაუდო მოტივიც სწორედ ეს ძვირფასეულობაა, ვინაიდან გამოძიება ანგარების მიზნით ჩადენილ დანაშაულზე საუბრობს. რაც შეეხება მობილურ ტელეფონს და ველოსიპედს, როგორც ცნობილია, ის მკვლელმა რამდენიმე წუთში მოიცილა.

მარიამის დედა, ჟუჟუნა ბერიძე „პრაიმტაიმთან" საუბრისას ადასტურებს, რომ ცხედარს სამკაულები მოხსნილი ჰქონდა. ის არ გამორიცხავს, რომ მკვლელს სწორედ ეს მოტივი ამოძრავებდა.

**ჟუჟუნა ბერიძე, გარდაცვლილის დედა:**

– დაკარგულია ბეჭედი, ჯვარი, ყელსაბამი და საყურეები. ბეჭედი და ჯვარი ოქროსი იყო, საყურე არა. ალბათ, ისიც ძვირფასი ეგონა და მოხსნა.

**– მარიამი ზუსტად რა დროს გავიდა სახლიდან, თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ?**

– ეს იყო დაახლოებით 18:10, ან 18:15 საათი. ყოველთვის ამ პერიოდში გადიოდა ხოლმე, წიგნს კითხულობდა. ძალიან კარგი და ნიჭიერი გოგო იყო შვილო. მისი ნივთებიდან ტელეფონი და ველოსიპედია ნაპოვნი, სამკაულები, როგორც ჩანს, მკვლელმა წაიღო.

**– თქვენ იზიარებთ გამოძიების ვერსიას სავარაუდო მკვლელთან დაკავშირებით?**

– დიახ, მეც იმ პიროვნებაზე ვეჭვობ. სხვა რაზე შეიძლება ვიფიქრო, არავინ მტერი არ ჰყოლია. ვერავისზე ვერ წარმომიდგენია ამ სისასტიკეს თუ ჩაიდენდა. იმედი მაქვს, დააკავებენ და სათანადო პასუხს აგებს ჩემი შვილის მკვლელი. როგორც ვიცი, ინტერპოლია საქმეში ჩართული და ველოდებით რას მოიმოქმედებენ. ფაქტია, რომ სასწრაფოდ გაიქცა შემთხვევის ადგილიდან და ქვეყნიდანაც გაუჩინარდა. მიხვდა, რომ ტელეფონით და ველოსიპედით დატოვება არ გამოვიდოდა, რადგან ადვილად გაიშიფრებოდა. ამიტომ ისინი დატოვა და სამკაულები გაიყოლა. მეც მაინტერესებს რატომ მომიკლა შვილი? რა მოტივით მოკლა? მარტო მე კი არ მომიკლეს, ქვეყანამ დაკარგა მარიამი. თქვენ არ იცით, რა ნიჭიერი ბავშვი იყო. მე-11 კლასში გადავიდა წელს. მისი სიგელები, რომ ნახოთ გაგიჟდებით. მაინტერესებს რატომ მომიკლეს შვილი ასეთი სისასტიკით, ქვა ედო მიცვალებულს და ყელი ჰქონდა გამოჭრილი.

**– ხომ არ იცით, მანამდე თუ იცნობდა ვინმეს, ირანის მოქალაქეს?**

– არ ვიცი, მეც მაგას ვარკვევ და ვკითხულობ, ხომ არ შეხვედრია ადრეც. ჩანაწერებს აკეთებდა, ეს ბლოკნოტი გამოძიებას აქვს წაღებული და ამუშავებენ.

**– ანუ ხშირად გადიოდა სასეირნოდ იმ ადგილებში?**

– კი, სულ იქ დადიოდა. ფსიქოლოგიურზე აპირებდა სწავლის გაგრძელებას, ადამიანის ფენომენს იკვლევდა და სულ ჩაკირკიტებული იყო ამ თემას. იქ იმიტომ მიდიოდა, რომ მყუდრო ადგილი იყო და წიგნს კითხულობდა ხოლმე და წერდა. ჯერ მარტო იმდენი უცხო ენა იცოდა, ვერ ჩამოგითვლით – ინგლისური, ფრანგული, რუსული, თურქული და რა ვიცი, რა აღარ.



**– ანუ შესაძლებელი იყო იმ ირანელს გამოლაპარაკებოდა რომელიმე ენაზე?**

– შეიძლება გამოელაპარაკა კიდეც. ენები, ნამდვილად იცოდა, მაგრამ რეალურად რა მოხდა, ღმერთმა იცის, შვილო.

**P.S. როგორც უკვე გითხარით, ირანის მოქალაქე მოჰამმადამინ როოინტანის სასამართლომ დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.**

**„სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია ვარაუდი, რომ მოსალოდნელი სასჯელის გონივრული მოლოდინის რეჟიმში მყოფი ბრალდებულის მხრიდან, არსებობს საფრთხე თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მიმალვის თაობაზე", - აღნიშნულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში. სავარაუდო მკვლელის სამძებრო სამუშაოებში ქართველ სამართალდამცველებთან ერთად ჩართულია თურქეთის შსს და ინტერპოლის ბიურო. დაკავების შემთხვევაში 16 წლის მარიამ კოჩალაძის მკვლელობაში ბრალდებულს უვადო პატიმრობა ელის.**

## შესწორება

**„პრაიმტაიმის" წინა ნომერში (#29) გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ჟვანიას კლინიკაში 20 წლის გოგონას გარდაცვალებაზე იყო საუბარი, ჟვანიას სახელობის კლინიკიდან გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენთან ინტერვიუში, გარდაცვლილი ხათუნა ბერულავას დედა ჯულიეტა ჯიქია საუბრობდა იმაზე, რომ მისი ქალიშვილი, დაუდგენელი მიზეზით, სწორედ ჟვანიას კლინიკაში დაიღუპა. აღმოჩნდა, რომ კლინიკა, სადაც ახალგაზრდა გოგონა გარდაიცვალა, უბრალოდ, ჟვანიას სახელობის კლინიკის შენობაშია განთავსებული და დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენს. ექიმი ტრავმატოლოგი ლუხუმ ჭანტურია, რომელსაც გარდაცვლილის ოჯახი პრეტენზიებს უყენებს, არა ჟვანიას კლინიკის, არამედ სს „ტრავმატოლოგის" თანამშრომელია. „პრაიმტაიმი" მკითხველსა და ჟვანიას სახელობის კლინიკას არსებული უზუსტობისთვის ბოდიშს უხდის.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ აკონტროლებს „ქართულ ოცნებას“?

ნინო დათაშვილი

**ელისო ჩაფიძეს თაფლობის თვე კი არა, კვირაც არ აცადეს. ახალდაქორწინებული პოლიტიკოსი თავად ქობულეთში ისვენებდა, როცა ურეკში შეკრებილმა „ქართულმა ოცნებამ“ ის პოლიტიკური თანამდებობიდან გადააყენა. მისი ადგილი ირინა იმერლიშვილმა დაიკავა.**

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სწორედ იმერლიშვილი უხელმძღვანელებს. ჩაფიძის „ჩამოქვეითებას“ ორ ფაქტორს უკავშირებენ: ზაზა ხატიაშვილის მხრიდან ბოლო დროს საკმაოდ აქტიური ოპოზიციური ხასიათის, რიგ შემთხვევაში კი, საკმაოდ სკანდალურ განცხადებებს და მეორე, მის გათხოვებას.

ზაზა ხატიაშვილმა საკუთარი კრიტიკული შეფასებებით შეიძლება ითქვას, რომ რეაქციულ ოპოზიციონერებსაც გადაუსწრო. „თქვენ, საქართველოს ისტორიაში შეხვალთ, როგორც დიქტატორი“ - ასეთი გაფრთხილებაც კი გააკეთა ცნობილმა ადვოკატმა, როცა ადვოკატების უფლებების დაცვაზე საუბრობდა.

ახალი ხელისუფლება მან ასლან აბაშიძესაც კი შეადარა. „მინდა მოგილოცოთ, საქართველოს ასლან აბაშიძის პერიოდში დაბრუნება“.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის გარდა აკრიტიკებდა პარლამენტს, მინისტრებს... მათ, რიგ შემთხვევაში, მძიმე ბრალდებებსაც უყუნებდა...

ზაზა ხატიაშვილი კი ელისო ჩაფიძის სიძე გახლავთ და როგორც ამბობენ, ივანიშვილს მისგან ასეთი მკაცრი პოზიცია და რადიკალიზმი არ მოეწონა.

თუმცა, სხვების მოსაზრებით, პრემიერ-მინისტრი არ არის ადამიანი, ვინც სიძის გამო ელისო ჩაფიძის მიმართ პოზიციებს შეიცვლიდა. შეიძლება გაკვირვებოდა ხატიაშვილის რადიკალიზმი, მაგრამ ამაზე შორს არ წავიდოდა. რაც შეეხება პოლიტსაბჭოს მდივნის გათხოვებას, ეს კი შეიძლება მართლაც ყოფილიყო ივანიშვილისთვის მიუღებელი.

დავით მიქაბერიძის კრიმინალურ წარსულზე სოციალურ ქსელებში ბევრს წერენ, ისეთი ინფორმაციები ვრცელდება, რომ ძნელია გაარკვიო, რომელია მართალი და რომელი არა. თუმცა, ფაქტია, რომ ჩაფიძის ქორწილში მისული პოლიტელიტა მთლად ბედნიერად არ გამოიყურებოდა და კომენტარები, რომელიც მათ გააკეთეს, თუნდაც პრემიერმა ან პარლამენტის თავმჯდომარემ, გაუგებრად ჟღერდა. გაუგებრად იმ თვალსაზრისით, რომ თითოეულმა ხაზი გაუსვა: სიძეს არ ვიცნობთო, ეტყობა დადებითად ვერ დაახასიათებდნენ და ამიტომაც გამიჯვნა და დისტანცირება არჩიეს.

## მთავარი ინტრიგა

თუმცა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო პრემიერის მოტივი, ფაქტია, რომ ურეკში პოლიტსაბჭოს მდივნად ირინა იმერლიშვილი აირჩიეს. მას სერიოზული გამოცდილება აქვს, ენერგიულია და პოლიტიკა კარგად ესმის.

საინტერესო აქ მისი პოლიტიკური წარსულია. ირინა იმერლიშვილი „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი იყო. არჩევნებამდე, ალბათ, ერთი თვით ადრე, „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა. მაშინ თქვეს, რომ კონფლიქტი მოუვიდათო, დეტალები არ გაჟღერებულა, თუმცა, ისიც ითქვა, რომ ეს ფანდი საგანგებოდ გათამაშდა იმისთვის, რომ რესპუბლიკელებს პარტია „ქართულ ოცნებაშიც“ საკუთარი ხალხი ჩაესვათ. ვერსია ასეთიც იყო.

ფაქტია, რომ ნეიტრალური ელისო ჩაფიძის შემდეგ, რომლის არჩევის კრიტერიუმი მაშინ ვერავინ გაიგო, ისევე, როგორც ახლა მისი გადარჩევის კრიტერიუმია ბუნდოვანი - მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოსტი სწორედ „რესპუბლიკური პარტიის“ ყოფილ წევრს ჩააბარეს.

და შესაძლოა, ესეც არაფრის მთქმელი არ იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა. პარტია „ქართული ცონების“ აღმასრულებელი მდივანი არმაზ ახვლედიანიც, როგორც კულუარებში ამბობენ, რესპუბლიკელებმა დაალობირეს. ამ თანამდებობაზეც პრემიერთან სხვა ფიგურა იყო დალობირებული, თუმცა, როგორც ამბობენ, საქმეში რესპუბლიკელები ჩაერთვნენ და აღნიშნულ თანამდებობაზე არმაზ ახვლედიანი დაალობირეს. არმაზი კომენტარებს არ აკეთებს, ძალიან მოუცლელად ვარო, განაცხადა.

ამხელა პარტია აბარია და ალბათ, დრო არა აქვს. ალბათ, ბიძინა ივანიშვილი მიხვდა, რომ მის პარტიაზე არავინ ზრუნავდა, კოალიციაში კი პარტიულ სტრუქტურაზე მხოლოდ რესპუბლიკელები მუშაობენ სხვები - არა. ამიტომაც ის ამ ნაწილში მათ რეკომენდაციებს ითვალისწინებს.

რამდენად შესაძლებელი იქნება მომავალში „ქართული ოცნებისა და რესპუბლიკელების ერთ პარტიად გარდაქმნა, ეს მომავლის საქმეა. თუ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა, მაშინ პარტიის ჯანსაღ ნაწილს - როგორც უწოდებენ ხოლმე - რესპუბლიკელები შეიერთებენ. შესაძლოა, ასეც მოხდეს.

თუმცა, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. „რესპუბლიკურ პარტიაშიც“ არის გარკვეული პრობლემები, მაგალითად, პოლიტიკური დისციპლინის მხრივ. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში გადასულ რესპუბლიკელებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის პარტიაში სხვადასხვა პოზიციებზე მყოფი წევრები.

არ არის გამორიცხული, დავით უსუფაშვილსაც დასჭირდეს დისციპლინის გამკაცრებისთვის გარკვეული ზომების მიღება. უკვე ხელისუფლებაში ეს პროცესი რისკებსაც შეიცავს.

# რატომ მოხსენს ელისო ჩაფიძე?

# ცნობილ კრიმინ „სუბუტექსი“ სას

ერეკლე სტურუა

**24 ივლისს სასჯელაღსრულების ქსნის დაწესებულებასთან ახალგაზრდა ადვოკატი ქალბატონი საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის მოსანახულებლად აპირებდა შესვლას. ლიზა მ.-ს ციხეში შესვლამდე შესაბამისი შემოწმება ჩაუტარდა, რამდენიმე წუთში კი ადვოკატს ციხის შესასვლელთან აპატიმრებენ. აღმოჩნდა, რომ მას ქსნის ციხეში მყოფ პატიმართან ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ შეჰქონდა. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ადვოკატი ციხეში ნარკოტიკის შეტანას ერთობ უცნაური მეთოდით ცდილობდა. კერძოდ, ლიზა მ.-ს „სუბუტექსი“, არც მეტი, არც ნაკლები, სასქესო ორგანოში ჰქონდა გადამალული. მისი დაცვის ქვეშ მყოფი კი, ვისთანაც ამ გზით, ნარკოტიკი შეჰქონდა, ცნობილი კრიმინალური „ავტორიტეტი“ გიგა ბალავაძე გახლავთ. დაკავებულ ადვოკატს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე პრიმა მუხლის, მე-2 ნაწილით წაუყენეს, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით აკრძალული ნივთის შეტანას გულისხმობს. სასამართლო პროცესზე, სადაც ლიზა მ.-სთვის წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების საკითხი განიხილებოდა, პროკურატურამ მისი პატიმრობაში დატოვება მოითხოვა, თუმცა მოსამართლემ ადვოკატს წინასწარი პატიმრობის ნაცვლად 10-ათასლარიანი გირაო შეუფარდა. თავად პატიმარ გიგა ბალავაძეს კი, რომელიც ქსნის ციხეში მრავალწლიან სასჯელს იხდის, დაწესებულებაში ნარკოტიკის შეტანაზე პირის იძულებით დაყოლიების გამო, ბრალი, სავარაუდოდ, კიდევ დაუმძიმდება.**

ლიზა მ. არ გახლავთ პირველი ადვოკატი, რომელიც პატიმარ გიგა ბალავაძესთან კანონსაწინააღმდეგო კავშირის გამო დააპატიმრეს. 2005 წელს, როდესაც ბალავაძე ე.წ. ქურდების ციხეში (სასჯელაღსრულების #7-ე დაწესებულება) იხდიდა სასჯელს მასთან აკრძალული ნივთის შეტანის ბრალდებით ადვოკატი ანა ჟღენტიც დააკავეს. ჟღენტს პატიმართან შესატანი მობილური ტელეფონი ფეხსაცმელში ჰქონდა დამალული.

„სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის #7 საპყრობილეში მყოფი პატიმრის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის განსასჯელი გიგა ბალავაძისთვის მობილური ტელეფონის შეტანის მცდელობისას საპყრობილის თანამშრომლებმა მისი ადვოკატი, კრწანისის რაიონის ადვოკატურის წევრი, ანა ჟ. დააკავეს. დაცვის ქვეშ მყოფთან მისულ ადვოკატს მობილური ტელეფონი ფეხსაცმელში ჰქონდა დამალული“, – ვკითხულობთ პროკურატურის განცხადებაში, რომელიც ანა ჟღენტის დაკავებასთან დაკავშირებით გაკეთდა.

ვინ არის გიგა ბალავაძე? ის მრავალჯერაა ნასამართლევი და ბრალი ედება ადამიანების გატაცებებში, რომელთაც ორგანიზებას საპატიმროდან, მობილური ტელეფონის მეშვეობით ახდენდა. ბალავაძეს ბრალი ედება დედა-შვილის – ელგუჯა გვილავასა და ელზა ყაჭიურის გატაცებაში, ასევე, თბილისის ყოფილი მერის ვანო ზოდელავას შვილის გატაცების ორგანიზებაში. ბოლოს ის 2001 წლის 20 ოქტომბერს დააპატიმრეს ხონის საკრებულოს თავმჯდომარის ავტომობილის გატაცების ფაქტზე.

ბალავაძე კრიმინალურ წრეებში „ავტორიტეტით“ სარგებლობს. ის მოიხსენიება ერთ-ერთი ორგანიზებული დაჯგუფების ხელმძღვანელად, რომლის სახელზეც არაერთი გატაცება, ყაჩაღობა, ქურდობა, ძარცვა და ნარკოდანაშაულია. მისი დაჯგუფების წინააღმდეგ ნადირობა ჯერ კიდევ კობა ნარჩემაშვილის მინისტრობის დროს დაიწყო. თავად ნარჩემაშვილმა კი ბალავაძის გვარი მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზეც კი გააჟღერა, როდესაც ედუარდ შევარდნაძის წინაშე ხონში ჩატარებული სპეცოპერაციით იწონებდა თავს და პრეზიდენტს ანგარიშს აბარებდა.

„2002 წლის 23 აპრილს, დილის 6 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იმერეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს ოპერატიულმა სამსახურებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს ხონში. სპეცოპერაცია მიზნად ისახავდა ბოროტმოქმედთა ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფის წევრების დაკავებას. ისინი 2001-2002 წლებში საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე მოქმედებდნენ და ხანგრძლივი დროის მანძილზე სჩადიოდნენ განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებს, როგორიცაა ადამიანთა გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ყაჩაღობა და სხვა“, – აცხადებდა კობა ნარჩემაშვილი მთავრობის სხდომაზე.




მაშინ სამართალდამცავებმა დააკავეს ჯგუფის წევრები: ხონში მცხოვრები ნოე ბალავაძე; ზუგდიდელი, 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გია ქარდავა; ხონელი, 1971 წ. დაბადებული სერგო დიდიძე, თბილისელი, 1980 წ. დაბადებული დავით გამხუაშვილი. ჯგუფს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ხელმძღვანელობდა ნოე ბალავაძის ძმა, ზემოხსენებული გიგა ბალავაძე. დაკავებისას ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა პოლიციის თანამშრომლებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ორმხრივი სროლის შედეგად ადგილზე ლიკვიდირებულ იქნა ნოე ბალავაძე, გიგა ქარდავა კი მიღებული ჭრილობების შედეგად საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. დაკავებულმა დავით გამხუაშვილმა მიიღო სხეულის დაზიანება, ხოლო სერგო დიდიძემ გაქცევა მოახერხა.

როგორც უკვე გითხარით, იმ დროისთვის გიგა ბალავაძე უკვე პატიმრობაში იმყოფებოდა. მისმა ძმამ, ნოე ბალავაძემ, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, 2002 წლის 5 აპრილს თბილისში, გლდანის რაიონში, საკუთარი ბინიდან გაიტაცეს არასრულწლოვანი ვანიკო ბერბიჭაშვილი, რომლის მშობლებსაც გამოსასყიდის სახით მოსთხოვეს 50 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა, ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, 4500 დოლარამდე დაიყვანეს. ფული თბილისში მცხოვრებ ნოე ბალავაძის მშობლებს, მარინა და ზაურ ბალავაძეებს გადასცეს, რის შემდეგაც ნოე ბალავაძემ ბერბიჭაშვილი გაათავისუფლა, ხოლო თბილისის შს მთავარი სამმართველოს მიერ გატარებული ღონისძიებების შემდეგ მარინა და ზაურ ბალავაძეები დააკავეს.

ძმები ბალავაძეების გვარმა გაიჟღერა კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცების საქმეშიც. კალაძის სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებს შემდეგი სახის ოპერატიული ინფორმაციები:

21.01.02წ. – თბილისის მთავარი



ვანო ზოდელავა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ალურ „ავტორიტეტთან“ ქესო ორგანოთი შეჰქონდათ



## ვინ არის გიგა ბალავაძე და რა კავშირი აქვს მას გახმაურებულ გატაცებებთან?

## „ლუკას კრანახის ცნობილი ფერწერული ტილო გიგა ბალავაძეს საიმედო ადგილას, პირდაპირ საკუთარ საკანში ჰქონდა დაკიდებული“





სამმართველოს უფროსის კ. ბაკურაძის ინფორმაცია: „გატაცებაში მონაწილეობა უნდა ჰქონდეთ მიღებული ძმებ კობა და კახა მიქელთაძეებს (თავლიებს).

28.01.02 წ. – კ. ბაკურაძის ინფორმაცია: ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დადგენილია ძმებ მიქელთაძეების უახლოესი დანაშაულებრივი კავშირები ნოე ბალავაძესთან, რომელსაც შესაძლოა, მიღებული ჰქონდეს მონაწილეობა ლ. კალაძის გატაცებაში და ამჟამად მძევალი გადამალული ჰყავდეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

19.03.02 წ. – სამძებრო სამმართველოს უფროს ჩინჩალაძის ინფორმაცია: თბილისის შს მთავარი სამმართველოს სს სამძებროს უფროსის მოადგილეს დ. ენდელაძეს ტელეფონით დაუკავშირდა ნოე ბალავაძე და გიგა ქარდავა, რომლებმაც საუბრისას განუცხადეს, რომ ლ. კალაძე, როგორც მძევალი, იმყოფება მათთან და არ გამოუშვებენ იმ დრომდე, სანამ ციხიდან არ გაათავისუფლებენ გიგა ბალავაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლავენ მას.

ერთ-ერთი ვერსიით, ძმებ ბალავაძეებს კალაძის გატაცებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონიათ და რეალურად აფიორის გზით ცდილობდნენ გიგა ბალავაძის ციხიდან დახსნას. ასეა თუ ისე, გიგა ბალავაძესთან გარიგება არ შედგა. უფრო მეტიც, ეს მცდელობა ხონის სპეცოპერაციით დასრულდა, რასაც ნოე ბალავაძის ლიკვიდაცია მოჰყვა. 2002 წლის ნოემბერში კი თბილისის მე-5 იზოლატორში ძმები მიქელთაძეები დახოცეს.

დაბოლოს, ერთი საინტერესო დეტალიც. როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, გიგა ბალავაძის სახელს უკავშირდება ცნობილი ფერმწერის ლუკას კრანახის ერთ-ერთი შედევრის ქურდობაც.

„თუ ზუსტად მახსოვს, ეს უნდა იყოს კრანახის „მაჭანკალი“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო გაუჩინარებული. ეს ტილო, რომელიც ლამის მილიონადაა შეფასებული, გიგა ბალავაძეს საიმედო ადგილას, პირდაპირ საკუთარ საკანში ჰქონდა დაკიდებული. ეს ინფორმაცია სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი და დაიგეგმა ოპერაცია, თუმცა მის განხორციელებამდე ინფორმაცია მივიდა ბალავაძესთანაც. ეს იმ პერიოდში ძნელი არ იყო. მაშინ ქურდები, ციხიდან პირდაპირ გოგირდის აბანოებში დაჰყავდათ და მსგავსი თემები არავის უკვირდა. მოკლედ, ბალავაძემ შეიტყო, რომ ოპერაცია იგეგმებოდა და კრანახის ტილო ისე გადამალა, რომ ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ვერაფერი იპოვეს და შესაბამისად, ვერც ვერაფერი დაუმტკიცეს. სავარაუდოდ, მან ციხიდან იმაზე ადრე გაატანინა ეს ტილო, ვიდრე ოპერაცია დაიწყებოდა“, – გვიყვება ერთ-ერთი ადვოკატი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაიჭერენ თუ არა დ



## რომელ ჩინოვნიკს მალავს გამოძიება სახელმწიფო კანცელარიიდან?

## ლაშა ნაცვლიშვილი სოფლის მეურნეობის საქმეს ეწირება?!

მარიამ ნადირაძე

**სოფლის მეურნეობის საქმე ყველაზე აქტიურ ფაზაში შევიდა. წინასასამართლო სხდომა 5 აგვისტოსთვის არის დანიშნული. მტკიცებულების გაცვლამდე კი რჩება ზუსტად 2 დღე. შესაბამისად, გამოძიებაც უფრო აგრესიული გახდა და ეს უკანასკნელმა მოვლენებმაც აჩვენა. მხოლოდ გამოძიების მიწურულს ხდება ცნობილი ერთ-ერთი ბრალდებულისგან, მამუკა ივანიაძისგან, რა სახის ზეწოლებს ჰქონდა ადგილი მისი მისამართით.**

**რაკი გამოძიებისთვის ერთგვარი რეზიუმეს დრო დადგა, „პრაიმტაიმიც" ასეთივე რეზიუმეს წარმოუდგენს საკუთარ მკითხველს, რომელთა უმეტესობა, ალბათ, ჯერ კიდევ ვერ გაერკვა საქმის არსში დეტალურად. ჩვენ შევეცდებით, ავხსნათ, რა ვერსიებს უჭერს მხარს პროკურატურა, რა გზებით მოიპოვებს მტკიცებულებებს და რატომ შეიძლება იყოს ის ტენდენციური. მკითხველამდე ისტორიას ოფიციალური დოკუმენტით, ბრალის დადგენილებით მივიტანთ, თუმცა ერთგვარი გზამკვლევი ჩვენთვის საქმეში იქნება ერთ-ერთი ადვოკატი, სიმონ თელიაშვილი, რომელიც ბრალის დადგენილების ამონაწერების პარალელურად საკუთარი კომენტარებით გამოძიების მიმართულების ტენდენციურობაზე მიგვითითებს. თუმცა მანამდე...**

### ჯერ ინტერვიუ

**– ბატონო სიმონ, თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირს პროკურატურამ ბრალი დაუმძიმა და მას უკვე გაფლანგვაში ედავებიან... როგორც ირკვევა, გივი ქაიხოსროშვილი ამ კრიმინალში მონაწილე ჯგუფის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა...**

– ეს იყო სამინისტროსგან ცალკე მდგომი ადამიანი. ტენდერი სხვადასხვა ლოტ-ში სხვადასხვა კომპანიამ მოიგო. მათ შორის რაღაც ლოტში „ნიუ ჰოლანდმაც" მოიგო, რომლის საჩივრის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება.

მოდით, პირდაპირ გკითხავთ: თქვენ შეგიძლიათ გაფლანგოთ ჩემი ოჯახის ბიუჯეტი? რა თქმა უნდა, არა, რადგან წვდომა არ გაქვთ. ასევეა ეს სახსრებიც, რომლის წარმომავლობაც ბიუჯეტიდან მოდის. ეს თანხები სახელმწიფო კომპანია „მექანიზატორის" კაპიტალში აისახა. ადამიანს, რომელსაც წვდომა არ ჰქონდა ამ კაპიტალთან, როგორ გაფლანგავდა მას?

**– მაგრამ გამოძიება მიიჩნევს, რომ გაიფლანგა მილიონზე მეტი ევრო...**

– გამოძიების მთელი პრობლემა ის იყო, რომ უნდა შეკრულიყო ლოგიკური წრე. რაკი საუბარი იყო, რომ დანაშაული მოხდა და სახელმწიფო ქონება გაიფლანგა, ამის უკან უნდა იდგას რაღაც ინტერესი. ვთქვათ, გავფლანგე. ფაქტია, რომ სახლში არ წამიღია, ვიყიდე „ზეტორის" ტრაქტორები, ამით შეიძლებოდა მეყიდა „ნიუ ჰოლანდი", გადავიხადე მეტი. მაგრამ აქ რაში იყო ჩემი ინტერესი? მიზანი რა იყო? დღე და ღამე იმაზე ხომ არ ვოცნებობდი, რომ სახელმწიფო ქონება გამეფლანგა? გამოძიებას შეიძლებოდა ეფიქრა ე.წ. ატკატზე. მაგრამ ეს დოკუმენტურად უნდა დადასტურებულიყო. ამ ინტერესის ძებნაში პროკურატურა ზეწოლას ახდენდა პატიმრებზე, რაც ახლახან ივანიაძემაც დაადასტურა. გამოძიება ცდილობდა უკვე ჩვენებით დაედასტურებინა რაღაც მოტივი. ბანკებიდან ყველას ანგარიში ჩხრიკეს. არა მარტო მათი, არამედ მათი ახლობლებისაც. ბევრი იწვალეს. ივანიაძესაც მიაცემინეს ჩვენება ადვოკატის გარეშე, რომელიც საბოლოოდ თავისუფლებაზე გამოსვლის შემდეგ გაემიჯნა ამ ჩვენებას.

**– თუმცა, ივანიაძე ამ ჩვენებაში უკვე გამოკვეთს ინტერესს, რომ „ზეტორის" მხარდაჭერა სამინისტროს ჩინოვნიკების მხრიდან მოხდა იმიტომ, რომ ფული მის სერვისში უნდა გაკეთებულიყო. ამ ჩვენებაშივე დასძენს, რომ ამაში დიდძალი თანხები კეთდებოდა. ზეტორის გამარჯვების შემთხვევაში კი სერვისი მის წარმომადგენელს, გია ქაიხოსროშვილს დაევალებოდა, რომელიც იმავდროულად ტექაგროსერვისს ფლობდა...**

– ჯერ ერთი, ის მენეჯერი იყო და მესაკუთრედ მას გამოძიება ნათლავს, რატომღაც. თანაც ამ ჩვენების მიცემის მერე ივანიაძე გაემიჯნა ამ ყველაფერს და განაცხადა, რომ ზეწოლით მიაცემინეს ჩვენება. იმ ჩვენებაში, რომელიც პროკურატურამ საჯაროდ გამოაქვეყნა იმის დასადასტურებლად, რომ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, ივანიაძე ჯერ ამბობდა, ადვოკატი გავუშვი იმიტომ, რომ ისინი მატყუებდნენ, თითქოს კირვალიძე რაღაც სიტუაციას მიგვარებდა. მერე მივხვდი, რომ აქ მტოვებდნენ და ამიტომაც გადავწყვიტე კორუფციული სქემა გაგიშიფროთო. რაკიღა კონსტანტინე ხუცაიძე (სპეციფიკაციების დამდგენი კომისიის თავმჯდომარე. – მ.ნ.) იყო ქაიხოსროშვილის ნათელ-მირონი, ეს კორუფციული სქემაც ამიტომ აიგოო. დაკითხვებში გამოძიება მკვეთრად უსვამს ხაზს, ვინ ვის იცნობდა და ვინ ვისთან იყო ოდესღაც სადღაც სემინარზე. რეალურად ეს ის სფეროა, სადაც ყველას ჰქონდა ერთმანეთთან ურთიერთობა. ბოლოს და ბოლოს, მეცნიერ-მუშაკები არიან პასუხისგებაში, რომლებსაც მანამდე აუცილებლად ექნებოდათ ერთმანეთთან რაღაც ტიპის კავშირები. ეს ურთიერთობები ყველა სფეროშია და ნამდვილად არ ღირს ამის წითლად ხაზგასმა. ერთი სიტყვით, იმ ჩვენებით ივანიაძე ხსნის „ზეტორის" გამარჯვების სურვილს... მოგვიანებით კი, როცა თავისუფლებას მიაღწია, გაემიჯნა ამ ჩვენებას და დაიწყო საუბარი ზეწოლაზე პროკურატურის მხრიდან. ივანიაძე ამას ტელევიზიით არ აცხადებს, მაგრამ პივატულ საუბრებში გაცხადდა, რომ იქ საუბარი იყო პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების გახმაურებაზეც. ოღონდ გამოვსულიყავი და ყველაფერზე ვაწერდი ხელსო. ამაზე მაშინვე დაიწყო გამოძიება. პროკურატურა უკვე მხარედ იქცა. აქ უკვე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას. თუ ეს ხალხი არ გაჭედეს, ამას მთელი პროკურატურის ზედა ეშელონი გადაყვება, ნაცვლიშვილი და სხვები, ყველა, ვინც ამ საქმეს კურირებს. არც იმას გამორიცხავენ, რომ ივანიაძეს ახალი ბრალი წაუყენონ ცრუ დასმენაზე.

კაცი ციხის უფროსის კაბინეტში გაჰყავთ, არასამუშაო დღეს და ჩუმად იწერენ. ეს ხომ არ იყო ოპერატიული სამუშაოს ნაწილი? მაგრამ ოღონდ საზოგადოებაზე იმოქმედონ, ყველაფერზე მიდიან. აქ ჩნდება კითხვების მთელი არსენალი – რატომ არის მარტო? რატომ არ ჰყავს ადვოკატი? სად ხდება ეს საუბარი? და ა.შ. ამ ყველაფერს იცით, რატომ აკეთებდნენ? სქემა არაფრით გაიხსნა, რომ ფლანგვა სადღაც ხომ უნდა აისახოს? და პროკურატურას ამის მიღწევა ჩვენებებით უნდოდა. გაკეთდა მიგნება, რაში იყო ინტერესი. ივანიაძის გარდა, არის თეთვაძე, რომელიც არჩევნებამდე იყო მექანიზატორის დირექტორი, ბოლოს კი მოადგილე. მისი ხელმძღვანელობის დროს იყო მონოპოლია, თუ იყო...

### თხრობაც ასე იწყება

სიმონ თელიაშვილი: „სოფლის მეურნეობის მინისტრს მოადგილე, დავით გალეგაშვილი „მექანიზატორის" ხელმძღვანელს, ბესიკ თეთვაძეს ეუბნება, რომ ტექნიკა უნდა შევიძინოთ და სპეციფიკაციები დააგზავნე კომპანიებშიო. ეს ხდება ნოემბერში, მაშინ, როდესაც ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არის გადაბარებული... არც რაიმე კომისია არ არსებობს. არსებობს ნაციონალების დროს დადგენილი სპეციფიკაციები, რომელიც უდევს „მექანიზატორს". ეს სპეციფიკაციები მორგებული იყო ძველ მონოპოლისტურ სიტუაციაზე, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ „ჯითი გრუპისთვის" აწყობილ სქემაზე. იქ ჩაწერილი იყო, რომ სჭირდებოდათ 110-ცხენისძალიანი ტაქტორი.

ბრალი: „აღნიშნული დავალების შესასრულებლად, 2012 წლის 10 ნოემბერს, ბესიკ თეთვაძემ, „მექანიზატორის" მარკეტინგის სამსახურის უფროსის, გიორგი ავალიანის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეტყობინებები დაუგზავნა მსოფლიოში ცნობილ სასოფლო სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელ კომპანიებს... ტრაქტორების მწარმოებელი ჩეხური კომპანია „ზეტორის" საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლის შპს „ტექაგროსერვისის" რეალური მფლობელის, გივი ქაიხოსროშვილისთვის ცნობილი გახდა, რომ დაგეგმილი იყო საბიუჯეტო ასიგნებებით სოფლის მეურნეობის ტექნიკის შეძენა. თავისთვის მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, რაც გამოიხატებოდა შემდგომში შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისთვის" გაწეულ სერვისში გადახდილი თანხების მოგების მიღებაში"

ს.თ.: „ჩვეულებრივი ლეგიტიმური ბიზნესინტერესია".

ბრალი: „გივი ქაიხოსროშვილმა წააქეზა მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი კონსტანტინე ხუცაიძე, რათა შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად შეტყობინება გაეგზავნათ კომპანია „ზეტორისთვის", ორგანიზება გაეწია შესაძენი ტექნიკის სპეციფიკაციების ისეთ დადგენაზე, რომ უპირატესობა მინიჭებოდა „ზეტორის" ფირმის ტრაქტორებს და ამ სპეციფიკაციების გათვალისწინებით მომხდარიყო აღნიშნული ფირმის ტრაქტორების შეძენა. აღნიშნულის განსახორციელებლად კონსტანტინე ხუცაიძემ პირადი მოტივით გივი ქაიხოსროშვილისთვის უპირატესობის მისანიჭებლად დაავალა ბესიკ თეთვაძეს, შეტყობინება გაეგზავნა ჩეხური კომპანია „ზეტორისთვისაც".

ს.თ.: „რატომ არ უნდა გაეგზავნათ? ამაში რა არის კრიმინალი?"

ბრალი: „სოფლის მეურნეობის მინისტრის 2007 წლის დეკემბრის ბრძანებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნომენკლატურისა და სპეციფიკაციების შედგენის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა შესასყიდი სასოფლო სამეურნეო ტექნიკის სპეციფიკაციის დადგენა".


სიმონ თელიაშვილი

> „პროკურატურა უკვე მხარედ იქცა. აქ უკვე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას. თუ ეს ხალხი არ გაჭედეს, ამას მთელი პროკურატურის ზედა ეშელონი გადაჰყვება, ნაცვლიშვილი და სხვები"


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ავით კირვალიძეს?




## სერვისით გამდიდრებულნი?

ს.თ: „მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს შეიქმნა მინისტრის ბრძანებით და არა თავად ხუცაიძის სურვილით. ეს ჯგუფი სპეციფიკაციად 115 ცხენის ძალას დაადგენდა, თუ 105-ს „ნიუ ჰოლანდსაც“, „ზეტორსაც“ და სხვა ყველა კომპანიას აქვს ასეთი პროდუქცია. როცა სპეციფიკაციად 115 ცხენის ძალა დაადგინეს, ასეთი ტრაქტორი მარტო „ზეტორს“ რომ ჰქონოდა, მაშინ შეიძლებოდა გამოკვეთილიყო კონკრეტული ინტერესი, მაგრამ ასეთი სხვებსაც ჰყავთ, მათ შორის „ნიუ ჰოლანდსაც“, მაგრამ მისი პროდუქცია უფრო ძვირია. მაგრამ აქ არის ერთი მომენტი, რომ თეთვაძე ჩვენებაში ასეთ რამეს უსვამს ხაზს – მე დავაგზავნე პირველად 110-იანზე და კომისია რომ შეიქმნა, ეს 115-ით შემაცვლევინეს და ამან დამაეჭვაო. საინტერესოა, ის 110 ვინ და რატომ დაადგინა თავის დროზე? ეს ციფრი ხელშეუხებელი თემა რატომ უნდა ყოფილიყო? თუ ძველი სპეციფიკაციები ასეთი ხელშეუხებელი თემა იყო, საერთოდ, რა საჭირო იყო რამე კომისიის შედგენა? მაგრამ გამოძიების პათოსიც სწორედ ესაა, რომ თითქოს მთელი სოფლის სამინისტრო, მეცნიერთა ჯგუფი და საერთოდ მთელი სამყარო შეიკრიბა იმიტომ, რომ „ზეტორს“ გაემარჯვებინა, რადგან შემდეგ ქაიხოსროშვილს მისი სერვისით ბიზნესი ჰქონოდა. აი, ასეთ აბსურდამდე მივდივართ“.

ბრალი: „სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ დაინიშნა კონსტანტინე ხუცაიძე, ხოლო მის მოადგილედ ხუცაიძის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი სამმართველოს უფროსი, ომარ თედორაძე, რომელთანაც კონსტანტინე ხუცაიძეს აკავშირებდა პირადი ნაცნობობა...“

ს.თ.: „ეს არის მოხუცი კაცი, რომელსაც ასევე შეუცვალეს აღმკვეთი ღონისძიება. პატიმრობაში ეს ადამიანი ჯურღმულში ჰყავდათ და ახლა ძალიან მძიმედ არის, საავადმყოფოშია ამჟამად. საოპერაციოა გულზე. მართლა რეალურად სიკვდილამდე მიიყვანეს. პროფესორია, თაობები ჰყავს გაზრდილი. მართლა დახეული ფეხსაცმლით დადის და პროცესზე იტირა, ვერ გამიგია, რა გინდათო“.

ბრალი: „ასევე მოწვეულ იქნა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, შპს „მექანიზატორის“ კონსულტანტი, ზაზა მახარობლიძე, შპს „მექანიზატორის“ დირექტორი, ვაჟა ნახუცრიშვილი, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა 2012 წლის 7 დეკემბერს, ასევე მისი მოადგილეები, ბესიკ თეთვაძე, მამუკა ივანიაძე და სხვა პირები“.

ს.თ: „მაქსიმალურად არის გამოკვეთილი, რომ კომისია შეიქმნა პირადი ურთიერთობებით დაკავშირებული პირებისგან“.

ბრალი: „კონსტანტინე ხუცაიძე, ბოროტად იყენებდა რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, როგორც სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, დანაშაულებრივად დაუკავშირდა სამუშაო ჯგუფის წევრებს... რომლებთანაც აკავშირებდა ახლო მეგობრული და ხანგრძლივი სამსახურებრივი ურთიერთობები. მათი დახმარებით, საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, პირადი მოტივით, გივი ქაიხოსროშვილისთვის უპირატესობის მისანიჭებლად, მისი ბიზნესინტერესების განსახორციელებლად, შეუთანხმდა, ტექნიკური სპეციფიკაციები დაედგინათ იმდაგვარად, რომ შესყიდვის პროცესში გადაწყვეტილება „ზეტორის“ სასარგებლოდ მიღებულიყო“.

ს.თ.: „გაუგებარია, რატომ იყო 115 ცხენის ძალის დადგენა სპეციფიკაციად ეკვივალენტური ზეტორის გამარჯვებასთან, როდესაც ასეთი ტრაქტორი ყველა სხვა კომპანიასაც ჰქონდა?

ბრალი: „მიუხედავად იმისა, რომ კომისიის სხდომების მიმდინარეობისას ცნობილი გახდა, რომ სხვადასხვა მწარმოებლებს შორის კომპანია „ნიუ ჰოლანდის“ მიერ საუკეთესო ფასად – 28500 ევროდ შეთავაზებულ ტრაქტორებთან შედარებით გაცილებით ძვირად ღირებული „ზეტორისთვის“ არამართლზომიერად უპირატესობის მინიჭების შემთხვევაში ზედმეტად დაიხარჯებოდა ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობის თანხები, კონსტანტინე ხუცაიძესთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფმა კომისიის ზემოაღნიშნულმა წევრებმა კონსტანტინე ხუცაიძესთან შეთანხმებით, შესაბამისად, გივი ქაიხოსროშვილისთვის უპირატესობის მისანიჭებლად, რომლის შედეგად შპს „ტექაგროსერვისი“ მოიპოვებდა შესყიდული ტრაქტორების ტექნიკური მომსახურების განხორციელების ექსკლუზიურ უფლებას და მიიღებდა მატერიალურ სარგებელს, სპეციფიკაციები დაადგინეს კომპანია „ზეტორის“ სასარგებლოდ“.

ს.თ: „მოდი, გავხსნათ კარტი და ვთქვათ, რომ, როდესაც ამ კომისიის შექმნამდე კომპანიებში დაიგზავნა ძველი სპეციფიკაციები, „ჯი-თი გრუპი“, რომელსაც შემოჰყავდა „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორები, ბუკლეტებით დადიოდა სამინისტროში პროდუქციის რეკლამირებისთვის, რადგან მიჩვეულები იყვნენ გამარჯვებას ძველი ხელისუფლების პირობებში მართლა მათზე მორგებული სპეციფიკაციებით. გამოძიება ახლა ამბობს, „ნიუ ჰოლანდს“ კარგი ფასი ჰქონდაო. ვინმემ კომისიის შექმნის დროს იცოდა, რა ფასს შესთავაზებდა მათ „ზეტორი“, ან რომელიმე სხვა კომპანია?“

ბრალი: „2012 წლის 19 დეკემბერს კონსტანტინე ხუცაიძემ მოხსენებითი ბარათით მიმართა სოფლის მეურნეობის მინისტრს, დავით კირვალიძეს, რომ სამუშაო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა და შეიმუშავა რეკომენდაციები დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნომენკლატურის სპეციფიკაციისა და რაოდენობის შესახებ... შპს „მექანიზატორს“ დაევალა ტექნიკის დროული შეძენის მიზნით აუცილებელი ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფა... შპს „მექანიზატორის“ დირექტორის, ვაჟა ნახუცრიშვილის 2012 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით შეიქმნა სოფლის მეურნეობის ტექნიკის შემსყიდველი კომისია, სადაც წევრებად შეყვანილ იქნენ კონსტანტინე ხუცაიძესთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სპეციფიკაციების დამდგენი კომისიის წევრები – ვაჟა ნახუცრიშვილი და მისი მოადგილე, მამუკა ივანიაძე, რომლებიც პირადი მოტივით მოქმედებდნენ გივი ქაიხოსროშვილის ინტერესების სასარგებლოდ. სოფლის მეურნეობის ფონდის გამგეობის 2013 წლის 14 იანვრის სხდომაზე გადაწყდა ფონდისთვის გადარიცხული 50 მილიონი ლარი შეტანილიყო შპს „მექანიზატორის“ საწესდებო კაპიტალში, რათა უზრუნველყოფილიყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დროული შეძენა, რაც შესრულდა ფონდის დირექტორის, გიორგი ჩხეიძის 15 იანვრის ბრძანებით. საწესდებო კაპიტალში არსებული მატერიალური სახსრების განკარგვაზე უფლებამოსილი პირი იყო შპს „მექანიზატორის“ დირექტორი, ვაჟა ნახუცრიშვილი“.

ს.თ.: „თუ უფლებამოსილი პირი იყო ნახუცრიშვილი, ამ სახსრების გამფლანგველი როგორ იქნებოდნენ ან პროფესორები და ან ქაიხოსროშვილი? არც ერთ მათგანს არ ჰქონდა წვდომა ამ თანხებთან. „აქვე გაგახსენებთ, რომ იმ ლოტში, სადაც სპეციფიკაციად დადგენილი იყო 115 ცხენის ძალა, მარტო „ზეტორს“ არ გაუმარჯვია. გაიმარჯვა „კლასმაც“. უფრო მეტიც, მან 110 ტრაქტორი შემოიყვანა, თანაც უფრო ძვირად, „ზეტორმა“ კი – 50. „კლასს“ არავინ ახსენებს. ანუ დავა მიდის ერთ-ერთ ლოტში 1/3-ის მიღებაზე, როცა 2/3 სხვას აქვს მოგებული და იმ „სხვის“ ინტერესი არსებობდა თუ არა, ამაზე რატომღაც არავინ დაობს“.

## ეშველათ

ბრალი: „2013 წლის 18 იანვარს შესყიდვის კომისიამ „ზეტორის“ სასარგებლოდ დადგენილი სპეციფიკაციების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება ამ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და მისი მწარმოებელი ტრაქტორების შესყიდვის თაობაზე, რითაც მიღწეული იქნა ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივი მიზანი და „ზეტორთან“ 2013 წლის 24 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, შესასყიდი ტექნიკის სერვისის განხორციელების უფლება მოიპოვა ტექაგროსერვისმა“...

ს.თ: „... და ამოისუნთქა ამ ხალხა, როგორც იქნა, რომ ქაიხოსროშვილს ბიზნესი ექნებოდა... ეს, რა თქმა უნდა, ცინიზმით“.

ბრალი: „ამასთანავე, გივი ქაიხოსროშვილის ბიზნესინტერესების სასარგებლოდ მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული შპს „ტექაგროსერვისისთვის“ უპირატესობის მისანიჭებლად ორგანიზებული ჯგუფის: კონსტანტინე ხუცაიძის, მამუკა ივანიაძის, ომარ თედორაძის, ბესიკ თეთვაძის, ზაზა მახარობლიძის, გივი ქაიხოსროშვილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხებით სოფლის მეურნეობის ტექნიკის შესყიდვისას ფასთა შორის სხვაობით ვაჟა ნახუცრიშვილისა და ზემოაღნიშნული მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების მიერ გაფლანგულ იქნა მილიონ 55 ათას 485 ევროს ეკვივალენტი თანხა ლარში, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია“.

## ისევ ინტერვიუ

ახლა იმის შესახებ, თუ რა არის მიჩუმათებული:

– კრიმინალების ბანდად შერაცხული სპეციფიკაციის დამდგენი კომისიის შემდეგ შეიქმნა შესყიდვის კომისია, რომლის საქმიანობასაც რატომღაც არ შიფრავს გამოძიება. ამ კომისიაში გამჭვირვალობისთვის მოწვეული იყო სახელმწიფო კანცელარიიდან ერთ-ერთი თანამშრომელი გიორგი ქარსელაძე. შესყიდვებს ის აწარმოებდა უშუალოდ. მუშაობის სქემა ასეთი იყო: კომისიის ყველა წევრზე საიტზე შესასვლელი პაროლი გადანაწილებული იყო. სრული პაროლი არავინ იცოდა. ანუ, ყველა ერთად უნდა შეკრებილიყო, რომ მოლაპარაკებები დაწყებულიყო კონკრეტულ კომპანიასთან. ვაჭრობას კომპანიებთან ფასზე, რაოდენობაზე და სხვა დეტალებზე უშუალოდ ქარსელაძე აწარმოებდა. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ კომისიის წევრებს ის საპირფარეშოშიც კი არ უშვებდა მუშაობის დროს. თუ პროკურატურას სრული სურათის შექმნა უნდა, მაშინ ეს კაციც უნდა დაიჭირონ, შესყიდვებში რეალურად ეს მონაწილეობდა. თქვენ წარმოგიდგენიათ, თურმე გაიფლანგა სახელმწიფო თანხები რალაცის ყიდვის დროს და ვინც იყიდა, იმას არაფერზე სთხოვენ პასუხს! გიორგი ქარსელაძე თავის ჩვენებაშიც აღიარებს, რომ მოლაპარაკებებს თავად აწარმოებდა და იქვე დასძენს, რომ ყველაზე მისაღები პირობები „ზეტორმა“ და „კლასმა“ წარმოგვიდგინაო.

**– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მთელი ეს ალიაქოთი დავით კირვალიძის წინააღმდეგ ატყდა. ის კი დღესაც სახლიდან მიდის დაკითხვებზე, დანარჩენმა ყველამ გამოიარა ციხე, ზოგი დღესაც იქ რჩება... არის ტენდენცია, რომ შეიძლება დადგეს მისი დაპატიმრების საკითხი დღის წესრიგში?**

– თავად ამ ხალხის ბრალდების ფორმულირება რაკი ასეთი აბსურდულია, შეუძლებელია კირვალიძის ამ ყველაფერზე მიბმა... საბოლოოდ გამოჩნდა, რომ გამოძიება ფონს ვერ გავიდა.

**– თუმცა სასამართლოში დანაშაულებრივი ჯგუფი წარდგება, ფაქტია...**

– კირვალიძის დაპატიმრების წარმოდგენა მხოლოდ ჰიპოთეტურად შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ გამოძიების გავეშებას, როგორ უკერავდნენ საქმეს დანარჩენ ბრალდებულებს. საქმის მიღმა დარჩა ორი ადამიანი – კირვალიძე და ქარსელაძე.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ციხის ბუნტის ახალი

EXCLUSIVE



> „ჩემს საქმეში სიმართლის პოვნა ძალიან ადვილია, რადგან ვამბობ, რომ, რაც განაჩენში წერია, ეს სიმართლეა, მაგრამ ეს სიმართლე არ არის დანაშაული“

მარიამ ნადირაძე

**მაშინ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა, ხმა გავარდა, როგორ სანიმუშოდ დაისაჯა პატრულის ორი თანამშრომელი, რომლებმაც მოქალაქისგან 10 ლარი აიღეს ქრთამად.**

**ერთ-ერთი მათგანი, დღეს უკვე ადვოკატი, დავით ხარატი ამ ისტორიას „პრაიმტაიმთან“ საუბრისას იხსენებს. როგორც ირკვევა, მისი ისტორია მხოლოდ ამ ინციდენტით არ დასრულებულა.**

**ქვემოთ შემოთავაზებულ ინტერვიუში მკითხველი ბევრ გაუხმაურებელ ამბავს შეიტყობს გახმაურებული მოვლენების გარშემო. ამიტომაც აჯობებს, ჩვენმა რესპონდენტმა თხრობა სულ თავიდან დაიწყოს:**

– ადვოკატად ვმუშაობ 1999 წლიდან. 20 წლის ვიყავი, როცა პირველად გამოვედი პროცესზე. მაშინ ადვოკატთა ლიცენზირება არ იყო და ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც რომელიმე საადვოკატო ბიუროში იყო გაწევრიანებული, შეეძლო საადვოკატო საქმიანობა განეხორციელებინა. იმ პერიოდისთვის ვმუშაობდი რამდენიმე რედაქციაში – სპეცკორესპონდენტად, მთავარი რედაქტორის მოადგილედ, ვსწავლობდი უნივერსიტეტში. 20 წლის ასაკში დავიწყე მუშაობა სახელმწიფო კომპანია „საქართველოს ავიახაზებში“, რომლის ადვოკატიც ვიყავი. მერე ბადრი პატარკაციშვილის ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარიში“ ვმუშაობდი იურიდიული სამსახურის უფროსად, შემდეგ იყო „ნაციონალური ავიახაზები“. ეს იყო კოდუების ავიაკომპანია და ვმუშაობდი მოსკოვში წარმომადგენლობის უფროსად. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დიდი ენთუზიაზმით განვეწყვე ახალი ხელისუფლების მიმართ, ავიაციაშიც სიტუაცია აირია, მას მერე საქართველოს ავიაცია დღესაც სავალალო დღეშია, ამიტომაც დავიწყე მუშაობა საპატრულო პოლიციაში. სადაც შურისა და ანგარების, თანაც ახალგაზრდა ასაკის გამო თავს არ ვუხრიდი ხელმძღვანელობას და ალბათ, ამიტომაც, აქ მუშაობა დავასრულე ციხეში.

**– დაგიჭირეს?**

– 2005 წელს მომიწყვეს დანაშაულის პროვოცირება. ამის დამამტკიცებელი საბუთები დღესაც მაქვს. დამიჭირეს ქრთამის სახით 10 ლარის აღების გამო. მომიგზავნეს აგენტი, ფული შემომიგდეს მანქანაში... ეს იქიდანაც კი დასტურდება, რომ ეს აგენტი ფარული კამერით იღებდა ამ ე.წ. ქრთამის გადაცემას, მოსამართლემ განაჩენში ეს მტკიცებულება, იმის მაგივრად, რომ საქმისთვის დაერთო, პირიქით, გაანადგურა. პირდაპირ მიუთითა, რომ საქმეში არსებული მთავარი ნივთმტკიცება, ფარული ჩანაწერი განადგურებულიყო. რადგან ეს იყო აბსოლუტურად პროვოკაციული ფაქტი.

**– ისტორია მომიყევით...**

– დაგვიჭირეს ორი პიროვნება. ჩვენს დაკავებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ გენერალი კეკუა, რომელმაც შემდგომში თავი მოიკლა, გენინსპექციის უფროსი, ვასილ სანოძე, რომელიც დღეს თავად არის ბრალდებული, გეგეჭკორი, რომელიც შემდგომში საპატრულო პოლიციის უფროსი გახდა და დიდი პიარაქციით დაგვიჭირეს ორი პატრული. ქრთამის სახით მოგვაწერეს ათი ლარი და გაგვამწესეს 6-დან 12 წლამდე სასჯელზე.

**– ეს ქრთამი მართლა აიღეთ?**

– დარღვევაზე გავაჩერეთ მანქანა. ოქმი უნდა გამომეწერა. მძღოლი მეხვეწებოდა, არ გამომიწეროო. ყელში ამომიყვანა... ბოლოს ტექპასპორტი და მართვის მოწმობა რომ დავუბრუნე, წადი, საერთოდ თავი დამანებე-მეთქი, შემოაგდო 10 ლარი მანქანის ფანჯარაში და გაიქცა. აღმოჩნდა, რომ მას გადამღები მოწყობილობა ჰქონია და ამ ყველაფერს იღებდა. გაკიდებაც ვერ მოვასწარით, რომ დაგვაკავეს...

**– ოქმი არ გამოუწერეთ?**

– არა. თავიდან მითითება ჰქონდა საპატრულო პოლიციას, რომ უმეტეს შემთხვევაში სიტყვიერი გაფრთხილებით შემოფარგლულიყო, ვიდრე ოქმის გამოწერით, რადგან ახალი შექმნილი იყო პატრული და საჭირო იყო მისი იმიჯის შექმნა.

**– ეს პროვოკაცია მაინცდამაინც თქვენ რატომ მოგიწყვეს?**

– ჩემი უშუალო ხელმძღვანელი იყო მაიზერ ლიპარტელიანი, რომელიც ახლა საპატიმროშია ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით. მაიზერ ლიპარტელიანთან პირადი დაპირისპირება მქონდა. ამას გარდა, სიმართლე მოგვიანებით გავიგე, როცა ერთხელ უშუალოდ ჩემს დამკავებლებთან ერთად მოვხვდი ქელეხის სუფრაზე. მათ პირდაპირ მითხრეს, რომ მოხდა შეცდომა, მათ უნდა დაეჭირათ სხვა პატრული, მის სახელსა და გვარს ვერ დავასახელებ, რადგან ეს პირადი ინფორმაციაა, რომელიც შემდგომში მართლა დაიჭირეს და იხდიდა სასჯელს დანაშაულის პროვოცირების გამო. ერთი სიტყვით, სხვის მაგივრად შევრჩით მე და ჩემი თანამშრომელი. რაკი დაგიჭირეთ, გაშვება აღარ გამოდიოდაო. გადაწყდა, რომ საპროცესოთი უნდა გამოვეშვით დაახლოებით ერთ თვეში. თვითონ ვასილ სანოძემ განმიცხადა, „კაპეზეზე“ როცა ჩამოვიდა ჩვენთან: დავით, ნუ ინერვიულებ, შეიძლება ერთი თვე მოგიწიოს ციხეში ჯდომა, მაგრამ 10 ლარზე არავინ დაგიჭერსო. ჩემი უშუალო გამომძიებელი იყო შემდგომში ისანი-სამგორის პროკურორი, ვალერი ლაცუზბაია. ისიც ძალიან გულისხმიერად და ადამიანურად მომიდგა და მითხრა, 10 ლარზე არ გაგწირავო. მამუკა ჯანაშია ამ საქმის გამო საერთოდ პროკურატურის სისტემიდან წავიდა, 10 ლარზე ორი ბიჭი დამაჭერინეს და აღარ შემიძლია ასეთ სისტემაში მუშაობაო, „ნიკორაში“ გადავიდა იურისტად... სანამ დაჭერილი ვიყავი, სააკაშვილი გამოვიდა და ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა. ეს ხდება უკვე 2006 წლის თებერვალში და იმის მაგივრად, რომ გავეთავისუფლებინეთ, საპროცესო შეთანხმებაზე დამემუქრნენ, რომ მოგვცემდნენ 9 წელიწად ციხეს, თუ ხელს არ მოვაწერდი აღიარებას და არ გადავიხდიდი 15000 ლარს, ისევე როგორც ჩემს მეგობარს. ეს თანხა გადაგვახდევინეს და თავისუფლება 2-2 წლით აღგვიკვეთეს. პროცესები მიდიოდა მთელი შვიდი თვის მანძილზე. მოსამართლე ბოლომდე თანამიგრძნობდა...

**– ამდენ ხანს მიდიოდა პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ გარიგება უნდა მომხდარიყო საპროცესოზე?**

– დიახ. ვერ აბამდნენ ვერაფერს თავს. მოსამართლემ პროკურატურას პირდაპირ განუცხადა, მე 10 ლარის გამო განაჩენის დაყენება ნამდვილად არ მინდა და ძალიან გთხოვთ, საპროცესო შეთანხმებაზე ჩამოყალიბდითო. მაინც მომისაჯეს ორი წელი. მაშინ ეს იყო „ნაციონალური მოძრაობის“ აღმასვლისა და ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების დრო და ახლა ვფიქრობ, რომ მადლობა უფალს, რომ კიდევ კარგად გადავრჩი... ციხეში ყოფნის დროს მომიწია ბუნტიც, რეჟიმის გამკაცრებაც...

**– გამკაცრებული რეჟიმის პირობებში ყოფილი პოლიციელი თავს როგორ გრძნობდით?**

– ჩვენ შედარებით ნორმალურ პირობებში ვიყავით იმ კუთხით, რომ იზოლირებულები ვიყავით ე.წ. შავი სამყაროსგან... მომათავსეს ორთაჭალაში. ე.წ. „სტროგაჩების“ კორპუსზე, სადაც პირადად ჩემ მიერ დაჭერილი ხალხი იმყოფებოდა. ყოფილი თანამშრომლებისთვის იქ გამოყოფილი იყო ოთხი კამერა. ოთხკაციან კამერაში 40-45 კაცი ვცხოვრობდით და მორიგეობით გვეძინა.

**– ე.ი. ბუნტის დროს იქ იყავით?**

– დიახ. ეს ბუნტიც, რა თქმა უნდა, პროვოცირებული იყო. სამი დღით ადრე მოანგრიეს კედელი, რომელიც ე.წ. „სტროგაჩებისგან“ გვყოფდა. სართულიდან ჩასასვლელი კარი ამოგვიქოლეს და ადვოკატებთან ტარება დაგვიწყეს „შავების“ გავლით. როგორც მერე ეს გაირკვა, გათვლა იყო ასეთი, რომ ბუნტის დროს, რომელიც 25 მარტისთვის უკვე ვიცოდით, რომ უნდა მომხდარიყო, შემოგვივარდებოდნენ ეს ე.წ. შავები ჩვენ, ყოფილ პოლიციელებს და დაგვხოცავდნენ, რითაც ხელ-ფეხი გაეხსნებოდა სპეცრაზმს, რომ შემდგომში „შავები“ ჩაეხოცა.

> „ვახო იაშვილი იყო მანიაკალური თვისებებით აღჭურვილი, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ადვოკატი დაეჭირა“

**– 25 მარტს უკვე იცოდით, რომ ბუნტი მზადდებოდა?**

– 25-ში იყო ე.წ. ბუნტის რეპეტიცია.

**– ეს რას ნიშნავს?**

– თეფშებს ურტყამდნენ ერთმანეთს, იქ „ნისკებს“ ეძახიან.

**– ვინ აკეთებდა ამას?**

– პატიმრები...

**– გვეუბნებიან, რომ ბუნტი ახალაიას ადმინისტრაციამ მოაწყო. თქვენ კი ამბობთ, რომ პატიმრები 25-ში უკვე რეპეტიციას გადიოდნენ...**

– მოდით, ასე ვთქვათ, ეს ყველაფერი შეთანხმებული იყო ადმინისტრაციასთან. მისი ნებართვით პატიმრებმა დაიწყეს ე.წ. შუმოკი.

**– 25 მარტს?**

– დიახ. და ვიცოდით, რომ მზადება მიდიოდა ბუნტისთვის, რადგან ე.წ. კანონიერი ქურდები ქუთაისის ციხიდან გადმოჰყავდათ მე-7 საპყრობილეში და მათ სცემდნენ.

**– ბუნტის დროს როგორ გადარჩით?**

– ბუნტის მერე, მეორე დღეს ჩვენთან შემოიხედეს ნიღბიანებმა და გვითხრეს, თქვენ ნუ შეგეშინდებათ, აქ შეიძლება პატარა ხმაური გაიგონოთ, თქვენ ყოფილი თანამშრომლები ხართ, ბევრი თქვენგანი ჩვენი მეგობარია და თქვენ არაფერი გემუქრებათო.

**– ამ დროს ბუნტი უკვე მომხდარი იყო?**

– დიახ და მეორე დღეს დაიწყო 36-საათიანი ცემა განურჩევლად ყველასი, ვინც არ იყო ყოფილი თანამშრომელი. სცემდნენ იქამდე, სანამ სისხლს არ აღებინებდნენ. ჩვენი კამერების წინ ხდებოდა ეს ყველაფერი. 20-20 კაცი გამოჰყავდათ, სცემდნენ ხელკეტებით.

**– ყველამ გავიგეთ, რომ 26 მარტს ნასვამმა ახალაიამ „რეზბალნიცაზე“ სცემა ქურდები და ამას მოჰყვა ბუნტი ციხეებში... თქვენ კი რას ამბობთ? – წინა დღეს ციხემ იცოდა, რომ მეორე დღეს ახალაია ამას გააკეთებდა?**

– საქმის კურსში წინასწარ იყვნენ ე.წ. მაყურებლები, ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირები, რომ უნდა მომხდარიყო რეჟიმის ძირეული შეცვლა.

**– ანუ, ახალაიას ადმინისტრაცია შეთანხმებული იყო „მაყურებლებთან“, რომ ეს ყველაფერი მომხდარიყო?**

– დიახ. ასევე, შეთანხმებული იყო, რომ მესამე კორპუსზე ყოფილი თანამშრომლებისთვის, რომლებიც იმჟამად პატიმრობაში იმყოფებოდნენ (აბსოლუტურად დაუცველი დაახლოებით 120 კაცი), დანარჩენ პატიმრებს გადაევლოთ, რომ შემდგომში სპეცრაზმის შემოსვლა გამართლებული ყოფილიყო. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო ჩვენი სიცოცხლის ხარჯზე.

**– რამ გადაგარჩინათ?**

– ერთმა შემთხვევითობამ: ბუნტის დროს, როდესაც ჩვენს კამერაში სხვა პატიმრები შემოვარდნენ და ერთ-ერთ პიროვნებას უთხრეს, თქვენ ხალხს იჭერდით და ახლა გიჩვენებთ სეირსო, მე და კიდევ ერთმა პატიმარმა ჩვენი კამერიდან, რომელიც 15-წლიან სასჯელს იხდიდა, მოვითხოვეთ „მაყურებელთან“ შეხვედრა. კორპუსის „მაყურებელი“ გვერდით კამერაში იყო. მას ვუთხარით, ხომ იცით, რომ ქურდულად, სულ პიროვნული წყენა რომ იყოს, ბუნტის დროს პასუხს ვერავინ ვერავის ვერ მოსთხოვს, რადგან ბუნტი პატიმრების საერთო სიკეთედ აღიქმებოდა. მაშინვე ამ „მაყურებელმა“ ხმამაღლა დაიყვირა, ვინც კი ყოფილ თანამშრომლებს თითს დააკარებს, იმას „დავშტირავო“. ამ ფაქტმა გადაგვარჩინა. ეს რომ არ მომხდარიყო, ჩვენი თანაკამერელი მოვარდნილ პატიმარს შეურაცხყოფაზე ხელს დაარტყამ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური ვერსია



## რა დეტალებს შიფრავს ათლარიან ქრთამზე დაკავებული ყოფილი პატრული?

და. „მაყურებლის“ გვერდში მდგომისთვის ხელის დარტყმა კი ნიშნავდა იმას, რომ 4000 გამძვინვარებული პატიმარი შემოგვივარდებოდა და 120 კაცისგან ვინმეს თუ ამოგვიცნობდა შემდეგ ოჯახის წევრი, რთული სათქმელია. ასეთმა შემთხვევითობამ გადაგვარჩინა. მართალია, ბუნტის ჩახშობას ცემა-ტყება და რამდენიმე პატიმრის გარდაცვალებაც მოჰყვა, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის მასშტაბები, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმ პირვანდელ სცენარს, სადაც ჩვენი დახოცვა იყო გათვალისწინებული.

**– ე.ი. სპეცრაზმი თქვენ არ შეგეხოთ...**

– პირიქით, ძალიან გულისხმიერად მოგვექცნენ. დანარჩენი კი საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია.

**– სასჯელი სრულად მოიხადეთ?**

– დიახ. 2007 წელს გავთავისუფლდი და დავიწყე მუშაობა სამოქალაქო საქმეებზე ადვოკატად. ასევე, მიმიწვიეს ერთ-ერთ კერძო უნივერსიტეტში ლექტორად. ვკითხულობდი ლექციებს, ჩავაბარე დოქტორანტურაში, გავხდი ასოცირებული პროფესორი, ვმონაწილეობდი მრავალ სამეცნიერო კონფერენციაში. ერთი სიტყვით, ვიყავი ნორმალურად, ვირჩენდი თავს, ვარჩენდი ოჯახს... ვიყავი ერთ-ერთი წარმატებული ადვოკატი. ასე გრძელდებოდა 2011 წლის ივლისის ბოლომდე. სწორედ მაშინ ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე ვმუშაობდი. აქვე მინდა გითხრათ, რომ 2009 წელს ქალაქის პროკურორის მოადგილე ვახტანგ იაშვილი იყო. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ადვოკატების მიზანმიმართული დევნა. მართალია, არც ისეთი მიამიტი ვარ, დავიჯერო, რომ ეს იაშვილის ინიციატივა იყო. ეს პოლიტიკა ადეიშვილისგან მოდიოდა, რა თქმა უნდა. მაქსიმალურად ცდილობდნენ ადვოკატების დაჭერას. ადვოკატთა ინსტიტუტი, პრაქტიკულად, ერთადერთი რგოლი იყო, რომელიც ხელს უშლიდა სააკაშვილის ხელისუფლებას ძალადობის განხორციელებაში. კომუნისტების რეჟიმის დროს მთელი 70 წლის განმავლობაში მხოლოდ 23 ადვოკატი იყო პასუხისგებაში მიცემული თავისი საქმიანობიდან გამომდინარე. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი 2009-2012 წლებში პასუხისგებაში მისცა 141 ადვოკატი. გესმით, ალბათ, რამხელა დარტყმა განიცადა ადვოკატთა კორპუსმა. მოგვიანებით მომივიდა ინფორმაციები, რომ ზოგიერთ საქმეში, სადაც არ დავუთმე პროკურატურას, ამან მათი გაღიზიანება გამოიწვია. მოსამართლეები მაშინ ძალიან დათრგუნულები იყვნენ. გულს მხოლოდ საქმის განხილვის დროს თუ მოიოხებდნენ, როცა გააშაყირებდნენ პროკურორს სამართლებრივი უცოდინრობის გამო, მაგრამ მაინც პროკურატურის სასარგებლოდ აყენებდნენ განაჩენებს. ეტყობა, მე მათ რაღაც საქმეში ხელი მაინც შევუშალე, თან ადვოკატი ვიყავი. გადაწყვიტეს ჩემი დაჭერა. მომიწყვეს ასეთი რამ: ზოგადად, საზოგადოებაში არ მაქვს უპატიოსნო კაცის სახელი, მაგრამ ზოგიერთი, ალბათ, დღესაც ფიქრობს, რომ დავით ხარატი უკვე ორჯერ არის ნასამართლევი, ქრთამზე და თაღლითობის მცდელობაზე. სწორედ ამ უკანასკნელ ბრალდებაზე მინდა ახლა გიამბოთ: თავშივე გეტყვით, რომ თაღლითობის მცდელობა არის სრული აბსურდი. თაღლითობაზე უზენაესმა სასამართლომ ასეთი განმარტება გააკეთა, როცა ადვოკატ ქართლოს ვაშაკიძის საქმეს იხილავდა, რომელიც ასევე დაკავებული იყო: თაღლითობა არის შედეგიანი დანაშაული და თუ მას სხვისი ნივთის მოტყუებით მითვისება არ ახლავს, დანაშაულად არ ითვლება. თუმცა, რაკი ქართლოს ვაშაკიძე უკვე დაკავებული იყო, მაგრამ თაღლითობა არ იკვეთებოდა, რადგან მას ფული ვერ უპოვეს, თაღლითობის მცდელობა დაუშვეს. ამის მერე ამ კვალიფიკაციას იყენებდნენ პრაქტიკაში, თუმცა თაღლითობას შეიძლება მომზადების სტადია ჰქონდეს, მაგრამ არამც და არამც მცდელობა. ამაზე ყველა ვთანხმდებით. თაღლითობა ან არის, ან არ არის. მცდელობა არ არსებობს. მოკლედ, მოხდა ასეთი რამ: მე ვიცავდი ბინის მესაკუთრის ინტერესებს, რომელმაც 2008 წელს იყიდა მიქაბერიძეების იპოთეკით დატვირთული ბინა. მიქაბერიძეების შვილიშვილი, თამარ მაჩაბელი დაობდა და არ უნდოდა გამოსახლება. მათ 100 ათას დოლარში ჰქონდათ იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლი. მე ვიყავი იმის წარმომადგენელი, ვინც აუქციონით იყიდა მათი ბინა. 2011 წლის გაზაფხულამდე ეს დავები სასამართლოში მიდიოდა და უზენაესმა სასამართლომ საბოლოოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მიქაბერიძეები უკანონოდ ფლობდნენ აღნიშნულს და უნდა გამოსახლებულიყვნენ. მაჩაბლის ადვოკატი აღმოჩნდა ჩემი კარგი ნაცნობი. ეს იყო აფხაზეთიდან დევნილი გოგო, ქვრივი, მცირეწლოვანი შვილით, გვანცა ცატავა. მახსოვს, ფოთში ვიყავი საქმეზე, ჰოლანდიურ მხარეს წარმოვადგენდი რკინიგზის წინააღმდეგ, როცა გვანცამ დამირეკა, შენთან აუცილებლად მინდა შეხვედრა, აუცილებელი საქმე მაქვსო. ჩამოვედი და რა თქმა უნდა, შემხვდა თამარ მაჩაბელთან ერთად. მითხრა, რომ იყო მისი უახლოესი დაქალი და თხოვნა ჰქონდა, რომ იქნებ ცოტა ხნით გადაედოთ გამოსახლება, რადგან ისრაელში აპირებდა წასვლას და დაიწყებდა იქიდან ფულის გამოგზავნას სახლის გამოსახსნელად. მაჩაბელი მეუბნებოდა, ჩემს ძმას შვილი ჰყავს ახალი შეძენილი და ორი კვირის ბავშვით ნუ გამოგვასახლებენო. ახლა, როგორც ქირას, ისე მოგცემთ 1000 დოლარსო, რომ წახვიდე აღმასრულებელთან, განცხადება დაწერო, რომ აღსრულება 2-3 თვით შეჩერდესო.

**– თქვენი კლიენტი ერთ-ერთი იპოთეკარი იყო?**

– დიახ. მე დავთანხმდი, რადგან ეს ბინა მაინც უნდა გაყიდულიყო. მესაკუთრეს, ანუ ჩემს კლიენტს უნდა გაეყიდა, რომ იპოთეკარები გაესტუმრებინა. მათ კი ზუსტად 5-5 და 10-10 ათასი დოლარი უწევდათ. მათი ნელ-ნელა გასტუმრება ჩემი მარწმუნებლის ინტერესშიც შედიოდა და სხვა იპოთეკარებისაც. თანაც, ის ბინა 2008 წელში, ომამდე რომ 100 ათას დოლარში ჩაიდო, ომის მერე ბინები გაიაფდა და ასეთი თანხა გაყიდვის შემდეგ შეიძლებოდა ვერც მიეღო ჩემს მარწმუნებელს. ერთი სიტყვით დავთანხმდი ამ წინადადებას, ჩვეულებრივ ამბად აღვიქვი. აღმოჩნდა, რომ ეს მაჩაბელი ამ შეხვედრაზე უკვე ჩამწერით იყო მოსული. თურმე ეს თამარ მაჩაბელი ქალაქის პროკურატურასთან თანამშრომლობდა, კერძოდ კი, ვახტანგ იაშვილთან. გათვლა იყო ასეთი, რომ ის შემხვდებოდა 1-ელ აგვისტოს, გადმომცემდა 1000 დოლარს. მე, როგორც ადვოკატი, მომსახურებისთვის ამ ფულს ავიღებდი, წავიდოდი აღმასრულებელთან განცხადების დასაწერად, ესენი მე მანქანაში, მივიყვანე აღმასრულებლის ოფისში, დავწერე განცხადება აღსრულების შეჩერებაზე, რომლის უფლებაც მარწმუნებლისგან მქონდა. შემდეგ ვუთხარი, რომ ყველაფერი დასრულებული იყო და წარმატებებიც ვუსურვე. მანქანაში რომ ჩავსვი, მაჩაბელმა თანხა მიაწოდა გვანცას, გვანცამ დამიდო სიჩქარეების კოლოფთან. მიცკევიჩის ქუჩაზე მთხოვა, გამეჩერებინა მანქანა, ყავა უნდა დავლიოო. მანქანიდან რომ გადმოვედით, სამმა მანქანამ დაგვარტყა ალყა, გადმოცვივდნენ სპეცრაზმელები. თავად ვახტანგ იაშვილი, ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე, საგამოძიებო ნაწილის უფროსი, გახლდათ სპეცრაზმის ფორმაში ჩაცმული და უშუალოდ მან დამაკავა. გვანცაც დააკავეს. პროკურატურაში რომ მიმიყვანეს, ვიკითხე, რატომ მიჭერთ-მეთქი. მითხრეს, თაღლითურად რომ გამოართვი ფული, იმათ ბინა დაკარგეს და კიდევ ეს უნდოდათო? მე ვუთხარი, რომ, გზაში დამაკავებდნენ და მეტყოდნენ, რომ მოქალაქეს გამოვართვი თანხა თაღლითურად, მაშინ, როცა გამოსახლების პროცესი შეჩერებული არ მქონდა. მათი გამოსახლება 2 აგვისტოს იყო დანიშნული, მათ მაინც გამოასახლებდნენ და მე კი ჩამეთვლებოდა, რომ თაღლითურად ვითვისებდი ამ თანხას. ეს იყო ის ჩანაფიქრი, რომელსაც ველარაფერს ველარ ვუზამდი.

> **„კომუნისტების რეჟიმის დროს მთელი 70 წლის განმავლობაში მხოლოდ 23 ადვოკატი იყო პასუხისგებაში მიცემული თავისი საქმიანობიდან გამომდინარე. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი 2009-2012 წლებში პასუხისგებაში მისცა 141 ადვოკატი“**

**– ის ათასი დოლარი ვისთვის იყო გამიზნული...**

– ეს ჩემი მომსახურების თანხა უნდა ყოფილიყო. ერთი სიტყვით 1-ელ აგვისტოს მართლა შევხვდი გვანცა ცატავას და თამარ მაჩაბელს, რომელიც ისევ ფარული კამერით ყოფილა აღჭურვილი. სანამ თანხას გამოვართმევდი, ჩავისვი რაც შევპირდი, ის გავაკეთე-მეთქი. რა, გამოსახლება გადადეო? კი-მეთქი. ეს უკვე აღარ ესიამოვნა იაშვილს და გავარდნენ აღმასრულებელთან. 2-3 საათის შემდეგ პროკურორი მეუბნება, მართალია, არ მოგიტყუებია, მაგრამ რაღაცას მოვიფიქრებთო. ჩემდა ბედად აღმასრულებელმა ეს საქმე მეორე დღისთვის არ გადადო, თორემ მტკიცებულება საერთოდ გაქრებოდა საქმიდან. უკვე ატვირთულ განცხადებას ველარაფერი უქნეს. ამიტომაც ბრალად უკვე თაღლითობის მცდელობა წამიყენეს. არსებობს მარტივი კითხვა: თუ მე დანაშაული ჩავიდინე, ფული ჯიბეში მიპოვე, სადღაა მცდელობა? თუ მცდელობასთან გვაქვს საქმე, მაშინ ფული ჩემთან არ უნდა ყოფილიყო, ანუ მოქმედება დასრულებული არ უნდა ყოფილიყო. ეს მუხლი იმპერატიულად გვეუბნება, რომ თაღლითობა არის სხვისი ნივთის მითვისება მოტყუების გზით. ტყუილს, ფაქტია, რომ ადგილი არ გქონია. რაც დავპირდი იმ ხალხს, ის გავაკეთე. გვანცაზე ვეხვეწე, იქნებ ისიც ათანამშრომლოთ თქვენს მხარეს, მანაც დამადოს ხელი, რომ თავის შვილს დაუბრუნდეს-მეთქი. უარი თქვეს, რადგან, გვანცაც ადვოკატი იყო და ადვოკატთა კორპუსის წინააღმდეგ ბრძოლა მიდიოდა. პირდაპირ მითხრა იაშვილმა, გვანცასაც აუცილებლად დავიჭერო. ერთი სიტყვით, სასამართლოში ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან, დიდი ალბათობით, მივიღებდით მაქსიმალურ სასჯელებს – 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთას და ჩავრჩებოდით ციხეში. იმ დროისთის არც ბიძინა ივანიშვილი იყო პოლიტიკაში გამოჩენილი და არც არაფრის იმედი არ ჰქონდა სამოქალაქო საზოგადოებას, რომ ეს ტოტალური რეჟიმი დასრულდებოდა. ეს საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით, იმ ბრალის აღიარებით, რომელიც დანაშაული არ არის. იმედია, ხარვეზების შემსწავლელი კომისია მალე შეიქმნება და ჩემს საქმეში სიმართლის პოვნა ძალიან ადვილია, რადგან ვამბობ, რომ, რაც განაჩენში წერია, ეს სიმართლეა, მაგრამ ეს სიმართლე არ არის დანაშაული. ეს დოკუმენტით მტკიცდება და არა ჩემი სიტყვით, ან მოწმის ჩვენებით. გვანცამ მიიღო ერთწლიანი თავისუფლების აღკვეთა და 20-ათასიანი ჯარიმა. მე მივიღე 2-წლიანი აღკვეთა და 10 ათასი ჯარიმა. გვანცა სრულად იჯდა ის ერთი წელი. პირადად მე პროკურორ გიორგი მიქაიასა და გამომძიებელ გიორგი ბახტაძეზე ცუდი არ მეთქმის. მიქაია ახლა ძველი თბილისის რაიონის პროკურორია, ბახტაძე კი იმ პროკურატურაში მუშაობს. ისინი ყოველთვის თანაგვიგრძნობდნენ პროცესის მსვლელობისას და ადამიანურად გვერდში გვედგნენ, მაგრამ ვახო იაშვილი იყო მანიაკალური თვისებებით აღჭურვილი, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ადვოკატი დაეჭირა.

> **„არსებობს მარტივი კითხვა: თუ მე დანაშაული ჩავიდინე, ფული ჯიბეში მიპოვე, სადღაა მცდელობა? თუ მცდელობასთან გვაქვს საქმე, მაშინ ფული ჩემთან არ უნდა ყოფილიყო, ანუ მოქმედება დასრულებული არ უნდა ყოფილიყო“**



**– ადვოკატების ტერორი მას ჰქონდა დავალებული?**

– კი, ეტყობა, ამ კუთხით ის იყო საუკეთესო შემსრულებელი. არაერთი ადვოკატი ჰყავს მას დაკავებული. იგივე, პოლიტპატიმარი ზურაბ ნეფარიძე, ქართლოს ვაშაკიძე, ლელა აბაშმაძე და ა.შ. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ იაშვილი ცდილობდა სისტემაში დარჩენას. ის ერთ-ერთ გაზეთში მიცემულ ინტერვიუში მალხაზ არქანიას წამების გახმაურებულ ფაქტზე „გაკვირვებული“ კითხულობდა, ეს რა ხდებოდა, ხალხს როგორ აწამებდნენო! ამ ინტერვიუში კი ჟურნალისტი წერდა, რომ ვახტანგ იაშვილი არის სახელოვანი ექიმის, ვახტანგ ბოჭორიშვილის შვილიშვილი, ზოგადად, კარგი პიროვნება და იქნებ დავტოვოთ პროკურატურის სისტემაშიო. ვახო ბოჭორიშვილი მართლა პატივსაცემი პიროვნება იყო, ბებიაჩემიც მეცნიერებათა დოქტორი გახლდათ და იყო მისი მეგობარი. ამ პიროვნებას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს ოჯახთან, ეს მე ბავშვობიდან მახსოვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ ახსოვს ვახო იაშვილს. ასეთი მანიაკალური მიდგომა მოდიოდა ზურაბ ადეიშვილისგან და სააკაშვილისგან, რომლებსაც ჰყავდათ შემსრულებლები, და მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო ვახო იაშვილი. და საერთოდ, ადვოკატთა კორპუსზე მიზანმიმართული ბრძოლა ასოციაციაში თავმჯდომარის არჩევნების შემდეგ დაიწყო, როცა იქ ნაციონალებმა საკუთარი კანდიდატურა ვერ გაიყვანეს... ადვოკატთა კორპუსის სრული დამორჩილება გამოიწვევდა ნაციონალური ძალადობრივი პოლიტიკის განხორციელების აპოგეას. ხელშეუხებლები იქნებოდნენ აბსოლუტურად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# დავით ბაქრაძე „ნაციონალური მოძრაობის“ „მაშველი რგოლი“

ქეთი ხატიაშვილი

**თანხმობა, ერთიანობა, განვითარება და განახლება – ეს „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო დევიზად შეიძლება ჩაითვალოს. საარჩევნო რინგზე „ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით ბაქრაძე ადის... ვინ იქნება გიორგი მარგველაშვილის მთავარი კონკურენტი, უკვე ცნობილია. დავით ბაქრაძე – პარლამენტის მეოთხე თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მერვე მინისტრი საპრეზიდენტო კანდიდატი პირველად ხდება.**

ეს არ იქნება ჩვეულებრივი არჩევნები. საქართველოში არც არასოდეს ყოფილა საარჩევნო რინგი ჩვეულებრივი, თუმცა ეს მაინც განსხვავებულია. განსხვავებულია თავისი პოლიტიკური შინაარსითა და დატვირთვით. განსხვავებულია იმიტომ, რომ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადასთან ერთად დასრულდება კოაბიტაციის პროცესიც. როგორც რამდენჯერმე იგივე ბიძინა ივანიშვილის შეფასებებში გაჟღერდა, ეს რთული და მძიმე პროცესი იყო.

საინტერესოა, არჩევნები თავისი შედეგით ამ პროცესს წერტილს დაუსვამს, თუ მას დავით ბაქრაძე გააგრძელებს... პრაიმერისმა გამარჯვებულად სწორედ ის გამოავლინა.

საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით, პრაიმერისის შედეგებში ეჭვი არც არავის ეპარებოდა – ბაქრაძე უპირობო ლიდერი იყო და ეს იგრძნობოდა კიდეც. ამ მხრივ, პირველ პრაიმერისს აზარტი და ინტერესიც აკლდა – თითქოს ყველამ იცოდა გამარჯვებულის ვინაობა.

გიორგი მარგველაშვილის რეალური კონკურენტი დავით ბაქრაძე იქნება. „ქართული ოცნების“ გამარჯვება კოაბიტაციის პროცესს დაასრულებს, დავით ბაქრაძის გამარჯვება ამ პროცესს გააგრძელებს. ექსსპიკერის განმარტებით, პრეზიდენტის ფუნქცია ხელისუფლების კონტროლი უნდა იყოს, ამიტომაც ეს პოზიცია ოპოზიციამ უნდა დაიკავოს:

– ეს არ არის მთავრობის შეცვლის არჩევნები. მთავრობა შეიცვალა პირველ ოქტომბერს, როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს არჩევნები, ქვეყანაში გვეყოლება იგივე პრემიერი, იგივე მთავრობა და იგივე საპარლამენტო უმრავლესობა. ერთადერთი, რასაც ეს არჩევნები განსაზღვრავს, არის ის, იქნება თუ არა ყველა თანამდებობა ერთი და იგივე პოლიტიკური ძალის... წინა ცხრა წლის მანძილზე დავინახეთ, რომ ყველა თანამდებობაზე იყო ერთი პოლიტიკური ძალა და ეს არ იყო სწორი, რადგან ამ დროს ხელისუფლება იწყებს შეცდომების დაშვებას... ეს არჩევნები განსაზღვრავს: იქნება თუ არა ყველა თანამდებობა ერთი ძალის ხელში, თუ იქნება ოპოზიცია, რომელიც გააკონტროლებს მთავრობას იმისთვის, რომ მან არ დაუშვას შეცდომები და შეასრულოს ის დაპირებები, რომლებიც ხალხს მისცა. პრეზიდენტის თანამდებობა, ერთი მხრივ, უნდა იყოს თანამდებობა, რომელიც იმუშავებს ხალხთან ერთად და მეორე მხრივ, გააკონტროლებს მთავრობას. ამ გადმოსახედიდან, ვფიქრობ, ოპოზიციის შანსი მაღალი უნდა იყოს... პრეზიდენტის თანამდებობა, ერთი მხრივ, უნდა იყოს თანამდებობა, რომელიც ხალხთან ერთად იმუშავებს და მეორე მხრივ, გააკონტროლებს მთავრობას.

## მაშველი რგოლი

საბოლოოდ, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ კრიტიკულ მომენტში, დავით ბაქრაძე პრაიმერისში მონაწილეობას დასთანხმდა. ძნელი სათქმელია, რამდენად სწამს მას საკუთარი გამარჯვება საპრეზიდენტო რინგზე, მაგრამ ამ სვლით მან დაადასტურა, რომ მას სწამს „ნაციონალური მოძრაობის“ სიცოცხლისუნარიანობისა, შეცდომების, გადაცდომების, თუ რიგ შემთხვევაში დანაშაულად მონათლული ქმედებების მიუხედავად. ახლა ბაქრაძეს მოუწევს, დაამტკიცოს, რომ ამ „პოლიტიკური საოცრების“ მხოლოდ თავად კი არ სწამს, არამედ სიცოცხლე მარცხის შემდეგ გრძელდება და ის მართლაც არსებობს.

და ეს შესაძლოა, არც არავის ბრალი არ არის. თითქოს გარემომ თავისთავად ჩამოაყალიბა ასეთი შეხედულება, რადგანაც საქართველოში არჩევნებში დამარცხებული ყველა სხვა პარტია, უბრალოდ, წყვეტდა არსებობას. ანუ, წაგება პოლიტიკური გარდაცვალების სინონიმად ჩამოყალიბდა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბაქრაძემ მაშველი რგოლის როლი ითამაშა. მან ერთხელ უკვე იხსნა ნაციონალების იმიჯი, როცა ნინო ბურჯანაძემ მოულოდნელად გამოაცხადა, რომ პარტიას ტოვებს...

შეიძლება ითქვას, სწორედ ნინო ბურჯანაძემ გაუხსნა დიდი პოლიტიკისკენ გზა დავით ბაქრაძეს. და საერთოდაც, ნინო ბურჯანაძეს, როგორც ქართველები იტყვიან ხოლმე, ბაქრაძე ბევრ რამეს უნდა უმადლოდეს. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სწორედ ბურჯანაძის ლობირებით მოხვდა ის ჟვანია-სააკაშვილის საარჩევნო სიაში.

ნინო ბურჯანაძემ „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა და მისი ადგილი დავით ბაქრაძემ დაიკავა. ის მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, თუმცა, პოსტის დატოვება მოუწია.

რატომ ის და არა ვინმე სხვა? დავით ბაქრაძის პლუსი ყოველთვის იყო ის, რასაც ბევრი მას მინუსად უთვლიდა – არ იყო არც ერთი პოლიტიკური დაჯგუფების წევრი პარტიაში. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მასზე ყურადღება შეჩერდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არავის გავლენის ქვეშ არ მოიაზრებოდა. შესაბამისად, მისი ლიდერობა არც ერთ, პირობითად რომ ვთქვათ, დაჯგუფებას არ დააწინაურებდა.




გარდა ამისა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი, თუ გადამწყვეტი არა, იყო თავად ბურჯანაძის ფაქტორიც. ის წავიდა, მაგრამ ბაქრაძის დიდ პოლიტიკაში შემოყვანით ნაციონალებმა იმის დემონსტრირება მოახდინეს, რომ ნინოს რეალური მხარდაჭერა პარტიაში არ ჰქონდა და რომ ისინიც კი, ვინც ადრე პირადად დაალობირა, მას თან არ გაჰყვნენ და პროტესტი არ გაუჩნდათ.

თუმცა, მთავარი აქ თავად ბაქრაძის მოტივია. რატომ დასთანხმდა ის სააკაშვილის შეთავაზებას და არა ბურჯანაძის? რა აირჩია? როგორი იყო ეს არჩევანი? რატომ გაწირა მან პოლიტიკური მეგობარი? საკუთარი პოლიტიკური რეპუტაციის გადასარჩენად? კარიერისთვის?

ნინო ბურჯანაძე, შეიძლება ითქვას, ბაქრაძის მეგობარი არც არასოდეს ყოფილა. ესეც რომ არა, პოლიტიკა ინტერესებს ცნობს და არა მეგობრებს. ეს ხომ ხელობაა და არა რომანტიკული ნოველა, სადაც მეგობრობა აგამაღლებს, და მხოლოდ. შესაძლოა, მან საკუთარ რეპუტაციაზე იფიქრა ან კარიერაზე ან ყველაფერზე ერთად. თუმცა, რაც არ უნდა ყოფილიყო მისი მოტივი, ამოსავალი მაინც, ვფიქრობ, პოლიტიკური პროცესი იყო და მან არჩევანი სწორედ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა.

ნაციონალებში ყველამ იცოდა, რომ ნინომ გააპროტესტა მხოლოდ ის, რომ საარჩევნო სიაში ქმრისა და შვილის მეგობრები არ ჩაუსვეს. იცოდნენ, რომ ეს იყო ჯერ კონფლიქტის, შემდეგ კი შურისძიების მიზეზიც. ბაქრაძე ბურჯანაძეს შურისძიებაში არ აჰყვა, ის პოლიტიკური გზით წავიდა. ეს იყო და ეს.

ნეიტრალიტეტიც მისთვის პოლიტიკური პროცესი იყო და არა შეუთავსებლობა ნაციონალების რომელიმე პოლიტდაჯგუფებასთან. მას კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ასე შეეძლო, შეენარჩუნებინა ლიდერის პოზიცია, ყოფილიყო გავლენიანი და ჰქონოდა სერიოზული ფუნქცია. რომელიმე გუნდში „გაწევრიანება“ კი მას სწორედ ამ მიზიდულობას დაუკარგავდა და ის ერთ-ერთი დაჯგუფების რიგითი წევრი გახდებოდა.

## როგორი იყო „ნაციონალური მოძრაობა

საინტერესოა, როდის მიხვდა დავით ბაქრაძე, რომ პარტიაში კრიზისია; რომ მმართველობაში ყველაფერი ისე არ მიდის და რომ არჩევნების წაგებაც დასაშვებია. არჩევნებამდე იგრძნო ეს თუ უკვე წაგების შემდეგ დაინახა შეცდომებიც და დანაშაულიც? როგორიც არ უნდა იყოს პასუხი, ფაქტია, რომ სხვებთან ერთად მან სწორი დასკვნა გააკეთა: „ნაციონალური მოძრაობა“ ველარ იქნება ისეთი, როგორიც ადრე იყო: „ნაციონალური მოძრაობა“ ისეთი, როგორიც ერთი, ორი ან მეტი წლის წინათ იყო, ველარასოდეს იქნება! „ნაციონალური მოძრაობა“ დამთავრდა! ამას ვამბობ, როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ეს განცხადება ვიღაცას მოეწონება, ვიღაცას არ მოეწონება, ჩვენი მხარდამჭერებისთვის, შესაძლოა, მეტისმეტად მკვეთრი განაცხადია, მაგრამ პარტიამ მოსახლეობას უნდა აჩვენოს, რომ საკუთარ შეცდომებზე ვისწავლეთ. ამიტომ პარტიის შიგნით ძალიან სერიოზული გარდაქმნები მიდის და ეს უმტკივნეულო პროცესი არ არის. ყველას უნდა ესმოდეს – თუ „ნაციონალური მოძრაობა“ ძირეულად არ შეიცვალა, ვერ აღვადგენთ ხიდს მოსახლეობის დიდ ნაწილთან!“

რთული სათქმელია, როდის დაინახა დავით ბაქრაძემ „ხიდჩატეხილობა“. ახლა გააანალიზა, რომ უოპოზიციოდ დარჩენილი ხელისუფლება სახიფათოა და შეცდომებს უშვებს? შესაძლოა, ადრეც იცოდა, ადრე ოპოზიცია არ იყო. ყოველ შემთხვევაში ისეთი არ იყო, როგორიც ახლა „ნაციონალური მოძრაობაა“. დავით ბაქრაძემ ერთხელ თქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ აპირებს, იყოს ისეთი ოპოზიცია, როგორ ოპოზიციასაც თავად ისურვებდნენ ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში.

რა თქმა უნდა, ოპოზიციურ ფლანგზე სააკაშვილის მმართველობის დროს სერიოზული კრიზისი იყო, თუმცა პრობლემები „ნაციონალურ მოძრაობას“ პარტიის შიგნითაც ჰქონდა. შიდადაპირისპირებას ორი მიზეზი ჰქონდა:



## პირველი

შესაძლოა, ზუსტად ვერავინ დაახასიათოს, როგორი იყო ვერტიკალი, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა პარტიაში ან სახელმწიფოში. ზოგადი წარმოდგენებით, მხოლოდ პრეზიდენტთან დაახლოებული 4 ან 5-კაციანი ჯგუფი იკრიბებოდა და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემოდან ქვემოთ ვრცელდებოდა. სხვათა შორის, ამ ჯგუფში არასოდეს ხვდებოდა დავით ბაქრაძე.

ამ ჯგუფში ძირითადად ის მთავარი ფიგურები შედიოდნენ, ვისთან ერთადაც მიხეილ სააკაშვილმა მთელი თავისი პოლიტიკური გზა გამოიარა, მათ შორის, „ვარდების რევოლუციაც“. საუბარია გიგა ბოკერიაზე, გიგი უგულავაზე, ვანო მერაბიშვილზე და რა თქმა უნდა, ზურაბ ადეიშვილზეც. სააკაშვილი მათ განსაკუთრებულად შეიძლება იმიტომაც ენდობოდა, რომ ამ გუნდთან ერთად მიაღწია ყველა წარმატებისთვის.

ეს ის გუნდი იყო, ვინც, როგორც ახლა მიხეილ სააკაშვილს უყვარს თქმა, ხერხემალში გადატეხა კორუფციაც, კრიმინალიც, „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტიც, ნარკომანიაც... სწორედ ამ გამოწვევებთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა ის 5-კაციანი ჯგუფიც, რომელმაც სააკაშვილთან ერთად გადაწყვეტილების მიღების უფლება მოიპოვა. ეს უკვე კარგად გამოცდილი და დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკური გუნდი იყო... თუმცა, როგორც ჩანს, მათ ვერ იგრძნეს, რომ მართვის მკაცრი სტილი უნდა შეეცვალათ მაშინ, როცა ამ გამოწვევებს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კანდიდატები 2013



ბოლომდე უპასუხეს და საქართველომ სტაბილურობისა და უსაფრთხოების პარამეტრებით წინა პოზიციებზე წაიწია. ისინი ისევ ძველებურად აგრესიულად აგრძელებდნენ მართვას... და ხალხი ამ მუდმივმა დაძაბულობამ დაღალა...

მათ თითქოს ვერ იგრძნეს, რომ ბრძოლა დასრულდა და თამაშის წესების შეცვლის დრო დადგა. თუმცა, ამასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს და ამ მიზეზს შესაძლოა, რუსეთი ერქვას. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

## მეორე

შევარდნაძე კომუნისტური ეპოქისა და სტილის ფიგურა იყო და პოლიტიკური კრიზისი დადგა მაშინ, როცა მამებმა და შვილებმა კი არა, უკვე ბაბუებმა და შვილიშვილებმა ვერ გაუგეს ერთმანეთს, ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ ენაზე საუბრობდნენ... ამიტომაც, მმართველობა ბაბუიდან პირდაპირ შვილიშვილზე – სააკაშვილზე, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გადავიდა. მამების მთელი თაობისთვის ამ ასპარეზზე თითქოს ადგილი აღარც დარჩა.

კრიზისი, რომელიც ახლა დადგა, მმართველობის სტილმა შექმნა, რომელიც უკვე იმ დასავლურ ღირებულებებსაც დაემუქრა, ნაციონალებს რომ ჰქონდათ დეკლარირებული.

ანუ კრიზისი, რომელიც ახლა დადგა, თაობათა შორის დაპირისპირება არ იყო. „ნაციონალურ მოძრაობაში“, როგორც ჩანს, კონფლიქტი მმართველობის სტილმა გამოიწვია... თითქოს ყველაფერი იცვლებოდა, ან უნდა შეცვლილიყო, თუმცა, მხოლოდ სააკაშვილის ქარიზმამ ვერ შეძლო დემოკრატიული ფორმის მიღება.

საქმე სააკაშვილშიც არ არის მხოლოდ. ეს ქარიზმატული ფიგურებისთვის დამახასიათებელი თვისებაა. ისინი თავს განსაკუთრებული უნარებით დაჯილდოებულ ადამიანებად მიიჩნევენ, ფიქრობენ, რომ არიან მესიები და მათ გარეშე სამყარო, უბრალოდ, სუნთქვას შეწყვეტს.

დავით ბაქრაძე, შეიძლება ითქვას, „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ნაწილს წარმოადგენს, ვინც პოლიტიკაში მესიანიზმის წინააღმდეგია. და ის სულაც არ იყო მარტო ამ ხედვაში. ასეთი ხედვა იმ ჯგუფშიც გაჩნდა, ვინც სააკაშვილის კარზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა. ბევრმა იგრძნო, რომ რეფორმების გატარების პროცესში პარტია უკვე ქვეყნის რეფორმირების ტემპსაც კი ჩამორჩა, ამიტომაც ის თანამედროვე გამოწვევებს ვეღარ პასუხობდა.

ბევრი ექსპერტი მოელოდა, რომ დავით ბაქრაძე „ნაციონალურ მოძრაობას“ დატოვებდა, რომ ის ახალ პარტიას შექმნიდა, ან სულაც ლიდერის როლს ით-



ამაშებდა, სხვადასხვა, პატარ-პატარა პარტიების გაერთიანების გზით. თუმცა, 90-იანი წლების ტიპის ლიდერი მისგან არ გამოვა, და არამხოლოდ იმიტომ, რომ მას იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ქარიზმა აკლია, იმიტომაც, რომ ის არ არის ის ლიდერი, ვინც ერთპიროვნულ მმართველობაში პოულობს კმაყოფილებას, ის გუნდური მოთამაშეა.

თუმცა, ტრადიციულად, როგორც ეს ქართულ სინამდვილეში ხდება ხოლმე, ექსპერტების ლოგიკა არც ბაქრაძის შემთხვევაში გამართლდა. შესაძლოა, იმიტომ, რომ ბაქრაძეს სულ სხვა ლოგიკა აქვს და ის ინტუიციას უფრო ეფუძნება, ვიდრე ილუზიას ან მიღებულ წესს.

ახლაც, მორიგი კრიზისის დროს – პირველი ასეთი კრიზისი მისთვის ბურჯანაძის წასვლა იყო – მან პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და არა ემოციური.

როგორც წესი, ქართველ პოლიტიკოსებს საკუთარი დროებითი რეიტინგი ან წარმატება საკუთარი შესაძლებლობების მიმართ ილუზორულ მოლოდინებს უქმნის. ისინი ფიქრობენ, რომ ოლიმპოს მთის მწვერვალზე გადაინაცვლეს და განსაკუთრებულ დაფასებასა და პატივისცემას მოითხოვენ ხოლმე.

ბაქრაძემ ყოველთვის იცოდა, რომ მას მაღალი რეიტინგი ჰქონდა, ახლა ისიც იცის, რომ მოწონების შკალაზე გიორგი მარგველაშვილსაც უსწრებს, კონკურენტს საპრეზიდენტო მარათონზე (NDI-ის კვლევებში ბაქრაძე გამოკითხულთა 48%-ს მოსწონს, მარგველაშვილი – 45%-ს) . თუმცა, დამოუკიდებელი თამაში მაინც არ გარისკა. ეს რისკზე მეტად პოლიტიკური კანონზომიერებიდან ამოვარდნა იქნებოდა, რადგანაც მან შესანიშნავად იცოდა წარსულის გამოცდილება. მაგალითად, იგივე სალომე ზურაბიშვილის, რომლის რეიტინგიც თითქმის რეკორდული იყო, მისი გადადგომა კი – იმდენად რეზონანსული, რომ ხალხში რეალური ცვლილებების მოლოდინიც კი გაჩნდა. სწორედ სალომე ზურაბიშვილმა შეძლო, სააკაშვილის ხელისუფლებისთვის პირველი დიდი აქცია მოეწყო, თუმცა ამ ისტორიას წარმატებული გაგრძელება არ ჰქონდა. ისევე, როგორც მაღალრეიტინგული ლევან გაჩეჩილაძის პოლიტიკურ ისტორიას, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის მთავარი კონკურენტი იყო, თუმცა, მოგვიანებით, საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარად მონაწილეობისას, სამგორის რაიონში რუსუდან კერვალიშვილთან წააგო...

ასე რომ, მთელი ეს რეიტინგები და დროებითი წარმატებები არაფერია, თუკი პოლიტიკური პროცესიდან ვარდები. „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვებაც პოლიტიკური პროცესიდან ამოვარდნა იქნებოდა. ბაქრაძე ვერ იპოვიდა გუნდს, რომელთან ერთადაც მუშაობას შეძლებდა და ის არ იყო ის ქარიზმატული ლიდერი, რომელიც ჭრელი ინტერესების მქონე და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფულზე დახარბებულ პოლიტიკურ სპექტრს გააერთიანებდა... მათთან ერთად ის სერიოზულ ბრძოლაში ვერ შევიდოდა.

## პარტიის რეფორმა

კრიზისს შესაძლოა, უფრო მძაფრი ფორმებიც მიეღო და დაპირისპირებას „ნაციონალური მოძრაობა“ შეეწირა, თუმცა, სააკაშვილს ეყო იმის გამბედაობაც და უნარიც, შეცდომები ეღიარებინა, გავლენები დაეთმო და გუნდური თამაშის წესები მიეღო. წინა ხაზზე ნაციონალების ახალმა თაობამ გადმოინაცვლა, მათ შორის, დავით ბაქრაძემაც... მისთვის ეს უკვე კომფორტულ ვითარებას ქმნიდა. მას, როგორც ჩანს, ორი არჩევანი ჰქონდა – პოლიტიკიდან საერთოდ წასვლა ან ნაციონალებთან ერთად რეფორმების გატარება.

როგორც ერთხელ თავად განმარტა, ეს იოლი არჩევანი არ იყო, მაგრამ ცვლილებებისთვის ყველა პირობა დადგა და დავით ბაქრაძე პრაიმერისშიც ჩაერთო. ჟურნალისტებს კი უთხრა:

– ეს არ არის მარტივი გადაწყვეტილება, მე არც მშვიდი ვარ და არც კმაყოფილი, მე ძალიან მაწუხებს ის პროცესები, რაც ქვეყანაში ხდება, მაგრამ მე საკუთარ თავში ვარ დარწმუნებული. ვგრძნობ, რომ მორალური ვალდებულებები მაქვს ამ ქვეყნის წინაშე. ჩემი მორალური ვალდებულება დღეს ის კი არაა, რომ გვერდზე გავიწიო, ეს ჩემთვის კომფორტული იქნება, ჩემი მორალური ვალდებულებაა იმ ადამიანების წინაშე, ვინც ძალადობის მსხვერპლი გახდა, შევხედო მათ თვალებში, ბოდიში მოვუხადო და ყველაფერი გავაკეთო, რომ მსგავსი აღარ განმეორდეს...

პარტიის რეფორმის მთავარი ცვლილება, ალბათ, დახურული კარის გახსნა და ხალხთან ერთად გადაწყვეტილების მიღება იქნება. პრაიმერისი პირველი ნაბიჯია და როგორც ბაქრაძემ განმარტა, ამიერიდან ხალხი თავად უკარნახებს პარტიას საკუთარ გადაწყვეტილებას და ცენტრალური ოფისიდან მითითებები აღარ წამოვა...

## შეცდომების აღიარება

მიღწევებთან ერთად, წარუმატებლობებზე საუბარიც აუცილებელია – ეს



არის ის მთავარი დასკვნა, რაც „ნაციონალურ მოძრაობაში“ გაკეთდა. ამ პოზიციას დავით ბაქრაძეც იზიარებს: „ჩვენ უნდა ვიამაყოთ იმით, რაც ამ 9 წლის განმავლობაში გავაკეთეთ, მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენი წარსულით ვიამაყოთ, თვალი უნდა გავუსწოროთ ყველა პრობლემას, რაც იყო“.

დავით ბაქრაძეს არ შეიძლება, არ ესმოდეს, რომ პარტიაში მისი დღევანდელი პოზიცია უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს, ვიდრე ადრე, თუნდაც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნისას ჰქონდა. ახლა ის თავად ხდება სტიმულის მიმცემი პოლიტიკური მოვლენებისთვის, ახლა ის ერთადერთი ოპოზიციური ფიგურაა, ვისაც ბიძინა ივანიშვილიც კი ანგარიშს უწევს და მასთან პოლიტიკურ კონსულტაციებს მართავს.

ნაციონალებმა შეცდომებზე საუბარი დაიწყეს. პრაიმერისზე დავით ბაქრაძემ რამდენიმე მთავარ შეცდომაზე შეაჩერა ყურადღება:

„ძალიან ხშირად ის ეკონომიკური ზრდა, რაზეც ვსაუბრობდით, ვერ მიდიოდა უბრალო ადამიანების ოჯახებში. ადამიანებს, როდესაც ტელევიზორს რთავდნენ და უყურებდნენ სადღაც აშენებულ ლამაზ შენობას, სადღაც გახსნილ ახალ, ლამაზ უბანს, ისეთი განცდა ჰქონდათ, რომ ეს ყველაფერი მათ ქვეყანაში არ ხდებოდა. ეს იყო ერთ-ერთი ჩვენი პრობლემა და ეს იქნება ერთ-ერთი ჩვენი პრიორიტეტი სამომავლოდ, რომ ეკონომიკური ზრდა თითოეულ ოჯახამდე მივიტანოთ“.

„თუ მკაცრი ადმინისტრირება სრულიად აუცილებელი იყო პირველ ეტაპზე, მე ვფიქრობ, რომ შემდგომ წლებში მკაცრი ადმინისტრირება იყო პრობლემური. პრობლემური იყო ის, რომ ზედმეტად მკაცრად ხდებოდა საგადასახადო სამსახურების მხრიდან ბიზნესების შემოწმება. პრობლემური იყო ის, რომ ზედმეტად მაღალი იყო ჯარიმები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში. მე, როგორც პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე, ვიღებ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ასეთი მაღალი ჯარიმები უნდა შემცირებულიყო. პრობლემური იყო ის, რომ ხშირად სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იყო ჩარევა ბიზნესში და არ მოხდა ბიზნესის სრული დეკრიმინალიზაცია. პრობლემური იყო ის, რომ მიუხედავად ბევრი საკანონმდებლო გარანტიისა, არ არსებობდა კერძო საკუთრების დაცულობის უფლება. ამ თვალსაზრისით დღესაც არის პრობლემა და იყო წინა წლებშიც“.

დავით ბაქრაძე დარწმუნებულია, რომ პროცესი, რომელიც პარტიაში დაიწყო, საბოლოო ჯამში, შედეგს გამოიღებს. მისი განმარტებით: „ნაციონალური მოძრაობა“ საბოლოოდ ჩამოყალიბდება სრულიად განსხვავებულ პარტიად, ახალი ენერგიითა და ახლებური ხედვით, რომელმაც წარსულის ყველა გაკვეთილიდან შესაბამისი დასკვნები გამოიტანა.

შეცდომები აღიარებულია, როგორი იქნება საპრეზიდენტო მარათონის დასასრული? გიორგი მარგველაშვილს აირჩევენ თუ დავით ბაქრაძეს? დაინიშნება თუ არა მეორე ტური? სერიოზული ექსპერტები ერთმნიშვნელოვან პროგნოზს მაინც ვერ აკეთებენ. ქართული პოლიტიკა ცვალებადია და ხშირად არჩევნებზე მოულოდნელი შედეგიც დგება ხოლმე.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის კვლევებით მოსახლეობის უმეტესობა დადებითად შსს საქმიანობას აფასებს

**სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, მოსახლეობის უმეტესობა, დადებითად შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას აფასებს. კვლევის ცენტრის წარმომადგენლის ლევან გოგიჩაიშვილისა და თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით, ორგანიზაციამ კვლევები თბილისის მასშტაბით, რამდენიმე უბანში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, პირდაპირი ინტერვიუებისა და ინტერნეტ გამოკითხვის პრინციპით აწარმოა. გამოკითხვაში მონაწილეობა 2-დან 26 ივლისის ჩათვლით 3 982-მა საქართველოს სრულწლოვანმა მოქალაქემ მიიღო.**




**კითხვაზე, რომელი სამინისტროს საქმიანობას აფასებთ ყველაზე დადებითად, 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:**

**1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - 880;**
**2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - 800;**
**3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - 540;**
**4. საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 460;**
**5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - 210;**
**6. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო - 210;**
**7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 200;**
**8. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 190;**
**9. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო - 150;**
**10. საქართველოს კულტურისა და ძეგთა დაცვის სამინისტრო - 110;**
**11. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - 70;**
**12. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - 60;**
**13. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო - 50;**
**14. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - 30;**
**15. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - 20;**
**16. საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტრო - 0.**

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ არჩევნების შემდეგ წარმატებით განხორციელებულ რეფორმებს, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის მიერ დასმულ შეკითხვაზე, რომელ რეფორმას მიიჩნევთ ყველაზე წარმატებულად 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე, გამოკითხულთა 980-მა ადამიანმა მხარი საჯარო სკოლებში უფასო სახელმძღვანელოების რეფორმას დაუჭირა, 880 ხმა ერგო სოფლის მხარდაჭერის პროგრამას, 660 ხმა – უფასო მშობიარობას, 450 ხმა – კომუნალური გადასახადების შემცირებას, ასევე, 450 ხმა მიიღო საყოველთაო ამნისტიამ, 400 ხმა მიიღო გაზრდილი სოციალური დახმარების პროგრამამ, 240 ხმა ერგო სასამართლო რეფორმას, 200 ხმა – გაზრდილ პენსიებს და 8 ხმა მიიღო სამხედრო მოსამსახურეების გაზრდილი ხელფასების რეფორმამ, ხოლო 60-მა ადამიანმა სხვადასხვა რეფორმა მიიჩნია წარმატებულად.

**ლევან გოგიჩაიშვილი, სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელი:** „კვლევა მოიცავს 2-26 ივლისის ჩათვლით პერიოდს და მასში 3 980-მა სრულწლოვანმა, არჩევნებში ხმის უფლების მქონე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ვფიქრობ, რომ შედეგი რეალობასთან ყველაზე ახლოა, რადგან კვლევაში წამყვან პოზიციებზე მყოფი სამინისტროები მეტად აქტიურობენ საზოგადოების ინფორმირებულობის კუთხით. აქედან გამომდინარე, ამომრჩეველს აქვს განცდა, რომ ისინი მუშაობენ. ის, რომ დევნილთა სამინისტრომ, ამ გამოკითხვებით მიიღო „0“ ხმა, იმაზე მიანიშნებს, რომ სამინისტრო მისი საქმიანობის ინფორმირებას არ ახდენს. შსს მაღალი მაჩვენებელი კი, ალბათ, ადეკვატურია, რადგან ამ სამინისტრომ ბევრ საკითხზე გააკეთა რეაქცია, იგივე ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, ის ახდენს რეაგირებას, ელაპარაკება საზოგადოებას და ხდება გამჭვირვალე. ჩვენ გვახსოვს წლები, როდესაც სამინისტრო დახურული იყო. ამიტომაც მეტი გამჭვირვალობა იწვევს საზოგადოების მეტად დადებით რექციას მათი მისამართით“.



**ზაქარია ქუცნაშვილი, უმრავლესობის წევრი:** „საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტურობის კრიტერიუმებით, ვფიქრობ, სწორად არის ნაჩვენები გამოკითხვის შედეგები. რადგან ამით ზემოხსნებეული სამინისტროები აშკარად გამოირჩევიან. როგორც შსს, ასევე, იუსტიციის სამინისტრო, ძალიან აქტიურად მუშაობს საზოგადოებასთან. რაც შეეხება ხელისუფლების მიერ არჩევნების შემდეგ განხორციელებულ პროგრამებს, გამოკითხვა კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ დაბალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ყველა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შეჭირვებულებს ეხება და თავისი არსით მზრუნველობითია, არის პოპულარული. რადგან უფასო სახელმძღვანელოები, სოფლის დახმარების პროგრამა, უფასო მშობიარობა, ვფიქრობ, რომ სწორად არის პოპულარული, სახელმწიფო უნდა შეეხიდოს გაჭირვებულ ხალხს და ფული, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის ფული ჰქვია, არ არის მარტო ჩინოვნიკების შესანახი. ამიტომაც ადეკვატურად და შესაბამისად მიმაჩნია შეფასება ამ პოპულარულ პროგრამენთან მიმართებაში“.

**ირაკლი სესიაშვილი, დეპუტატი:** „საზოგადოება თავადაც უნდა იყოს დაინტერესებული, რომ იყოს ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ამიტომ ვფიქრობ, რომ საჭიროა ყველა კვლევა იყოს მიუკერძოებელი. არჩევნების შემდეგ ხელისუფლებას ყველაფერი ერთად დაატყდა თავს, ეს იყო სამართლიანობის აღდგენა, დაპირებები, რომელიც ჩვენ მივეცით ხალხს, რეფორმები და ა.შ. ამიტომაც მე ვთვლი, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამ რვა თვეში გააკეთა ორი წლის საქმე. თუ კი თქვენ მიღწეულ შედეგებს თვალს გადაავლებთ, ნახავთ, რომ ის საკმაოდ დიდია. რასაც მე პირადად ასე მცირე მონაკვეთში არ ველოდებოდი. ახალ ხელისუფლებას დიდად არ სცალია პიარისთვის, თუ დააკვირდებით რა ხდება ჯანდაცვაში, განათლებაში, გეტყვით, რომ ასეთი რამ არც კი მოფიქრებია ვინმეს. შედეგები იმაზე მეტია, ვიდრე ველოდით, მაგრამ ინფორმაცია მოსახლეობასთან არ არის მისული სრულყოფილად და მე ვიმედოვნებ, რომ ეს ყველაფერი მომავალში უფრო კარგად წარმოჩინდება.



**პავლე მგელაძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:** „მცირემიწიან ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამა ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა. შესაბამისად, ეს კვლევა ნამდვილად დასაფასებელია, რადგან ჩვენ მოვახერხეთ ძალიან ბევრი ადამიანის დახმარება. ამ ყველაფრის შედეგი ერთი წლის შემდეგ იქნება. ამიტომაც გვინდა, მადლობა ვუთხრათ იმ ადამიანს, ვინც დააფასა ეს ყველაფერი და ამ კვლევაში მიიღო მონაწილეობა“.

**ნინო გიორგობიანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი:** „სასიამოვნო მოსასმენია, რომ იმ რეფორმების შესახებ, რომელიც პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩატარდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში საზოგადოება სწორად არის ინფორმირებული. ჩვენ, მომავალშიც, აუცილებლად გავაგრძელებთ ეფექტურ სამიანობას“.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის დაემუქრ


**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ბიძინა ივანიშვილი, როგორც ჩანს, თანდათან ხვდება მმართველობის მთელ სიმძიმეს. როცა შენ ერთს ამბობ, სხვა მეორეს აკეთებს და შედეგი შეიძლება მესამე ან მეასე დადგეს... ანუ, როგორც გამოვა.**

**რეგიონებში ხშირად ისმის კონფლიქტებისა და სკანდალების ხმა. ხან გამგებელი ვერ ეგუება საკრებულოს, ხან დეპუტატი... ნაციონალებს კი არა, საუბარია კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“. გამგებელი, საკრებულო და დეპუტატი გავლენებისთვის ხშირად იბრძვიან და ეს კონფლიქტები ნაღმებივით დევს.**

**ბუნებრივია, ივანიშვილს ამ ნაღმების აფეთქების სურვილი არ აქვს, მაგრამ არც მისი გადაწყვეტისთვის კეთდება რამე, როგორც ჩანს. გამოსავალი მარტივი მოიძებნა – მაჟორიტარობის გაუქმება...**



„ჩვენ გუნდში ძალიან ბევრი კარგი ადამიანი მოვიდა მაჟორიტარების რანგში, ბევრს აქვს პოლიტიკური გამოუცდელობა“

„ეს პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ მე რამდენჯერმე დავსვი საკითხი, რომ შეიძლება საერთოდ ამოვიღოთ მაჟორიტარები“

# ბიძინა ივანიშვილი მაჟორიტარებს ემუქრება

მაჟორიტარების მიმართ ბიძინა ივანიშვილს თავიდანვე განსხვავებული შეხედულება ჰქონდა. წინასაარჩევნოდ მაჟორიტარების კანდიდატების შერჩევისას და მოგვიანებით მათი რეგიონებში წარდგენისას ივანიშვილი ინიციატივითაც გამოვიდა, თუ პარლამენტში მუშაობისას რომელიმე მათგანი არ გაამართლებს, უნდა შეგვეძლოს მათი უკან გამოწვევაო...

ძველი სურვილი სურვილად დარჩა. ინიციატივა არავინ აიტაცა და შესაბამისად, არც ცვლილება შესულა კანონმდებლობაში. სამაგიეროდ, დღეს გამოწვევიდან პირდაპირ გაუქმებაზე გადახტნენ და იგივე პრემიერის ინიციატივით შესაძლოა, მაჟორიტარობის პრინციპი საერთოდ გაუქმდეს. ივანიშვილის განცხადებით, მაჟორიტარები ფეოდალებად გადაიქცნენ და კონკრეტული რეგიონები საკუთარი სამფლობელოები ჰგონიათ. დაახლოებით ასეთი შეფასება მისცა პრემიერმა საკუთარი გუნდის წევრების მოქმედებებს. მოგვიანებით კი თავადვე განმარტა, რომ შეფასებისას ცოტა ზედმეტი მოუვიდა, თუმცა იქვე კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ, ამ მხრივ, პრობლემა სერიოზულია, ზოგ რეგიონში მეტი, ზოგან – ნაკლები. ივანიშვილმა საკითხი განაზოგადა და განაცხადა, რომ თითოეულ მაჟორიტარზე საუბარი არ სურს, შესაბამისად, იმედი გამოთქვა, რომ ყველა მათგანი სწორად გაიგებს მის მითითებას.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– მაჟორიტარების პრობლემა არსებობს. თათბირზეც მქონდა ამ საკითხზე საუბარი. ეს პრობლემა იმდენად სერიოზულია, რომ მე რამდენჯერმე დავსვი საკითხი, რომ შეიძლება საერთოდ ამოვიღოთ მაჟორიტარები. მე არ ვარ ამის სპეციალისტი და ძალიან ფრთხილად ვეკიდები. ჩვენ გუნდში ძალიან ბევრი კარგი ადამიანი მოვიდა მაჟორიტარების რანგში, ბევრს აქვს პოლიტიკური გამოუცდელობა. შეიძლება უხეში ტერმინი ვიხმარე, როცა ფეოდალებს შევადარე, მაგრამ ის, რომ მათ ჰგონიათ, რეგიონები თავად უნდა მართონ, ასე არ არის. მაჟორიტარები პარლამენტის წევრები არიან და კანონმდებლობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ. პირველ რიგში, მათ საკუთარი უფლებები და მოვალეობები უნდა გაარკვიონ კარგად და ამის მიხედვით გააგრძელონ მოღვაწეობა. მათთვის არ ჩაუბარებიათ რეგიონები, ისინი აირჩიეს ამ რეგიონებიდან და ვალდებულება აქვთ მათ მიმართ. ეს უნდა განახორციელონ და არა მეტი.

მაჟორიტარები კი, თავის მხრივ, სწორედ იმაზე წუწუნებენ, რომ მათ ხშირად უწევთ ისეთი საკითხების მოგვარება, რომლებიც მათ კომპეტენციაში არ შედის. მანანა კობახიძის განცხადებით, ადგილობრივი მოსახლეობა ყველა პრობლემაზე საკუთარ მაჟორიტარს მიმართავს ხოლმე და სწორედ ასეთ დროს ხდება უფლებების გადაცდენა. იგივე პრობლემაზე საუბრობს ეკა ბესელიაც.

**ეკა ბესელია, უმრავლესობის წევრი:**

– ჩვენთან ყოფითი, საბინაო თუ ეკონომიკური პრობლემები მოდის. რეგიონებში ხალხს ძალიან უჭირს და ხშირად, მაჟორიტარებს საკუთარ თავზე იმაზე გაცილებით მეტი ტვირთის აღება უწევთ, ვიდრე ეს საკანონმდებლო საქმიანობაა. როცა ქვეყანა ისე გაძლიერდება, როდესაც მხოლოდ კანონმდებლობაზე იქნება ფიქრი საჭირო და არა ამომრჩეველთა პრობლემებზე, ეს ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ჩვენ კანონში გვიწერია, რომ საპარლამენტო კონტროლის უფლება გვაქვს. რაიონები აქტიურ ხალხს ითხოვს, იმ ადამიანებს, რომლებიც ხალხზე მზრუნველი და მოამაგე იქნებიან და არა ისეთები, რომლებიც მხოლოდ სხედან და კანონის დაწერაზე ფიქრობენ.

მხოლოდ პარლამენტში ჯდომა და კანონების განხილვაში მონაწილეობა გაუპროტესტეს სწორედ გუბაზ სანიკიძეს და ქუთაისის მერიაში კაბინეტი „სკოჩით“ „აუჭედეს“. ეს ფაქტი ოქტომბრის არჩევნებიდან რამდენიმე თვეში მოხდა. მაშინ ქუთაისში მცხოვრებმა შალვა კამლაძემ საკუთარი ქმედება იმით ახსნა, რომ სანიკიძესა და, ზოგადად, ნებისმიერ მაჟორიტარს კანონი ავალდებულებს, მინიმუმ სამ კვირაში ერთხელ მაინც გამართოს შეხვედრა საკუთარ ამომრჩევლებთან.



სანიკიძის გარდა, სკანდალში გაეხვია ოზურგეთის მაჟორიტარი, ზვიად კვაჭანტირაძე. ადგილობრივმა მოსახლეობამ ოზურგეთის გამგებლის გადაყენების მოთხოვნით საპროტესტო აქციები დაიწყო და გამგეობასთან კარვებიც კი გაშალა. პროცესის უკან სწორედ კვაჭანტირაძის ინტერესები მოიაზრებოდა, თუმცა ის კატეგორიულად უარყოფს კავშირს მომიტინგეებთან...

თუმცა პირველი მაჟორიტარი, ვის მიმართაც უკმაყოფილების საკმაოდ დიდი ტალღა წამოვიდა, ეს მურმან დუმბაძე იყო. აჭარის მაჟორიტარის პირველი „დანაშაული“ ნეპოტიზმი გახლდათ. დუმბაძეს ძალიან მალე გაუშიფრეს სანათესაო სხვადასხვა უწყებებსა და თანამდებობებზე. თუმცა ეს ოქტომბრის არჩევნების შემდეგ იყო, ანუ ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდეგ. მანამდე დუმბაძეს კულუარული დაპირისპირება საკუთარ გუნდშივე, ანუ კოალიციაშივე ჰქონდა. აჭარის მაჟორიტარი კანდიდატობისთვის მან საკმაოდ ბევრი იბრძოლა, თუმცა თავი ამომრჩეველს ერთი წინადადებით დაამახსოვრა: „ხუთიანზე სამედიცინო დასკვნაა გაკეთებული, ვინც ხუთიანს მარჯვენა ხელით შემოხაზავს, კიბო გაუჩნდება, მარცხენა ხელით – ინფექცია“... განცხადების შემდეგ დუმბაძეს საკმაოდ დიდხანს უწევდა ახსნა-განმარტებების კეთება. თუმცა არც ამ განცხადებას შეუშლია ხელი გამარჯვებისთვის და მით უფრო საკუთარი ოჯახის წევრების დასაქმებისთვის.

კონკრეტულად გულისხმობდა თუ არა დუმბაძეს ივანიშვილი ფეოდალებში არც თავად და არც უმრავლესობას არ დაუკონკრეტებია. თუმცა ფაქტია, რომ ერთადერთი, ვინც საკუთარი მაჟორიტარობა ღიად დაიცვა, ეს სოსო ჯაჭვლიანია. მან განაცხადა, რომ აქამდეც ერეოდა ადგილობრივი მოსახლეობის საქმეებში და აწიც ჩაერევა...

**სოსო ჯაჭვლიანი, უმრავლესობის წევრი:**

– საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმეში ყოველთვის ვერეოდი. ახლა, დეპუტატი ვარ და საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი თემის განხილვაში ახლაც ჩავერევი. რაც შეეხება პრემიერის მხრიდან სიტყვა „ფეოდალების“ გამოყენებას, ჩემი აზრით, ეს ემოცია უფრო იყო.

უმრავლესობის ლიდერის, დავით საგანელიძის განცხადებით, საკი-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ა პრემიერი?



**„ბევრი დეპუტატი ამბობს და აფიქსირებს პოზიციას, რომ გამგებლების ნაწილი ნამდვილად ვერ ართმევს თავს საკუთარ მოვალეობებს. ასეთი პოზიციების დაფიქსირება, ხარვეზების მოძიება და აღნიშვნა სწორედ მაჟორიტარების პრეროგატივაა“**





**„მაჟორიტარების მხრიდან ჩარევა არ არის სწორი და მართებული. ბუნებრივია, მაჟორიტარებს თავიანთი როლი აქვთ ამ ყველაფერში“**

თხი პოლიტსაბჭოზე ჯერჯერობით არ დამდგარა, თუმცა მისი განხილვა სხვადასხვა დონეზე უკვე მიმდინარეობს.

**დავით საგანელიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:**

– პოლიტსაბჭოზე საკითხის განხილვა არ მომხდარა, თუმცა, ზოგადად, როგორი წესით მოხდება პარლამენტის დაკომპლექტება და რომელია უფრო სწორი წესი, ამაზე საუბარი გვქონდა. საერთოდ, პარლამენტის დაკომპლექტების ერთ-ერთი მეთოდი რეგიონალურ-პროპორციული სიებით ჯერ კიდევ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ განიხილებოდა. ამ წესის ინიციატორი გუნდის წევრი ვიყავი მეც და ბუნებრივია, მხარს ვუჭერდი, მარტივი მიზეზის გამო, რომ თითოეულ რეგიონს რამდენიმე მაჟორიტარი ეყოლებოდა პარლამენტში და ეს მაჟორიტარები მიბმულები არიან იმ გუნდზე, რომელსაც ხალხის დიდი მხარდაჭერა აქვს. შესაბამისად, უკვე არა ცალკეულ რაიონს, არამედ მთლიანად რეგიონს ეყოლება მაჟორიტარი და მიმაჩნია, რომ საქართველოსნაირი ქვეყნისთვის ეს ყველაზე იდეალური წესია. თუ ეს საკითხი განსახილველად დადგება, მე მხარს დავუჭერ პარლამენტის ამ წესით დაკომპლექტებას. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში ჯერ არ დგას, რადგან საპარლამენტო არჩევნებზე საუბარი არ არის. როცა საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდება, ეს თემა მაშინ უფრო გამძაფრდება, სავარაუდოდ. თუმცა მიმაჩნია, რომ თუ ახლავე დავიწყებთ საკითხის განხილვას, საზოგადოების მოსაზრების გაგებას, ძალიან კარგი იქნება.

**– თავად პრემიერი ვის გულისხმობდა ფეოდალებში, ხომ არ იცით?**

– ვერ გეტყვით, თუმცა, ბუნებრივია, პრემიერს აქვს ძალიან დიდი ინფორმაცია, რა სიტუაციაა რეგიონებში. სამწუხაროდ, მე ვიცი, რომ ზოგიერთი მაჟორიტარი ხშირ შემთხვევაში იმ ფარგლებს სცდება, რაც არის მაჟორიტარის უფლებამოვალეობები. ხანდახან ეს გადაცდომა შემთხვევით ხდება ხოლმე, რადგან არის ფაქტები, როცა ხდება თვითმმართველობის თემებში ჩარევა. მიუხედავად იმისა, რომ კოალიციაც და ჩვენი ლიდერიც ხშირად საუბრობენ თვითმმართველობის დამოუკიდებლად განვითარებაზე, მიგვაჩნია, რომ რეგიონალური და თვითმმართველობის სტრუქტურები კიდევ უფრო უნდა წამოიწიოს წინ და სრული თავისუფლება ჰქონდეთ მოსახლეობაზე, თავადვე აირჩიონ გამგებლები, რწმუნებულები და სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელები – ასეთი სურვილების ფონზე მაჟორიტარების მხრიდან ჩარევა არ არის სწორი და მართებული. ბუნებრივია, მაჟორიტარებს თავიანთი როლი აქვთ ამ ყველაფერში.

**– ანუ იყო უფლებების გადაცდომის ფაქტები?**

– კი, იყო ასეთი ფაქტები. კარგია პრემიერის ეს განცხადება, რადგან, თუ ვინმე ზედმეტად ერევა, ან ფიქრობს, რომ უნდა ჩაერიოს თვითმმართველობებში, ეს განცხადება პრევენციას მოახდენს.

**– ოზურგეთის დეპუტატზე იყო საუბარი, შესაძლებელია, რომ კვაჭანტირაძეზე იყოს საუბარი?**

– მე ნამდვილად გადაჭარბებულად მიმაჩნია კვაჭანტირაძეზე გაკეთებული კომენტარები. არ ვთვლი, რომ ოზურგეთის გამგებლის გადაყენების მოთხოვნის უკან კვაჭანტირაძის ინტერესები დგას. თუმცაღა გეტყვით, რომ ბევრი დეპუტატი ამბობს და აფიქსირებს პოზიციას, რომ გამგებლების ნაწილი ნამდვილად ვერ ართმევს თავს საკუთარ მოვალეობებს. ასეთი პოზიციების დაფიქსირება, ხარვეზების მოძიება და აღნიშვნა სწორედ მაჟორიტარების პრეროგატივაა. ზვიად კვაჭანტირაძე საკმაოდ აქტიური დეპუტატი გახლავთ და მე მისგან ხშირად გამიგია მანკიერი ფორმებისა და მანკიერი საქმიანობების შესახებ, რომელიც ოზურგეთში ხდებოდა.

**– როგორია მაჟორიტარების პოზიცია ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით?**

– იცით, ეს ინიციატივა არ ეხება მოქმედ მაჟორიტარებს, აქ საუბარია მომავალი პარლამენტის არჩევის წესზე. იმ მაჟორიტარებს, რომლებსაც დიდი მხარდაჭერა აქვთ საკუთარ რეგიონში, კიდევ უფრო მეტი შანსი ექნებათ არჩევის.

**– თქვენ თქვით, რომ არჩევის ამ წესზე საუბარი ჯერ კიდევ 2008 წელს იყო, მაშინაც მხარს უჭერდით ამ ინიციატივას?**

– ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც სერიოზულად იხილავდა პარლამენტის რეგიონალურ-პროპორციული წესით არჩევას, სწორედ ჩემი გუნდი იყო. მინდა გითხრათ, რომ ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილიც კი იყო, ბოლო მომენტში შეიცვალა ის და სწორედ ამის გამო ოპოზიციამ, ანუ ჩვენ, საკმაოდ მწვავე განცხადებები გავაკეთეთ და ჩვენი მაშინდელი შიმშილობაც ამ საკითხებს უკავშირდებოდა. ვითხოვდით საარჩევნო კოდექსში ამ ცვლილების შეტანას, რადგან ეს აღარ მისცემდა მმართველ პარტიას იმ დომინანტის ფუნქციას, რომელიც მაშინ ნაციონალებს ჰქონდათ. ჩვენ ახლა რომ გვინდოდეს საარჩევნო სისტემის მონოპოლიზება არანაირ ცვლილებას არ შევიტანდით, რადგან მაჟორიტარები ახლა მმართველ პარტიაზე არიან მიბმულები. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ იმას, რომ არჩევნების დროს ხალხის ინტერესები იყოს გათვალისწინებული. ეს ცვლილება ყველაზე მეტად ოპოზიციურ პარტიებს უნდა აწყობდეთ და რაც მთავარია, ქვეყნისთვის არის კარგი.

თავის დროზე 2008 წელს ამ თემაზე საუბარი მართლაც მიდიოდა, საარჩევნო მარათონი რეგიონალურ-პროპორციულ სიებზე უნდა გადაწყობილიყო. ანუ თითოეულ რეგიონს ექნებოდა კვოტა საარჩევნო სიაში და ამ კვოტებს ადგილზევე შეავსებდნენ და არა ცენტრიდან მისული „შეკვეთებით“. მოლაპარაკებები მაშინ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიმდინარეობდა და პროექტს პირველი მოსმენით კენჭიც უყარეს, თუმცა მოგვიანებით მოლაპარაკებები ჩაიშალა და პროექტიც შუა გზაზე გაჩერდა. როგორი იქნება ახლა მაჟორიტარების ბედი, ძნელი სათქმელია.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა მეთოდებით ცდილობს რუს



# ელენე ხოშტარია: „ხაბურძანია რომ პირდაპირ კავშირშია რუსულ სპეც-სამსახურებთან და პუტინთან, საიდუმლო არაა“

ქეთი ხატიაშვილი

**ვალერი ხაბურძანია უშიშროების მინისტრობიდან და რუსეთში დიდი გასეირნების შემდეგ, პოლიტიკაში გამოჩნდა. მან ევრაზიული კოალიცია შექმნა და ყველა პარტიას ეპატიჟება. პარალელურად სულ უფრო მატულობს იმათი რიცხვი, ვისაც აღარ ესირცხვილება, როგორც ეს ადრე იყო, იმის თქმა, რომ პუტინი მისი მისაბაძი პოლიტიკური ფიგურაა და რომ ევრაზია ერთადერთი ხსნაა. „სიმართლის დროში“, მაგალითად, ირინა სარიშვილმა არ დამალა, რომ ის „კაგებესთან“ თანამშრომლობდა და საქართველოს საზიანო გადაწყვეტილებებიც მიუღია...**

**მაშინ დსთ იყო პოლიტიკურ დღის წესრიგში, ახლა ევრაზიული კავშირი დგას, პუტინის ახალი პროექტი. ამ გეგმით ის განახლებული და თანამედროვე საბჭოეთის აღდგენას ცდილობს.**

**რა პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას საქართველო და ახალი ხელისუფლება? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ექსპერტი ელენე ხოშტარია ესაუბრა:**

**– ქალბატონო ელენე, ევრაზიული კავშირი უკვე ოფიციალურად გამოჩნდა ქართულ სივრცეში. ადრე ინფორმაციებს რუსულ მედიაში ვნახულობდით, ახლა ვალერი ხაბურძანიამ კოალიცია დააარსა...**

– არა მარტო ევრაზიული კავშირი, არამედ ბევრი სხვა საკითხი, რომელიც პრაქტიკულად ადრე არ განიხილებოდა, დღეს გაიხსნა და მიდის დუღილი... ბევრ საკითხზე მიდის დისკუსია, რომელიც მე პირადად მეგონა, რომ პასუხგაცემული და ჩამოყალიბებული იყო. მაგალითად, არავინ არ მსჯელობდა, გვინდოდა თუ არა ნატო, რუსეთი კარგი იყო თუ – არა. ასეთი ტიპის მსჯელობა არ ყოფილა, რადგან ეს, გარკვეულწილად, უკვე ჩამოყალიბებული საკითხი გახლდათ. ჩემი აზრით, ამ ტენდენციას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს.

ობიექტური მიზეზი არის ის, რომ მედიასივრცე წინა ხელისუფლების დროს უფრო დახურული იყო, ახლა გახსნილია. ეს კარგია, რადგან რაღაც თემებზე აუცილებლად უნდა იყოს მსჯელობა. ხელოვნურად თემის დახურვა არ არის პოზიტიური.

მეორე მხრივ, ამ ხელისუფლების პირობებში და ამ ხელისუფლების პოლიტიკა – დავარეგულიროთ ურთიერთობა რუსეთთან, ასევე წინასაარჩევნო რიტორიკა რუსეთთან დამოკიდებულებაში – გარკვეულწილად ქმნის წარმოდგენებს, რომ ახლა არის სივრცე, რომ რუსეთთან რაღაც კარდინალურად შევცვალოთ.

მესამე მომენტია, რაც ევრაზიულ კავშირს ეხება: დარწმუნებული ვარ, ეს რუსეთის მხრიდან ხელოვნურად არის მართული. რუსეთს ჩვეულებრივი პროპაგანდისტული და სხვადასხვა ტიპის ხერხები აქვს, როგორ მოახდინოს საზოგადოებაზე გავლენა. ხაბურძანია რომ პირდაპირ კავშირშია რუსულ სპეცსამსახურებთან და პუტინთან, საიდუმლო არაა. ბევრი ადამიანია, ვინც დღეს გამოდის და რუსეთთან საკუთარ კავშირებზე საუბრობს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დისკუსიებში მნიშვნელოვანი კომპონენტი რუსეთისგან არის მართული. თავისთავად ეს მოვლენა არის მარგინალური, რადგან ყველა გამოკითხვით ნატო არის პრიორიტეტი. ის ადამიანებიც, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება უნდათ, არ გულისხმობენ, რომ ჩვენი სუვერენიტეტის ხარჯზე უნდათ ამ ურთიერთობების დარეგულირება. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ გვინდა ნატო, ჩვენ გვინდა დასავლეთი, მაგრამ იდეაში, თუ რუსეთი პატივს სცემს ჩვენს არჩევანს, რუსეთთან ურთიერთობა კარგია. ამ პოზიციას მეც ვიზიარებ.

ახალი ხელისუფლების საგარეო კურსმა გარკვეულწილად გააჩინა ის შეგრძნება, რომ შეგვიძლია ახლა რაღაც ვქნათ. ახალი ხელისუფლების საგარეო კურსი არ არის მარტო ის, რომ რუსეთთანაც უნდა, ურთიერთობა დაათბოს და თან ნატოშიც შევიდეს. ახალი ხელისუფლების საგარეო კურსის პრობლემა ისაა, როგორ აპირებენ ნატოსთან ერთად რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას, ამაზე პასუხი არ არსებობს... ანუ, ჩამოყალიბებული პოზიცია და ფორმულა, როგორ აპირებენ ამას, არ არსებობს. ეს აჩენს ეჭვს, რაღაც ხომ არ იმალება ამ პოზიციის უკან.

**– შეიძლება თქვან, რომ ეს შევარდნაძემ მოახერხა, ნატოს კარზეც დააკაკუნა და რუსეთთანაც დაალაგა ურთიერთობები?**

– ვერ ვიტყოდი, რომ შევარდნაძემ რამე მოახერხა ამ თვალსაზრისით... შევარდნაძის დროს ნამდვილად არ დაგვიკაკუნებია ნატოს კარზე. 2002 წელს პირველად გაკეთდა განცხადება, რომ ჩვენ გვინდა ნატოში, მაგრამ არანაირი სერიოზული აღქმა საქართველოსი, როგორც ქვეყნის, რომელიც შეიძლება გახდეს ევროპული ინტეგრაციის ნაწილი, აბსოლუტურად არ არსებობდა. სწორედ ეს იყო შევარდნაძის პოლიტიკის პრობლემა, რომ მან გადაწყვიტა ბალანსირება, სადაც იგულისხმება, რომ, უბრალოდ, ველაპარაკები იმასაც და ამასაც. თუმცა ამ ლაპარაკით და ნორმალური ურთიერთობის მცდელობით ჩვენი უსაფრთხოებისა და ქვეყნის ამოცანებს ვერ ვპასუხობდით.

ჩვენი ქვეყნის ამოცანა არ არის, უბრალოდ, კარგი ურთიერთობა გვქონდეს იმასთანაც და ამასთანაც. ჩვენი ქვეყნის ამოცანა, როგორც ფასეულობებიდან, ისე ინტერესებიდან გამომდინარე, არის ის, რომ გავხდეთ დასავლური ოჯახის წევრი. ეს უზრუნველყოფს ჩვენს შეუქცევად უსაფრთხოებას მომავალში და რუსეთის მხრიდან ჩვენზე აგრესიისა და სუვერენიტეტის გამორიცხვას და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ჩვენი ფასეულობების რეალიზაციას დასავლურ ოჯახში.

ამიტომ შევარდნაძის მაგალითი ის ცუდი მაგალითია, რომელიც არ გამოდგება და დაგვანახვა ისტორიამ, რომ ასეთი ტიპის ბალანსირებით ვერც ტერიტორიულ პრობლემას აგვარებ, ვერც უსაფრთხოების და ვერც განვითარებას უზრუნველყოფ. სწორედ ეს არის დღევანდელი მთავრობის პოლიტიკის პრობლემა – გაუგებარია, რას გულისხმობენ ამ დათმობებში. მეორე პრობლემა რუსეთთან მიმართებაში არის ის, რომ მეტს ვაკეთებთ, ვიდრე, უბრალოდ, ვამბობთ.

ის შეფასებები, რომელიც მავთულხლართების გადმოწევაზე პრემიერის მხრიდან გაკეთდა, განზრახ თვალის დახუჭვის პოზიცია და სიტუაციის პრინციპულად არასწორი შეფასებაა... ეს უკვე არ არის დათმობა...

იგივე სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, ზოგადად, მე არ ვარ მონაწილეობის წინააღმდეგი, მაგრამ უპირობოდ, ისე, რომ ჩვენ არ მოგვიგვარებია ტერიტორიული პრობლემა, არ ვიცით, აფხაზეთის ტერიტორიას როგორ გამოიყენებენ, მონაწილეობს თუ არა აფხაზეთის დელეგაცია ოლიმპიადაში – ამ საკითხების მოგვარების გარეშე სოჭის ოლიმპიადაზე წასვლა, ოკუპაციის კანონის შეცვლა, შეფასებების გაკეთება, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში პროგრესია, არის უფრო მეტი, ვიდრე, უბრალოდ, ჩვენი მხრიდან რაღაც ჟესტები რუსეთის მიმართ – ეს არის ჩვენი ინტერესების დაზიანება.

**– რამდენად შეიძლება საგარეო კურსი კიდევ ერთხელ დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, თუკი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკას მართლა დატოვებს?**

– საერთოდ, პოლიტიკიდან წასვლაზე ბიძინა ივანიშვილის განცხადება არასერიოზულია. მე მის წარმოდგენებზე სახელმწიფოსა და მმართველობის შესახებ ბევრად დიდი შეფასება მქონდა. სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, მთელი ეს გაუგებრობები – მიდის თუ არ მიდის ივანიშვილი პოლიტიკიდან – საზოგადოების შეურაცხყოფაა. დემოკრატიულ სახელმწიფოში პრემიერისგან ეს ძალიან ზუსტად უნდა ვიცოდეთ. ჯერ ერთი, მას აქვს მანდატი, რომელზეც ის პასუხისმგებელია. მე მოვედი და აღარ მომწონს და წავედი, ეს არასერიოზულია. მას რომ თავიდანვე ეთქვა, მე მოვედი ერთი წლით და მერე არ ვიცი, რა იქნებაო, დარწმუნებული ვარ ამხელა მხარდაჭერა არ ექნებოდა. რაღაც პერიოდით ადამიანს აძლევენ იმ მანდატს, რომ მან პასუხისმგებლობა აიღოს და შეასრულოს. ეს გაუგებარი განცხადებები არის პასუხისმგებლობისგან გაქცევა. ამასთანავე, გაურკვეველი რჩება, რა ხდება სახელმწიფოში, ვინ რა პოზიციას დაიკავებს, რა კურსი რჩება, რადგან კოალიციაში ისედაც ჭირს ერთი მკაფიო ხედვის დანახვა ბევრ საკითხზე. ამ პირობებში ამ გაურკვეველი კითხვის ნიშნების დაყენება საზიანოა.

**– როგორ ხსნით იმ ფაქტს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ივანიშვილის წასვლას ნეგატიურად აფასებს, მაშინ როცა „ქართულ ოცნებაში“ ამ გადაწყვეტილებას პოზიტიურს უწოდებენ...**

– პოზიტიური და ნეგატიური არ მაინტერესებს. მე მაინტერესებს არგუმენტები. არგუმენტები, რაც მათი გუნდისგან მოვისმინე, აბსოლუტურად არადამაჯერებელია. ცინიკური და დემაგოგიურია საუბარი იმაზე, რომ საზოგადოება უფრო მთავარია და იმიტომ მიდის საზოგადოებაში. სერიოზული განმარტება რომ მომესმინა, შეიძლება მეც გამეზიარებინა. თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ, იმიტომ, რომ მათი ლიდერია, ყველაფერში ეთანხმებიან...

**– როგორც თქვენ გაიხსენეთ, რაც ბიძინა ივანიშვილმა მავთულხლართებთან დაკავშირებით თქვა, რომ კრემლში არ იყო ეს გადაწყვეტილი და რომ გადაწყვეტილება ადგილობრივმა სამხედროებმა მიიღეს... თუმცა რამდენიმე კვირის წინ ირაკლი ალასანიამ გააკეთა განცხადება, რომ ეს არის კრემლის პოლიტიკა, მცოცავი ოკუპაცია. ასეთი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები კეთდება... შეიძლება ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილიც დარწმუნდა ამაში და ეს, უბრალოდ, გააცხადა ირაკლი ალასანიამ?**

– ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები უკვე ჩამოყალიბებული სტილია ამ მთავრობაში. ჩვენი გამოწვევის ქვეყნისთვის პოზიციებში სიცხადე მნიშვნელოვანია. ხშირად ყოფილია გაურკვეველი განცხადებები. მაგალითად, ყარსი-ახალქალაქის გზაზე, რუსეთის რკინიგზაზე და ა.შ. ალასანია ყოველთვის გამოირჩევა სწორი, მკაფიო და პროდასავლური პოზიციებით რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ რაიმე ნიშანი დავინახე, რომ პრემიერმა თავისი პოზიცია შეცვალა, რადგან არაერთხელ მიზანმიმართულად გაიმეორა არა მარტო ის, რომ ეს კრემლისგან მართული არ არის, არამედ ისიც, რომ რუსეთთან ურთიერთობებში პროგრესი გვაქვს... არგუმენტი – რუსულ ბაზარზე შევიდა ღვინო. ესეც უგულებელყოფა და შერბილებაა მავთულხლართების თემის. როდესაც მავთულხლართების ფონზე ამბობს, რომ პროგრესი გვაქვს ურთიერთობებში, ეს ნიშნავს, რომ მავთულხლართები არ არის ისეთი მწვავე საკითხი. ურთიერთობა რომ შევაფასოთ მთლიანობაში, ეს მავთულხლართების თემა არ აფუჭებს იმ პროგრესს, რომელიც ღვინის გაყიდვით იყო გამოწვეული. ეს არასწორი ბალანსია ურთიერთობების შეფასებებში.

**– თქვენ ირაკლი ალასანია შეაფასეთ როგორც პროდასავლური ფიგურა, რომელიც სწორ შეფასებებს აკეთებს და ასეც არის, თუმცა, საპრეზიდენტო მარათონზე მან თავისი კანდიდატურა არ წამოაყენა და ბევრმა მისი პასიურობა გაუბედაობას მიაწერა...**

– ნამდვილად ვერ ვიტყვი ირაკლიზე, რომ გაუბედავია. ზოგჯერ პოლიტიკაში შენი კეკლუცური პოზიციები გვერდზე უნდა გადაწიო და უფრო სერიოზულად უნდა მოიქცე. იმ მომენტში, როდესაც რაღაც უსიამოვნო გაუგებრობა იყო მასა და პრემიერს შორის, ის ღირსეულად მოიქცა – არ გადააქცია ეს ყველაფერი პოზად. ჩემი შეფასებით, მას აქვს მეტი პოლიტიკური პოტენციალი ვიდრე ახლა იყენებს, მაგრამ ამას არ მინდა დავარქ-

**„პარტიები, რომლებიც ამბობენ, რომ არიან პრორუსულები, შესაბამისად, არიან ანტისახელმწიფოებრივები“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეთი საქართველოზე ზეწოლას

**„ალასანია ყოველთვის გამოირჩევა სწორი, მკაფიო და პროდასავლური პოზიციებით რუსეთთან მიმართებაში“**

ვა გაუბედაობა. ასეთ სიტუაციებში ძალიან რთულია მსჯელობა, რადგან არ იცი, შიგნით რა ხდება. მე მას ვაფასებ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკოსს, სწორი მოსაზრებებით და სწორი შეხედულებებით. ამიტომ მისი შეფასება ნეგატიურად მართებული არ იქნება.

**– ბიძინა ივანიშვილის წასვლას დავუბრუნდები, ყველა ექსპერტი თანხმდება იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ დაიშლება და იქ შეიძლება მოხდეს გადანაწილება. წითელი ხაზი გაივლოს პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის. შეიძლება ამ დროს ელოდებოდეს ალასანია?**

– არ ვიცი. ესეც სპეკულირების ნაწილია. ამაზე თვითონაც საუბრობენ, რომ კოალიცია არ არის მუდმივი...

რა თქმა უნდა, ალასანია უფრო პროდასავლურია, ვიდრე თოფაძე და სხვები, იგივე საგანელიძე. ალბათ, რაღაც კონიექტურა თუ იქნება, რაც მას საშუალებას მისცემს მის მოსაზრებებთან ახლოს მყოფ ადამიანებთან შექმნას პოლიტიკური ერთობა, ალბათ, გააკეთებს, მაგრამ ესეც ცარიელი სპეკულირებაა. დღეს იმის საფუძველს, რომ ასეთი სპეკულაციები არსებობდეს, ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

**– რაც შეეხება სოჭის ოლიმპიადას. ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთი სოჭის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოზე უფრო მეტად მოახდენს ზეწოლას ევრაზიულ კავშირში მისი ჩართვის მიზნით? მცოცავ ოკუპაციასაც ხომ არ გამოიყენებს ამისთვის?**

– რუსეთის მხრიდან სოჭის ოლიმპიადა ნამდვილად იქნება გამოყენებული, როგორც მცდელობა ჩვენი სუვერენიტეტის შელახვის. ფორმებზე საუბარი რთულია. ევრაზიის კავშირში, ღიად თუ ფარულად, რუსეთს ჩვენზე ზეწოლა უკვე დაწყებული აქვს. ბოლო პერიოდში ძალიან მკაფიოდ მიდის პოლიტიკა, ნებისმიერი ხერხით მოახდინონ ჩვენზე ზეწოლა, რომ უარი ვთქვათ ნატოში ინტეგრაციაზე. ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც სოჭის ოლიმპიადის შემდეგ გააქტიურდება ეს მოძრაობა, მაგრამ სოჭის ოლიმპიადა გამოყენებული იქნება, როგორც კიდევ ერთი ბერკეტი საქართველოზე ზეწოლის.

**– ოლიმპიადამდე რუსეთი სტაბილური გარემოთი იქნება დაინტერესებული...**

– კი, მაგრამ იგივე ევრაზიულ კავშირში შესვლა არა მგონია, ტანკებით გვაიძულონ. ტანკები რომ დასჭირდეთ, უფრო მეტი ფასის გადახდა მოუწევთ, სოჭის ოლიმპიადის მერეც კი. პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტები რუსეთს აქვს. ერთ-ერთი არის ოკუპირებული ტერიტორიები, ღვინო, სავაჭრო ურთიერთობები, რომლით სპეკულირებაც უკვე დაიწყეს და რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გააძლიერებენ, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიის თემა და ტერორისტების მომზადების საკითხი, რომელიც ძალიან ბრიყვულად მივეცით რუსეთს. ანუ რუსეთს ბერკეტი ძალიან ბევრი აქვს იმისთვის, რომ ეს ტანკების გარეშე მოახერხოს. მთელი პრობლემა შეიძლება აღმოჩნდეს ის, რომ, თუ ჩვენ პარალელურად არ ვაძლიერებთ ნატოში ინტეგრაციის პროცესს, რა თქმა უნდა, საერთაშორისო მხარდაჭერისა და ინტეგრაციის პროგრესის გარეშე უფრო შიშვლები ვხდებით, რუსეთს ვუქმნით მეტ შანსს, რომ ეს ზეწოლა წარმატებით განახორციელოს.

**– მახსოვს, შევარდნაძის დროს, ანტიტერორისტულ ცენტრში დაიჭირეს რუსეთის რამდენიმე აგენტი, რომელიც ჩუმად გაუშვეს, საერთაშორისო სკანდალი რომ არ მოჰყოლოდა და მახსოვს სააკაშვილის დამოკიდებულება აგენტებთან დაკავშირებით, რომელმაც რამდენჯერმე ღიად მოახდინა მათი გამოვლენა, დასჯა და ექსტრადირება... რაც იყო იმის ხაზგასმა, რომ რუსული აგენტურა ისე ღიად ვერ იმუშავებდა, როგორც შევარდნაძის პერიოდში. თქვენ ტანკები ახსენეთ და გეთანხმებით, რომ მისი გამოყენება საჭირო აღარ ხდება, რამდენადაც აგენტურა უკვე ჩართულია ზეწოლის პროცესში...**

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის სერიოზული ბერკეტი მათ ხელში. მიჭირს, კონკრეტულად ვისაუბრო. ის, რომ ჩვენ ამნისტიით გავუშვით ჯაშუშობაში ბრალდებული რამდენიმე ადამიანი – მარტო ეს ფაქტი ქმნის იმის სივრცეს, რომ ეს მიმართულება გააქტიურებულიყო და დარწმუნებული ვარ, გააქტიურებულია აგენტების მიმართულება. ამას სჭირდება უსაფრთხოების ძალიან მკაფიო და სერიოზული პოლიტიკა. ზოგადად, შეიძლება იკამათო სააკაშვილისდროინდელ ფორმებზე რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ხედვა იყო მკაფიო, რომ საქართველო არ დაუშვებს რუსი აგენტების აქ თარეშს, დღეს ასეთ დამოკიდებულებას ვერ ვხედავ. რუსული აგენტურა უფრო ძლიერია და არ არის გარანტია, რომ მთლიანად დაიცავ ქვეყანას... კლიმატი ამ თვალსაზრისით შეცვლილია.

**– რუსეთი არის ის ფაქტორი, რასაც ივანიშვილი გაექცევა?**

– რამდენიმე საუბარი მოვისმინე პოლიტიკიდან მის წასვლასთან დაკავშირებით. ერთი, რომ საზოგადოებიდან გააკეთებს რაღაცებს. ეს არასახელმწიფოებრივი მიდგომაა. მეორე ის, რომ მე არ ვარ პოლიტიკოსი, არ მაქვს პასუხი რაღაც-რაღაცებზე, ამიტომ ავდგები და წავალ. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი საკითხი რუსეთია, რომელზეც ღიად ამბობს პრემიერი, რომ ჯერ ვერ გაერკვია, რა ხდება.

ივანიშვილის ადრინდელი საუბრები, რომ პრაგმატულად ავაწყობ რუსეთთან ურთიერთობასო, ძირშივე მცდარი იყო, რადგან პრაგმატულად, უბრალოდ, კონსტრუქციულობით რუსეთთან ურთიერთობის აწყობა თეორიულად შეუძლებელია, იმის გათვალისწინებით, რა ინტერესი და რა პოლიტიკა აქვს რუსეთს ჩვენთან ან ბევრ სხვა ქვეყანასთან მიმართებაში. ეს იგივეა, თქვა, ყაჩაღს კანფეტით მოვალბობო. შეუძლებელია, სახლში შეიარაღებული ყაჩაღი შემოგივარდეს და შენ კანფეტი მიაწოდო, იმ ილუზიით, რომ ის იარაღს დადებს და წავა... ვფიქრობ, მცდარი იყო მისი არარეალისტური მოლოდინები ამასთან დაკავშირებით.

**– პრორუსულ ფრონტზე პატარ-პატარა პარტიებია, ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ მათ შორის დაპირისპირებასაც. თუმცა პროდასავლურ ფრონტზეც რამდენად არსებობს ერთიანი წესები, პოლიტიკური მოწესრიგებულობა... „ნაციონალური მოძრაობა“ რჩება ამ სივრცეში ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ არის ერთ-ერთი პარტია, თუმცა უნდა გარდაიქმნას. ბევრი დანაშაული, რომელიც მასთან არის დაკავშირებული, დიდ ჩრდილს აყენებს პარტიის ფასეულობებს.

**– გარდაქმნაში რას გულისხმობთ, ლიდერშიფის წასვლას პარტიიდან? სახელდებიან სააკაშვილი, მერაბიშვილი...**

– კონკრეტულად არ ვიცი, რა გამზადებული რეცეპტებია. ყველა ადამიანი, ვინც იმ სიბინძურეებთან არის დაკავშირებული აუცილებლად უნდა წავიდეს. ზოგადად, პარტიამ უნდა მოახერხოს საზოგადოებაში ნდობის დაბრუნება იმ შეცდომების გაანალიზებითა და აღიარებით, რაც იყო დაშვებული. თუ განახლებულ „ნაციონალურ მოძრაობას“ გულისხმობთ, ეს არის ერთ-ერთი ძლიერი პროდასავლური პარტია... მე ეჭვს ვერ შევიტან ალასანიას პარტიის პროდასავლურობაში, რესპუბლიკელების პროდასავლურობაში, ზაქარეიშვილის გამოკლებით. რაც მეტ მხარეს იქნება ძლიერი პროდასავლური ძალები, უკეთესია, რადგან საბოლოოდ პრორუსული ძალების სივრცე საქართველოში არ უნდა არსებობდეს. პრორუსული უდრის ანტისახელმწიფოებრივს, რადგან რუსეთი შენ არ გთავაზობს შენი ინტერესების შესაბამის რაიმე ქმედებას, რუსეთი გთავაზობს შენი სუვერენიტეტის შეზღუდვას. ე.ი. ეს პარტიები, რომლებიც ამბობენ, რომ არიან პრორუსულები, შესაბამისად, არიან ანტისახელმწიფოებრივები. ამის სივრცე ქართულ საზოგადოებაში პრაქტიკულად არ არსებობს და ამიტომ მე მგონია, რომ ეს შიდა კონსოლიდირება პოლიტიკურ სპექტრს შორის არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ჩვენ საბოლოოდ თავს დაგვაღწევინებს ჩვენი საფრთხეებიდან.

**– თქვენ თავში თქვით, რომ დისკუსია გაიხსნა რუსეთთან დაკავშირებულ თემებზე. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა საჭირო, რომ საზოგადოებაში გახსნილიყო ასეთი დისკუსიები? მთელი იმ ისტორიული გამოცდილებების გათვალისწინებით, რაც ყველას გვაქვს და გვახსოვს...**

– რთული სათქმელია. როგორც ჩანს, საზოგადოებამ ვერ ისწავლა დასკვნების გამოტანა ისტორიიდან და ხშირად ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს.

მეორე, ალბათ, არის გარკვეული იმედგაცრუების ელემენტი, რომ შევდივართ თუ არა საბოლოოდ დასავლეთში, ამასთან დაკავშირებით გაურკვევლობა აქვთ, ანუ რამდენად პერსპექტიულია დასავლეთი.

ბევრი პოლიტიკოსი გამოჩნდა, რომელიც წინასაარჩევნოდ კითხულობდა: რას მოგვცემს დასავლეთიო. ამასთან დაკავშირებით ძალიან ცუდი ტენდენცია გამოიკვეთა და აქ, ალბათ, ეკლესიის როლიც არის – დასავლეთის დაპირისპირება ქართულ ტრადიციებთან, რაც არის აბსოლუტური უგუნურება და არცოდნა ჩვენი ისტორიისა და, ზოგადად, ქართული ტრადიციის. თითქოს ქალის ცემა იყოს ქართული ტრადიცია, ან გეობა – მთავარი დასავლური ღირებულება. ამანაც გარკვეულწილად იმოქმედა საზოგადოებრივ დისკუსიებზე.

**– ეკლესია ახსენეთ და ილია მეორის ვიზიტი მოსკოვში და პუტინთან შეხვედრა... რა როლს ასრულებს პატრიარქი ამ შემთხვევაში?**

– მე პირადად წინააღმდეგი ვარ იმ ქვეყანაში, რომელსაც ოკუპირებული აქვს შენი ტერიტორია, მსგავსი ტიპის ვიზიტების განხორციელების. ვისურვებდი, რომ ეკლესია რომელიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოში, უნდა იჭერდეს ისეთ პოზიციას, რომელიც ქვეყნის ინტერესებს ასახავს. საუბარი იმაზე, რომ ილია მეორე პუტინს დაარწმუნებს რამეში, აბსურდია. ამიტომ მე მგონია, რომ ეს ჩვენი ინტერესების საზიანოა. მეორე – მიუღებელია, ეკლესია იყოს ჩართული საგარეო პოლიტიკაში. მას არ უნდა ჰქონდეს კავშირი არც შიდა და არც საგარეო პოლიტიკასთან. როგორც კი მიდის საუბრები, რომ პუტინი ბრძენია და საქართველოსთვის კარგი უნდა, ეს არის სივრცე, სადაც პატრიარქი არ უნდა შედიოდეს. საერთოდ, არც მორალური თვალსაზრისით არ უნდა ხვდებოდეს პუტინს.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ წაართვა სააკაშვილის

მარიამ ნადირაძე

**ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესი, რომელშიც დაზარალებული მისი ნათლულის მამა, ზვიად აბესაძეა, დასასრულისკენ მიდის. დიდი ალბათობით, განაჩენი უკვე ძალიან მალე დადგება. ჩვენი ინფორმაციით კი, საქმეში დაზარალებული საქართველოდან წასვლას აპირებს.**

**ექსკლუზივი ჩვენი მკითხველისთვის: „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ინტერვიუს ზვიად აბესაძესთან.**

– „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩემი შევიწროება ჯერ კიდევ 2005 წელს დაიწყო, როდესაც თავდასხმა განახორციელეს ჩემზე და ჩემს ბიძაშვილზე. „ბალტიკასთან“ დაკავშირებით. პრეზიდენტსა და მის ძმას, დავით სააკაშვილს სურვილი გაუჩნდათ, ეს კომპანია მათ მიეღოთ, ოქრუაშვილის ხელით და დავალებით დამაკავეს.

**– მანამდე გქონდათ რამე შეტყობინება? ნებით დათმობა შემოგთავაზეს, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე?**

– არა, ამის შესახებ თავიდან ინფორმაცია არ გვქონდა. ეს ძალიან გვიან შევიტყვეთ.

**– დაკავების საფუძველი რა იყო?**

– ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დააკავეს დირექტორი, დამფუძნებელი და მერე მომადგნენ მე.

**– თქვენგან რა უნდოდათ, ამ კომპანიაში თქვენი ბიზნესინტერესები გქონდათ?**

– არავითარი ინტერესი არ მქონია, გარდა იმისა, რომ კომპანია იყო ჩემი ბიძაშვილის.

**– დაკავების ოფიციალური საფუძველი რა იყო?**

– თურმე ვყოფილვარ ყაჩაღი და 1995 წელს დუშეთის ავტობუსი დამიყაჩაღებია. ამ საქმეზე მომადგნენ 2005 წელს. თურმე ერთ-ერთ ინტერვიუში საგაზეთო სურათზე ამოვუცნივარ ერთ-ერთ დაზარალებულს და მივიდა პროკურატურაში. 1995 წელს მე საქართველოში საერთოდ არ ვიყავი, ციმბირში ვცხოვრობდი. გამოძიება კი ირწმუნებოდა, ამ დროს საქართველოს საზღვრები დაცული არ იყო და შენ შეგეძლო, გეყაჩაღა, მერე კი ისევ ციმბირში დაბრუნებულიყავიო. ერთი სიტყვით, მთელი სისულელეები... თუმცა, კარგად მესმოდა, რომ ეს თემა მხოლოდ საბაბი იყო, მთავარი მიზანი კი სულ სხვა ჰქონდათ. ერთი სიტყვით, როცა მტკვარი უკუღმა მიდის, იქ ველარაფერს იზამ და მეც გადავწყვიტე, დათმობაზე წავსულიყავი.

**– მოდულში ჰყავდით წაყვანილი?**

– არა, „კაპეზეში“. მაშინ მოდული პოპულარული არ იყო. იმ ღამესვე გამიყვანეს ღამის ორ საათზე და მოსამართლე სონღულაშვილმა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შემიფარდა. ამის შემდეგ დაიწყეს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.

**– ღამის ორ საათზე რატომ გაგიყვანეს?**

– ვარაუდობდნენ, რომ გამოვიყენებდი იმ ძალას, რაც გამაჩნდა.

**– რას გულისხმობთ?**

– მე მქონდა დაცვის კერძო კომპანია. ძალიან ბევრი თანამშრომელი მყავდა საქართველოს მასშტაბით. ალბათ, იფიქრეს, რომ ეს ხალხი გამიტაცებდა, ან სასამართლოზე მოახდენდა თავდასხმას. იმ დროს მიშა ცდილობდა, ჟვანიას ფრთა გაენადგურებინა. მეც ჟვანიას მეგობარი, თანამოაზრე გახლდით. 2003 წელს მე მისი პარტიიდან ვიყრიდი კენჭს თერჯოლის რაიონში. ეს ბატონმა მიხეილმაც ძალიან კარგად იცოდა.

**– მაშინ თერჯოლა წააგეთ...**

– კი, 720 ხმით. სააკაშვილი ძალიან კარგად მიცნობდა. იცოდა ჩემი კავშირიც ჟვანიასთან და ჩვენ სხვა, არცთუ სასიამოვნო ურთიერთობებიც გვქონდა.

**– რას გულისხმობთ?**

– როცა საკრებულოს სააკაშვილი ვიღაც-ვიღაცებს კერძო საკუთრებას უნგრევდა და ართმევდა, მაშინ მას და მის მეგობრებს სერიოზული შეხლა-შემოხლა ჰქონდათ ჩვენთან, ჩვენი დაცვის კომპანიასთან. მას ეს წყენა ჰქონდა გულში ჩადებული.

**– თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ...**

– სააკაშვილი და მისი ხალხი უნგრევდა ხალხს ქონებას, რაკი თვლიდნენ, რომ ის უკანონო იყო. უკანონობის გასარკვევად არსებობს სასამართლო. ისინი კი პირდაპირ მიდიოდნენ და ხელყოფდნენ. ზოგიერთ ასეთი მესაკუთრის ქონებას ჩვენი დაცვის კომპანია იცავდა.

**– ეს როდის ხდებოდა?**

– სანამ „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა. მიშამ კერძო საკუთრების ხელყოფა საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდიდან დაიწყო. თუ გნებავთ, კონკრეტულ ამბებს მოგიყვებით ამის თაობაზე. მარჯანიშვილზე, „თი-ბი-სი“ ბაკის წინ თაღის თავზე ერთ-ერთ კერძო პირს ჰქონდა კომერციული ობიექტი. მიშას დამქაშებმა მიიყვანეს ამწეები ჩამოსანგრევად. ეს ჩემმა ბიჭებმა არ დაუშვეს და მთელი გაწევ-გამოწევა იყო. მერე თვითონ სააკაშვილი და დათო მუმლაძე შეგვხვდნენ და მოითხოვდნენ, ჩემი დაცვა იქიდან გამეყვანა, რადგან მათ ასე უნდოდათ. მე კატეგორიული წინააღმდეგი წავედი. ბოლომდე არ დავთმე. ბოლოს მეპატრონე მოვიდა ჩემთან, ამათთან ვერაფერს გავაწყობ და დაცვაც როდემდე მეყოლებაო. როგორც კი ჩვენი მომსახურება შევაჩერეთ, იმ კაცს ყველაფერი უკანონოდ გაუნადგურეს. უკანონოდ იმიტომ, რომ ამ კაცს ყველა საბუთი ჰქონდა კერძო საკუთრების დამადასტურებელი. სხვანაირად მე იქ დაცვას ვერ დავაყენებდი. ამ ინციდენტის გარდა, იყო სხვაც: ერთ-ერთ კერძო მესაკუთრეს წაართვეს საკუთრება დიღმის საავადმყოფოების ტერიტორიაზე. მასაც ჩვენ ვიცავდით...

**– იქნებ თვალში იმიტომ არ მოსდიოდით, რომ დავით მუმლაძის კონკურენტად აღიქმებოდით. მანაც ხომ გააკეთა დაცვის კომპანია?**

– არა, მუმლაძე უფრო გვიან გამოცხვა ამ ბიზნესში. ის ამ საქმესთან არაფერ კავშირში არ იყო. მე ვიცი, რატომაც მოდიოდა ჩემი მისამართით ასეთი ინტერესი. მე ათასობით ადამიანი მყავდა დასაქმებული საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის სამსახურში და მათთვის, ეტყობა, საშიშ ძალას წარმოვადგენდი. საბოლოოდ მიზანს მიაღწიეს კიდეც. ეს ძალა დაქსაქსეს, დააქუცმაცეს, გაანადგურეს.

**– ამბობთ, რომ ჟვანიას თანაგუნდელი იყავით. ჟვანია სანამ ცოცხალი იყო, ვინმე გეხებოდათ?**

– მეგობრობის გარდა, საქმიანი ურთიერთობაც გვქონდა. ის მხარს მიჭერდა თერჯოლაში. მე ვაშლიჯვრის ოფისსაც ვიცავდი. ანუ, მიშას ჩემზე ინფორმაცია ჰქონდა, რომ მე ვფლობდი კონკრეტულ ძალას და ეს ძალა უნდა განადგურებულიყო. როცა პრემიერ-მინისტრი მოკლეს, მაშინ გერმანიაში ვიყავი. ჩამოვედი და მისი მკვლელობიდან თვე-ნახევარში დამიჭირეს. სხვათა შორის, ეს არსად მომიყოლია და თქვენი მკითხველები პირველები გაიგებენ, რა დროიდან დაიწყო სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ჩემი ტერორი. შედეგად ამ ყველაფერს მოჰყვა „ბალტიკის“ წართმევა. თუმცა დღემდე საკითხავია, „ბალტიკა“ უფრო უნდოდათ, თუ ჩემი განადგურება. როცა ჯერ კიდევ ციხეში ვიყავი, ისინი შეიჭრნენ ჩემს სამსახურში, ყველა საბუთი ყველა დოკუმენტი, ყველა ფაილი წაიღეს. დღესაც არაფერი არ გამაჩნია. ამ სამსახურს პიროვნების საკუთრების დაცვის გარანტი ერქვა. დახურეს ეს სამსახური.

**– იმ დროისთვის, დაცვის სამსახურის გარდა, კიდევ რას ფლობდით?**

– არავითარი სხვა საკუთრება არ მქონია, გარდა იმისა, რომ ავლაბარში მქონდა საკუთარი სახლი. დაცვის სამსახური იყო ჩემი ერთადერთი ბიზნესი.



## „ბაჩო ახალაია გმირია, მე – ნაძირალა, ნაგავი, სუტენიორი...“

**– პატიმრობიდან რა პირობით გამოგიშვეს?**

– ვაღიარე, რომ ვიყავი „ყაჩაღი“, ჩემს ბიძაშვილს დაათმობინეს „ბალტიკა“, მოგვცეს 6-6 წელი პირობითი და გამოგვიშვეს. გაგვაფრთხილეს მკაცრად, თითის დაქნევით – თუ სადმე, ჟურნალისტებთან თავს წამოვყოფდით, არ უნდა დაგვვიწყნოდა, რომ პირობითი გვქონდა, რომელიც გაგვიაქტიურდებოდა ციხით. თუმცა, ყველაფერი ამით არ დასრულებულა. 2008 წელს დამიჭირეს ჩემს საკუთრებაში არსებული წყნეთის მიწასთან დაკავშირებით, რომ თურმე საბუთებზე რაღაც ხელმოწერები გამიყალბებია. ფინანსური პოლიცია იყო ამით დაინტერესებული. გადამახდევინეს 25 000 ლარი და წამართვეს მიწა. პირობითზე დამიმატეს კიდევ ორი წელი პირობითი. 2011 წელს ისევ დამიჭირეს იმისთვის, რომ თურმე 2004 წელში გამიყალბებია დოკუმენტები, როცა დაცვის სამსახური ჯერ კიდევ არსებობდა, და სახელმწიფოსთვის მიმიყენებია ზარალი 12000 ლარის ოდენობით. კანონით, თუ სახელმწიფოს ზარალი 24 ათას ლარამდე მიადგება, მხოლოდ ამ შემთხვევაში იწყება სისხლის სამართლებრივი დევნა. როცა წარმომიდგინეს დოკუმენტაცია და ის ანგარიშფაქტურები, რომლებიც თითქოს ადასტურებდა, რომ მე მიყიდია ლილოში ფორმები, გაირკვა, რომ ხელს მადებდა იმ კომპანიის ხელმძღვანელი, სადაც თურმე ფორმა ვიყიდე და ის ამბობდა, რომ დოკუმენტები ზვიად აბესაძესთან ერთად გააყალბა. აბსოლუტური სისულელე იყო ეს ყველაფერი. პირობითზე დამიმატეს კიდევ სამი წელი პირობითი და საბოლოოდ სულ გამომივიდა 11 წელი პირობითი.

**– ახლაც პირობითის ქვეშ ხართ?**

– არა, ღმერთის წყალობით, ახლა უკვე ამნისტია შემეხო, თორემ წარმოგიდგენიათ, პირობითზე ორჯერ მქონდა პირობითი დამატებული.

**– კანონით, როცა პირობითი მსჯავრი გაქვს და ამ დროს სჩადიხარ დანაშაულს, ის ვადა ავტომატურად გადაიქცევა თავისუფლების აღკვეთის ვადად...**

– აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს დაუშვეს იმიტომ, რომ, თუ დამიჭერდნენ, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ დავიწყებდი ყვირილს „ბალტიკის“ თემაზე, ჩემს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე, როგორ გადაიფორმე ფირმა და ა.შ. ეს კი არ აწყობდათ.

**– ახალაია თქვენი შვილის ნათლიაა. როგორ დაახლოვდით?**

– 2005 წელს ციხიდან რომ გამოვედი, გადავწყვიტე, ოჯახთან ერთად საქართველოდან საერთოდ წავსულიყავი. ერთხელ ჩემი მეგობარი, გრიგოლ ბაკურაძე მოვიდა ჩემთან და რესტორანში, ოქროყანაში წამიყვანა. უცხოებთან არსად გავდიოდი, მეგობარს კი გავყევი. იმ სუფრაზე მოვიდნენ გოგა ონიანი, რომელსაც მანამდე ვიცნობდით გრიგოლისგან და ბაჩო ახალია. იქ საუბარში მოვყევი ჩემი პრობლემების შესახებ და ისიც ვთქვი, რომ საქართველოდან ვაპირებდი წასვლას, რადგან აქ ცხოვრება აუტანელი იყო, რაზედაც ახალაიამ მითხრა, რომ ამიერიდან საქართველოში არავინ შემეხებოდა და დავრჩენილიყავი, პრობლემა არ იქნებოდა.

**– ახალაია მაშინ რა პოზიციაზე იყო.**

– სუბარის მოადგილე გახლდათ. არაფერი ისეთი პოზიცია არ ჰქონდა, ჭამა-სმის მინისტრი იყო და გართობის მეტს არაფერს აკეთებდა. მაგ შეხვედრის მერე დავმეგობრდით. იმ დროისთვის, ჩემი პრობლემების მოგვარების გამო მანქანა, „X5“ დაყენებული მყავდა ბაზრობაზე, გასაყიდად. ერთხელ, როდესაც ჩემს მანქანაში ონიანი და ახალია ისხდ-



სხვათა შორის, ეს არსად მომიყოლია და თქვენი მკითხველი პირველები გაიგებენ, რა დროიდან დაიწყო სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ჩემი ტერორი

Reuters



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ძმამ „ბალტიკა“ აბესაძეებს?

# რატომ ტოვებს საქართველოს ახალაიას საქმეში დაზარალებული ზვიად აბესაძე?



# EXCLUSIVE

ნენ, დამირეკა ბაზრობის დირექტორმა და მითხრა, რომ ამ „X5“-ით დაინტერესდნენ და უნდა მივსულიყავი. ერთად წავედით. იქ დამხვდა ორი პიროვნება, რომლებმაც ასეთი გარიგება შემომთავაზეს – მომცემდნენ ძველ „გრანდ ჩეროკს“, დამიმატებდნენ 5000 დოლარს და მეყოფოდა. არადა იმ მანქანაში გერმანიაში 70 ათასი ევრო მქონდა გადახდილი. რა თქმა უნდა, უარი ვთქვი. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, რომ უნდა დავთანხმებოდი ამ პირობას, თუ არ მინდოდა, რომ პრობლემები შემქმნოდა, გადაიწია პიჯაკი და დამანახვა, რომ იარაღი ჰქონდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ადამიანი კოდუას მოადგილე, კახა მისირელი იყო. ამ ამბავს მოჰყვა შეხლა-შემოხლა და რა თქმა უნდა, ბაჩოც ჩაერია. მან ძალიან სერიოზული მხარდაჭერა მომცა, იქით შეუტია მათ და უთხრა, რომ, თუ პრობლემები არ უნდოდათ, იქაურობას გაცლოდნენ. მისირელიც გაერიდა მას. ამ ინციდენტის შემდეგ უფრო დავმეგობრდით. იმედი მომეცა ადამიანის, რომელიც შეიძლებოდა გვერდში დამდგომოდა, რათა არ დავეჩაგრე. ამ ამბიდან 5-6 თვეში ახალაია დანიშნეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისევ გრძელდებოდა ჩვენი მეგობრობა. მერე კი აშკარად შეიცვალა. ჯერ გოგა ონიანი გამოაგდო სამსახურიდან. ის გამოექცა ახალაიას, რადგან პასუხისმგებლობა ვერ აიღო იმ მოვლენებზე, რაც მისი წამოსვლიდან 10 დღეში განვითარდა.

**– ციხის ბუნტს გულისხმობთ?**

– დიახ. გოგა ონიანის მამაც იყო ჩემთან მოსული და მთხოვა, იქნებ ბაჩოსთან მივსულიყავი და ისინი შეგვერიგებინა. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ბაჩო ძალიან გულდაწყვეტილი იყო, რომ გოგა ონიანმა ის ასეთ განსაცდელში მიატოვა და გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მათი გზები საბოლოოდ გაიყო.

**– ბავშვი მათ როდის მონათვლინეთ?**

– ამ პერიოდში. ბავშვი ციხიდან გამოსვლის შემდეგ გვეყოლა, პატარა ომარიკო, რომელიც ჩემს მეგობრებს მოვანათვლინე, ყოველ შემთხვევაში მე ასე მეგონა. მე ამ თემაზე მესაუბრა პატრიარქი და რა თქმა უნდა, ახალაია ჩემი შვილის ნათლია იქნება მთელი ცხოვრების მანძილზე. თუმცა ჩვენ ჩვენს ცოდვებზე თავად ვაგებთ პასუხს.

**– ურთიერთობა თქვენს შორის როდის დაიძაბა?**

– დაახლოებით ოთხი წელი არ ვხვდებოდით, როდესაც დილის 6 საათზე მოვიდა ჩემთან გრიგოლ ბაკურაძე და მითხრა, რომ ბაჩო მეძახდა რესტორანში. მერე რაც მოხდა, უკვე მთელმა საქართველომ იცის.

**– რატომ გაწყდა თქვენი ეს კავშირი?**

– რამდენჯერმე ტელეფონზე არ მიპასუხა, რამდენჯერმე არ მიმიღო. ჩავთვალე, რომ მინისტრობის ხიბლში იყო და გავეცალე.

**– ამასობაში ბიზნესი ისევააწყვეთ?**

– დაცვის სამსახური აღარ გამიკეთებია, მაგრამ ჩემი საკუთარი სახლი ავლაბარში გადავაკეთე 7-ნომრიან სასტუმროდ, სადაც უცხოელები ისვენებენ. მქონდა სტრიპტიზ-ბარი, რომელიც მოგვიანებით გავყიდე.

**– ღამის კლუბი „პალმები“?**

– როგორც კი ახალაიასთან ურთიერთობა დამეძაბა, გავყიდე და წამოვედი, თუმცა მის წინ მდებარე სამრეცხაო ახლაც ჩემია, რომელიც გაქირავებული მაქვს, თუმცა ხშირად ჩავდივარ იქ მანქანის გასარეცხად. „პალმებთან“ აღარავითარი შეხება აღარ მაქვს ბოლო ოთხი წელია.

**– თუმცა ასე არ ფიქრობს უფლებადამცველი გელა მებონია. ცოტა ხნის წინ სწორედ ამ ღამის კლუბთან ინციდენტი შეგემთხვათ და მებონიას განცხადებით, პოლიციის ვერის განყოფილებაში თქვენ მიმართ საქმის გამოძიებაა დაწყებული...**

– გელა მებონია თავის დროზე მთაწმინდის განყოფილებაში მუშაობდა, იმ დროს, როდესაც მე ამ კაფე-ბარში მოვიაზრებოდი. ის ხშირად მოდიოდა და მე ახლოს ვიცნობდი მას.

**– კლიენტად მოდიოდა?**

– მას უყვარდა იმის მუქთად მიღება, რაც მოუნდებოდა, აშინებდა ვილაც-ვილაცებს. ამ თემაზე საუბრის გაგრძელება არ მინდა... ერთი სიტყვით, ის ჩემთან ახლობლობდა. ბოლო დროს სამრეცხაოში ხშირად მოდიოდა მანქანის გასარეცხად. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ „პალმებთან“ შეხება აღარ მქონდა. ამის მიუხედავად, დაახლოებით ორიოდე კვირის წინ ის იქ ნასვამი მივიდა. რამდენჯერმე დამირეკა და ამის დადასტურება შემიძლია დეტალური ამონაწერით. მეუბნებოდა, ზვიად მოდი, აქ ვარ შენთან, „პალმებშიო“. ჩემი პასუხი კი იყო, რომ „ხომ გითხარი, „პალმები“ ჩემი არ არის, ნასვამი ხარ და თავი დამანებე“-მეთქი. რეკავდა და მეუბნებოდა, მოდი, ბიჭო, აქო. ვფიქრობდი, რომ ნასვამი იყო და ვუთიშავდი ტელეფონს. იმ დროს, როდესაც იქ ის საჯაროდ მაგინებდა, შემთხვევით მივიდა ჩემი ძმა, ისიც ნასვამი იყო. მოხდა კონფლიქტი, ერთმანეთისკენ გაიწიეს, მაგრამ მათ შუაში ჩაუდგნენ და ერთმანეთთან ახლოს არ მიუშვეს. ამის მერე მებონია ისევ მირეკავს და მეუბნება, შენი ძმა წაიყვანე, ბიჭო, სანამ მოვკლავო. მივხვდი, რომ იქ უკვე დაძაბული სიტუაცია იყო. აქვე გეტყვით, რომ მე ვარ მოწმეთა დაცვის პროგრამაში და მიცავს სახელმწიფო. მე ვთხოვე დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელს, დაგვეგეგმა, როგორმე გამოგვეყვანა ჩემი ძმა იქიდან ისე, რომ მე იქ არ მივსულიყავი, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ მებონია ჩემს წინააღმდეგ რაღაცას ამზადებდა. ერთი სიტყვით, ჩემი ძმა იმ კონფლიქტური ზონიდან გამოიყვანეს და წავიყვანე სახლში. ამასობაში გავიდა საათ-ნახევარი. მებონია ისევ მეუბნება, ამჯერად ძალიან უწმაწურად, რომ მივიდე. აქ უკვე ჩემი მოთმინებაც აივსო. როცა მივედი, იქ დამხვდა პატრულის ორი ეკიპაჟი. მე მისკენ ფიზიკურად არ გამიწევია. მან მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მეც რამდენჯერმე ასეთივე გზით ვუპასუხე (ზვიად აბესაძემ გვაჩვენა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მებონიას ფოტოები პატრულთან ერთად. – დ.ს.). მერე მან ჩემზე გამოიწია და დაცვამ გამიყვანა იქიდან, რადგან დამარწმუნეს, რომ ის პროვოცირებას ახდენდა. პატრულს მოვუწოდე, რომ ის კაცი იქიდან წაეყვანათ. ამის შემდეგ ვიფიქრე, რომ ინციდენტი ამოიწურა, რადგან ეს იყო ორი ნასვამი ადამიანის კონფლიქტი, სანამ სამ დღეში არ ვნახე გაზეთებში მისი ინტერვიუები, რომ თითქოს ძმები აბესაძეები „პალმებში“ უკანონოდ ყიდიან ნარკოტიკს და ათას უბედურებას. თუ ვინმე თბილისში, რა თქმა უნდა, მებონიასნაირი დაინტერესებული პირების გარდა, იტყვის, რომ მე ასეთ რამესთან რაიმე შეხება მაქვს, მზად ვარ, მთელი სიმკაცრით ვაგო პასუხი კანონის წინაშე. ახლა მებონია თავს მსხვერპლად ასაღებს და ამბობს, რომ თითქოს ზვიად აბესაძემ მას იმიტომ მიაყენა შეურაცხყოფა, რადგან წლების წინათ, როცა ის პოლიციელი იყო, ეს საუნა დამიხურა. ასეთი რამ ბუნებაში არ მომხდარა, არც ერთი დღით არ დახურულა ეს ობიექტი. რაც შეეხება იმას, რატომ გამოუშვეს მებონია პოლიციიდან, კარგი იქნება, თუ ამით დაინტერესდებით ჟურნალისტები. როდესაც მას ჩინის მომატება მოუნდა და მისი საბუთები გადაათვალიერეს, აღმოჩნდა, რომ ყალბი დიპლომი ჰქონდა.

ძალიან ბევრჯერ იყო, რომ, თუკი ვინმეს ჩემთვის წყენა და ტკენა უნდოდა, ყველა „პალმებზე“ მიუთითებდა. ეს არის პატარა კაფე-ბარი, სადაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალები იყრიან თავს. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ მე იქიდან წამოვედი, რათა ამ ყველაფერს მოვრიდებოდი. მაშინაც კი, როცა ჩემი სახელი ერქვა ამ ბარს, გაქირავებული მქონდა ის. ერთი დღეც კი არ მიმუშავებია თავად ეს ობიექტი. მე ვიყავი მეიჯარე, გავარემონტე და გავეცი სხვაზე იჯარით. ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც არსებობს, მაგრამ არავის უნდა ამაში ჩახედვა. ხალხს მარტო იმის დანახვა უნდა, რაც უნდა, რომ დაინახოს. „პალმების“ თემა გამოიყენეს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ბაჩო ახალაიას მხარდამჭერებმა და ჩემი მისამართით შავი პიარი დაიწყეს, რომ მე ვიყავი ასეთი საშინელი ადამიანი და აი, ხალხო, ნახეთ, ვინ უპირისპირდება მინისტრს, სახელმწიფო გმირს! ბაჩო ახალაია გმირია, მე – ნაძირალა, ნაგავი, სუტენიორი.

**– თქვენი ბიზნესების შინაარსი ხომ არ გიქმნით გარკვეულწილად არცთუ სასურველ იმიჯს?**

– გეთანხმებით, მაგრამ სტრიპტიზ-ბარი სულ სხვა სფეროა. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ არ იციან, რომ ეს არის ცეკვის ხელოვნება. მიუხედავად იმისა, რომ ის ცეკვის დროს იხდის, თითს ვერავინ დაადებს იმ ქალს. სასტუმრო რატომ ასოცირდება რამე უკეთურობასთან? მიბრძანდით იქ ნებისმიერ დროს კამერით, მე გაძლევთ უფლებას, და თუ თქვენ ნახავთ იქ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს, სახალხოდ მოვუხდი ყველას ბოდიშს. სასტუმრო დღეს აქვს ნახევარ თბილისს, სახლები გადააკეთეს და ამით არსებობენ. შეიძლება ამას ასოცირება გაუკეთო რამე სიბინძურესთან? შესაძლოა, ვინმეს ეს უნდა კიდეც. მებონიასნაირ ადამიანებს წარმატებით იყენებენ „ნაციონალური მოძრაობის“ კონკრეტული ჯგუფები, რომელსაც თუთბერიძე და ონიანი წარმოადგენენ, რომ ააგორონ შავი პიარი მათი ე.წ. მტრების მიმართ. მეც, როგორც ჩანს, მტრად აღმიქვამენ. მე კი არავის მტერი არ ვარ. რაკი ჩემ მიმართ განხორციელდა ფიზიკური ზეწოლა, შეურაცხყოფა, თავისუფლების აღკვეთა, ამის გამო მივეცი ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე სხვის მიმართ მაქვს რამე პრეტენზია. თუთბერიძემ და ონიანმა ფული დახარჯეს და გააკეთეს საიტი – „სუტენიორი ზვიად აბესაძე“. ამ საიტზე ონიანმა ის ფოტოებიც კი დადო, რომელიც ერთად, „ძმაკაცებმა“ ქეიფის დროს გადავიღეთ. რომც ვიყო ასეთი, სად აქვს ნამუსი, როცა ამას აკეთებს?

**– რატომ არ უჩივით?**

– განუკითხაობისა და უკანონობის ქვეყანაში ვის ვუჩივლო?

**– დღესაც ასე აღიქვამთ ამ ქვეყანას?**

– ასე უცებ ვერ დალაგდება ყველაფერი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან უნდოდათ, ხმამაღლა ვაცხადებ: არ ვაპირებ იარაღის აღებას და არც იმას, რომ ვინმეს სახლში მივუხტე, ან ცემა-ტყეპა დავუწყო ვინმეს. მათ ძალიან უნდოდათ, რომ როგორღაც ჩემ მიმართ საქმე აღიძრას...

**– მაგრამ „პალმების“ ინციდენტზე ხომ აღიძრა საქმე?**

– მხოლოდ ფაქტზე და არა კონკრეტულად ვინმეს მიმართ. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ. ერთხანს გადაწყვეტილი მქონდა, იგნორირება გამეკეთებინა ამ ბინძური ჭორებისთვის. ახლაც არ ვიცი, შეცდომას ვუშვებ თუ არა, როცა ამის შესახებ თქვენ გელაპარაკებით, როცა ასეთ სიბინძურეზე პასუხს იძლევი, ოპონენტი გრძნობს, რომ შენი დონეა. რასაც ახლა მებონია აკეთებს, ეს უმწეო, ბილწი ადამიანის საქმეა და ამას ვერასდროს მივიღებ. დავიღალე... ძალიან ბევრი ინფორმაცია მაქვს ყველაზე და ამიტომ ყველამ თავის თავს მიხედოს.

**– როდესაც ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება მიეცით და ამაზე სამართალდამცველებმა მყისიერი რეაგირება მოახდინეს იმ დროს, როდესაც 19 ათასი განმცხადებელი ელოდება მათგან ასეთივე რეაგირებას, გაჩნდა გარკვეული ეჭვები, რომ თქვენსა და ივანიშვილის ხელისუფლებას შორის მოხდა გარკვეული გარიგება...**

– მაგალითად, რაზე?

**– ვთქვათ, თუნდაც ბიზნესის მხარდაჭერაზე...**

– სისულელეა... მე არავითარი ისეთი ბიზნესი არ მაქვს საქართველოში, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა მჭირდებოდეს. რატომ უნდა გავურიგდე ამ მთავრობას? რამე ტენდერი მომაგებინა? რამე სერიოზულ საქმეში ჩამრთო? დიდი ფული მაშოვნინა? დღესაც ბანკის ვალებს ვიხდი.

**– და მაინც, რატომ გადაწყვიტეთ, გეჩივლათ თქვენი შვილის ნათლიისთვის? არ ჰგავხართ ადამიანს, რომელსაც ჩივილი უყვარს...**

– ჩემს ადგილზე თქვენ რას იზამდით? ბოლომა მკლავდა და დიდი სურვილი მქონდა, რომ ბაჩო ახალაიას იმ ყველაფრის შემდეგ გავსწორებოდი. ამის გამო ტაძარში დავიწყე სიარული. რამდენჯერმე პატრიარქს ჩავაბარე აღსარება. მან დეტალურად იცის ყველაფერი და მოთმინებისკენ, ლოცვისკენ მომიწოდა. მართლმსაჯულებას რომ ჩვენება მივეცი, ესეც პატრიარქთან შევათანხმე, რადგან გულში არ დამეტოვებინა ეს სიბინძურე, რაც მქონდა. მართლა მქონდა – ვიბოღმებოდი, ვკვდებოდი. მან დაარღვია კანონი. მე სახელმწიფომ მცნო დაზარალებულად. აგოს კანონის წინაშე პასუხი. მე მიმიტევებია.

**– ორშაბათს ბოლო სასამართლო სხდომაა ამ ეპიზოდზე. არ არის გამორიცხული, რომ ახალაია გაამართლონ...**

– არ არის პრობლემა. ღმერთმა ხომ იცის, რომ ეს მოხდა?

**– ორშაბათს თქვენ საქართველოდან მიემგზავრებით. ეს ამ პროცესს უკავშირდება?**

– არავითარ შემთხვევაში. 4-5 დღეში ვაპირებ უკან დაბრუნებას. მივდივარ ჩემს პირად საქმეებზე. ამ ქვეყანას უვარგისებს არ დავუტოვებ. რაც არ უნდა მოხდეს ჩემს გარშემო, არსად ვაპირებ წასვლას, რა თქმა უნდა, თუ ცოცხალი ვიქენი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეს შეიძლება ბევრისთვის მოწმენდი

**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე „ნაციონალური მოძრაობისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ შემადგენლობით ახალი პოლიტიკური კოალიციის შექმნას პროგნოზირებს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას, ბრეგაძე საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ამბობს, რომ ახალი ულტრალიბერალური ალიანსის შექმნა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ იგეგმება. პროექტის დამფინანსებლად ბრეგაძე ამერიკელ მილიარდერ ჯორჯ სოროსს ასახელებს. „იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში სხვადასხვა სფეროში სერიოზული ჩავარდნებია, მზადდება ნიადაგი ახალი ულტრალიბერალური ალიანსის შესაქმნელად“, – ამბობს ბრეგაძე. ერთ-ერთ ასეთ „ჩავარდნად“ კი ის ციხეებში არსებულ მდგომარეობას მიიჩნევს. ჩვენთან საუბრისას „ეროვნულების“ ლიდერი ყვება, რომ მისი თანდასწრებით ერთ-ერთ ბიზნესმენს ციხიდან კრიმინალურმა „ავტორიტეტმა“ დაურეკა და ორი საათის განმავლობაში მისგან ფინანსებს ითხოვდა.

**სანდრო ბრეგაძესთან ინტერვიუ რესპუბლიკელებისა და ნაციონალების შესაძლო კავშირებზე საუბრით დავიწყეთ.**

**– სანდრო, რატომ ფიქრობ, რომ ახალი ლიბერალური კოალიცია შეიქმნება „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართულ ოცნებაში“ შემავალი რამდენიმე სუბიექტის შემადგენლობით?**

– პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს კოალიცია ჩამოყალიბდება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ. მართალია, ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის პოსტს საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე დღეში დატოვებს, მაგრამ მე ვფიქრობ, ის ამ გადაწყვეტილებას სადღაც ადგილობრივი არჩევნების პერიოდში მიიღებს. 99-პროცენტიანი სიზუსტით შემიძლია გითხრათ, რომ ამის შემდეგ შეიქმნება ე.წ. პროდასავლური, ულტრალიბერალური ალიანსი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეული ჯგუფი. ამ ჯგუფში მოიაზრებიან დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, ზურაბ ჯაფარიძე, მიშა მაჭავარიანი, გიგი წერეთელი, ახალგაზრდა გოგონები – ბოკუჩავა და და საჯაია. ანუ საუბარია იმ პირებზე, რომლებიც უშუალოდ მძიმე დანაშაულებში არ არიან გარეულნი, მაგრამ წარმოადგენენ „ნაციონალური მოძრაობის“ ბირთვს.

**– „ქართულ ოცნებაში“ შემავალი სუბიექტებიდან ვის მოიაზრებთ ამ კოალიციაში?**

– „ქართული ოცნებიდან“ ამ კოალიციის წევრები იქნებიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც დეკლარირებულად აცხადებენ, რომ არიან პროდასავლური და ულტრალიბერალური ფასეულობების მხარდამჭერნი. ძირითადად, ვგულისხმობ „რესპუბლიკურ პარტიას“. ეს არ არის ჩემი ლოგიკური ანალიზი, ეს არის ძალიან სარწმუნო წყაროზე დაყრდნობილი ინფორმაცია. ამ პროცესის ლობირებას ახდენენ ამერიკის გარკვეული პოლიტიკური ძალები გოგა ბოკერიასთან კოორდინირებით. ამ ინფორმაციას, ცხადია, კატეგორიულად უარყოფენ „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ და „რესპუბლიკურ პარტიაშიც“, შეიძლება ამას სანდრო ბრეგაძის მიერ მოგონილი ზღაპარიც უწოდონ. ეს, ცხადია, ასე იქნება, რადგან მათი გეგმები არის მკაცრად გასაიდუმლოებული. გასაიდუმლოებული იქნება მანამ, სანამ ბიძინა ივანიშვილი არ წავა აქტიური პოლიტიკიდან. თუ ეს წინასწარ იქნება გაცხადებული, ამ პროცესს ხელი შეეშლება.

**– ანუ შენ გინდა თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ცნობილია თავისი ეჭვიანობით, ეს პროცესი გამოეპარა?**

– ეს არ არის შიდა ფარული პროცესი, ეს უფრო საერთაშორისო პოლიტიკური შეთქმულებაა. პროცესი, რომელიც ამჟამად ფარულად მიმდინარეობს, არ წყდება საქართველოში, ყველა დეტალი თანხმდება და იგეგმება ვაშინგტონის გარკვეულ წრეებში. გავხსნი კარტებს და პირდაპირ გეტყვით, რომ ამ პროცესის დამფინანსებელი გახლავთ ჯორჯ სოროსი, რომელმაც უკვე გამოყო კონკრეტული თანხები. მას უშუალო კოორდინირება აქვს უშიშროების საბჭოს მდივანთან, თუმცა თავად გიგა ბოკერია აქტიურად არ იქნება ჩართული ამ ალიანსში. ის შეასრულებს ერთგვარად რუხი კარდინალის ფუნქციას. ეს შეიძლება ბევრისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყოს. ბევრ ადამიანს ასეთი ტიპის ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდება.

**– მით უმეტეს, საინტერესოა, შენ საიდან მიგიწვდება ხელი, თუკი ამ დონეზეა გასაიდუმლოებული?**

– ფაქტია, რომ ეს პროცესი ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან მიმდინარეობს. ის თავადაც ამბობს, რომ მოვა დრო და კოალიციაში შემავალი ყველა პარტია თავის გზას იპოვისო. ამ გზის ძიება უკვე დაწყებული აქვს „რესპუბლიკურ პარტიას“. რაც შეეხება იმას, საიდან ვფლობ მე ამ ინფორმაციას, გეტყვი, რომ ეს არის დასავლეთის პოლიტიკური წრეებიდან გამოჟონილი ინფორმაცია, მათ შორისაა ერთ-ერთი გავლენიანი პარლამენტარი. მინდა გითხრა ისიც, რომ ამ პროცესში ჩაბმული იქნება არასამთავრობო სექტორის საკმაოდ დიდი ნაწილიც. საუბარია ძირითადად ლიბერალური მიმართულების ორგანიზაციებზე. ყველაზე მთავარი ამოცანა ახალი კოალიციის, რომელიც იქმნება სოროსის ფინანსებითა და ბოკერიას პატრონაჟით, იქნება ის, რომ ნაციონალური მოძრაობა“ არ აღიგავოს პირისაგან მიწისა და მეორე – მოხდეს სერიოზული დაპირისპირება იმ რეალურად ეროვნულ ძალებთან, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში მოიკრებს ძალას უახლოეს ხანში. ამ პროექტში აკუმულირდება საკმაოდ დიდი თანხები, სოროსის ფინანსების გარდა, ჩაიდება „ნაციონალური მოძრაობის“ საკმაოდ მსხვილი ფინანსური რესურსიც.

**– როდესაც სოროსზე საუბრობ, მინდა შეგახსენო, რომ ის ცოტა ხნის წინ საქართველოში იყო ჩამოსული და საკმაოდ გულთბილი მიღება მოუწყო პრემიერ-მინისტრმა?**

– კი, ბატონო, ეს პრემიერ-მინისტრის პრეროგატივაა. მას შეუძლია, ჯორჯ სოროსსაც მოუწყოს შეხვედრა და ვთქვათ, აჰამადინეჯადსაც. სახელმწიფო მეთაურებს უწევთ ისეთ პირებთან შეხვედრაც, რომლებიც მათთვის შესაძლოა, მიუღებლებიც იყვნენ. მთავარია, ადამიანს რომ შეხვდები, მისი იდეოლოგია არ გაატარო. როდესაც სააკაშვილი ხვდებოდა სოროსს, ის პირდაპირ მის დავალებებს ახორციელებდა შემდგომში. დროა, ამ ყველაფერთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილმა დროულად მიიღოს ზომები და არ დაუშვას ქვეყანაში ახალი ანტიეროვნული და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული პროექტის განხორციელება. ჩემდა სამწუხაროდ, ივანიშვილის მთავრობაში უკვე არის სერიოზული ჩავარდნები, რომელიც განგაშის ზარის შემოკვრას საჭიროებს. ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს სხვადასხვა სფეროზე, მოსახლეობაში უკმაყოფილება მატულობს და ეს არ არის შემთხვევითი. ამ ყველაფრის უკან უფრო კარგად დაგეგმილი პროვოკაცია მოჩანს.

**– შენ თქვი, რომ მოსახლეობაში უკმაყოფილება მატულობს... ამ მხრივ, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად კვლავ ციხეებში არსებული სიტუაცია რჩება და როგორც ვიცი, გარკვეული ინფორმაცია გაქვს ე.წ. მაყურებლების ინსტიტუტის შესახებ...**

– მინდა, პირდაპირ მოგიყვეთ ფაქტი, რომლის უშუალო მომსწრეც გავხდი. ეს რომ გამეგო, სხვისგან არ დავიჯერებდი და ეჭვს შევიტანდი, მაგრამ ეს მოხდა უშუალოდ ჩემი თანდასწრებით. პირდაპირ გე-



**„ეს არის დასავლეთის პოლიტიკური წრეებიდან გამოჟონილი ინფორმაცია, მათ შორისაა ერთ-ერთი გავლენიანი პარლამენტარი“**



**„ციხეებში არის დიდი რაოდენობით აკრძალული ნივთები, მათ შორის მობილური ტელეფონები და ნარკოტიკები“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლ ცაზე მეხის გავარდნასავით იყოს





# EXCLUSIVE

## „ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ რესპუბლიკელები და ნაციონალები კოალიციას შექმნიან“

უბნებით, რომ ციხეებში არის დიდი რაოდენობით აკრძალული ნივთები, მათ შორის მობილური ტელეფონები და ნარკოტიკები. ჩემს თვალწინ ციხიდან დაურეკეს ერთ-ერთ ბიზნესმენს, რომელსაც პატიმარი 2 საათის განმავლობაში პირდაპირი მნიშვნელობით „აკაჩავებდა“. შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ ეს არის უტყუარი ინფორმაცია. ციხიდან ურეკავენ ბიზნესმენებს და კრიმინალური ავტორიტეტები პირდაპირ ამ სიტყვებით მიმართავენ, – მოვიდა ჩვენი დროო. შეშინებული ბიზნესმენები უკვე მათ ოჯახებსა და ახლობლებს ინახავენ. ეს არის რეკეტი და მეტი არაფერი. ხომ გეუბნები, პირადად შევესწარი, როგორ ურეკავდა ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტი ჩემს ნაცნობ ბიზნესმენს, რომელმაც სატელეფონო საუბრის შემდეგ მითხრა, – უკვე შემაწუხეს ციხიდან, ფულებს „გვახევენო“. ვის შეაქვს ციხეში მობილური ტელეფონი? მე და შენ რომ ვერ შევიტანთ, ფაქტია, ვერც ადვოკატი გარისკავს ამას. ცხადია, ეს არის კორუფციული გარიგების საგანი ციხის ადმინისტრაციასა და კრიმინალებს შორის. ეს არ არის 2-3 სამი ტელეფონი, ციხეში ტრიალებს ასობით ტელეფონი, რომელსაც ასეთი რეკეტისთვის იყენებენ. მაშინ კეთილი ინებონ და ოფიციალურად დაუშვან ტელეფონები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობას მაინც აიღებს ვინმე. რა თქმა უნდა, ამაზრზენია ის, რაც გასულ წლებში ხდებოდა, მაგრამ კატეგორიულად დაუშვებელია, ციხეები კრიმინალების მართვაში გადავიდეს. ეს არის საგანგაშო. თუ ვინმეს სძინავს, დროა, გამოფხიზლდეს და დროულად მიხედოს ამ საქმეს.


BEST INTERNET BANK AWARD

GLOBAL FINANCE

საუკეთესო ინტერნეტ ბანკი
იურიდიული პირებისათვის
ცენტრალურ და აღმოსავლეთ
ევროპაში

თიბისი ბანკი
TBC BANK

**თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკი იურიდიული პირებისათვის მსოფლიოს წამყვანი ავტორიტეტული ჟურნალის, Global Finance-ის ორი ჯილდოს მფლობელი გახდა. კერძოდ, თიბისი ბანკის იურიდიული პირების ინტერნეტ ბანკი დასახელდა, როგორც**

1. საქართველოში საუკეთესო ინტერნეტ ბანკი იურიდიული პირებისათვის
2. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო ინტეგრირებული ვებ-გვერდი

„ჩვენთვის დიდი პატივია მივიღოთ ასეთი პრესტიჟული ჯილდო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემისგან, მით უფრო სასიხარულოა, რომ გამარჯვება ერთდროულად ორ ნომინაციაში მოვიპოვეთ. ვამაყობთ, რომ შევქმენით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში საუკეთესო ინტერნეტ ბანკი იურიდიული პირებისათვის. ეს გვაძლევს კიდევ უფრო მეტ სტუმულს, შევინარჩულოთ პირველობა პროგრესისა და ინოვაციის თვალსაზრისით“- აცხადებს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე.

Global Finance-ის ინტერნეტ ბანკის ჯილდო ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა მსოფლიოში და ის უკვე მე-14 წელია ავლენს ონლაინ საბანკო სერვისების წამყვან, საუკეთესო პროვაიდერებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თიბისი ბანკი წელს გამარჯვებულად დასახელდა ისეთი ავტორიტეტული ფინანსური ინსტიტუტების გვერდით, როგორებიცაა HSBC, Citi, Santander, Standard Chartered და ა.შ.

Global Finance-ის მიერ საუკეთესო ინტერნეტ ბანკის პროვაიდერების შეფასებისას მთავარი კრიტერიუმია ინტერნეტ ბანკის ფუნქციონალობის დონე, არსებული კლიენტების ინტერნეტ ბანკთან ინტეგრირების ხარისხი და ახალი კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნების სტრატეგიის ეფექტურობა.

თიბისი ბანკმა იურიდიული პირებისათვის ახალი ინტერნეტ ბანკი 2013 წლის მაისში, გრძელვადიანი კვლევებისა და კონსულტაციების შემდეგ დანერგა. იურიდიული პირების ინტერნეტ ბანკი მთლიანად მორგებულია ბანკის კორპორატიული კლიენტების მოთხოვნებზე. კერძოდ, კორპორატიული იტერნეტ ბანკით სარგებლობის გზით შესაძლებელია:

· ყველა ტიპის გადარიცხვის შესრულება და მათი ავტორიზება მობილურში დაყენებული დიჯიპას აპლიკაციის მეშვეობით;

· ჯგუფური გადარიცხვების შესრულება (ხეფასების ჩარიცხვა, გადასახადების გადახდა და სხვა);

· ყველა კომუნალური დავალიანების ერთიანად ნახვა და გამარტივებული გადახდა;

· ბიზნეს პლასტიკურ ბარათებზე სრული ინფორმაციის მიღება და ოპერაციების შესრულება;

· კომპანიის ჯამურ აქტივებზე და ვალდებულებებზე ინფორმაციის ნახვა;

· ბანკში მოუსვლელად ახალი მომხმარებლების დამატება და მათთვის უფლებების მინიჭება;

· პირადი პარამეტრების მართვა (ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის სახელის, პაროლის ცვლილება, ანგარიშების დამალვა-გამოჩენა);

· ინტერნეტ ბანკის ახალი დიზანის საკუთარ მოთხოვნებზე მორგება.

დღეისათვის თიბისი ბანკის იურიდიული პირების ინტერნეტ ბანკის მომხმარებელთა რაოდენობა მთლიანი კორპორატიული კლიენტების 36%-ს შეადგენს. ონლაინ სერვისების მიმართ მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, თიბისი ბანკი გეგმავს გაააქტიუროს მუშაობა, ახალი კორპორატიული კლიენტების ინტერნეტ ბანკთან ინტეგრირების მიზნით.

(A)


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.




## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**

- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.



**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ბიზნესსაქმიანობას ეწევა ელისო ჩაფიძის ქმარი და რა ბრალდებით იხდიდა ის სასჯელს?

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

„კარგად დააკვირდით, გასათხოვარია, ძალიან ლამაზია და კარგი პატარძალი იქნება“, – ამ სიტყვებით წარუდგინა გასულ წელს ბიძინა ივანიშვილმა ქუთაისში შეკრებილ მხარდამჭერებს ტყიბულის მაჟორიტარობის კანდიდატი, ელისო ჩაფიძე. სავარაუდოდ, მას შემდეგ ელისოს ბევრი აკვირდებოდა, თუმცა საბოლოოდ მისი გული დავით მიქაბერიძემ მოინადირა. ჯვრისწერა და ქორწილი იმავე ქალაქში შედგა, სადაც ელისო ტყიბულის მაჟორიტარად და „კარგ პატარძლად“ წარადგინეს. ელისო ჩაფიძის დაქორწინების შემდეგ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი მეუღლის ირგვლივ მედიასა და სოციალურ ქსელებში სხვადასხვა ინფორმაციები გამოჩნდა, ზოგი – ჭორი, ზოგიც – მართალი. ამბობენ, რომ დავით მიქაბერიძე რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი კრიმინალური გარჩევის დროს დაჭრეს. ითქვა ისიც, რომ ის ჯონი გიგანის ბიზნესპარტნიორია, რომელიც 2010 წელს ნარკოტიკებზე დააპატიმრეს და ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამნისტიით განთავისუფლდა.

**„პრაიმტაიმი“ დავით მიქაბერიძის ირგვლივ გავრცელებულ ხმებზე მის ადვოკატს, თამარ აბესაძეს ესაუბრა:**

– პირველ რიგში, მინდა დათოსა და ელისოს გაბედნიერება მივულოცო. მინდა იმედი გავუცრუო ყველა ბოროტ ადამიანს, რადგან დავით მიქაბერიძე ნამდვილად არ გახლავთ კრიმინალი. ის არის მსხვერპლი იმ მახინჯი პოლიტიკური სისტემის, რომელიც წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული საქართველოში.

**– როგორ იქცა ის „პოლიტიკური სისტემის მსხვერპლად“?**

– სამართალდამცველ ორგანოებს, როგორც მოგეხსენებათ, ჰყავდათ კარგად ორგანიზებული აგენტურული ქსელი. იბარებდნენ წარსულში ნასამართლევ ხალხს, ასევე, მათ, ვისაც რაიმე გადაცდომა ჰქონია, მათ სთავაზობდნენ თანამშრომლობას და როგორც იტყვიან, „ავერბოვკებდნენ“. რომელიღაც ასეთმა „დავერბოვკებულმა“ სული გაყიდა და დავით მიქაბერიძის სახელი ახსენა ორგანოებში. მიქაბერიძე გახლდათ ჯონი გიგანის ბიზნესპარტნიორი, „მორკინალი 2“-ის დირექტორი. შესაბამისად, იფიქრეს, რომ ის იქნებოდა ერთ-ერთი მსუყე ლუკმა, რომელიც დიდ ფულს გადაიხდიდა თავისუფლების სანაცვლოდ. ერთ დღესაც, როდესაც დავით მიქაბერიძე სამსახურში მიდიოდა, მისმა ნაცნობმა დაურეკა და საბურთალოს ტერიტორიაზე დაიბარა. მას შეხვდა და რეალურად საუბარი ჰქონდათ სარეკლამო ბანერებთან დაკავშირებით. საქმიანი საუბრის შემდეგ, მიქაბერიძემ დაქოქა მანქანა და სულ რაღაც წამებში ორმა მანქანამ გზა გადაუკეტა და გადმოხტნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები. გამომდინარე იქიდან, რომ დავით მიქაბერიძე წარსულში დააყაჩაღეს, მან იფიქრა, რომ ამჟამადაც საქმე ჰქონდა კრიმინალებთან და გაარღვია ჩახერგილი მანქანები. საკუთარი მანქანით შეეცადა გაქცევას. აღნიშნული პირები მას დაედევნენ. დათომ შეძლო სამსახურამდე მისვლა და იქ თანამშრომლებთან ერთად დახვდა უკან დადევნებულ პირებს, რომლებიც უკვე „მორკინალი 2“-ის ტერიტორიაზე ავტომობილებიდან გადმოვიდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგინეს პოლიციის მოწმობები. უთხრეს, – გვქონდა ინფორმაცია, რომ თქვენ კანონსაწინააღმდეგო ნივთს უნდა ატარებდეთო. ამ ნივთის გადამალვის საშიშროება არსებობს და ამიტომ ჩავატარეთ ეს ოპერაციაო.

**– უპოვეს რამე?**

– გაჩხრიკეს მანქანა მთლიანად, თავადაც გაჩხრიკეს, თუმცა, რა თქმა უნდა, ვერაფერი იპოვეს. რაც არ იყო, იმას, ცხადია, ვერ უპოვიდნენ. სადღაც თვე-ნახევრის შემდეგ დავით მიქაბერიძეს იბარებენ სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, სადაც ბრალი წაუყენეს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის, ასევე, ნივთის დაზიანებისთვის. ორივე მუხლი არის ნაკლებად მძიმე დანაშაული. გამომდინარე იქიდან, რომ მიქაბერიძე წარსულში ნასამართლევი არ არის, ნაწილობრივ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და მზად იყო, აენაზღაურებინა დაზიანებული ნივთის საფასურიც, საუბარია დადევნებულ ავტომობილზე, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენ ვითხოვდით, მოსამართლეს გამოეყენებინა სასჯელის მინიმალური ზომა. თუმცა მოსამართლემ თავი უკრა პირდაპირ მე-8 დაწესებულებაში და აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ყველაზე მაქსიმალური სასჯელი მიუსაჯეს. სასამართლო პროცესზე დავსვით კითხვა – რომელი პოლიციელების წინააღმდეგობის გაწევას ედავებოდნენ მიქაბერიძეს, როდესაც ეს პირები იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულნი და არც სპეციალური ავტომობილებით მოძრაობდნენ. ამაზე გვიპასუხეს, რომ ეს საიდუმლო ოპერაცია იყო. ანუ მას არ უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენ პოლიციელები ვიყავითო, შესაბამისად, თუ არ უნდა სცოდნოდა, პოლიციის წინააღმდგეობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამას ისმენდა მოსამართლე, მაგრამ რეაგირება იყო ნული. საბოლოოდ, დავით მიქაბერიძეს ამ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მიუსაჯეს 6 წელი და 6 თვე, პლუს 1000-ლარიანი ჯარიმა. პროკურორიც კი გაკვირვებული დარჩა, ამხელა სასჯელი როგორ გამოიტანაო.

**– რატომ დაინტერესდნენ მაინცდამაინც დავით მიქაბერიძის პერსონით? იყო საუბარი, რომ ნარკოტიკებს ეძებდნენ...**

– არანაირ ნარკოტიკებთან კავშირი არ ჰქონია. ეს არის მოგონილი, რომ როგორმე ჩირქი მოსცხონ მას. არასდროს ყოფილა მსგავს რამეში შემჩნეული. ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნარკოტიკის ჩადება უნდოდათ და უბრალოდ, ვერ მოახერხეს. პირდაპირ გვეუბნებოდნენ, რაკი ოპერაცია ჩაგვიშალეთ, ვერაფერს ეღირსებითო. საპროცესო შეთანხმებაზე ხომ საუბარიც არ იყო. არ გამოვრიცხავ, რომ მისი ეს დევნა პირდაპირ უკავშირდებოდა ბიზნესსაქმიანობას. ის გახლდათ ჯონი გიგანის ბიზნესპარტნიორი, გიგანი კი ცნობილია თავისი ოპოზიციური განწყობით. შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი ფაქტორი. ბიზნესის გარდა, დავით მიქაბერიძეს ჯონი გიგანთან ახლო ნათესაური კავშირი აქვს, ის გახლავთ ჯონის მეუღლის, თაკო ჩარკვიანის მამიდაშვილი. დავით მიქაბერიძემ ამნისტიის შედეგად დატოვა ციხე. მუხლებს, რომლითაც ის გაასამართლეს, ამნისტია შეეხო. დაუბრუნდა თავის ოჯახს და როგორც იცით, დაქორწინდა ელისო ჩაფიძეზე, რასაც მთელი გულით ვულოცავ ორივეს.

**– იყო საუბარი იმაზეც, რომ წლების წინათ მიქაბერიძე რუსეთში იყო დაკავებული და გარკვეული პერიოდი მოსკოვის ციხეში იხდიდა სასჯელს...**

– ეს ყველაფერი არის სრული აბსურდი. არანაირი შეხება მას რაიმე კრიმინალთან არ ჰქონია, არც საქართველოში და არც საზღვარგარეთ. მის შესახებ ასეთი ჭორების გავრცელება, ალბათ, უფრო ელისოს ფაქტორმა განაპირობა.




**„ის არის მსხვერპლი იმ მახინჯი პოლიტიკური სისტემის, რომელიც წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული საქართველოში“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




სეზონური ფასდაკლება თბილისი მოლში გრძელდება

SALE

TBILISI MALL




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# FBI-ს საიდუმლო დოკუმენტი

## როგორ შეაფასეს ამერიკელებმა 26 მაისის დარბევა და რატომ „ჩაუშვა“ სააკაშვილმა FBI



ნინო დათაშვილი

**სააკაშვილის სკანდალურ განცხადებას კიდევ უფრო სკანდალური გაგრძელება მოჰყვა. როგორც აღმოჩნდა, 26 მაისის ოპერაციას ამერიკელები აკვირდებოდნენ. სააკაშვილის განმარტებით, ეს FBI იყო, თუმცა, მოგვიანებით უკვე ვანო მერაბიშვილმა დააზუსტა, რომ საუბარია კერძო ამერიკულ კომპანიაზე.**

**მიხეილ სააკაშვილი:**

– 26 მაისს ამერიკული FBI-ს ჯგუფი იჯდა საქართველოს შსს-ში, მიტინგის დაშლის ყველა ეტაპს ადევნებდა თვალს მონიტორებზე და ბოლოს დაწერა დასკვნა, რომ ყველაფერი იყო კანონიერი.

ამ ფრაზას დიდი აურზაური მოჰყვა. ექსპერტების მოსაზრებით, სააკაშვილმა, უბრალოდ, დასავლეთი დააშანტაჟა და ხელშეუხებლობა მოითხოვა... რამდენიმე დღის შემდეგ, ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ საუბარია კომპანია „ბენსუსის“ მიერ ჩატარებულ მონიტორინგზე და იმ დოკუმენტზე, რომელიც ამავე კომპანიამ დადო. გასაიდუმლოებული დოკუმენტი, სადაც მიტინგის დაშლაა გაანალიზებული და საუბარი, სავარაუდოდ, იმ გადაცდომებსაც ეხება, რასაც ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან.

**გიორგი ჩივიაშვილი, ვანო მერაბიშვილის ადვოკატი:**

– როდესაც მიტინგის დაშლა მოხდა, ამერიკის საელჩოს მეშვეობით ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაუკვეთა ერთ-ერთ ფირმას, „ბენსუსს“ ექსპერტიზის ჩატარება აღნიშნული მიტინგის დაშლასთან დაკავშირებით, ანუ, რამდენად კანონიერი იყო და რა რეკომენდაციებს მისცემდნენ. ჩატარდა ეს ექსპერტიზა, იყვნენ საქართველოში ამ კომპანიის წარმომადგენლები და შემდეგ ეს დასკვნა გადაეცა შს სამინისტროს. მე რაც ვიცი ბატონი მერაბიშვილისგან, დასკვნაში საუბარია იმაზე, რომ მიტინგის დაშლის დროს ხელმძღვანელი პირების მხრიდან არ ყოფილა კონკრეტული გადაცდომის ფაქტი, შიგნით ასევე დევს რეკომენდაციები...

შოთა უტიაშვილიც ადასტურებს ინფორმაციას საიდუმლო დასკვნის თაობაზე. მისი განმარტებით, დოკუმენტი შიდა მოხმარებისთვის შეიქმნა და მისი გასაჯაროების უფლება სამინისტროს არ ჰქონდა.

საიდუმლო დოკუმენტი შესაძლოა, ძიებაში ჩაიდოს და დახურულ სასამართლოზე მაინც გასაჯაროვდეს.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატი მიიჩნევს, რომ ეს დოკუმენტი ვანო მერაბიშვილის მიმართ არსებულ ყველა კითხვასა და ბრალეულობას (26 მაისთან დაკავშირებით) მოხსნის.

მანამდე კი – ექსპერტები საკუთარი ვერსიებით. რატომ დაასახელა სააკაშვილმა FBI?

**ლევან ალაფიშვილი:**

– თუ თეორიულად ვიმსჯელებთ, ამ განცხადებას ჰქონდა გარკვეული მიზანი და ჰყავდა კონკრეტული ადრესატები. მხედველობაში მაქვს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორები. ყოველ შემთხვევაში, თუ მოსაზრებაზე ვსაუბრობთ, ეს მოსაზრება აბსოლუტურად საფუძვლიანია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი 26 მაისის ქმედების კანონშესაბამისობაზე ინფორმაცია არსებობდა, მაშინ არც პრეზიდენტს და არც სხვა პასუხისმგებელ პირებს ამის შესახებ საჯაროდ არ უთქვამთ. ეს საფუძვლიანს ხდის ეჭვს, რომ ეს განცხადება შემთხვევითი არ იყო. შესაძლებელია, ეს იყო თავის მართლება და პასუხისმგებლობის შემცირება ყოფილი ხელისუფლებისა, ან გნებავთ, პრეზიდენტისა. თუმცა სრულიად საფუძვლიანი შეიძლება იყოს ვარაუდი, რომ არის ე.წ. ვაჭრობის თემა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. შიგნით ვინ შეიძლება იყოს ამ ყველაფრის ადრესატი? ხელისუფლების ცვლილების კვალობაზე და ამ პროცესში უცხოური მხარდაჭერის თუ ჩართულობის გათვალისწინებით შესაძლებელია, ეს იყოს ხელისუფლება და ყოფილი ხელისუფლების ის გუნდი, რომელიც დღეს პარლამენტშია წარმოდგენილი. საერთაშორისო თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ეს შეიძლება იყოს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც კვლავ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად რჩება და ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის შიდა პროცესების განვითარებაში. ეს მოსაზრება შეიძლება იყოს საფუძვლიანი. რეალურად რა მიზანი ჰქონდა პრეზიდენტს, ეს მარჩიელობის საკითხია. კიდევ ვიმეორებ, თუ პრეზიდენტმა ეს განცხადება სწორად გააკეთა და აქციის დაშლის კანონიერების შესახებ ვინმესთვის ცნობილი იყო, სავარაუდოდ, ამ ათი თვის განმავლობაში ეს უნდა სცოდნოდა მინიმუმ შინაგან საქმეთა სამინისტროს. ფაქტობრივი გარემოება გავიგეთ, გავიგეთ კომპანიის დასახელება, გავიგეთ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ტრენინგი იქნებოდა თუ სხვა, ეს კომპანია წარმოადგენდა ამერიკის სახელმწიფოს კონტრაქტორს და შესაბამისად, რაღაც შეფასებებიც იყო გაკეთებული კანონიერებასთან მიმართებაში. შესაბამისად, როდესაც შიდა ადრესატებზე ვსაუბრობთ და გამოძიების მიმდინარეობას გავითვალისწინებ, არ გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტის მიზანი ესეც ყოფილიყო, ე.წ. მესიჯი გამოძიების, სამართალდამცავების თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, რომ რეალურად პასუხისმგებლობა ასე ადვილად ვერ დადგება.

**– ამ დასკვნით რა შეიძლება გაირკვეს?**

– ჩვენ არ ვიცით, რა წერია ამ დასკვნაში. ესეც ერთგვარი მარჩიელობის სფერო შეიძლება იყოს. რეალურად რაც ვიცით, ვიცით კომპანიის დასახელება, რომ ეს კომპანია არის ამერიკის სახელმწიფოს კონტრაქტორი. შესაბამისად, მან შეაფასა რაღაც ქმედებები. არ ვიცი, რა ქმედებები. შესაძლებელია, ის ონლაინრეჟიმში უყურებდა ამ ყველაფერს მონიტორებზე, ან შემდგომ ჩანაწერები აჩვენეს და ეს ქმედებები შეაფასა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს წვრთნისა და ტრენინგის კუთხით იყო ჩართული, მაშინ შესაძლებელია, კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული პირის ქმედებების ტექნიკური თუ მცირედ სამართლებრივი ნაწილით მიმოეხილა. ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. არ მაქვს საკმარისი ინფორმაცია მეტი დასკვნების გასაკეთებლად.





**კახი კახიშვილი:**

– პრეზიდენტი ყოველთვის არაკორექტული განცხადებებით გამოირჩეოდა მისი პრეზიდენტად მოსვლის დღიდან. ახლა, როცა ვადა ეწურება, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ცდილობს, ყველას ყველაფერი შეაწმინდოს. ისეთ ფორმირებას ახდენს, თითქოს ყველაფერი, რაც კარგი კეთდებოდა, მისი გაკეთებულია, ხოლო რაც ცუდია – ან ახალაიას ან ქარდავას ან სხვისი. ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით მახსოვს მისი ოდიოზური განცხადებები, როდესაც თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები როკის გვირაბის დაბომბვას აპირებდა. მე მგონი, სჯობია, რომ პრეზიდენტის განცხადებები ჯერ გავფილტროთ და შემდეგ გავუშვათ პირდაპირ ეთერში. რაც შეეხება კონკრეტულად 26 მაისს, არ მგონია, რომ FBI მთელ პროცესს აკვირდებოდა. არ არის გამორიცხული, რომ, როდესაც მიხვდნენ, რომ 26 მაისს სერიოზული დანაშაული ჩაიდინეს, ჩათვალეს, რომ რამენაირად საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში მაინც გამოსულიყვნენ უფრო ლამაზად. ფრაგმენტულად რაღაც მასალები გაუგზავნეს რომელიღაც ორგანიზაციას, რომელსაც სრული სურათი არ აჩვენეს. ჰკითხეს, ვარღვევთ თუ არა კანონსო, ბუნებრივია, მათ სრული მასალა ნანახი არ ჰქონდათ და დასკვნაც შესაბამისი ექნებოდათ. ის, რომ FBI 26 მაისს აქ იჯდა, მე არ მჯერა. 26 მაისის მოვლენებიდან რამდენიმე წელი გავიდა, თუ ამერიკა მართლა აცხადებდა, რომ მაშინ ყველაფერი კანონიერად განხორციელდა, როგორ ფიქრობთ, მიშა სააკაშვილი ამდენი წელი ჩუმად იქნებოდა? მაშინ როდესაც მთელი ქართული საზოგადოება მას სერიოზულად აკრიტიკებდა. ეს რომ ასე ყოფილიყო, ამ მოვლენებიდან რამდენიმე საათში განცხადების გაკეთებას მიშა სააკაშვილს ვინ დაასწრებდა? ვფიქრობ, ახლა ფაქტების დამახინჯებას აქვს ადგილი. თქვენ მოისმენდით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კომენტარს. მან თქვა, რომ ეს იყო სერიოზული ტრაგედია საქართველოს მოსახლეობისთვის. 26 მაისის შემდეგ არ დარჩა არც ერთი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც არ მოუწოდა საქართველოს 26 მაისის მოვლენების ობიექტური გამოძიებისკენ. ვფიქრობ, ის, რაც თქვა პრეზიდენტმა, სიმართლეს არ შეესაბამება.

**– ამ შემთხვევაში ცდილობს, დასავლეთს შეაწმინდოს ხელი ამ მოვლენებთან დაკავშირებით?**

– არა. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ არავინ არ იჯდა მაშინ საქართველოში. როდესაც მიხვდნენ, რომ დიდი დანაშაული ჩაიდინეს, შეეცადნენ, რამენაირად შეელამაზებინათ სურათი.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ გააკეთა პრეზიდენტმა ეს განცხადება საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე?**

– ეს მიშა სააკაშვილს ჰკითხეთ, რატომ გააკეთა 2011 წლის მოვლენებთან დაკავშირებით განცხადება 2013 წელს. მას სურვილი აქვს, ყველაფერი სხვას დააბრალოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

# ფსიქოპ



## ანუ რა სჭირს საქართველოს? რატომ იმატა სუიციდმა და რა საშიშროების წინაშე ვდგავართ?

მარიამ ნადირაძე

**ხშირად გვითქვამს, რომ არა ეკლესია და ოჯახის, მეზობლობისა და მეგობრობის ინსტიტუტი, საქართველოში ამდენი სტრესისა და ფსიქიკური ტრავმების ფონზე სრული შიზოფრენია იქნებოდა. თუმცა, ბევრი, ალბათ, იმასაც იტყვის, რომ არც უმაგისობა გვჭირს...**

იმასაც კარგად ვხედავთ, რომ ძალიან იმატა სუიციდისა და ძალადობის შემთხვევებმა...

„პრაიმტაიმმა“ ისარგებლა მომენტით, რომ რიგის გელშტალტის ინსტიტუტის დირექტორი, ფსიქოთერაპიის მეცნიერებათა დოქტორი, არტურ დამბროვსკი საქართველოს სემინარის ჩასატარებლად ესტუმრა და ჩვენს მკითხველს სწორედ მასთან ინტერვიუს ვთავაზობთ:

**– დააკვირდებოდით, ალბათ, ფონს, რაც ამ ქვეყანაშია. საინტერესოა, როგორ საზოგადოებას ხედავთ აქ? თქვენი აზრით, რა სჭირთ ადამიანებს, ვისაც საქართველოში ხვდებით?**

– როგორც ფსიქოლოგი, ვიტყვი, რომ არის დრამატული ფონი. ეს არ არის სტრესული, არამედ არის სტრესის შემდგომი მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ეს კიდევ ანალიზის სხვა სფეროა, თუ რატომ მიიღო ასეთი სტრესი საზოგადოებამ... ისეთ სიმპტომებზე შეგვიძლია ვისაუბროთ, როგორც კულტურაზე ტრავმის შემდგომ მდგომარეობაში, რაშიც რეალურად საქართველო დღეს იმყოფება. ბევრია შფოთი, შიში, ხშირად მხვდება მოუთმენლობა, თუ ვინმე ოდნავ გადის კომფორტის ზონებიდან, ოპონენტი მაშინვე ძალიან მკვეთრად რეაგირებს ამაზე. ხშირია დაძაბულობა, უჭირთ მიიღონ განსხვავებული აზრი. რა თქმა უნდა, ყველა ასე არ იქცევა, მაგრამ ხშირია მშფოთვარე რეაქციები მაშინაც კი, როცა არ არის საფრთხე. ძალიან მრავლად არის თავის დაცვის რეაქციები...

**– ეს სიმპტომატიკა მაშინ არსებობს, როცა კონკრეტულმა საზოგადოებამ უკვე იცის, რა არის საფრთხე?**

– დიახ, საქართველოში ხშირია გამოცდილება, რომ წესებიდან მცირედი გადახვევაც კი მკვეთრ რეაქციებს იწვევს. ახლა სიტუაცია თითქოს დაწყნარდა, მაგრამ არის ასეთი ანდაზა: სულს უბერავ წყალს, თუ დაიწვები რძეზე... მაინც ვერ იგებს ხალხი, უბრალოდ, დროებით ჩაწყნარდა სიტუაცია, თუ საფრთხემ საბოლოოდ გაიარა. ამიტომაც არის ასეთი გაურკვეველი რეაქციები.

**– სტრესის შემდეგ საზოგადოება უფრო აგრესიული ხდება?**

– უფრო მგრძნობიარე და უფრო რეაქტიული... ადვილია მისი პროვოცირება. როცა საქართველოს ვაკვირდები, ჩანს რომ აქ ხალხს უკვე გაუჩნდა რაღაც დასაკარგი – ლამაზი მაღაზიები, ბარები, კაფეები. როდესაც მშვიდად ვზივარ კაფეში და ვსაუბრობ, დიდად აღარ მინდება ავტომატებით სირბილი. თუ უკვე მაქვს საშუალება, სადღაც ტურისტულ მოგზაურობაში წავიდე, მძაფრ პოლიტიკურ-სამხედრო დებატებში ჩართვა აღარ მჭირდება. თუ ხვალ ვაპირებ, ვთქვათ, იტალიაში წასვლას, მე გავუფრთხილდები ჩემს დღევანდელ კომფორტს. ეს არის ის გარემოება, როდესაც ადამიანები უფრო მშვიდები და ტოლერანტულები ხდებიან. ასე რომ, ის, რაც დღეს არის საქართველოში – ეს შფოთი, შიში და აქტიურობა, სწორედ ტრავმის შემდგომი სიმპტომებია. მაგრამ უკვე აღარ არის ისეთი ძლიერი აგრესია. ჩემი აზრით, ამ სიტუაციებმა ადამიანებს მეტი ასწავლა, შესაძლებლობის ფარგლებში. ყოველ შემთხვევაში, გაჩნდა აზრი, რომ შეიძლება იყო უფრო მეტად მომთმენი.

**– მოდით, საქართველოს საზოგადოება წარმოვიდგინოთ ერთ ადამიანად...**

– ეს არის შეშინებული ადამიანი, რთულ სიტუაციაში, რომელმაც ისწავლა მობილიზება და მკვეთრი თავდაცვა... ჩემი აზრით. საქართველოში შიშის დროს კი არ იმალებიან, პირიქით, მაშინვე ბრძოლაში გადაეშვებიან... გარედან ეს უფრო შეიმჩნევა. აქ უფრო არის ნაბიჯის გადადგმა საფრთხეებისკენ, ვიდრე საფრთხეებისგან თავის არიდების მცდელობა. ეს გამოიხატება მანქანის მართვაშიც. ზოგჯერ მეჩვენება, რომ აქ ადამიანები სპეციალურადაც მიდიან რისკებზე, რომ გამოიწვიონ დაძაბულობა...

**– და რაზე მეტყველებს ეს?**

– ზუსტად იმაზე, რომ ხალხს გამოუმუშავდა ბრძოლის ჩვევა. ნაკლებია მოლაპარაკებების ჩვევები, ტოლერანტობა და მოთმინება. მათთვის უფრო მარტივია, დაიჭირონ სიტუაცია და დაიქვემდებარონ, დიალოგი კი მოთმინებას მოითხოვს. დაახლოებით ასეთი სიტუაციაა: იწყებთ მოლაპარაკებებს, რაღაც არ გამოდის და მაშინვე იწყება ბრძოლა. მოლაპარაკებებს შეიძლება დასჭირდეს კვირა, თვე, საჭიროა სიტუაციაში გარკვევა, ეს სულ სხვა ჩვევებს მოითხოვს. საჭიროა დრო, რომ ადამიანს ეს ჩვევა გამოუმუშავდეს...

**– წარმოიდგინეთ, რომ მე ვარ ის ადამიანი, ანუ საზოგადოება, რომელსაც მცემდნენ, საკუთრებას მართმევდნენ, მაშანტაჟებდნენ, იჭერდნენ ჩემი ოჯახის წევრებს, კლავდნენ ჩემს ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს, ძალადობდნენ ციხეში და ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე... მოულოდნელად, ვინც ამ ყველაფერს მიკეთებდა, ის სუსტდება. რას ვაკეთებ მე?..**

– ამ სიტუაციაში შენ გაქვს საფრთხე გახდე სწორედ ისეთივე მოძალადე. შენ დაიწყო ტერორი, როცა გადაწყვეტ, რომ შური იძიო შენზე მოძალადეზე. ძალიან დიდი სიბრძნე, მოთმინება და დრო არის საჭირო, რომ შურისძიების გრძნობამ გაიაროს. შურისძიება არასდროს დასრულდება, თუ ამას არ მოინდომებ. თუ ამ ეტაპზე თქვენ და თქვენი მოძალადე ცვლით როლებს, შემდეგ თქვენგან დატერორებული იგროვებს ბოღმას და რაღაც ეტაპზე ისევ შეიცვლება როლები და ისევ გაჩნდება აგრესორი და მსხვერპლი. ეს თამაში არასოდეს დამთავრდება.

**– როგორ უნდა ჩაცხრეს ეს ყველაფერი?**

– უნდა გაჩნდეს წარმატების ელემენტი. ძალიან დიდი ხნით უნდა ჩამოვარდეს სიმშვიდე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კულტურული ურთიერთგაცვლა, როდესაც ადამიანები მიემგზავრებიან, სხვები ჩამოდიან თქვენთან... ამ შემთხვევაში შეიძლება ახალი იდეებითა და ახალი ჩვევებით გამოიკვებო მათგან, სადაც ეს ყველაფერი უკვე არის. ხშირად გამიგია, ადამიანი, რომელსაც ბიზნესი აქვს, მიდის საზღვარგარეთ, სადაც სიმშვიდეა, აქ დაბრუნებული კი უკვე აღარ იქცევა ისე რადიკალურად, როგორც ადრე და ის ეჩვევა მოლაპარაკებებს. რა თქმა უნდა, კულტურული ურთიერთქმედება იმ ქვეყნებთან, სადაც არის დიალოგის ჩვევა, აუცილებლად ახდენს გავლენას. მესამე კი, რა თქმა უნდა, თაობის ცვლის საკითხია. საზოგადოებაში, სადაც არის ტრავმული გამოცდილება, მნიშვნელოვანია, შეიცვალოს ტრავმირებული თაობა. მოდის თაობა, რომელსაც აღარ აქვს ასეთი სერიოზული ტრავმა და აქვს მხოლოდ მშობლების მოგონებები ამის შესახებ. ამ თაობის შემდეგი თაობა კი საერთოდ ივიწყებს ამ ყველაფერს. ჩვენი ბებია და ბაბუა ომობდა მეორე მსოფლიო ომში და ისინი გამუდმებით ომზე საუბრობდნენ. ჩვენი მშობლები კი უკვე ფიზიკოსებისა და პოეტების თაობა გახდა. ჩვენი თაობა იმ ომს იხსენებს, როგორც უკვე ძალიან შორეულ ისტორიას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ როდესაც ეკონომიკა იზრდება და ადამიანებს „დასაკარგი“ უჩნდებათ, მათ უკვე აღარ უნდათ ომი, მათ უკვე მოლაპარაკება ურჩევნიათ.

**– მართალია, ჩვენთან არ არის ფსიქოთერაპევტის დახმარების მიღების კულტურა, მაგრამ ხშირად ვამბობთ, რომ გადავრჩით იმიტომ, რომ ძლიერია ოჯახის, მეზობლობის, მეგობრობის ინსტიტუტი და, რაც მთავარია, – ეკლესია... ამ ყველაფერს ჩვენ ერთგვარად ვადარებთ ფსიქოთერაპიას. ეს ყველაფერი შველის ტრავმირებულ ფსიქიკას?**

– ფსიქოთერაპია სულ სხვა სივრცეა. როდესაც მე ვურთიერთობ მეგობრებთან და მეზობლებთან, მათგან გარანტია არ მაქვს კონფიდენციალობაზე. ისეთი ურთიერთობების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს თითქმის გამორიცხულია. აქ რაღაც უფრო რთული ურთიერთობებია, რადგან თითქმის ყველას აქვს რაღაც „ისტორიები, რომლისაც რცხვენია“. როდესაც მეგობარს უყვები ამის შესახებ, არ იცი, სად დაგხვდება ეს. თერაპევტი არის ის სივრცე, სადაც ეს კონფიდენციალობა გაქვს. თერაპევტი არ აფასებს შენს საქციელებს, მეგობრები და ახლობლები კი განგსჯიან და რაც მთავარია, ყველაზე უარესი კუთხით. მე კი, სტრესს რომ მოვე-








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ათია...

**EXCLUSIVE**

**„შურისძიება არასდროს დასრულდება, თუ ამას არ მოინდომებ. თუ ამ ეტაპზე თქვენ და თქვენი მოძალადე ცვლით როლებს, შემდეგ თქვენგან დატერორებული იგროვებს ბოღმას და რაღაც ეტაპზე ისევ შეიცვლება როლები და ისევ გაჩნდება აგრესორი და მსხვერპლი. ეს თამაში არასოდეს დამთავრდება“**



**„ეს ჰგავს დანამიდებული ადამიანის თავშეკავებას, რომელიც, როგორც კი დანას მოაშორებ, მაშინვე გაჩვენებს სეირს... შესაბამისად, ასეთივე პასუხს უნდა ელოდეს თვითონაც და ეს გრძელდება დაუსრულებლად“**

რიო, მჭირდება ოპონენტი, რომელიც არ განმსჯის – კარგად მოვიქეცი თუ ცუდად, არ სვამს დიაგნოზს. ეს არის სუბიექტი, რომელიც ბანალურად მისმენს და ამ ყველაფერს ტოვებს, როგორც საიდუმლოს. ეს კი კურნავს ადამიანს, ამშვიდებს და საშუალებას აძლევს, ახალი გადაწყვეტილება მიიღოს. ოჯახურ-მეგობრული კავშირები არ არის ფსიქოთერაპიული ურთიერთობის ეკვივალენტი. თუ თქვენს ქვეყანაში სპეციალისტთან მიმართვის კულტურა გაჩნდება, ესეც ძალიან შედეგიანი იქნება თქვენი საზოგადოებისთვის. ეს საშუალებას მოგცემთ, ხელმეორედ არ განიცადოთ სტრესი თქვენი საქციელის შეფასებების შედეგად. ქართული კულტურა ოჯახთან ურთიერთობის საკმაოდ კატეგორიული და მკვეთრია – ეს წესები, ტრადიციები... თუ ადამიანი რაღაცას სხვანაირად აკეთებს, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ მას გააკრიტიკებენ. ხოლო თერაპია კი არ გაკრიტიკებს, გეხმარება, მოძებნო შენთვის უკეთესი გადაწყვეტილება. ხშირად ოჯახური და მეგობრული საუბრები პროვოცირებას ახდენს, რომ ვნება უფრო გაძლიერდეს. მივდივარ და ვეუბნები, რომ გამაბრაზეს და ისინიც მპასუხობენ, ნახე, რა საზიზღრები არიან... რაც შეეხება ეკლესიას, თუ მოძღვარი ბრძენი ადამიანია, ჯანმრთელი, განათლებული, ყურადღებიანი, ის მართლა შეასრულებს თერაპევტის ფუნქციას. მაგრამ თუ მოძღვარი კატეგორიულია, რადიკალური, პირიქით, შეიძლება მასთან მისულ ადამიანს კიდევ უფრო გაუმძაფრდეს რეაქციები. ასე რომ, ეს მაინც პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული, ვიდრე ეკლესიაზე, როგორც ასეთზე... ეკლესიას ხომ ის ადამიანები ქმნიან მთლიანობაში, ვინც იქ მსახურობენ? კარგი მოძღვარი ეკლესიაში შეიძლება იყოს მართლა კარგი თერაპევტი. ამ შემთხვევაში ის მართლა ძალიან სასარგებლო იქნება. მაგრამ, თუ ის პიროვნულად დაუკმაყოფილებელია, გაბრაზებულია, გაღიზიანებული, ძალაუფლების მოყვარე, მაშინ ის აუცილებლად შთააგონებს ადამიანს, რომ ის დაუსრულებლად დამნაშავეა...

**– საქართველოში იმატა სუიციდის შემთხვევებმა, მკვლელობამ ოჯახებში და განსაკუთრებით უკანასკნელ ხანს. ესეც სტრესის შედეგებია?**

– ლატვიაშიც გაიზარდა სუიციდის შემთხვევების რაოდენობა, მაგრამ მიზეზი სულ სხვაა... ხშირად ადამიანები ძალიან მგრძნობიარეები ხდებიან, როდესაც კარგავენ სტატუსს. ეს მათთვის სერიოზული ტრავმაა. ვთქვათ, იყო კაცი, რომელიც გამოიმუშავებდა ფულს და ახლა აღარ არის კაცი, რადგან აღარ აქვს მილიონები... ამ შემთხვევაში თვითმკვლელობამდე ხშირად მიდიან, სტატუსის დაკარგვის გამო. მეჩვენება, რომ საქართველოში სტატუსის ქონა ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. საქართველოში ყველა „თავადია“. თქვენთან რატომღაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გქონდეს უმაღლესი განათლება, გქონდეს ბევრი ფული... ეს ის თემებია, რომლებიც განსაზღვრავს სტატუსს. და თუ შემთხვევით ჩნდება საფრთხე, რომ ადამიანი კარგავს სტატუსს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საშუალება ახალი ცხოვრების დაწყების, მაინც ცხოვრების დასრულებისკენ მიდის. ხშირად ადამიანები ადაპტაციის რესურსს ვერ პოულობენ საკუთარ თავში. ამ შემთხვევაში მათ რატომღაც უკვე რცხვენიათ... ადამიანი ველარ უძლებს ამ დაძაბულობას... ლატვიაში კი სუიციდი იზრდება მომეტებული თავშეკავების გამო. იქ ბევრია გამოუხატავი ემოცია, რომელიც გროვდება და ადამიანი ველარ ერევა მას.

**– მგონი, საქართველოშიც ბევრი დაგროვდა თავშეკავებული ემოცია. თუმცა აქ მრავალი წლის განმავლობაში ემოციას შიშის გამო იკავებდნენ...**

– როდესაც ლატვიასთან ვაკეთებ შედარებას, იქ სულ სხვა თავშეკავებაა, რადგან იქ არ არის მიღებული, ვთქვათ, ხმამაღლა საუბარი, ყვირილი და ა.შ. რაც შეეხება იმ თავშეკავებას, რაც თქვენ მითხარით, ეს ჰგავს დანამიდებული ადამიანის თავშეკავებას, რომელიც, როგორც კი დანას მოაშორებ, მაშინვე გაჩვენებს სეირს... შესაბამისად, ასეთივე პასუხს უნდა ელოდეს თვითონაც და ეს გრძელდება დაუსრულებლად. ასე რომ, ლატვიური თავშეკავება, ერთი მხრივ, ჩვენი უპირატესობაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ზოგჯერ სავალალო შედეგებს იწვევს. აქ კი თავშეუკავებლობა ქართველებს, პირიქით, მოსწონთ ეს ტემპერამენტი და ა.შ. იმიჯიც ასეთი გაქვთ – რა მაგრები არიან ეს ქართველები, ტემპერამენტიანები, ემოციურები...

**– დაბოლოს, რა ქნას იმ ადამიანმა/საზოგადოებამ? იჯდეს და ელოდოს დროის გასვლას და თაობების ცვლას?**

– მე, როგორც ფსიქოთერაპევტი, მივიჩნევ, რომ საჭიროა ამ პრობლემის პროფესიული მიხედვა. თუკი სტრესია, ის უნდა განიკურნოს. ჩემი პასუხისმგებლობა კი, ადამიანის, რომელმაც მივიღე ეს დაზიანება, მნიშვნელობა არ აქვს დამაზიანეს, თუ მე თვითონ მივიყენე ის, ისაა, რომ უნდა მივხედო ჩემს თავს და მოვირჩინო ეს ჭრილობა. ჩვეულებრივი ამბავია, თუ გავიჭერი, მივდივარ ექიმთან, რომელიც ჭრილობას დეზინფექციას უკეთებს, კერავს, მაძლევს რაღაც წამლებს და მე გამოვჯანმრთელდები. კვალი რჩება, მაგრამ ჭრილობა ხომ ქრება? ფსიქოლოგიური დაზიანება კი დაზიანებულის პასუხისმგებლობაა. გასაგებია, რომ ბოროტმა ადამიანებმა მომაყენეს ეს ჭრილობა, მაგრამ ფაქტი უკვე სახეზეა და მე ვალდებული ვარ, საკუთარი თავის წინაშე, რომ ის მოვირჩინო. ეს საკუთარ თავს უნდა გავუკეთო და საზოგადოებას. რადგან თუ მე გამოვჯანმრთელდები მეტი ფუნქცია მაქვს, მეტი შემიძლია გავუკეთო ოჯახს და შევქმნა ლამაზი პროდუქტი. თუკი მტკივა, ვერ ვიქნები შემოქმედებითი... ასე რომ, ამ ჭრილობების მორჩენა შეიძლება და მადლობა ღმერთს, რომ ფსიქოთერაპიაში ბევრი მეთოდია, რომელიც ასეთ ჭრილობებს კურნავს. რა თქმა უნდა, იარა რჩება, მაგრამ ეს ხომ ჭრილობა აღარ არის? ეს უკვე გახსენებაა. ამ შემთხვევაში ვხდები უფრო თავისუფალი, შემიძლია მზრუნველობა, სიყვარული, გახარება, შემოქმედება... საქართველოში ამ მიმართულებით უკვე ბევრი მაღალი დონის სპეციალისტია. საქართველო აღარ არის იმ ვაკუუმში, სადაც არ იცოდნენ, ვისთვის მიემართათ. საჭიროა მხოლოდ, გადააბიჯოთ ერთგვარ სიამაყეს, რასაც ხშირად ეუბნებით საკუთარ თავს – რომ პრობლემას თავად მოერევით. ეს იგივეა, რომ, რა თქმა უნდა, შეიძლება ბრმა ნაწლავი საკუთარი ხელით ამოიჭრათ, მაგრამ ძალიან უცნაური გმირული საქციელი იქნება. უკეთესია, ექიმთან წახვიდეთ. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ თმები თავად შეიჭრათ, მაგრამ დიდი რისკია დამახინჯების. არ სჯობია ლამაზი ვარცხნილობის გაკეთება? ხშირად სხედან და ელოდებიან, რომ ტკივილი თავისით გაივლის, მაგრამ ასეთი ტკივილები არ გადის. მათი მკურნალობაა საჭირო.



**„ხშირად ოჯახური და მეგობრული საუბრები პროვოცირებას ახდენს, რომ ვნება უფრო გაძლიერდეს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის უნდა

# რატომ ჩამოდის რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი საქართველოში არჩევნების წინ



**„ცნობილია, რომ ის დიდი ქონების მფლობელია. საკმაოდ სერიოზული ბიზნესმენია, უბრალოდ, არ ხმაურობდა სხვების მსგავსად. მართალია, რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ ძირითადად ევროპაში ცხოვრობს“**

ხათუნა მგალობლიშვილი

**საპრეზიდენტო არჩევნებამდე კიდევ ბევრ უცნაურ სახელსა და გვარს გავიგებთ. ნაწილი უკვე დარეგისტრირდა საპრეზიდენტო კანდიდატად, ნაწილი კი ჯერ მხოლოდ ოცნებობს. მეოცნებეთა რიგებში წერია ბესარიონ ხვინთელიანიც. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. მისი პოლიტიკური გეგმები საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. პროცესშია და სულ მალე გავიგებთ, რა გეგმები აქვს რუსეთში მცხოვრებ ხვინთელიანს.**

რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, მარათონში ჩართვის შემთხვევაში მას რუსეთის მოქალაქეობის დათმობა მოუწევს. ბოლო რამდენიმე წელია, ის საზღვარგარეთ, კერძოდ კი, კვიპროსზე ცხოვრობს და საქართველოსთან მას მხოლოდ ცუდი მოგონებები აკავშირებს. რვაწლიანი პატიმრობა მას თაღლითობის ბრალდებით მიუსაჯეს. თუმცა მისი მაშინდელი ადვოკატი დავით ჯინჭარაძე აცხადებდა, რომ ხვინთელიანს პროკურატურა 5 მილიონ ლარს სთხოვდა, თავისუფლების სანაცვლოდ. დაპატიმრებულმა ბრალი არ აღიარა და საპყრობილეში დარჩა, მანამ სანამ ივანიშვილი მოვიდოდა ხელისუფლებაში. პოლიტიკურ სიმპათიებზე საუბრისას ხვინთელიანი პირად საუბრებში ამბობს, რომ ივანიშვილს უპირობოდ უჭერს მხარს. ამის მიზეზს მისი ამჟამინდელი ადვოკატი, შალვა ხაჭაპურიძე ხსნის, – ხვინთელიანმა საპყრობილე პოლიტპატიმრის სტატუსით 2013 წელს დატოვა. „მისი პოლიტიკური გეგმებიც უფრო აქტიურად სწორედ ამის შემდეგ ამოქმედდა, თუმცა მანამდე ის ძირითადად ქველმოქმედებას ეწეოდა, ოღონდ ჩუმად და არა ყველას გასაგონადო“, – აცხადებს ხაჭაპურიძე. უფრო კონკრეტულად ხვინთელიანმა 90-იან წლებში „სამართლებრივი და სოციალური დახმარების ცენტრი“ ჩამოაყალიბა, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში რუსეთში მცხოვრებ ქართველებს ეხმარებოდა. ამ ცენტრზე დაყრდნობით, ხვინთელიანმა 2000 წელს ფონდი „კრედო“ შექმნა. ხაჭაპურიძის განცხადებით, ფონდი ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობდა და მათ შორის საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად...

მიუხედავად მეცენატობისა, საქართველოში ხვინთელიანის სახელი და გვარი უფრო თაღლითობასთან ასოცირდება. ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მის რეზიდენციასთან შიმშილობა დაიწყო იზოლდა კლაუმ. ქალბატონი ირწმუნებოდა, რომ ბესარიონ ხვინთელიანმა მას მატერიალური ზარალი მიაყენა და ეს ზარალი საკმაოდ სერიოზულ ციფრებში გამოიხატებოდა. სწორედ ამ დანაშაულის გამო იჯდა ხვინთელიანი ციხეში და გამოძიების დასასრულს მას კლაუს სასარგებლოდ 855 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრა, თუმცა უკვე დღეს ყოფილ პატიმარს სარჩელი აქვს შეტანილი პროკურატურაში და 855 ათასის ჩამოწერასთან ერთად, საკუთარი ქონების დაბრუნებასაც ითხოვს. პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებულმა ხვინთელიანმა ყველანაირი პასუხისმგებლობა მოიხსნა დაზარალებულის წინაშე. იზოლდა კლაუს განცხადებით, ის შიმშილობას კვლავ აპირებს და არ შეწყვეტს, სანამ ივანიშვილი არ შეხვდება. თუმცა ეს ხვინთელიანსა და მის ადვოკატს ნაკლებად ადარდებთ. ხაჭაპურიძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა არათუ ზარალი უნდა გადაუხადოს კლაუს, არამედ სულ მალე თავად იზოლდა კლაუ აღმოჩნდება საპატიმროში ცრუ ჩვენების მიცემისთვის.



იზოლდა კლაუს განცხადებით, ხვინთელიანს პოლიტიკასთან არასოდეს ჰქონია შეხება, შესაბამისად, პოლიტპატიმრის სტატუსით მისი განთავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ მიზნებს უკავშირდება. აღნიშნულ ბრალდებას უარყოფს ხაჭაპურიძე და აცხადებს, რომ ხვინთელიანს პოლიტიკური გეგმები და აქტივობები ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე ჰქონდა. თუმცა ხაჭაპურიძე აქტივობებში ნამდვილად არ გულისხმობს ხვინთელიანის „ეროვნულ ფორუმთან“ და „დემოკრატიულ მოძრაობასთან“ კავშირს. როგორც სოციალური ქსელებიდან ვრცელდება, „ფორუმი“ დაფინანსებას რუსეთიდან იღებდა და სწორედ ხვინთელიანის მეშვეობით. ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ ხუბუტიამ სწორედ ხვინთელიანს დაავალა პოლიტიკური პარტიის დაფინანსება და როგორც ამბობენ, ფინანსები სწორედ ირაკლი მელაშვილის მეშვეობით შედიოდა პარტიაში. მეტიც, რუსული მხარე „ფორუმის“ პოლიტიკური გეგმებით, ხარჯებითა და მიზნებითაც დაინტერესდა. აღნიშნული ინფორმაცია ინტერნეტში სწორედ იმ პერიოდში გავრცელდა, როდესაც ირაკლი მელაშვილი ბიძინა ივანიშვილის მრჩევლად დაინიშნა. თავის დროზე აღნიშნულ ინფორმაციას ფორუმელებიდან საკმაოდ მწვავე კრიტიკა მოჰყვა. ბუნებრივია, პარტიამ ყველაფერი შავ პიარს მიაბა და განაცხადა, რომ ეს ნაციონალების მიერ ორგანიზებული საინფორმაციო ომის ნაწილი იყო. „ფორუმმა“ მაშინ ყველანაირი კავშირი უარყო რუსულ ფინანსებთანაც და შესაბამისად, ხვინთელიანთანაც.



სამაგიეროდ, ვერანაირად ვერ უარყოფს კავშირს რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენთან ნინო ბურჯანაძე. შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ხვინთელიანი აქტიურ მოლაპარაკებებს მართავდა ბურჯანაძესთან ინვესტორების შემოყვანის შესახებ იმ პერიოდში, როდესაც ის პარლამენტის თავმჯდომარე იყო. მოლაპარაკებები კონკრეტულ გადაწყვეტილებამდეც მივიდა და სწორედ მაშინ, როცა ხელი უნდა მოეწერათ ხელშეკრულებისთვის ხვინთელიანი მძიმე ბრალდებით დააკავეს...

დღეს ბესარიონ ხვინთელიანი საქართველოში იმყოფება. ის შეხვედრებს მართავს პოლიტიკოსებთან, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, კონკრეტულად რომელიმე პარტიას დააფინანსებს თუ თავად იყრის კენჭს საპრეზიდენტო კანდიდატობაზე.

**შალვა ხაჭაპურიძე, იურისტი:**

– მე ამ პიროვნებას ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობდი, როდესაც წინა ხელისუფლებამ დააპატიმრა. ის არის საქართველოსა და რუსეთის მოქალაქე ერთდროულად. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნესმენი, მეცენატი. მონაწილეობდა საპატრიარქოსთან არსებულ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში. თავის დროზე ოთხმოცდაათამდე ინვესტორი ჩამოიყვანა საქართველოში და სწორედ ამ პერიოდში იქნა დაპატიმრებული პოლიტიკური ნიშნით. პოლიტიკასთან დაკავშირებით მას გარკვეული მოსაზრებები ჰქონდა, როცა საპყრობილეში იჯდა. პოლიტიკით დაინტერესებული ადამიანია და დაპატიმრებამდე კონკრეტული პოლიტიკური სვლები ჰქონდა გადადგმული. თუმცა როგორია მისი ამჟამინდელი გადაწყვეტილება, ჯერ არ ვიცი. მაქვს ინფორმაცია, რომ ამჟამად საქართველოშია. მე მასთან მხოლოდ როგორც ადვოკატს, ისე მაქვს შეხება. მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლებამ 40 მილიონამდე ქონება ჩამოართვა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჩვენ გვაქვს შოკისმომგვრელი დოკუმენტები“



## შალვა ხაჭაპურიძე: „მთელ პოლიტიკურ სპექტრს იცნობს საქართველოში. ყველასთან ჰქონდა კავშირი, სანამ დაიჭერდნენ“

EXCLUSIVE

## „ხვინთელიანს დაახლოებით 40 მილიონის ქონება ჩამოართვა წინა ხელისუფლებამ. ჩვენ ვითხოვთ ამ ქონების უკან დაბრუნებას“

**– რომელ პოლიტიკურ ძალებთან ჰქონდა კავშირი თავის დროზე, სანამ დააკავებდნენ?**

– ამჟამად ვისთან აქვს ურთიერთობები, არ ვიცი, თუმცა ისე ყველასთან ჰქონდა კავშირი. მთელ პოლიტიკურ სპექტრს იცნობს საქართველოში. ყველასთან ჰქონდა კავშირი, სანამ დაიჭერდნენ, გათავისუფლების შემდეგ სულ ორიოდე კვირა გაჩერდა საქართველოში. მას ყველაზე მეტი სიმპათია, ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილის მიმართ აქვს, რადგან, ფაქტობრივად, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განთავისუფლდა საპყრობილიდან და თან მოხდა მისი პოლიტპატიმრად ცნობა. ასევე, ურთიერთობა ჰქონდა კოალიციის გარკვეულ წევრებთანაც. ნაციონალებთან არ ჰქონია ურთიერთობა, თუმცა იქაც იცნობდა ვილაცებს, ეს ბუნებრივიცაა, რადგან სწორედ მათი მმართველობის დროს აპირებდა ინვესტიციების შემოტანას. თავის დროზე სწორედ პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან ერთად და პატრიარქთან ერთად ჩაატარა კონფერენცია ინვესტიციების შემოტანის შესახებ. ამის ამსახველი კადრებიც კი არსებობს. შეხვედრა მაშინ სასტუმრო „მარიოტში“ გაიმართა და უამრავი ბიზნესმენი დაესწრო, როგორც ქართველები, ასევე უცხოელები.

**– თავის დროზე, ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა „ფორუმთან“, ხომ არ იგეგმება კოალიციის ან არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის დაფინანსება?**

– არა მგონია, ვინმეს დაფინანსებას აპირებდეს. როცა ბოლოს ვესაუბრე, ის არ გეგმავდა არავის დაფინანსებას, ამბობდა, რომ, თუ პოლიტიკაში მოსვლას გადაწყვეტდა, თავადვე გახდებოდა პოლიტიკურად აქტიური. რაც შეეხება „ფორუმს“, ეს არასწორი იყო, ხვინთელიანი „ფორუმის“ წევრებს საერთოდ არ იცნობს. თავის დროზე მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდის დონეზე იყო საუბარი და თავიდან მხოლოდ დამოუკიდებლად აპირებდა მოღვაწეობას. თუმცა გარკვეულ ეტაპზე მან ჩათვალა, რომ საჭირო არ იყო მისი პოლიტიკაში ჩართვა, რადგან ბიძინა ივანიშვილის მიმართ სრული მხარდაჭერა ჰქონდა.

**– და ახლა რა შეიცვალა?**

– არ ვიცი, ისიც არ ვიცი, გადაწყვეტილება მიღებული აქვს თუ არა.

**– შეგიძლიათ, გვითხრათ, რა ფინანსებს ფლობს და ასევე, ითქვა, რომ დიდი თანხის დახარჯვას აპირებს ქართულ პოლიტიკაში...**

– ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი სწორი არ იქნება. ცნობილია, რომ ის დიდი ქონების მფლობელია. ის საკმაოდ სერიოზული ბიზნესმენია, უბრალოდ, არ ხმაურობდა სხვების მსგავსად. მართალია, რუსეთის მოქალაქეა, მაგრამ ძირითადად ევროპაში ცხოვრობს.

**– სად?**

– კვიპროსზე ცხოვრობს.

**– ცნობილია, რომ მას ბიზნესი რუსეთში აქვს...**

– და არამხოლოდ რუსეთში, ევროპაშიც აქვს და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ის არ არის ერთი კონკრეტული ქვეყნის ბიზნესებით შემოსაზღვრული. პარალელურად ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. არის მეცნიერებათა დოქტორი, კითხულობს ლექციებს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. აქვს ნაშრომები, არის ქრისტიანი მართლმადიდებელი. ჰყავს სამი შვილი: ორი ვაჟიშვილი, რომლებიც, ასევე, ბიზნესში არიან ჩაბმულები და პატარა ქალიშვილი. მისი მეუღლე წარმოშობით ფოთიდანაა.

## „ხელისუფლების მიზანი იყო ხვინთელიანის მოშორება, რადგან ამ ადამიანს მაშინდელ ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობები ჰქონდა“

**– როგორც ამბობენ, ხვინთელიანს უმრავლესობის ორი დეპუტატი ჩაუდგა თავდებში, შეგიძლიათ, მათი გვარები გვითხრათ?**

– თავდებში არავინ ჩასდგომია, პოლიტპატიმართა სიაში მოხვედრას ეს არც სჭირდებოდა. ისე კი, როცა დაპატიმრებული იყო, მაშინ ბევრი პოლიტიკოსი ჩაუდგა თავდებში და არამარტო პოლიტიკოსი. ის მეგობრობს თემურ ბაბლუანთან, პარიზში მცხოვრებ ქართველ კინორეჟისორთან. ბატონი თემური სპეციალურად ხვინთელიანის საქმეზეც კი იყო ჩამოსული საქართველოში.

**– იზოლდა კლაუ ხვინთელიანს ქონების წართმევაში ადანაშაულებს და ივანიშვილთან შეხვედრასაც ითხოვდა ამ საკითხის გამო...**

– ეს საქმე დასრულებულია, ხვინთელიანს მიუსაჯეს და იჯდა კიდეც, როგორც მოგეხსენებათ. სამოქალაქო წესით მას დაკისრებული აქვს ზარალის ანაზღაურება, თუმცა პროკურატურაში საჩივარი აქვს შეტანილი და როცა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია შეიქმნება, ძალიან საინტერესო მასალებს წარვადგენთ და ნათელი მოეფინება ამ საქმეს.

**– თქვენ ამბობთ, რომ ახალი ფაქტები გაქვთ?**

– დიახ და ჩვენ გვაქვს შოკისმომგვრელი დოკუმენტები. შესაძლებელია, ამ ქალბატონმა თავი ამოყოს საპყრობილეში, როგორც რეჟიმთან თანამშრომლობაში შემჩნეულმა. საქმესთან დაკავშირებით საინტერესო ახალი გარემოებები გამომჟღავნდა. დამტკიცდება რომ ეს ქალბატონი აბსურდულ ბრალდებებს წერდა. ეს საქმე იყო ჩვეულებრივი ფანდი რომელსაც ხელისუფლება ხშირად მიმართავდა იმ მიზნით, რომ ხვინთელიანისთვის ქონება ჩამოერთმია. ასეც მოხდა. ხვინთელიანს დაახლოებით 40 მილიონის ქონება ჩამოართვა წინა ხელისუფლებამ. ჩვენ ვითხოვთ ამ ქონების უკან დაბრუნებას. შეტანილი გვაქვს სარჩელი ყველა უწყებაში, თუკი სადმე შეიძლებოდა მისი შეტანა. მაშინ ხელისუფლების მიზანი იყო ხვინთელიანის მოშორება, რადგან ამ ადამიანს მაშინდელ ოპოზიციურ პარტიებთან ურთიერთობები ჰქონდა და ბუნებრივია, ასეთი ფინანსების მქონე ადამიანის კავშირები ოპოზიციასთან ხელისუფლებას შეუმჩნეველი არ დარჩენია. თუმცა ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ მისი დაპატიმრება მოხდა ინვესტორების თანდასწრებით. ესენი იყვნენ უცხოელი ინვესტორები, რომლებსაც წყალტუბოში არსებული ყველა სანატორიუმი უნდა შეესყიდათ, წყალტუბო ბადენ-ბადენის მსგავს კურორტად უნდა ექციათ. სწორედ ამ ინვესტორის თვალწინ დააპატიმრეს. ეს იყო შეხვედრა, სადაც ამ პროექტს ხელი უნდა მოწეროდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE: რას ნანობს



**my View**

**თამარ გორთამაშვილი**

34 კინოროლიდან ერთი, უკვდავი – „მარიტა“, მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. გოგლა ლეონიძემ მას, უნებლიეთ, ცხოვრება „წაართვა“, იმ წუთიდან, საიდანაც მარიტას პერსონაჟის შექმნა დაიწყო. თითქოს ავტორმა სპეციალურად მისთვის დაწერა „ნატვრის ხე“, რომ შემდეგ მთელი ცხოვრებით, მთელი არსით, მასში დაეტოვებინა. ბროწეულის ყვავილობაც კი მოარგო მის სილამაზეს და შედეგად 15 წლის თინეიჯერის ემოცია „გადაიწვა“. თავსდამტყდარი პოპულარობა, მთელი ცხოვრების მანძილზე, ძალიან მძიმე ასატანი აღმოჩნდა...

რომ არა მარიტა, დღეს ლიკა ქავჟარაძე უფრო ბედნიერი იქნებოდა, ასე თვლის თავად და შეუძლებელია არ დაეთანხმო. ძალიან გულწრფელია... ისეთივე გულწრფელი, როგორც მაშინ, სახედარზე უკუღმა შემჯდარი, როცა სტკიოდა, სციოდა, და კვდებოდა...

„მარიტას“ მეორედ შევხვდი, პირველად გოგლასთან და მეორედ ლიკასთან. გოგლას მარიტა სკოლაში თავისუფალ თემად დავწერე და ისე შევიყვარე, რომ ყველა ფრაზა, რომელიც შეყვარებულ გოგონას აღწერდა, დღესაც ზეპირად მახსოვს. სასკოლო გამოცდაში უმაღლესი შეფასება მივიღე, მიხაროდა, რომ გოგლას „ბროწეულის ყვავილივით ლამაზმა“ მარიტამ გამარჯვება მომაპოვებინა.

მეორე შეხვედრა, 17 წლის შემდეგ, ნამდვილ მარიტასთან მქონდა, როდესაც რამდენიმე დღის წინ, მის სახლში, კიბეზე ავდიოდი, გავიფიქრე კიდეც, სიმბოლურია ეს შეხვედრა-მეთქი...

ლიკა ქავჟარაძეს რეალურ ცხოვრებაში პირველად შევხვდი, მაგრამ ახალნაცნობობის განცდა საერთოდ არ მქონია. ის დღესაც მარიტაა, რომელსაც მე ვიცნობდი, მთელი თავისი არსით და ცხოვრებით – საბედისწერო როლში დარჩენილი ულამაზესი ქალი.

# „ცხოვრების ხელა შემეძლოს, არ იქ

## 36 წლის შემდეგ

**ლიკა ქავჟარაძე:** „მარიტამ“ ძალიან დიდი პოპულარობა, დიდი სიხარული და დიდი ტკივილი დამიტოვა. პერსონაჟმა, რომელიც მე განვასახიერე, დაღი დაასვა ჩემს ემოციურობას. რთული როლი იყო, თვითონ პერსონაჟია ძალიან დამთრგუნველი. მე იქ ყველაფერს ძალიან რეალურად განვიცდიდი – გედიასთან დაშორებას, შემდეგ სულელურად გათხოვებას, გარიგებას სიმდიდრის გამო. კი, ეს იყო მხოლოდ როლი, მაგრამ რეალობასთან ძალიან ახლოს იდგა, მაშინაც და დღესაც. ახლაც თხოვდებიან გარიგებით, სიმდიდრის გულისთვის...

15 წლის გოგონასთვის ეს ძალიან სერიოზული როლი იყო, მძიმედ ემოციური... „ნატვრის ხე“ მე, ალბათ, ცხოვრების ბოლომდე გამყვება“.

მას შემდეგ, რაც „ნატვრის ხე“ ეკრანზე გამოვიდა, ლიკას, პოპულარობასთან ერთად, როგორც თვითონ ამბობს, ბევრი უსიამოვნების ატანა მოუწია.

„როგორც კი ქუჩაში გავედი, იმ წუთშივე – „ეს ის არ არის, ვირზე რომ ზისო“, ამას ძალიან არასასიამოვნო ინტონაციით ამბობდნენ. მძიმე მოსასმენი იყო ჩემთვის, ქუდით დავდიოდი, რომ ვერ ვეცნე ხალხს. თითს იშვერდნენ ჩემსკენ. ძალიან მამძიმებდა, ნუთუ მარტო ეს ახსოვდათ ამ ფილმიდან“.

ალბათ, ეს, ყველაზე ემოციური მომენტია ამ ფილმში, ხალხსაც მძაფრად ახსოვს ეს კადრები და ლიკასაც, რომელიც ერთი თვე, კახეთის გზაზე, ტალახში შიშველ ტანზე ჩამოცმული თეთრი პერანგით, სახედარზე უკუღმამჯდარი ატარეს...

„ამ სცენას მარტის თვეში, კახეთში, ერთი თვე იღებდნენ. წვიმა, ტალახი, სიცივე... აბსოლუტურად შიშველი ვიყავი, მხოლოდ ტუნიკა მეცვა. ასე უნდა ყოფილიყო, რომ მე მეგრძნო ტკივილი, იმ პირობებს უნდა გამოეწვია ჩემში რეალური ემოცია. ბოლომდე უნდა შემეგრძნო ეს საშინელება, ასე იყო საჭირო. მე უნდა დამენახა მარიტა იმ წუთას და უნდა მეგრძნო ყველა ის ტკივილი, რომელსაც ის, იმ წუთებში განიცდიდა. ყველაზე რთული ეპიზოდი იყო. მთელი ერთი თვე, ამომიყვანდნენ ტალახიდან გაყინულს, ჩამსვამდნენ დიდ თბილ ქვაბში, მეორე დილას ისევ ტალახში გრძელდებოდა გადაღება... არც ერთხელ არ გავციებულვარ და არც ერთხელ არ დამიწუწუნია.

ეს ფილმი ძალიან პოპულარული გახდებოდა, ეს იმ წუთიდან ვიცოდი, როცა თენგიზ აბულაძემ გადაწყვიტა „ნატვრის ხის“ გადაღება. იმდენად ყველა დროის ნაწარმოებია, რომ შეუძლებელია მას წარმატება არ ჰქონოდა.

თუმცა, ჩემთვის, პატარა ასაკიდან მოყოლებული პოპულარობა, შემაწუხებელი გახდა... საერთოდ, ეს ძალიან მალე გბეზრდება, როცა ტაქტიანად გეუბნებიან კომპლიმენტს სასიამოვნოა, მაგრამ როცა არ წყდება ამაზე ლაპარაკი, ეს ჩემთვის მომაბეზრებელია“.

მარიტაში გარდასახულმა ლიკამ, თავისი სილამაზით, უკვდავი სახე შექმნა. რეალურ ცხოვრებაშიც, 15 წლის გოგონას გარეგნულ მონაცემებს ყველა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, დედის გარდა.

„ისე ვიზრდებოდი, რომ დედას არასდროს უთქვამს ჩემთვის, ძალიან ლამაზი ხარო. პირიქით, მეუბნებოდა – რას ჰგავხარ... მწყინდა, ვეკითხებოდი – რატომ ამბობ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლიკა 36 წლის შემდეგ







# ხლა დაწყება რომ ნებოდა მარიტა“

ასე დედა? როცა გარეთ მეუბნებიან, რომ ლამაზი ხარო. – არა, მეუბნებოდა, არაფერი არ ხარ... ეს იყო პასუხი... მე, უბრალოდ ვცდილობდი მხოლოდ წესრიგში ვყოფილიყავი, მეტი არაფერი, უმაკიაჟოდ დავდიოდი“.

## მარიტამდე

მარიტამდე ის მუსიკით იყო გატაცებული. 5 წლიდან დაიწყო მისი მუსიკალური განათლება, დედა ცდილობდა ლიკა მუსიკოსი გამხდარიყო, კონსერვატორია წითელ დიპლომზე დაამთავრა. შეეძლო მუსიკას გაჰყოლოდა და სერიზოლი მუსიკოსი გამხდარიყო, მაგრამ კინო ამჯობინა... მერე, როგორც ამბობს, ომი დაიწყო...

„მე, 10 წელი დავკარგე, ჩვენმა თაობამ დაკარგა ეს 10 წელი, მთელი დღეები ლოგინში ვიწექი, არსად არ დავდიოდი. საშინელი წლები იყო...“ – ამბობს და თავისივე ემოციურობას ხსნის.

„მე, ასეთი ემოციური ადამიანი დავიბადე, სუსტი ნერვები მაქვს, მიფიქრია, და სულ ამას ვნატრობ, რომ ნეტავი გულგრილი ვიყო... არ გამომდის, გულჩვილი ვარ. ალბათ, ძალიან მაგარი უნდა იყო, რომ არ მიიკარო გულთან არაფერი.

ცოტა მშიშარა ვარ, არ ვიცი, რატომ... არასტაბილური დღეები და წლები გვაქვს, სულ რაღაცის შიში მაქვს, ძალიან ბევრს ვფიქრობ. ბევრი ცვლილება ხდება, გადატრიალებები... მინდა იყოს სიმშვიდე და კარგი ცხოვრება, მინდა ხალხი იყოს დაფასებული.

ემოციური ვარ, თუმცა ჩუმი, ხან მბეზრდება ყველაფერი, არის მომენტები, რომ მინდა დიდხანს დავიძინო.

ძალიან მინდა, რომ მაგარი ვიყო, ჩემს თავში დარწმუნებული, როგორ გადავლახო ეს სისუსტე, არ ვიცი, ძალიან ემოციური ვარ. მგონია, რომ შეუძლებელია გრძნობების მართვა“.

## პირადი ცხოვრება

სუპერპოპულარობის და ლამაზი გარეგნობის გამო, ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. უამრავი ბიჭი დადიოდა ლიკაზე შეყვარებული, მაგრამ, როგორც მსახიობი ამბობს, არც ერთ მათგანს მისთვის სიყვარული არ აუხსნია. მხოლოდ გადმოცემით იცოდა ლიკამ, რომ მასზე გიჟდებოდნენ.

„ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, გადმოცემით ვიცოდი, მე ვერავინ მიხსნიდა სიყვარულს, ვერ ბედავდნენ, ალბათ, ეგონათ, რომ უარს მიიღებდნენ. საერთოდ, ცხოვრებაში ვინც მე მომწონდა და მიყვარდა, მასთან ყველაფერი ძალიან ემოციური და განცდებით დატვირთული იყო.

ჩემმა პირველმა ქმარმა, სანდრო თაქთაქიშვილმა ზღვაზე დამინახა და შევუყვარდი... მაშინ ასე მითხრეს. მამამ შეამჩნია თურმე. 17 წლის ვიყავი, როცა ერთმანეთი გავიცანით. 19 წლისა გავთხოვდი, შემეძინა ვაჟი – ლევანი, ახლა 30 წლისაა, იურისტია, მყავს შვილიშვილი და ძალიან კარგი რძალი. ბებია ვარ უკვე.

ლევანი ძალიან მზრუნველი შვილია, ძალიან თავდაჭერილი, ცოტა ღიზიანდება ხოლმე ჩემზე, რადგან ჩაციება ვიცი, ხშირად ვურეკავ, ხან რას ვაბარებ, ხან რას... ვეუბნები: „ლევან, იცი რაშია საქმე“, და ისიც იუმორით მპასუხობს, „აბა, მითხარი, რაშია საქმე? მეცინება ხოლმე, ძალიან საყვარელი ბიჭია, შვილიშვილიც ძალიან საყვარელი ბიჭი მყავს, რძალიც ძალიან კარგი გოგოა“.

**– რატომ დაინგრა 20-წლიანი ოჯახი?**

– ჩვენ ძალიან ახალგაზრდები დავქორწინდით, სანდრო ფიზიკოსი იყო და დიდი ხნით მიდიოდა საზღვარგარეთ, მე მარტო ვრჩებოდი. არ მიყვარს ამაზე საუბარი, ძალიან მტკივნეულია, რადგან სანდროსთან 20 წელი ვიყავი, მერე მეორე სიყვარული მოვიდა... მოხდა ასე და წინ ვერ აღვუდექი.

მეორედ გავთხოვდი, ძალიან შემიყვარდა ჩემი მეორე ქმარი, ლევან შანიძე. ლევანთან 7 წელი ვიყავი. საბოლოოდ ვერ შევეწყვეთ, უთანხმოებები გვქონდა.

საერთოდ, მე ძალიან განვიცდი, როცა ადამიანთან ვარ, და არასაკმარისი ყურადღება, სითბო აქვს ჩემდამი, კაცებს სითბო უნდა ჰქონდეთ, როგორც ქალებს გვაქვს, ჩვენი მეუღლეების მიმართ... ეს ძალიან მწყინს და ვერ ვიღებ. მე ამას არ ვამბობდი, ვხედავდი უყურადღებობას, მაგრამ არ ვამბობდი, შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს...

## დღეს...

„დღეს უკვე დავმშვიდდი. დეპრესია ჭკვიანურმა ცხოვრებამ გადამატანინა. თუმცა, მე დღესაც არ მიყვარს ბევრი ხალხი, აურზაური, მაღიზიანებს. მართალი ხართ, ჩავიკეტე, მაგარამ, ალბათ, არც მეძახიან იქ, სადაც საჭიროა.

ერთი და იგივე ძალიან მომაბეზრებელია, მაგრამ ამას ჩემებურად ვებრძვი, ვხატავ, ვკითხულობ... ხატვის პროცესი ძალიან მამშვიდებს. ფერთა შეხამება, ფანტაზია, ეს ყველაფერი ძალიან მსიამოვნებს, ძირითადად პასტელის ფერებში ვხატავ და ასევე პლაკატურ ფერებშიც“.

## ავადმყოფობა

ლიკა დღეს ხატავს. 6 გამოფენა გააკეთა უკვე. დღეს მას ნაკლებად აკავებენ როლებზე. ის რაც, 36 წლის წინ იყო, იქვე დარჩა. „მარიტა“ უკვე წარსულია, დღეს მას გაცილებით მძიმე ცხოვრება აქვს. ავადმყოფობამ სძლია, ლიკა დღესაც სტაბილურობის შესანარჩუნებლად, სპეციალურ პრეპარატებს იღებს.

„ჩემს ცხოვრებას ჭრელსაც დავხატავდი და პესიმისტურ ფერებშიც, შავში მაგალითად. მე ავად ვიყავი და ეს ავადმყოფობა ცოტა ძნელად გადასატანია, ამიტომ, იმ პერიოდს პესიმიზმში დავხატავდი.

არ ვიცი, რამ მომიტანა ეს ავადმყოფობა. ალბათ, ეს იყო ძალიან დიდი დატვირთვა კინოში, მუსიკაში. ექიმები სულ მეუბნებოდნენ, ძალიან მგრძნობიარე ხარო. ძალიან დიდი ხანი ვებრძოდი ამ ავადმყოფობას, ახლაც ვსვამ წამლებს, რომ სტაბილურად ვიყო.

არ ვნანობ არაფერს, მაგრამ ცხოვრების ხელახლა დაწყება რომ შემეძლოს, არ იქნებოდა კინო, არ იქნებოდა მარიტა, მეცოდინებოდა ენები, არ ვიქნებოდი კინოში გაფეტიშებული, ზოგი ამას კარგად იყენებს, მაგრამ მე საერთოდ არ მიყვარს რაღაცების გამოყენება“.

## მეგობარი

„დღეს არის ჩემს გვერდით ადამიანი, მამუკა მათეშვილი, რომელიც ძალიან მიყვარს და ძალიან კარგად ვარ მასთან. მან შემივსო მთელი ცხოვრება, დიდი ადგილი უჭირავს ჩემს გულში, ჩემს შვილს და ნათესავებსაც დიდი ადგილი უჭირავთ ჩემს გულში, მაგრამ როგორც მამაკაცს, როგორც საყვარელ ადამიანს, მას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს ჩემს ცხოვრებაში. მამუკამ მთხოვა არ მესაუბრა მასზე, არ უყვარს გამოჩენა. შესაძლოა, ცოტა ვაკომპლექსებ კიდეც, ამიტომ გამორიცხულია, ინტერვიუ მოგცეთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საკრებულოში შოუ არ შედგა

ხათუნა მგალობლიშვილი



## გიორგი მუსხელიშვილი: „როგორც იქნა, ამდენი წლის მერე თბილისელები ელირსნენ ნაციონალების გარეშე არსებობას“

## ირაკლი შიხიაშვილი: „იმის თქმა, თითქოს უმრავლესობამ განდევნა ძველი უმრავლესობა, ანუ ნაციონალები, სწორად არ მიმაჩნია“

EXCLUSIVE

## ჯაბა სამუშია: „არსებული კანონმდებლობით ჩვენ მერის იმპიჩმენტის საშუალება არ გვეძლევა. ჩვენ ვიმუშავებთ პარლამენტთან ამ საკითხზე“

**საკრებულოს ახალი შემადგენლობა მზად არის ქალაქის მერთან თანამშრომლობისთვის. თუმცა თანამშრომლობის პარალელურად ისინი პარლამენტთან იწყებენ კონსულტაციებს მერის ერთპიროვნული მმართველობის შესასუსტებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისიის ხელმძღვანელად მამუკა კაციტაძე დაინიშნა. სწორედ მის კომპეტენციაში შედის პარლამენტთან თანამშრომლობა და ინიციატივების მიწოდება. თუმცა ამ გადაწყვეტილებამდე საკრებულოს მთლიანი შემადგენლობა შეიცვალა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ძველი უმრავლესობა ახალმა ჩაანაცვლა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.**

ახალმა უმრავლესობამ ერთ დღეში დაითხოვა საკრებულოში კომისიის 13 თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარეც ზედ მიყოლა. არჩევნები მათი გადაყენებიდან რამდენიმე საათში დაინიშნა.

დაძაბული კენჭისყრები საკრებულოს თავმჯდომარით დაიწყო. ამ პოსტზე ახალ უმრავლესობას ერთადერთი არჩევანი ჰქონდა. ირაკლი შიხიაშვილს ალტერნატივა არ ჰყოლია.

57-კაციან საკრებულოში კვორუმი 25 იყო და სწორედ ამდენი ხმა იყო საჭირო თავმჯდომარის ასარჩევად. კომისიის თავმჯდომარეები ერთსულოვნად აირჩიეს და მხოლოდ შიხიაშვილს დაუფიქსირდა ტაბლოზე ერთი მოწინააღმდეგე.

საკრებულოს წევრმა, გულიკო ზუმბაძემ („რესპუბლიკური პარტია“) რიგგარეშე სხდომამდე განაცხადა, რომ შიხიაშვილს მხარს არ დაუჭერდა. მიზეზი გასაგებიც არის. შიხიაშვილი ყოფილი ნაციონალია, რომელმაც საკუთარი გუნდი არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა. ანუ იმ პერიოდში, როცა უკვე გარკვეული იყო ნაციონალების მომავალი. გარდა ამისა, შიხიაშვილი ერთ-ერთი ექვმიტანილია „ქართუ ბანკისთვის“ მიზანმიმართულად მიყენებული ზიანში. თუმცა უკვე დღეს საქმეში შიხიაშვილის სახელი და გვარი აღარ ფიგურირებს. მეტიც, საკრებულოს ახალი თავმჯდომარე უკვე ყველანაირ კავშირს უარყოფს ამ საქმესთან. სხვათა შორის, სასამართლო პროცესზე ლაურა ღაჭავამ, რომელიც, ნიკა მელიასთან ერთად, მთავარ ფიგურად იყო წარმოდგენილი, აღნიშნა, რომ ზარალის მიმყენებელთა რიცხვი ბევრად დიდი იყო და ის მათთვის მოულოდნელად შემცირდა... ღაჭავა სწორედ შიხიაშვილის „გაქრობას“ გულისხმობდა...

გულიკო ზუმბაძის მცირე წინააღმდეგობის გარდა, საკრებულოში კიდევ ერთი ინციდენტი დაფიქსირდა. ახალმა შემადგენლობამ გადასაყენებელ თანამშრომელთა სიაში შეიყვანა საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელი, მარინა დათუკიშვილი, რომელიც შვებულებაში იმყოფებოდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ რამდენიმე საათში სამსახურის გარეშე დარჩებოდა. დათუკიშვილს სიახლე თანამშრომლებმა შეატყობინეს, მან შვებულება სულ რამდენიმე წუთით შეწყვიტა, სამსახურში გამოცხადდა და საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა.

**მარინა დათუკიშვილი:**

– რადგან ასე ეჩქარებათ სკამების ხელში ჩაგდება, მე თავად ვტოვებ თანამდებობას. ვადაზე ადრე შევწყვიტე შვებულება, რომ განცხადება გამეკეთებინა.

**– ხომ არ აპირებთ საჩივრის შეტანას?**

– არა, რა თქმა უნდა. ახლა საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელის თანამდებობაზე „ქართული ოცნების“ სახე ეყოლებათ და მიხედონ თავიანთ საქმეს, რატომ უნდა გავასაჩივრო?

უკვე ახალი კანდიდატების კენჭისყრისას შიხიაშვილი ყოველი შემთხვევისთვის ხაზგასმით მოუწოდებდა თანაგუნდელებს, რომ თითოეული ხმა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. კანდიდატების წარდგენისას კი აღნიშნავდა, რომ ყველა მათგანი მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი იყო. დამტკიცების შემდეგ სიტყვით მხოლოდ რამდენიმე მათგანი, ისიც არა „ქართული ოცნების“ წევრი გამოვიდა. დანარჩენები შეთავაზებაზე ძირითადად ასე პასუხობდნენ: არა, იყოს, გმადლობთ...

ირაკლი შიხიაშვილი პირველი სამუშაო დღით კმაყოფილი დარჩა. მისივე განცხადებით, საკრებულო მზად არის მერთან თანამშრომლობისთვის და რაც მთავარია, განაცხადა, რომ ანგარიშსწორებას ახალი უმრავლესობა არ აპირებს.

**ირაკლი შიხიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე:**

– მე მივმართავ ქალაქის მერს, რომ საკრებულო მაქსიმალურად ჩაჯდება კანონისა და კანონიერების ფარგლებში. ჩვენ არ გვაქვს მიზნად ანგარიშსწორება და დაპირისპირება. ჩვენ გვინდა სწორი და სამართლიანი კომუნიკაცია მერთან, იმისთვის რომ ჩვენი თანამშრომლობის შედეგად უფრო უკეთ განვითარდეს ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობა. ეს მის ვალდებულებაშიც შედის და რა თქმა უნდა, ჩვენს ინტერესებშიც, უპირველეს ყოვლისა. დღეს საკრებულოში ახალი რეალობაა და ვფიქრობ, ქალაქის მერს არ უნდა ჰქონდეს იმის პრობლემა, რომ ჩვენთან სრულყოფილი ურთიერთობა დაამყაროს. მოგვწონს ვინმე თუ არ მოგვწონს, ჩვენს პირად გემოვნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული თბილისში განვითარებული მოვლენები, რადგან წინ დგას ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რომელიც აღებული გვაქვს ქალაქის წინაშე. მონოლითურად არჩეული ერთი პარტიისგან განსხვავებით, ახლა კომისიის თავმჯდომარეებად დაინიშნენ სხვა პარტიის წევრები, შესაბამისად, ეს არ არის ერთი პარტიით ფორმირება. იყო მრავალფრაქციული გადაწყვეტილება, ვინ დანიშნულიყვნენ კომისიების ახალ ხელმძღვანელებად. ასე რომ, იმის თქმა, თითქოს უმრავლესობამ განდევნა ძველი უმრავლესობა, ანუ ნაციონალები, სწორად არ მიმაჩნია. ჩვენ ჩვენს ოპონენტებს ვუწვდით თანამშრომლობის ხელს და მზად ვართ მათთან ერთად სამუშაოდ.

კომისიის თავმჯდომარეების უმრავლესობით დაკომპლექტება ჯაბა სამუშიამ მარტივად ახსნა, ნაციონალებმა თავად მოგვიხურეს დიალოგის კარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი კანდიდატურებიც განიხილებოდა და არ არის გამორიცხული, რამდენიმე კომისიის თავმჯდომარის პოსტიც დაეკავებინათო... თუმცა ეს მოსაზრება, ალბათ, იმით უფროა გამოწვეული, რომ ნაციონალებმა რიგგარეშე სხდომას ბოიკოტი გამოუცხადეს.

**ჯაბა სამუშია, საკრებულოს უმრავლესობის წევრი:**

– დავიწყოთ იმით, რომ რეალურად კომისიის თავმჯდომარეებიდან „ოცნების“ წევრი მხოლოდ რამდენიმეა. მათ შორის, ისეთი პოლიტიკური ფიგურები, როგორებიც არიან მამუკა კაციტაძე, კახა კუკავა, ნათელა მაჭავარიანი, არ არიან „ქართული ოცნების“ წევრები.

**– თუმცა არიან უმრავლესობაში...**

– მეტსაც გეტყვით, ეს ადამიანები არიან ოპოზიციაში „ქართულ ოცნებასთან“. ასევე, კომისიის თავმჯდომარეთა ნაწილი საერთოდ უპარტიოა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია, ყველა ერთად დავჯდეთ და ვიმუშაოთ ერთი მიზნისთვის. „ნაციონალურ მოძრაობას“ კონსულტაციები რომ არ შეეწყვიტა, არ გამოვრიცხავ, მათაც დაეკავებინათ გარკვეული თანამდებობები.

**– ხომ არ ყოფილა შეთავაზება თქვენი მხრიდან?**

– ჩვენ გადავირჩიეთ ყველა კომისიის თავმჯდომარე, დავტოვეთ ღია კარი და ყველას შევთავაზეთ, რომ პროცესს ვიწყებდით ღია ფურცლიდან. იმის ნაცვლად, რომ ნაციონალებს განხილვებში მიეღოთ მონაწილეობა, მათი მხრიდან წამოვიდა ირონიული დამოკიდებულება. დიალოგი რეალურად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოკლა. დღეს საკრებულოს სპიკერატი მრავალპარტიული ნიშნითაა დაკომპლექტებული. ეს უკვე დიდი გამარჯვებაა. ჩვენ ვაპირებთ თანამშრომლობას საკრებულოს ყველა თანამშრომელთან, მათ შორის ქალაქის მერთან.

**– ქალაქის მერის გადაყენების პროცედურაზე ბევრი საუბარი იყო. ამ მხრივ, აპირებთ ნაბიჯების გადადგმას?**

– არსებული კანონმდებლობით, ჩვენ მერის იმპიჩმენტის საშუალება არ გვეძლევა. პარლამენტში უნდა დადგეს საკითხი და მომავალში აუცილებლად გამოსწორდეს, არ შეიძლება მერი იყოს ერთპიროვნული მმართველი. ჩვენ ვიმუშავებთ პარლამენტთან ამ საკითხზე. საკრებულოში არსებობს შესაბამისი კომისია, რომელიც პარლამენტთან იმუშავებს. არ არის გამორიცხული, ამ მოწვევის საკრებულოს პერიოდშიც შევიდეს გარკვეული ცვლილებები მერთან დაკავშირებით.

ოპოზიციასთან თანამშრომლობის იმედს არც თავმჯდომარის მოადგილე, გიორგი მუსხელიშვილი კარგავს. მისი განცხადებით, უამრავი საკითხია განსახილველი, რომელიც, რა თქმა უნდა, ნაციონალებთან ერთად უნდა წარიმართოს.

**გიორგი მუსხელიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:**

– როგორც იქნა, ამდენი წლის მერე თბილისელები ელირსნენ ნაციონალების გარეშე არსებობას. ირაკლი შიხიაშვილმა ძალიან ბევრი შრომა ჩადო იმაში, რომ დღევანდელი დღე დამდგარიყო. თუმცა მე არაერთხელ მითქვამს და მოლაპარაკებების დროს ნაციონალებსაც განვუმარტე, რომ თანამშრომლობის გარეშე არაფერი გამოვა. უამრავი საქმეა გასაკეთებელი, ისინი უნდა მოვიდნენ, დაჯდნენ და ერთად ვაკეთოთ საქმე. ნაციონალების დროს იყო ცალმხრივი გადაწყვეტილებები, ახლა ესე აღარ იქნება. ვიკამათებთ, ალბათ, და საბოლოოდ მივიღებთ სწორ გადაწყვეტილებას.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ დაწვა აკვაპარკი?

**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**



აკვაპარკის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება... შინაგან საქმეთა სამინისტრო სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერებს შიფრავს, რომელიც გასართობი ცენტრის პერიმეტრზე იყო დამონტაჟებული. აღნიშნულმა ჩანაწერებმა შესაძლოა, გამოძიება დამნაშავის კვალზე გაიყვანოს. პარალელურად გამომძიებლები ექსპერტიზის დასკვნას ელოდებიან, რომელიც, სავარაუდოდ, აგვისტოს შუა რიცხვებში გახდება ცნობილი. შსს-ში განმარტავენ, რომ საქმეზე დანიშნულია სახანძრო ტექნიკური, სასაქონლო და საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზები. დაკითხულია „აკვაპარკის“ ყველა თანამშრომელი. ცნობილია, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით, ან საყოველთაოდ საშიში საშუალებით სხვისი ქონების დაზიანება-განადგურებას გულისხმობს და სასჯელის სახით 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

სავარაუდო ეჭვმიტანილის შესახებ არც საგამოძიებო ორგანოში და არც აკვაპარკში არ საუბრობენ. ვის შეეძლო ქონების განადგურება? ამაზე მხოლოდ ვერსიები ვრცელდება. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, მომხდარის ერთ-ერთ მიზეზად ოჯახური შურისძიება განიხილება. საუბარია კომპანიის ერთ-ერთ მფლობელზე, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით, მეუღლეს დაშორდა, რის შემდეგაც მის მიმართ შურისძიების მუქარა ხორციელდებოდა. გავრცელებულ ხმებს უარყოფს აკვაპარკის ადვოკატი ამირან გიგუაშვილი:

## ამირან გიგუაშვილი: „კომპანიის დამფუძნებლებს პირადი მტრობა არავისთან ჰქონიათ“



## რა კადრებს შიფრავს შსს და უკავშირდება თუ არა ქონების გადაწვა ოჯახურ შურისძიებას?



– ამ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს ქონების განზრახ დაზიანების ფაქტზე. ჩვენ ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას, რითაც საბოლოოდ გაირკვევა, ხანძარი ხელოვნურად იყო გაჩენილი თუ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე. ამის თაობაზე დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. კონკრეტული ვერსიები სწორედ ამის შედეგ გამოიკვეთება.

**– თქვენ, როგორც ადვოკატს, სავარაუდო ვერსიები თუ გაქვთ?**

– არ გაქვს არანაირი ვერსია ჯერჯერობით. ერთი რამ ვიცი – „ევროპარკსა“ და მის დამფუძნებლების რაიმე პირადი მტრობა არავისთან ჰქონიათ. საფუძველი არ აქვს იმ ვერსიებს, რომელიც გავრცელდა და რომლის თანახმადაც, თითქოს ეს ფაქტი კონკურენტების ჩამოცილებას უკავშირდება. ამ ეტაპზე ჯერჯერობით ასეა, თუ ძიება რაიმე კონკრეტულ ვერსიას გამოკვეთს, ეგ სხვა საკითხია.

**– მკითხველისთვის იქნებ დავაზუსტოთ, ვინ არის „ევროპარკის“ მფლობელი?**



– კომპანიის უშუალო მფლობელი არის „კრიპტონ მენეჯმენტ გრუპი“, რომელიც რეგისტრირებულია კვიპროსში, შესაბამისად, უცხოელი ინვესტორები არიან ამ კომპანიის მფლობელები. მათი ბიზნესპარტნიორია აკაკი სულხანიშვილი, კომპანიის დირექტორი კი გახლავთ იოსებ შავიშვილი.

**– როგორც ცნობილია, ამოღებულია სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერები... რამდენად შესაძლებელია, ამ ჩანაწერების გაშიფვრის შემდეგ ძიება კონკრეტულ ეჭვმიტანილზე გავიდეს?**

– კამერებზე ჩანაწერები არსებობს, ეს ჩანაწერები გადაცემულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის. თუ რაიმე გამოიკვეთება, ამ ჩანაწერების შესწავლის შედეგად გვაცნობებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, და არ ვვარაუდობთ, რომ იქ ვინმე კონკრეტული დამნაშავე იქნება დაფიქსირებული.

**– ასეთი ვერსიაც გავრცელდა, რომ მომხდარი შესაძლოა, ოჯახურ შურისძიებას უკავშირდებოდეს, ვინაიდან კომპანიის ხელმძღვანელს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ყოფილ მეუღლესთან?**

– ეს სრული აბსურდია, რომელზეც კომენტარის გაკეთება არც ღირს.

**– გასაგებია... ზიანი თუ დადგინდა?**

– ამაზე ცალკე კომისიაა დანიშნული და კვლავაც დგინდება ზიანის ზუსტი ოდენობა. წინასწარი ინფორმაციით, ეს იქნება რამდენიმე ასეული ათასი ლარი.

**– დაზღვევა ანაზღაურებს მიყენებულ ზარალს?**

– კომპანიის ქონება დაზღვეული იყო „ალდაგი ბისიაიში“, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდა 2012 წლის 3 იანვარს. სადაზღვევო კომპანია აწარმოებს შესაბამის პროცედურებს, ჩვენ ვთანამშრომლობთ სადაზღვევოსთან და იმედი გვაქვს, კომპანია ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებს.

დაბოლოს, ერთი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა ამ ხანძრის ირგვლივ ახალი ვერსიები გააჩინოს. უკავშირდება თუ არა „ლგბტ“ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას აკვაპარკის გადაწვა? ეს კითხვა მას შემდეგ გაჩნდა, რაც „საქინფორმის“ ხელმძღვანელმა არნო ხიდირბეგაშვილმა ინტერნეტსივრცეში სპეციალური განცხადება გაავრცელა. ხიდირბეგიშვილი აკვაპარკის აღდგენის შემდგომ გასათვალისწინებელ რჩევას იძლევა.

„აღადგინეთ თბილისის აკვაპარკი, ოღონდ „ლგბტ“ დროშის გარეშე!“, – ასე ჰქვია „საქინფორმის“ რედაქტორის განცხადებას:

„დღეს მინდა მის მფლობელებს ვურჩიო – თუ არ გსურთ, რომ ის ისევ დაიწვას, აკვაპარკის აღდგენისას ნუ შეღებავთ ჩვენი ბავშვების საყვარელ ატრაქციონს „ლგბტ“ ფერებად! არ არის საჭირო, რომ მათ ამ დროშაზე ისრიალონ!

არა, ამის გამო ჩვენი ბავშვები ლესბოსელები, ჰომოსექსუალები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები არ გახდებიან, მაგრამ ეს ფერები ქვეცნობიერად დადებით ბავშვურ ემოციებთან ერთად დაამახსოვრდებათ და მოწიფულ ასაკში ფერთა გამამ „ლგბტ“ დროშაზე შესაძლოა, მათში ავტომატურად გამოიწვიოს ბავშვობასთან სასიამოვნო ასოციაციები, მაშასადამე – სექსუალურ უმცირესობებთან ერთგვარი იდენტობის განცდა“, – წერს არნო ხიდირბეგაშვილი...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბურჯანაძის პარტიას ორი საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავს



## ვინ არის მერაბ გორგაძე, რომელმაც საზოგადოებას თავი კვერცხების სროლით დაამახსოვრა? რა კავშირი აქვს მას ბადრი ბიწაძესთან და ნარკოტიკებთან?

სწორედ პოლიტპატიმრები უმაგრებენ. მათი ნაწილი, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა რეგიონში „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ ძალადობრივ აქციებში. ამ მხრივ, ერთ-ერთი აქტიური გახლავთ ვინმე მერაბ გორგაძე, რომელიც ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრია და რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თავადაც საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირდა. გამოდის, რომ ბურჯანაძის პარტიას არჩევნებზე ერთდროულად ორი კანდიდატი ეყოლება. ერთი – თავად ბურჯანაძე და მეორე – მერაბ გორგაძე.

ვინ არის პრეზიდენტობის კანდიდატი მერაბ გორგაძე? საზოგადოებას მან თავი ჯერჯერობით კვერცხების სროლით დაამახსოვრა. ბათუმში, „ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერისის პარალელურად გამართულ აქციაზე სამართალდამცველებმა დააკავეს და წვრილმანი ხულიგნობისთვის 100-ლარიანი ჯარიმით გაათავისუფლეს. გორგაძე რამდენიმე თვის წინ პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლდა ციხიდან. მას ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით 11-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, თუმცა საპატიმროში მხოლოდ 3 წელი და 6 თვე დაჰყო.

„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ წევრი ვარ. 2009 წლის ივლისში დამაკავეს. ოფიციალურად ნარკოტიკების შეძენა-შენახვაში დამდეს ბრალი. სააკაშვილი პასუხს აგებს იმ ჯოჯოხეთისთვის, რომელიც ციხეში ჰქონდა მოწყობილი“, – განაცხადა მერაბ გორგაძემ ე.წ. მატროსოვის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ.

ბურჯანაძის პარტიაში გაწევრიანებამდე კი ის საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, ბადრი ბიწაძესთან მუშაობდა. 2009 წელს სამსახურიდან განთავისუფლების გამო სასამართლო დავა წამოიწყო და განაცდური ხელფასის ანაზღაურებას ითხოვდა, თუმცა უშედეგოდ. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ კი ის აქტიურად ჩაერთო, არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ ნატოს წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში. მერაბ გორგაძე გახლდათ ერთ-ერთი ორგანიზატორი პოლიტპატიმრების იმ აქციისა, რომელიც ბათუმში ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ გაიმართა. „არ გვინდა ნატო!“ „შეწყვიტეთ ჩვენი ბიჭების სასაკლაოზე გაყვანა!“ – ამ შინაარსის პლაკატები მერაბ გორგაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ბათუმში, ევროპის მოედანზე რამდენიმე დღის წინ გამოფინეს.

გორგაძის რა მოგახსენოთ, მაგრამ მისი პარტიის ლიდერი თითქმის დარწმუნებულია, რომ სწორედ ის გახდება მომავალი პრეზიდენტი. მას, როგორც უკვე გითხარით, პოლიტპატიმრების იმედი აქვს, თუმცა საკმარისი იქნება თუ არა პოლიტპატიმრების მხარდაჭერა, ეს სხვა საკითხია. იმ შემთხვევაში, თუ ბურჯანაძის იმედები არ გამართლდა, არაა გამორიცხული, თბილისის ცენტრში კიდევ ერთხელ აჟღერდეს „ბელა ჩაოს“ ჰანგები...



მერაბ გორგაძე



### my View

**მირიან ბოქოლიშვილი**

**საპრეზიდენტო არჩევნებზე ნინო ბურჯანაძის მთავარი დასაყრდენი ამნისტიის შედეგად განთავისუფლებული ყოფილი პატიმრები იქნებიან, უფრო ზუსტად კი ის პირები, რომლებსაც ცოტა ხნის წინ საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობამ პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა, თუმცა ახლა უკვე თავისუფლებაზე მყოფნი იმავე პარლამენტის დათხოვნასა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ითხოვენ. ამ მოთხოვნის ავანგარდში პოლიტპატიმრების მთავარი დიასახლისი ნანა კაკაბაძე დგას, რომელმაც რამდენიმე დღის წინ საპრეზიდენტო კანდიდატებს ულტიმატუმიც კი წაუყენა – თუ გსურთ საპრეზიდენტო არჩევნებზე პოლიტპატიმრების მხარდაჭერა, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების პირობა დადეთო. კაკაბაძის ინიციატივას არც „ქართული ოცნება“ იზიარებს და მით უმეტეს, არც „ნაციონალური მოძრაობა“. ერთადერთი ვინც, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების იდეას იწონებს, პარლამენტსმიღმა მყოფი ნინო ბურჯანაძეა, რომლის რეიტინგი ბოლო კვლევებით 5-პროცენტიან ზღვარსაც ვერ სცდება. ის, რომ ბურჯანაძე საარჩევნოდ ყოფილი პატიმრების მომხრობას ცდილობს, სპორტის სასახლეში გამართულ ყრილობაზეც დადასტურდა, რომელიც ნანა კაკაბაძის ორგანიზებით ჩატარდა. რეჟიმის გასამართლების მოთხოვით გამართულ ღონისძიებას, საპატიო სტუმრის სტატუსით, სწორედ ნინო ბურჯანაძე ესწრებოდა. პოლიტპატიმრების გარდა, როგორც ჩანს, ბურჯანაძე აქტიურად მუშაობს მართლმადიდებელი მრევლის განწყობებზე. „სახალხო კრების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გასულ კვირას სასამართლოსთან მივიდა და იქ გააკეთა განცხადება იმ სასულიერო პირების მხარდასაჭერად, რომლებსაც 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით ასამართლებენ. მართლმადიდებლობის „დასაცავად“ სასამართლოში მისული ბურჯანაძე საქმის განხილვას არ დასწრებია. საქალაქო სასამართლოს შენობასთან ტელეკამერები მოიხმო და 17 მაისის მოვლენები გიგა ბოკერიას პროვოკაციად შეაფასა.**

„გაოცებული ვარ იმით, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნებიდან 10 თვის თავზე კვლავ კუბლაშვილის სასამართლოში ვართ და გავხდით მოწმენი, ბოკერიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ პროვოკაციის გამო, ეკლესიის მსახურთა გასამართლების. „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი წარმომადგენლები არიან ის ადამიანები, ვინც ხალხს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, აუპატიურებდნენ. უსამართლობაა, როდესაც მკვლელები და ამ სისტემის შემქმნელები გარეთ თავისუფლად დადიან. სოლიდარობას ვუცხადებ სასულიერო პირებს, რომლებიც, შესაძლოა, 17 მაისს ზედმეტად ემოციურები იყვნენ, მაგრამ მათი მხრიდან ცემა-ტყეპა და იმის მეასედიც კი არ ყოფილა, რაც 26 მაისს მოხდა“, – განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

ფაქტია, რომ „სისტემის შემქმნელების“ გასამართლების საკითხში ბურჯანაძე მარტო არ არის და მას გვერდს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მწვანეთა პარტია“ სკანდალში გაეხვა



EXCLUSIVE



ნინო დათაშვილი

**პარტიების დაფინანსების წესზე ისევ ვერ შეთანხმდნენ, უფრო მეტიც, განხილვა სკანდალურად დასრულდა, უფრო სწორად, ჩაიშალა. არასაპარლამენტო ოპოზიცია ბრალდებებს ხელისუფლებას უყუნებს და მთავარ „ბრალდებულად“ „მწვანეთა პარტია“ გამოჰყავს. „პრაიმტაიმი“ „ორივე მხარეს“ დაუკავშირდა.**

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველო“:**

- „ქართული ოცნების“ რეიტინგი ნელ-ნელა, სტაბილურად იკლებს და ბუნებრივია, რომ ის ოპოზიციის განეიტრალების იგივე მეთოდებზე გადავიდა, რასაც შევარდნაძე და სააკაშვილი ეწეოდნენ. „ქართული ოცნება“ საფრთხეს გრძნობს „თავისუფალი საქართველოსგან“, რომელსაც აქვს მზარდი რეიტინგი. ამიტომ მათ გადაწყვიტეს, იმისთვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე არ შეექმნათ რაღაც რისკები, ვეტო დაედოთ ამ კანონმდებლობისთვის. მე ვფიქრობ, რომ ამ გადაწყვეტილების ერთგვარი კატალიზატორი გახდა პაატა ბურჭულაძის კანდიდატურა, რომელიც, მართალია საბოლოოდ ამ საკითხზე ვერ ჩამოყალიბდა და არ მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ რამდენიმე სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება მოესწრო და გამოჩნდა თუ რაოდენ მყიფეა „ქართული ოცნების“ რეიტინგი. რეალურად, „ქართული ოცნების“ რეიტინგი ძალიან დაბალია, უბრალოდ, საზოგადოება ჯერ კიდევ მხარს უჭერს მათ, რადგან ისინი ჯერ კიდევ წარმოადგენენ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარ საპირწონეს. ასე ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილის ხათრით უჭერენ მხარს. როგორც კი ისეთი ძლიერი ალტერნატივა გამოჩნდა ქვეყნის სხვა მეთაურის პოსტზე, როგორიც იყო პაატა ბურჭულაძე, ჩვენ ვნახეთ, რომ ჯერ კიდევ დაუყენებელმა კანდიდატურამ რამდენიმე ათეული პუნქტით გაასწრო „ქართული ოცნების“ კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს. ეს, მართალია ბურჭულაძემ არ გადაწყვიტა, მაგრამ დღეს თუ ხვალ ეს გარდაუვალია, რომ საქართველოში ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ოპოზიციური ძალა „თავისუფალი საქართველო“ შემოიკრებს თავის ირგვლივ კოალიციურ პარტნიორებს და ამ ხელისუფლების მთავარი ოპონენტი გახდება. ამიტომ ისინი პრევენციულ ზომებს წინასწარ იღებენ, მაგრამ ეს ზომები ძალიან უბადრუკია და არა მგონია, რაიმე ეფექტი გამოიღოს.

**- ინტერფრაქციულ ჯგუფში, სადაც პარტიის დაფინანსების საკითხი განიხილებოდა, სულ რამდენი პარტია მონაწილეობდა?**

- ინტერფრაქციულ ჯგუფში მონაწილეობდა 12 არასაპარლამენტო პარტია და ამას დამატებული „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“.

**- და „მწვანეთა პარტია“, რომელმაც არ მოაწერა ხელი პარტიის დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ დოკუმენტს თუ განიხილებოდა ამ ჯგუფში?**

- იმ ინტერფრაქციულ ჯგუფში „მწვანეთა პარტია“ თვალით არ მინახავს. არ შეიძლება ასეთი მეთოდების გამოყენება, რასაც ქუცნაშვილს აკეთებინებენ პოლიტიკურ ბრძოლაში. ქუცნაშვილს არ აქვს ისეთი ავტორიტეტი, რომ ტყუილი დაუჯეროს საზოგადოებამ. ამასთან, ასეთი მეთოდების გამოყენება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას აჭუჭყიანებს. „მწვანეთა პარტია“ საერთოდ არ ყოფილა ამ ინტერფრაქციული ჯგუფის წევრი. „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გია გაჩეჩილაძე არის ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი. ჯერ კიდევ პოლიტიკაში მოსვლამდე, ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ჯიბიდან უხდიდა ფულს ამ პარტიას. ურეკში, როდესაც პრემიერ-მინისტრს, თავის დასასვენებელ კომპლექსში, უმრავლესობა ეწვია, იქ წამოაყენა გიორგი გაჩეჩილაძემ თხოვნა, რომ „მწვანეთა პარტიისთვისაც“ გამოეყოთ თანხა ბიუჯეტიდან. ივანიშვილმა დასვა ეს შეკითხვა თუ თხოვნა უსუფაშვილთან, რომ იყო თუ არა შესაძლებელი „მწვანეთა პარტიისთვისაც“ მიეცათ ფული. იმის გამო, რომ ვერავინ ვერ შებედა ბატონს იმის თქმა, რომ შეთანხმებით ეს გათვალისწინებული არ იყო, საერთოდ მოიხსნა საკითხი დღის წესრიგიდან. ეს არის სიმართლე. რა ინტერფრაქციული ჯგუფი, რა გია გაჩეჩილაძე, ტელევიზიით ხდებოდა ამის გადაღება და ამის კადრებიც და ოქმებიც არსებობს, რომ საერთოდ „მწვანეთა პარტიის“ ხსენება არ ყოფილა ინტერფრაქციულ ჯგუფში.

**- იმ პარტიებთან, ვინც მემორანდუმს ხელი არ მოაწერეს, თუ გქონდათ საუბარი და თუ განმარტეს მიზეზები, რატომ ჩააგდეს დოკუმენტი?**

- მემორანდუმს „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ მოაწერა ხელი, უბრალოდ, გააკეთეს თავისი დათქმა, რომ არ ეთანხმებოდნენ „ქართული ოცნების“ დაფინანსების გაზრდას ოთხ მილიონ ლარამდე. რაც შეეხება „ქრისტიან-დემოკრატებს“, მათ არ მოაწერეს ხელი, გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაზე არ მოხდა შეთანხმება. თუმცა არანაირად არ გაუპროტესტებიათ ის ნაწილი, რომელიც პარლამენტის სხდომაზე იქნა ამოღებული საკანონმდებლო პაკეტიდან. რაც მთავარია, ჩვენი საზოგადოება სულელი არ არის და ხვდება, რომ ბიძინა ივანიშვილი გიორგი თარგამაძეს არ ეკითხება, როდესაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს. ეს იყო პოსტ ფაქტუმ მოფიქრებული უნიჭო სცენარი. ამიტომ ვამბობ, რომ ტყუილსაც ტალანტი სჭირდება, რომ დამაჯერებელი იყოს. როდესაც გადაწყვიტეს, რომ საკითხი დღის წესრიგიდან მოეხსნათ, მიზეზების ჩამონათვალში უფრო ნიჭიერი ვერაფერი მოიფიქრეს, რომ „მწვანეთა პარტიისთვის“ და „ქრისტიან-დემოკრატებისთვის“ დაებრალებინათ ამ დოკუმენტის დაბლოკვა. შეიძლება, ხვალ კიდევ რაღაც საკითხს რომ ჩააგდებენ, თქვან, რომ ნოდარ ნათაძესთან არ იყო შეთანხმებული. ასეთი კომედიით ქვეყანა ვერაფერს მოიგებს.

**- პარტიების დაფინანსების საკითხის განხილვა 2-3 თვით გადაიდო, რა იყო ამის მიზეზი?ირინა იმერლიშვილი, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის წევრი:**

- მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ გვინდოდა ყველაფერი კონსენსუსით ყოფილიყო შეთანხმებული, ისე, როგორც ყველა დანარჩენ საკითხზე, რომელიც პლენარულ სხდომაზე გამოდის. იყო ერთგვარი სპეკულაციები, თითქოს წინასაარჩევნოდ დაფინანსებას თავისთვის იზრდიან სახელისუფლებო პარტიები და ა.შ. იმასაც ამბობდნენ, რომ „ნაციონალებთან“ ვიყავით შეკრულები. ასეთი ტიპის სპეკულაციები რომ მოიხსნას, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, ეს არავის სჭირდება, ამ საკითხის განხილვა დღის წესრიგიდან გადაიდო, მაგრამ არ მოხსნილა. გვინდა, რომ შეჯერებული ფორმულით მივიდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებამდე. ეს იქნება უკვე საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ.

**- როგორც ვიცი, ერთ-ერთი, ვინც დოკუმენტი ჩააგდო, იყო „მწვანეთა პარტია“. საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით მომზადებული დოკუმენტის განხილვაში „მწვანეთა პარტიის“ ნომაწილეობა თავიდანვე იყო განსაზღვრული?**

- არა. „მწვანეთა პარტია“ ამაში ოფიციალურად არასოდეს მონაწილეობდა. მათ ამის სურვილიც არ გამოუთქვამთ.

**- დოკუმენტის განხილვაში „მწვანეთა პარტიას“ მონაწილეობა არ მიუღია?**

- არა. ოფიციალურად არ მიუღია. მე როგორც ვიცი, „მწვანეთა პარტიის“ წევრი განხილვების პროცესში მონაწილეობას არ იღებს ხოლმე.

**- ანუ ოფიციალურად დოკუმენტის განხილვაში მონაწილეობდა 12 არასაპარლამენტო პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“. რამდენმა პარტიამ არ მოაწერა ხელი დოკუმენტს?**

- როგორც ვიცი, ხელი არ მოაწერა მხოლოდ „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“.

**- ბიძინა ივანიშვილმა პარტიების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ საკითხზე ბევრი კითხვები არსებობს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში თავადაც მიიღებს მონაწილეობას. ხომ არ არის შესაძლებელი, საპრეზიდენტო არჩევნებამდე, დღის წესრიგში კვლავ დადგეს ამ საკითხის განხილვა?**

- არა. ვერ მოესწრება, რადგან საარჩევნო პროცესი დაწყებულია და როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, 2-3 თვით გადაიდო ეს პროცესი. სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მივუბრუნდებით ამ საკითხს.



ირინა იმერლიშვილი



კახა კუკავა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ცეკვავენ ვარსკვლავები“ - შოუს მესამე სეზონი ცირკში გადაინაცვლებს



**my View**
თამარ გონგაძე

**უკვე რამდენიმე კვირაა „იმედის“ ეთერში პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მეცამეტე კონკურსანტზე კასტინგს აცხადებს. პირველად, პროექტის ისტორიაში, უპრეცედენტო შემთხვევა ქართული ანალოგის პროდიუსერებმა დაუშვეს. ეს არის უცნობი კონკურსანტის ჩართვა პროექტში. MBC-სთან შეთანხმებით სიახლე დაიტესტა და გაამართლა. „კონსულტანტებმა და პროდიუსერებმა ხალხის აქტივობა რომ ნახეს ჩვენს საიტზე, გვითხრეს, რახან ასეთი მაღალი მოლოდინია, პროექტისთვის ძალიან მაგარია. აიყვანეთ უცნობი კონკურსანტიო“, - ამბობს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერი ნოე სულაბერიძე.**

12 ვარსკვლავურ წყვილს წელს პირველად ემატება მეცამეტე - უცნობი წყვილი, მოცეკვავე და ხალხისგან არჩეული მსურველი. სწორედ ამ დამატებით ასარჩევ მეცამეტე კონკურსანტზე უამრავი გამოხმაურებაა. ასეულობით ვიდეოს გზავნიან. პროექტმა მსურველებს ერთადერთი პირობა წაუყენა - უნდა იცეკვონ სიმღერა „ბაილა მორენაზე“. ეს ქორეოგრაფების რეკომენდაციაა.



**ნოე სულაბერიძე:**
**„ძალიან პოპულარული პროექტია. სახალხო გახდა და ამიტომ მივეცი ხალხს მასში მონაწილეობის შანსი“**

**ნოე სულაბერიძე:** „ეს კომპოზიცია ცეკვების სხვადასხვა მიმდინარეობების ერთად შესრულების საშუალებას იძლევა. შეუძლიათ მასზე შეასრულონ „რუმბაც“, „ჩაჩაჩაც“, „ტანგოც“ და სხვა. არ არიან შეზღუდულები.

ვინ იქნება ის ნიჭიერი და იღბლიანი, ეს უკვე ხუთ სექტემბერს გაირკვევა. შემოსული ვიდეოებიდან შეირჩევა ტოპ ათეული და „იმედის“ საიტზე ქულების მიხედვით საიტის მომხმარებელი თავად გადაწყვეტს - რომელი იქნება პროექტის მეცამეტე მონაწილე. ტოპ ათეული კი საიტზე 25 აგვისტოდან დაიდება.

პროექტის პროდიუსერმა უკვე იცის ის სამი მოცეკვავე, რომელიც აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას „ცეკვავენ ვარსკვლავებში“.




## მესამე სეზონში სამი უკვე ცნობილი მოცეკვავე იცეკვებს



**სალომე ჭაჭუა:**
**„მინდა მაყურებელს განსხვავებული შევთავაზო, რომ ჩემი ცეკვა ერთფეროვანი არ იყოს. პირადში არაფერი ხდება და თავით ვარ ჩარგული საქმეში“**





EXCLUSIVE

ესენი არიან: სალომე ჭაჭუა, ჯულიანა ბარგნარი და ოთო ფოლადაშვილი. დანარჩენები მოლაპარაკების სტადიაში არიან. აგვისტოში მოცეკვავეების შესარჩევი კასტინგია.

**ნოე სულაბერიძე:** -ძალიან მინდა პროექტში იყოს ქართული ანსამბლის მოცეკვავეც. ქართული ცეკვის ტური აუცილებლად გვექნება.

დამდგმელი ქორეოგრაფები ისევ უკრაინელი ცოლ-ქმარი - დიმა დიკუსარი და ალიონა შეპტენკო იქნებიან. ჟიურის წევრების ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი. ყოველ შემთხვევაში პროდიუსერი მათ ვინაობას ჯერ არ ამხელს.

არის ერთი სიახლეც! მესამე სეზონზე „ცეკვავენ ვარსკვლავები“ რუსთაველის თეატრიდან ცირკში გადაინაცვლებს. 300-კაციანი დარბაზი 2 000-იანით შეიცვალა. გაზრდილ ლოკაციაში მეტი მაყურებელი დაეტევა.

პროექტის დაწყების ზუსტი რიცხვი ჯერ ცნობილი არ არის, სამაგიეროდ, ფინალის დღეა ცნობილი - 31 დეკემბერს პროექტის გამარჯვებული გამოვლინდება. როგორც ნოე ამბობს, პრიზი იმაზე ნაკლები არაფრით იქნება, რაც აქამდე იყოო.

**- სამორი ბალდეს მამის ჩამოყვანით შოუს რეიტინგი რომ აწიე, რამე მსგავსს კიდევ გეგმავთ?**

- მოვიფიქრებ რამეს. ჯერ ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი.

**- რას მიგახვედრათ შოუს ორმა სეზონმა და მესამეში რას გაითვალისწინებთ?**

- პროექტი ძალიან პოპულარულია. სახალხო გახდა და ამიტომ მივეცი ხალხს მასში მონაწილეობის შანსი. ეს გავითვალისწინე.

**ჯულიანა ბარგნარი:** -მნიშვნელოვანი პროექტია ჩემთვის, ძალიან მიხარია, რომ ისევ მისი მონაწილე ვიქნები. ხალხის სიყვარულს კიდევ ერთხელ მოვიპოვებთ და ჩვენ თავს ვაჩვენებთ. როგორც მითხრეს, იქნება სიახლეები და მასში მონაწილეობა სასიამოვნო იქნება. ჯერ ვერ გავამხელთ რა სიახლეს ვგულისხმობ. მესამე სეზონში ვისურვებდი ძლიერ პარტნიორს. თუმცა მთავარი მაინც ადამიანური მხარეა. პირველ ორ სეზონზე ცეკვით არა, მაგრამ ძალიან კარგი ადამიანობით გამოირჩეოდნენ ჩემი პარტნიორები - აჩიკო მეფარიძე და ჯაბა კილაძე. ამ პროექტში მონაწილეობა ამიტომაც მსიამოვნებდა. ჯაბა შესანიშნავი ადამიანი და არაჩვეულებრივი მეგობარია. კარგი იქნება ჩემი მესამე პარტნიორი თუ კარგად იცეკვებს, მაგრამ მთავარია, კარგი პიროვნება იყოს.

**სალომე ჭაჭუა:** - ეს პროექტი ჩემი ერთგვარი საქმე გახდა. ასევეა ოთო ფოლადაშვილისთვისაც და ჯულიანა ბარგნარისთვისაც. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ წყალობით სამეჯლისო ცეკვები პოპულარული გახდა და დიდ მადლობას ვუხდით პროექტს. მთელი ზაფხულია ვვარჯიშობ, არ დამისვენია. ვემზადები არა მხოლოდ პროექტისთვის, არამედ ტურნირებისთვის. ჩემს თავზე ვმუშაობ, ტანვარჯიშზე დავდივარ. ჩემთვის რაღაც მოძრაობებს ვითვისებ. მინდა მაყურებელს განსხვავებული შევთავაზო, რომ ჩემი ცეკვა ერთფეროვანი არ იყოს. სანამ არ დავბერდები ჩემს თავზე მუშაობას არ შევეშვები. პირადში არაფერი ხდება და თავით ვარ ჩარგული საქმეში. ჯანღონით სავსე პარტნიორს ვისურვებდი, მოძრაობა რომ შეეძლოს.

**- გიორგი ვარდოსანიძეზე ნაკლები არ უნდა იყოს?**

- ვისურვებდი, რომ გიორგიზე ნაკლები არ იყოს.





**ჯულიანა ბარგნარი:**
**„ხალხის სიყვარულს კიდევ ერთხელ მოვიპოვებთ. კარგი იქნება ჩემი მესამე პარტნიორი თუ კარგად იცეკვებს, მაგრამ, მთავარია, კარგი პიროვნება იყოს“**




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ნიჭიერის“ მეოთხე სეზონისთვის გამალებული მზადება მიდის



**my View**
თამარ გონგაძე

**ერთწლიანი შესვენების შემდეგ „რუსთავი 2“ მაყურებელს „ნიჭიერის“ მეოთხე, გრანდიოზულ სეზონს სთავაზობს. შემქმნელები გვპირდებიან, რომ ეს იქნება ყველაზე საინტერესო, მასშტაბური და WOW პროექტი, რაც კი ოდესმე გვინახავს. საამისოდ კი ამ ყველაზე სახალხო პროექტის შემოქმედებითი ჯგუფი დასვენების ნაცვლად აგვისტოს თვის მუშაობაში გატარებას აპირებს.**

„ნიჭიერი“ ოქტომბრის პირველ დეკადაში დაიწყება, ფინალი კი 31 დეკემბერს იქნება. „ნიჭიერის“ ფინალი ზაფხულობით იყო, წელს კი, პირველად, ახალ წელს იქნება. ახალ წელს დამატებით სახალხო ზეიმი იქნება და მიხარია“, - აცხადებს გიორგი ხაბურზანია.

ლოკაცია - ფილარმონია, წამყვანები - ვანიკო და თიკა, ჟიური - ჯერ არ არის ცნობილი...






## „მეოთხე სეზონია, სტანდარტიც ზევით აიწია, მოთხოვნები გამკაცრდა. კონკურსანტებიც უფრო მომზადებულები მოდიან“

**გიორგი ხაბურზანია:** „ამ შესვენების პერიოდში ბევრი რამ დავგეგმეთ. პაუზა იმისთვის იყო კარგი, რომ ახალი ტალანტები გამოჩენილიყვნენ. ისე დამჯდარი არ ვყოფილვართ. თუ გავიგებდით ვინმე განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდაზე, ყურადღება გამახვილებული გვქონდა.

წელს „ნიჭიერში“ დახვეწილი ნომრებით წარსდგებიან კონკურსანტები. მეოთხე სეზონია, სტანდარტიც ზევით აიწია, მოთხოვნები გამკაცრდა. კონკურსანტებიც უფრო მომზადებულები მოდიან.

კონსულტაცია ჩვენ უცხოელ კოლეგებთან ამჯერად იმაზე გავიარეთ, რომ რადგან მეოთხე სეზონია მაყურებლამდე მაქსიმალურად დახვეწილი ნომრები მივიდეს. კონკურსანტის ნიჭს მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს, რომ თავი გამოავლინოს. მაგარი შოუ რომ დაიდგას, ყველა დეტალით შევუწყობთ ხელს. მასზე ავეწყობით. სანახაობრივად საინტერესო და მომზადების დონით მაღალი ხარისხის შოუ გვექნება. მეორე ტურში მაღალ დონეზე მომზადებული დახვეწილი ნომრები გადავა. ამას უკვე მკაცრად გავაკონტროლებთ“.

ამჟამად პროექტის სტაფი კასტინგებზე საქართველოს რამდენიმე ქალაქსა და რეგიონს მოივლის.

„ყველგან ჩვენი ქსელები გვაქვს გაკეთებული. სანაცნობო წრე დიდი გვყავს და გვეხმარებიან კასტინგის მოწყობაში. ჩვენ ჩავდივართ, ვიდეოს ვუღებთ და თბილისში ჩამოგვყავს. ჩვენი ყურადღების გარეშე საქართველოს არც ერთი კუთხე-კუნჭული არ რჩება. აგვისტოს შუა რიცხვებამდე მოვივლით დიდ ქალაქებს. ახლა მსხვილ ქალაქებში ჩავდივართ. ჩვენი ნაცნობობის წყალობით პრეკასტინგის ჩასატარებლად ყველგან აღარ ჩავდივართ. აღარ არის საჭიროება, რადგანაც ინფორმაციას გვაწვდიან“.

ჟიური სამი სეზონის განმავლობაში იცვლებოდა - მაია ასათიანი, ნიკა მემანიშვილი, ვანო ჯავახიშვილი, სოფო ნიჟარაძე და გეგა ფალავანდიშვილი.

„ჟიურიზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, მოლაპარაკება დამთავრებული არ არის. ჩვენ ჟიურიში ყოველთვის მშვენიერი მიქსი გვქონდა. ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი შეიძლება იყოს, კომედიანტი, მსახიობი, მუსიკოსი, მოცეკვავე... ამ შოუს ჟიური კომპლექტდება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლით“.

შოუში სიახლეა - „ნიჭიერში“ უცხოეთში მცხოვრები ქართველი კონკურსანტებიც მიიღებენ მონაწილეობას. „ეს ადრეც გვინდოდა, მაგრამ ამის საშუალება არ მოგვეცა. მეორე სიახლე - სატელევიზიო კასტინგის დროს მასშტაბურ ნომრებს გარეთ გავიტანთ, ღია ცის ქვეშ დავდგამთ. არის ნომრები, რომლებიც მასშტაბით ფილარმონიაშიც არ ეტევა. ადრე რაღაც ნომრებზე ამის გამო უარს ვამბობდით. სცენაზე არ ეტეოდა. აღარ შევიზღუდებით და საინტერესო სანახაობაც იქნება.

კასტინგების ეპიზოდი ექვს კვირას გასტანს. ექვსი სახალისო კვირა ელის მაყურებელს. მერე უკვე ნახევარფინალები დაიწყება.

„მეოთხე სეზონი მუსიკალური ნომრებით არ იქნება დატვირთული. ნომერ პირველი მუსიკალური პროექტი ისედაც აქვს „რუსთავი 2“-ს - „საქართველოს ვარსკვლავი“. ისეთი ნომრები იქნება, რაც სხვა მუსიკალურ პროექტებში არ არის. დიდი ნაკადია მოცეკვავეების, ილუზიონისტების, აკრობატების. წამოიზარდნენ თაობები, რომლებიც დაიხვეწნენ. გამოჩნდნენ ილუზიონისტები... აკრობატებს „ნიჭიერამდე“ ადგილი არ ჰქონდათ, რითიც ფართო მაყურებლის წინაშე წარსდგებოდნენ. გვექნება საცირკო ხელოვნების ნომრები. ძალიან ბევრი ისეთი ქორეოგრაფიული ნომერია, თვალს ვერ მოწყვეტ. ლაზერული განათებებით გაკეთებული შოუები. გვექნება სიურპრიზები. ზოგი ისეთი ჟანრია, სახელიც არ ვიცი. სხვათა შორის მეგობრული ურთიერთობა გვაქვს ყოფილ „ნიჭიერებთან“ და ისინი კონკურსანტების მოძიებაში და აღზრდაში გვეხმარებიან კიდეც. დათო რობაქიძე -ილუზიონისტი, გიორგი მაღრაძე - პარკური. გიორგი იტალიაში წარმატებულად გავიდა პარკურისტების შეჯიბრებაზე. ეს ბიჭები ჩართულები არიან კონკურსანტების მოძიებაში და გიხარია. უსასყიდლოდ და მეგობრულად გვეხმარებიან“.

წამყვანები უცვლელია - თიკა ფაცაცია და ვანიკო თარხნიშვილი. თიკა მესამე შვილზეა ორსულად. „რაც დავგეგმეთ თიკას ორსულობა ხელს არ შეგვიშლის. ეს წყვილი მაყურებლისთვის საყვარელი და მონატრებულია.

მოკლედ, ყველა პარამეტრით ნომერ პირველი შოუა. ყველაზე რეიტინგულის და ყველაზე სახალხოს სტანდარტი აუცილებლად უნდა შევუნარჩუნოთ „ნიჭიერს“. გვინდა მაყურებელი კმაყოფილი დარჩეს. ჩვენთან ისეთი რამ უნდა ნახონ, რაც აქამდე შოუში არ უნახავთ. ბევრი სიახლე უნდა იყოს. გვინდა მეოთხე სეზონი საუკეთესო იყოს. ამისთვის გამალებით ვმუშაობთ. აგვისტოში შვებულებაში არ გავდივართ.

პრიზებიც გულუხვად იქნება, ამის ყველა საფუძველი გვაქვს“.



## „ნიჭიერში“ უცხოეთში მცხოვრები ქართველი კონკურსანტები მიიღებენ მონაწილეობას“






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფესტივალი „პოემუსი“ - ქველმოქმედება შვიდ ქალაქში

**my View**
**თამარ გონგაძე**




**ექვსი წელია ჟურნალისტი და მსახიობი ბექა ელბაქიძე პოეზიისა და მუსიკის სინთეზით პროექტ „პოემუსს“ აკეთებს. პროექტი ლიტერატურულ კაფეებში, წიგნის სახლებში იმართება, რომლის ფარგლებშიც შედის ახალი კრებულებისა და წიგნების პრეზენტაციები, ახალბედა პოეტების წარდგენა საზოგადოების წინაშე, სიმღერების პრემიერები... ამ საგანმანათლებლო პროექტის მიზანი პოეზიისა და მუსიკის პოპულარიზაციაც არის. ბექას გარდა ამ პროექტში ჩართულები არიან: ალექსანდრე გაბუნია, გიორგი რუხაძე, ელენე რამიშვილი, თამთა იაშალაშვილი, თამარა მაჭავარიანი. ჯგუფმა სალონური საღამოებისთვის მასშტაბური სახის მიცემა გადაწყვიტა და ქველმოქმედების კეთების სურვილი გაუჩნდა. სურვილი მალევე საქმედ აქციეს. საქმეს კი პოეზიის და მუსიკის ფესტივალის სახე მისცეს. დევიზი - კეთილშობილი სახალხო საქმე დაგროვილი აგრესიის წინააღმდეგ. ფესტივალ „პოემუსს“ მხარში 80-მდე ხელოვანი უდგას. მუსიკოსები, პოეტები, მსახიობები - სურვილს გამოთქვამენ, რომ საქართველოს რეგიონებში ჩავიდნენ და კეთილი საქმის კეთებაში წვლილი შეიტანონ. ფესტივალი შვიდ ქალაქს მოიცავს და სხვადასხვა საქველმოქმედო საქმის კეთებას გეგმავს.**

ბექა ელბაქიძე ოთხი თვეა რომში ცხოვრობს. გაიარა თეატრალური მასტერკლასები. სწავლობდა დანტე ალიგიერის სახელობის უნივერსიტეტში. შემოდგომაზე ორ სპექტაკლსა და ერთ ფილმში უნდა ითამაშოს. „ფილმი „რაის“ პროდუქციაა და „ჩაკ ამორე“ ჰქვია. სასიყვარულო სამკუთხედია. რეჟისორს და მთავარი როლის შემსრულებელს ვიზაჟისტი ქალი უყვართ. მე რეჟისორის როლში ვარ. ასევე მაქვს შემოთავაზება ჩეჩენი ტერორისტის როლზეც“.

მოკლედ, სამშობლოს სამი თვით დაუბრუნდა და ამ საქველმოქმედო საქმეს შეეჭიდა.



**ბექა ელბაქიძე: „ფესტივალის ფარგლებში გავწერეთ შვიდი ქალაქი, თუმცა იდეაში ცამეტი გვქონდა. უკვე, დაახლოებით ორი თვეა, 30-მდე კომპანიისგან დაფინანსებაზე პასუხს ველოდებით და სამწუხაროდ, უმრავლესობის მხრიდან გულგრილობას ვაწყდებით“**



**„მივმართავ ყველა კომპანიას - მიზერული თანხაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის და გვერდში დაგვიდექით. თუ კულტურა არ არის მნიშვნელოვანი, იქნებ ქველმოქმედებისთვის გაიღოთ თანხა“**



**EXCLUSIVE**

### 13-ის ნაცვლად 7 ქალაქში

**ბექა ელბაქიძე:** „გვინდა, რომ „პოემუსი“ იყოს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ საქველმოქმედო პროექტი. ჩვენს ქვეყანაში ქველმოქმედება მოდური საქმე გახდა. ჩვენ მოდას არ ავყოლივართ, მართლა გულით გვინდა მისი კეთება. ჩვენთან შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა ნამდვილად არსებობს. ისინი გარიყულები არიან. ქვეყანაში ბევრი უპატრონო ხანდაზმულია და გვინდა მათაც მივაქციოთ ყურადღება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტია დიტო ცინცაძის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდი. ფესტივალის ფარგლებში გავწერეთ შვიდი ქალაქი, თუმცა იდეაში ცამეტი გვქონდა. ამის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ უკვე, დაახლოებით ორი თვეა, 30-მდე კომპანიისგან დაფინანსებაზე პასუხს ველოდებით და სამწუხაროდ, უმრავლესობის მხრიდან გულგრილობას ვაწყდებით. ამიტომაც შემცირდა ქალაქების რიცხვი. დაუფინანსებლობის შემთხვევაშიც მზად ვართ, რომ უფასოდ გავაკეთოთ ფესტივალი. ამ დროს ჩვენი დაფინანსება კოლოსალურ თანხას არ გულისხმობს. რადგან ეს პერფორმანსები ღია ცის ქვეშ კეთდება, საჭიროა სცენა, ხმისა და განათების აპარატურა და სიმბოლური ჰონორარები მონაწილეებისთვის. არ არის დაგვიანებული, თუმცა ძალიან ცოტა დრო რჩება და მივმართავ ყველა კომპანიას - მიზერული თანხაც მნიშვნელოვანია ჩვენთვის და გვერდში დაგვიდექით. თუ კულტურა არ არის მნიშვნელოვანი, იქნებ ქველმოქმედებისთვის გაიღოთ თანხა. პროექტით მანანა ბერიკაშვილი დაინტერესდა და დახმარება აღგვითქვა - პროექტის მხარდამჭერი კულტურის სამინისტრო უნდა გახდეს. იმედი მაქვს, მომავალი წლიდან „პოემუსი“ სრულიად საქართველოს მოიცავს და პრობლემების გარშემო ყველას გააერთიანებს.










**„ჩვენთან შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა ნამდვილად არსებობს. ისინი გარიყულები არიან. ქვეყანაში ბევრი უპატრონო ხანდაზმულია და გვინდა მათაც მივაქციოთ ყურადღება“**

### ფესტივალის პროგრამა

30 ივლისს ფესტივალის ფარგლებში სიღნაღში გამართული პირველი ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებს ეძღვნება. ამ ქალაქში ცხოვრობს ბავშვთა თემი, რომლებზეც მშობლებმა უარი თქვეს. მათ აქვთ არტ კაფე „ქედელი“, სადაც ყველაფერი საკუთარი ხელით აქვთ გაკეთებული. „პოემუსის“ ჯგუფი უჰონორაროდ ჩადის სიღნაღში და მთელ დღეს ამ ბავშვებთან გაატარებს. საღამოს სიღნაღის თეატრში გაიმართება საღამო, რომელსაც 22 ბავშვი დაესწრება.

„მადლობა სიღნაღის მუნიციპალიტეტს, რომელიც აპარატურით, ტრანსპორტირებით და საკვებით გვეხმარება. ამ ბავშვებს კი სცენიდან ვეტყვით, რომ ჩვენი საზოგადოების წევრები არიან. პერფორმანსის სახით წარმოდგენილი გვექნება პოეზია და მუსიკა ერთად. იმღერებენ აჩიკო ნიჟარაძე, ირინა ბაიარამაშვილი, ბენდი „ქამელეონი“. პოეტები თავიანთ ლექსებს წაიკითხავენ - გიორგი ძამუკაშვილი, გიორგი რუხაძე, რეზი ქინქლაძე, ბიჭი ივანიშვილი; ხოლო მსახიობები ნატო სულხანიშვილი, ია სუხიტაშვილი, მაკა შალიკაშვილი, ნაირა გელაძე და მე წავიკითხავთ გალაკტიონის, ლადო ასათიანის, ოთარ ჭილაძის, მირზა გელოვანის, გაგა ნახუცრიშვილის, ირაკლი ჩარკვიანის, დათო ევგენიძის პოეზიას“.

8 აგვისტოს გორის ცენტრში, იქ, სადაც ხუთი წლის წინ ჭურვები ცვიოდა, ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნასა და დაზარალებულ ოჯახებს ფესტივალი თავის მხარდაჭერას უცხადებს. „თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს. გვაქვს იდეა, საჯარისო დანაყოფი ჩავაყენოთ სცენასთან. ისინი ღონისძიების სიმბოლური მონაწილეები იქნებიან. ეს იქნება თანაგრძნობის საღამო. პროგრამაც ომის თემაზე შექმნილი მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოებებით გვაქვს აწყობილი“.

16 აგვისტოს ზუგდიდში, ხოლო 18 აგვისტოს ბათუმში ფესტივალი „პოემუსი“ დიტო ცინცაძის საქველმოქმედო ფონდთან ერთად ორი ღონისძიებით მიეძღვნება ლეიკემიასთან ბრძოლას. ღონისძიება ღია ცისქვეშ ჩატარდება ბათუმში პიაცაზე და ზუგდიდში დადიანების სასახლის ეზოში. დამსწრე საზოგადოებას იქვე შეეძლება შემოწირულობის გაღება. „გვაქვს ტელემარათონის გაკეთების იდეა, რაშიც გვერდში გვიდგას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და „აჭარის“ ტელევიზია. მაყურებელი მითითებულ ნომერზე დარეკავს. ჩვენი საინფორმაციო მხარდამჭერია ტელეკომპანია „რუსთავი 2“, რადიოები - „ფორტუნა“, „არ დაიდარდო“ და გაზეთი „პრაიმტაიმი“. როგორც მითხრეს, ამ ფონდში ორი ბავშვია უმძიმეს მდგომარეობაში, რომელთაც სასწრაფოდ სჭირდებათ დახმარება“.

20-21 აგვისტოს ფესტივალი გადაინაცვლებს ქუთაისში, სადაც „კათარზისის“ შემდეგ მეორე დიდი თავშესაფარია ხანდაზმულთათვის. ფესტივალი შეგროვილ თანხას ამ თავშესაფარს და უპატრონო ბავშვთა სახლებს გადასცემს.

25-26 აგვისტოს ბორჯომში გაიმართება აქცია - თეატრალური პერფორმანსი ძალადობის წინააღმდეგ.

13 სექტემბერს თბილისში ჯანსულ კახიძის სახელობის ბაღში ჩატარდება შემაჯამებელი ღონისძიება. „იდეაში გვაქვს სიმსივნის პრობლემის მქონე ადამიანების მხარდაჭერა. ვნახოთ...“










© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი სახელმძღვანელო სპორტული მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის

**my View**
თამარ გონგაძე

ნებისმიერი ასაკის, სქესისა და პროფესიის ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობა განისაზღვრება იმ მორფოლოგიური და ფუნქციური თვისებებით, რომლებიც მან წინაპრისგან მიიღო ან გარემოსთან ურთიერთობის შედეგად გამოიმუშავა. თუ როგორ ხდება ადამიანის ორგანიზმის განვითარება და ჩამოყალიბება, ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების გავლენა ადამიანის ზრდა-განვითარების პროცესებზე, ორგანიზმისა და გარემო პირობების ურთიერთქმედება, ორგანიზმის ზრდისა და განვითარების კანონზომიერება, ადამიანის ორგანიზმში ორგანოების, ორგანოთა სისტემების და აპარატების ურთიერთდაქვემდებარება და ფუნქციონალური ურთიერთშეთანხმება მოძრაობითი ქმედებების შესრულების პროცესში - ეს ყველაფერი განხილულია სახელმძღვანელოში, რომელიც ახლახან სამედიცინო ინსტიტუტში ნორმალური ანატომიის კათედრამ გამოსცა. სახელმძღვანელოს სახელწოდებით - „რეაბილიტოლოგიის მორფოლოგიური საფუძვლები“ სამი ავტორი ჰყავს: ადამიანის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკადემიკოსი რამაზ ხეცურიანი, პროფესორები - ნინო ქოჩაკიძე-ფხაკაძე და ნინო მდივანი. როგორც ავტორები ამბობენ, ამ მიმართულებით საქართველოში ეს ერთადერთი წიგნია. სახელმძღვანელო პატარა, დახვეწილი, დასურათებული და ინფორმაციულია. თავისი მოცულობიდან გამომდინარე სტუდენტებსაც მოეწონებათ. ავტორებმა ის სპორტული მედიცინის სტუდენტებისთვის გათვალეს. თუმცა, გარდა, ამისა წიგნი სპორტული სამყაროსთვის დიდი შენაძენია. სხვადასხვა სპორტული სახეობების მწვრთნელებმა და გუნდების ხელმძღვანელებმა სასწრაფოდ უნდა იზრუნონ მის შეძენაზე. როგორც გამარკვიეს, ფიზკულტურის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ მწვრთნელები განათლებას ვერსაიდან იღებენ. ეს პრობლემებს იწვევს. ეს სახელმძღვანელო კი სპორტსმენების სწორ ფიზიკურ ჩამოყალიბებაში მათ დიდ სამსახურს გაუწევს. ჩემთვის, როგორც ამ სფეროში დილეტანტისთვის, აღმოჩენა იყო ის ფაქტი, რომ მეცნიერები, ჯერ კიდევ როდის, ინტერესდებოდნენ და იკვლევდნენ ადამიანის მოძრაობას, მის სახეებსა და მექანიზმს. კ. გალენმა (130-201 წლები) დაამტკიცა, რომ სახსრების მოძრაობას აწარმოებენ კუნთები, რომლებიც იძაბებიან ადამიანის ცნობიერების ზემოქმედებით. ძალიან საინტერესოა ანთროპომეტრიის მეთოდები, ანუ ორგანიზმის აგებულების შესწავლა სხეულისა და მისი ცალკეული ნაწილების გაზომვების (სიგრძივი, განივი, გარშემოწერილობითი, სისქითი, წონითი) საშუალებით, სხეულის რგოლების პროპორციებისა და მასის შესაფასებლად.

სახელმძღვანელო რომ ძალიან საინტერესოა, ვფიქრობ, დარწმუნდით, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს - სულ 500 ეგზემპლარია...



ნინო მდივანი

„რეაბილიტოლოგიის მორფოლოგიური საფუძვლები“- სპორტული მედიცინის სტუდენტებისთვის ეს სახელმძღვანელო ნამდვილად სამაგიდო იქნება



რამაზ ხეცურიანი



ნინო ქოჩაკიძე-ფხაკაძე

EXCLUSIVE

„ჩვენ ერთად შევძელით ამ სიმპათიური წიგნის გაკეთება. როცა რაღაც იცი და შეგიძლია სხვას გადასცე, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია“




**რამაზ ხეცურიანი:** „ეს წიგნი ერთ-ერთი ბოლო ნაშრომია, რომელიც ჩვენს კათედრაზე ორი-სამი წლის განმავლობაში გამოიცა. ჩვენ გვინდა ჩვენი სასწავლო პროგრამები უცხოეთის სასწავლო პროგრამების იდენტური იყოს. სტუდენტები უზრუნველყოფილები იყვნენ იმ სახელმძღვანელოებით, რომელიც სჭირდებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, უცხოურ ენაზეა გამოცემული. ამიტომაც მათთვის სამმა ავტორმა გადავწყვიტეთ ამ სამაგიდო წიგნის გამოშვება. დიდი რაოდენობითაა წიგნები მორფოლოგიისა და დინამიური ანატომიის შესახებ, მაგრამ ამ სტილში, ასე ორიგინალურად გამოცემული საქართველოში არ არის. სპორტული მედიცინის სტუდენტებისთვის ეს სახელმძღვანელო ნამდვილად სამაგიდო იქნება. აქ არის ადამიანის მოძრაობის დინამიკის მექანიზმები, ასაკობრივი თავისებურებები, სპორტული დატვირთვის შედეგად მიღებული ცვლილებების თავისებურებები. მოცემულია ფიზიკური განვითარების ნორმატივები კონსტიტუციური მონაცემების მიხედვით. ასეთი ნორმატივები ჩვენთან ბოლო წლებში გამოქვეყნებული არ არის. ნუ ჩავთვლით იმას, რომ ეს წიგნი მხოლოდ სტუდენტებისთვის არის სახელმძღვანელო. ეს გახლავთ სპორტული აღზრდის - გუნდების ხელმძღვანელებისთვის, მწვრთნელებისთვის, სპეციალისტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო. სპორტული მიღწევებისთვის მხოლოდ ინტენსიური ვარჯიში არ არის მთავარი. სპორტული დატვირთვა ფიზიოლოგიურად ისე უნდა მიეწოდოს მას, რომ თავისი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება მიეცეს. ყველასთვის ცნობილია, რომ ზედმეტი დატვირთვა ორგანიზმზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ის ხელს უშლის, როგორც ზრდის პროცესს, ასევე საბოლოო შედეგების მიღებასაც. ამ წიგნში პირველად არის გააზრებული და გაანალიზებული ის მასალა, რომელიც ჩვენს პროფილის მეცნიერთა შორის დაგროვდა“.



წიგნზე ორი წელი იმუშავეს, თუმცა მასალები წლების განმავლობაში დაუგროვდათ. მასალების გადამუშავებასა და ანალიზის გაკეთებაში სამივე ავტორი ერთად იყო ჩართული. სახელმძღვანელო ახლა გამოვიდა, ახალი სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან კი მას უკვე პირველი კურსის სტუდენტები ისწავლიან. წიგნი სამედიცინო ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტისთვის არის საჭირო, განსაკუთრებით კი სპორტული მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

იმ მასალებს, რაც ამ წიგნშია თავმოყრილი, აქამდე ისედაც სწავლობდნენ სტუდენტები, მაგრამ სხვადასხვა სახელმძღვანელოებიდან. ახლა კი ყველა ეს საინტერესო მასალა ერთად არის თავმოყრილი.

**რამაზ ხეცურიანი:** „უნივერსიტეტში არსებობს სამედიცინო რეაბილიტაციის დეპარტამენტი, სადაც ერთი მიმართულება სპორტული აღზრდის ფიზიოლოგიას და პათოლოგიას ასწავლის. ამ წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი წაიღეს და საოცრად დიდი აღმოჩნდა ამ წიგნით დაინტერესება. წიგნი კი გეჩვენებათ თხელი, მაგრამ მის დათხელებას დიდი შრომა დასჭირდა. სტუდენტისთვისაც კარგი შესახედია“.

ნორმალური ანატომიის დეპარტამენტში დინამიური ანატომიის ფაკულტეტს ქალბატონები - ნინო ქოჩაკიძე-ფხაკაძე და ნინო მდივანი ხელმძღვანელობენ. უფრო კონკრეტულად - ასწავლიან მოძრაობაში გამოხატულ ანატომიურ ცვლილებებს. მასალების დიდი ნაწილი, რომელიც ამ ახალ სახელმძღვანელოშია, ფიზკულტურის ინსტიტუტშია დაგროვილი. იქ ანატომიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა არსენ ელერდაშვილი. მასთან ერთად მუშაობდნენ ნინო ქოჩაკიძე-ფხაკაძე და ნინო მდივანი. იქ დაგროვილ გამოცდილებასთან ერთად წიგნში გამოყენებულია აუმრავი ავტორის ლიტერატურა.

**რამაზ ხეცურიანი:** „ამ ქალბატონებს სპორტულ მედიცინაში, დინამიურ ანატომიაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, ჩვენ დეპარტამენტს კი მორფოლოგიის თვალსაზრისით აქვს მსგავსი გამოცდილება. ზრდისა და ორგანიზმის ასაკობრივი განვითარების საკითხებზე 30 წელი ვიმუშავე“.

**ნინო მდივანი:** „მინდა პატარა დეტალს გავუსვა ხაზი. მე და ნინო ქოჩაკიძე-ფხაკაძე ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები ვართ. ინსტიტუტი ექვსი წლის წინ დახურეს და ჩვენ, ორი ადამიანი ვართ დარჩენილი, ვინც მას შემდეგ ვმუშაობთ. ეს კი ამ კათედრის დამსახურებაა. იმ გამოცდილების გამოყენებით, რაც იქიდან წამოვიღეთ, ბატონ რამაზთან თავს სრულფასოვან თანამშრომლებად ვგრძნობთ. ჩვენ ერთად შევძელით ამ სიმპათიური წიგნის გაკეთება. როცა რაღაც იცი და შეგიძლია სხვას გადასცე, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია“.

**რამაზ ხეცურიანი:** „ფიზკულტურის ინსტიტუტის გაუქმებასთან ერთად დაიკარგა უდიდესი საარქივო სამეცნიერო მასალა, დაიშალა კათედრები, დაიკარგნენ სპეციალისტები... მწვრთნელების არც სწავლება და არც მომზადება აღარ ხდება. პრობლემაა სპორტსმენების არასწორი აღზრდაც.

უცხოეთში სპორტული უნივერსიტეტებია გახსნილი და ნორმირებულ დატვირთვას ასწავლიან, კვებიდან და ჰიგიენიდან დაწყებული კუნთების განვითარებით დამთავრებული, ათას რამეს ასწავლიან. დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმატივების ცოდნას. ამა თუ იმ სიმაღლის და წონის პიროვნებას როგორი დატვირთვა უნდა ჰქონდეს ამ წიგნში ნახავთ. მწვრთნელმა ეს საკითხები უნდა გაითვალისწინოს.

ბოლო სამი წელია გადავწყვიტეთ სტუდენტებისთვის ისეთი ფუნდამენტური საგნის შესწავლა, როგორიც ნორმალური ანატომიაა. ჩვენთან ცხრა სახელმძღვანელოს ციკლი გამოიცა, რომელშიც სწავლების თანამედროვე მეთოდიკაა შეტანილი. წელს ანატომთა საერთაშორისო ყრილობაზე მოვახსენე ეს მონაცემები და დიდი მოწონება დაიმსახურა. სახელმძღვანელოებში კროსვორდები გვაქვს შეტანილი, რომელიც ამა თუ იმ ორგანოს თუ სისტემის აღწერილობას ეხება. მისი შევსების დროს სტუდენტი კიდევ უფრო იღრმავებს თავის ცოდნას. დაახლოებით რვა მონოგრაფია და სამი სახელმძღვანელო მაქვს გამოცემული. ერთ მათგანს სახელმწიფო პრემია აქვს მიღებული, ეს არის „ადამიანის ნორმალური ანატომია“.

„დიდი რაოდენობითაა წიგნები მორფოლოგიისა და დინამიური ანატომიის შესახებ, მაგრამ ამ სტილში, ასე ორიგინალურად გამოცემული საქართველოში არ არის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფრენსის პრიმერსკი: „ამიტომაც არის

my View
დეა თავბერიძე

**საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული აქვს მოვლილი და ფოტოზე აღბეჭდილი. უყვარს „ჩაკრულო“ და „მრავალჟამიერი“. საქართველოში კი ქართულმა ცეკვამ ჩამოიყვანა... ფრენსის პრიმერსკი საფრანგეთის ყველაზე ცნობილი და პროფესიონალი ფოტოგრაფი საქართველოს პირველად „ერისიონის“ დამსახურებით ეწვია. ჰოდა, მას შემდეგ საქართველოთი ცხოვრობს.**









ის, ათეული წლების განმავლობაში, საფრანგეთის ყველა ოფიციალურ ღონისძიებაზე ოფიციალურ ფოტოგრაფად იყო მიწვეული. 20 წლის განმავლობაში ევროპაში ყველაზე დიდი ფესტივალის ოფიციალური ფოტოგრაფი გახლდათ. სწორედ ამ ფესტივალში მონაწილეობდნენ მსოფლიოში ყველაზე აღიარებული და ცნობილი ბენდები...

„საქართველო ძალიან ლამაზია“, - მეუბნება ჩემი ფრანგი რესპონდენტი და თან თავის განუყრელ ფოტოაპარატს აჩხაკუნებს. „ნახე, რა დიდებულია აქედან სამება“, - დასძენს უცებ და დიდებულად შეფასებულ კადრს ისტორიად აქცევს. ასე ისტორიად ქცეული ბევრი ლამაზი წამი ინახება ამ ხელოვანის არქივში. ფოლკლორის, ტრადიციებისა და სილამაზის დამფასებელი ფრენსისი ქართულმა ბუნებამ იმდენად მოხიბლა, რომ ამ ქვეყანას წელიწადში რამდენიმეჯერ სტუმრობს. „აქ ბევრი ჩემი ხასიათის ადამიანი აღმოვაჩინე“, - მეუბნება ღიმილით. ამიტომაც ჰყავს, ალბათ, ქართველებს შორის ამდენი ნაცნობ-მეგობარი... საქართველომდე კი ფრენსისის საახლობლო წრეში მსოფლიოს ცნობილი მუსიკოსები იყვნენ. ბევრ მათგანთან პროფესიონალი ფოტოგრაფი ხელშეკრულებით მუშაობდა. მის არქივში ნახავთ ბობ მარლის, სტინგის, ფრედი მერკურის და სხვა ბევრი ცნობილი მომღერლისა თუ ჯგუფის ექსკლუზიურ ფოტოებს... შემდეგ კი პასკალ ჟორდანმა გადაწყვიტა „ერისიონის“ პირველი ტური მოსკოვში გაეკეთებინა. ფოტო და ვიდეომასალა, რა თქმა უნდა, ყველაზე პროფესიონალ ფრანგ ფოტოგრაფს ანდო...











### „ერისიონის“ კონცერტით გაღვივებული სურვილი

**ფრენსის პრიმერსკი:** „როდესაც პირველად „ერისიონის“ გამოსვლა ვნახე, იმდენად შთამბეჭდავი იყო ჩემთვის, რომ დამბურძგლა. ეს 2004 წელი იყო. სწორედ მაშინ გავიფიქრე, საქართველო და ქართველები კარგად უნდა გავიცნო-მეთქი. ერთ დღესაც პასკალი დამიკავშირდა და მითხრა, წამოდი, ჩავიდეთ საქართველოში და ჩვენ თვითონ ვნახოთ ქართველები რა ხალხი არიანო... კონცერტი ფილარმონიაში იყო დაგეგმილი. ტექნიკური მხარე და აღჭურვილობა ფრანგებს ეკუთვნოდათ. ჩვენ მეტეხი პალასში დაგვაბინავეს. დილით, საუზმეზე ამერიკელები გვესხდნენ, შუადღეს სადილზე ავსტრიელები... გაკვირვებულმა ვიკითხე, სად არიან ქართველები? მერე პასკალს ვუთხარი, არ მინდა ამ სასტუმროში ცხოვრება, ვინმე აქაურ ქართველთან ოჯახში დამაბინავეთ-მეთქი. ასე აღმოვჩნდი ოთოსთან სახლში. მას შემდეგ ოთოს ოჯახი ჩემი ოჯახია. ყოველ ჩამოსვლაზე მათთან ვრჩები. უფრო მეტიც, ოთოს ოჯახთან ისე ღრმაა სიყვარული, რომ იქვე, მათ სახლთან ახლოს აშენებულ კორპუსში ვიყიდე ბინა“.







## „დილით, საუზმეზე ამერიკელები გვესხდნენ, შუადღეს, სადილზე ავსტრიელები... გაკვირვებულმა ვიკითხე, სად არიან ქართველები? მერე პასკალს ვუთხარი, არ მინდა ამ სასტუმროში ცხოვრება, ვინმე აქაურ ქართველთან ოჯახში დამაბინავეთ-მეთქი“

სიმღერა გამორჩეულად მიყვარს. ძალიან ახლოს ვიცნობდი ილო ზაქაიძეს, „ჩაკრულოს“ ბრწყინვალე შემსრულებელს. მახსოვს, პირველად რომ მოვისმინე, ჟრუანტელმა დამიარა, ამ ისტორიულ პიროვნებაზეც ბევრი რამ მაქვს გადაღებული. „ჩაკრულოსთან“ დაკავშირებით მისი მონათხრობიც და ასევე მისი ცხოვრების დასასრულიც... წარმოიდგინეთ, როგორი საინტერესო ფილმი გამოვა... მაგრამ ამასაობაში კიდევ სხვა რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, მართალი გითხრათ არ ველოდი“.

### ფილმი

„გავიცანი თავისი საქმის პროფესიონალი და ამასთანავე, ძალიან კარგი ადამიანი, ლაშა ონიანი, რომელსაც მიუხედავად უცხოეთში მრავალწლიანი ცხოვრებისა, ქართული ხასიათი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ეს ხასიათი პირველად იმ ცეკვებში დავინახე, რომელიც მან უცხოეთში დადგა. ამ ხელოვანის მიერ დადგმულმა ქორეოგრაფიამ მაჩვენა სიმღერისა და ცეკვის განსხვავებული სინთეზიც. იქვე აღმოვაჩინე, რომ „ერისიონის“ გარდა საქართველოში ბევრი ძალიან კარგი ანსამბლია.

ლაშას საქართველოდან ვიცნობდი, მერე კი გავარკვიეთ, რომ ერთმანეთისგან 12 კმ-ს მოშორებით ვცხოვრობთ. ლაშა გერმანიაში, მე საფრანგეთში. საფრანგეთსა და გერმანიაში ათდღიანი ქართული დღეები მოაწყო, სადაც მე ანსამბლი „რუსთავი“ გავიცანი. იმდენად აღვფრთოვანდი ამ ანსამბლით, რომ აბსოლუტურად ყველაფერს ვიღებდი. ამ საოცარმა სანახაობამ უფრო

EXCLUSIVE







## „როდესაც პირველად „ერისიონის“ გამოსვლა ვნახე, იმდენად შთამბეჭდავი იყო ჩემთვის, რომ დამბურძგლა“

### დოკუმენტური ფილმი და „ჩაკრულო“...

„2004 წლიდან დღემდე საქართველოზე დაახლოებით 300 საათი ვიდეო მაქვს გადაღებული. ერთ-ერთი ნაწილი ოთოს ოჯახს ეკუთვნის. ოთოს მშობლები ანსამბლ „მომავლის“ ქორეოგრაფები არიან. ეს ანსამბლი ქართული ტრადიციული სიმღერისა და ცეკვის პოპულარიზაციას ემსახურება, ასევე, ფოლკლორის შენარჩუნებასა და მომავალი თაობის აღზრდაზე ზრუნავს, მათთვის ტრადიციებია მნიშვნელოვანი. „მომავალმა“ თაობები აღზარდა. ბავშვები ამ სკოლის გავლის შემდეგ წამყვან პროფესიულ ანსამბლებში გადადიან. მე სწორედ ეს მოცეკვავეები მყავს დაფიქსირებული. ჯერ პატარები ანსამბლ „მომავალში“, შემდეგ კი უკვე ახალგაზრდები „ერისიონში“... ეს მინდა ფილმად ვაქციო. მასალა იმდენია, რომ შემიძლია ნებისმიერი კუთხის სიმღერაც შეუსაბამო და პატარ-პატარა ფილმებად ავკინძო. ჩანაფიქრის განხორციელებისთვის 2 წელი მაინც დამჭირდება. ვფიქრობ, ფილმი საინტერესო გამოვა... ქართული


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველო ჩემი მეორე სამშობლო“...



## „ფილმის დასრულებული ვარიანტი მინდა საფრანგეთში ჩავიტანო და იქ ვაჩვენო ჩემი თვალით დანახული საქართველო“

**„არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის შენთვის სუფრა. აქ კი თან გეფერებიან, გიღიმიან და როცა გეპატიჟებიან, გრძნობ, რომ შენ გეკუთვნის ეს ყველაფერი“**

**საქართველოში წელიწადში 6-ჯერ მაინც ჩამოვდივარ. ხან 10 დღით ვარ აქ, ხან რამდენიმე კვირით, საქართველო მომენატრება თუ არა, აქ ვარ. ახლა ბინა მაქვს აქ და უკვე თვეობითაც დავრჩები, ალბათ. ამ 6 წელიწადში კი ბევრ რამეს მოვესწარი, აქ ბევრი ისეთი რამ გაკეთდა, რაც აქამდე არ ყოფილა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ბოლო წლებია, უშიშრად დავდივარ ქუჩაში, ეს ბევრს ნიშნავს, თუმცა მე იმ დღეს ველოდები, როდესაც ქართველები აქცენტს კიდევ ერთ რამეზე გაამახვილებენ. ერთი სული მაქვს, როდის დადგება ის დღე, როცა მანქანაში მყოფნი გზაზე გადამსვლელებს დააფასებენ. აი, ეს არის ჩემი ყველაზე დიდი სურვილი. ამ ხალხმა დაახლოებით ყველაფერს მიაღწია, ალბათ, ის დროც დადგება, ფეხით მოსიარულეს, რომ მანქანა დაუთმობს გზას გადასასვლელზე“.**







**„2004 წლიდან დღემდე, საქართველოზე დაახლოებით 300 საათი ვიდეო მაქვს გადაღებული“**

მრავალფეროვანი გახადა ქართული ცეკვა და სიმღერა ჩემს თვალში, ამიტომ გადავწყვიტე მარტო „ერისიონზე“ არ გავჩერებულიყავი, მას ჯერ „რუსთავი“ შეემატა, მერე სხვა ანსამბლები... ახალ ბინაში ჩემს სტუდიას ვაკეთებ, ძალიან ბევრი რამ მაქვს გადაღებული და ბევრიც არის იმის ინტერესში თუ როგორი ფილმი გამოვა. ფილმის დასრულებული ვარიანტი მინდა საფრანგეთში ჩავიტანო და იქ ვაჩვენო ჩემი თვალით დანახული საქართველო“.

### ჩემი თვალით დანახული საქართველო

„ძალიან ბევრი ქვეყანა მაქვს მოვლილი, ძალიან ბევრ ადამიანს ვიცნობ, მაგრამ ქართველების მსგავსი სტუმარ-მასპინძლობა არავინ იცის. ქართული სუფრა საუკეთესო და უჩვეულოა. ძალიან მიყვარს კარგი დასალევი, გემრიელი კერძი, კარგი სუფრა და საქართველოში ეს ყველაფერი არის. არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის შენთვის სუფრა. აქ კი თან გეფერებიან, გიღიმიან და როცა გეპატიჟებიან, გრძნობ, რომ შენ გეკუთვნის ეს ყველაფერი. ეს საოცარი შეგრძნებაა... ამ ქვეყანაში მე ყველაფერი ვიპოვე - პოლიფონია, საოცარი ფერები, განსხვავებული სურნელი... აქ უამრავი ისეთი რამ აღმოვაჩინე, რაც ევროპაში არ არის. აი, თუნდაც აქ ვსხედვართ და ყველაფერს ერთად ვუყურებთ. სინაგოგას, მეჩეთს, ეკლესიას, სომხურ სალოცავს, აქ საბაგირო გადის, აქ ღვინოს სვამ, მღერი. ეს ყველაფერი კი ერთად მაქვს აქ და კარგად ვარ, ძალიან კარგად... მე იმ პრობლემებსაც ვხედავ, რაც ამ ქვეყანაშია, მაგრამ მუსიკა და ხელოვნება ამ პრობლემების ზემოდან არის ჩემთვის. არც ერთი ქვეყანა არ მინახავს ასეთი ამაყი თავისი კულტურითა და ხელოვნებით. ეს ძალიან მაგარია... ამიტომაც არის საქართველო ჩემი მეორე სამშობლო“...

### საქართველოს კუთხეები

„თითქმის მთელი საქართველო მაქვს მოვლილი. არის კუთხეები, რომლებიც განსაკუთრებით დამამახსოვრდა. მათ შორის სვანეთი. გზა ლენტეხიდან მესტიამდე. ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთამდე. ეს არის ყველაზე საუკეთესო გზა, რაც კი ცხოვრებაში გამივლია. რაც მე იქ ვიგრძენი, არასოდეს ყოფილა, არც ასეთი თამადა არ მინახავს არსად. არც ასეთი შეხვედრა, თუ დახვედრა მოუწყვია ვინმეს, როგორც იმ საღამოს, სვანეთში, როდესაც მას პირველად ვეწვიე. მას შემდეგ უკვე წლებია, რაც სვანეთის ხშირი სტუმარი ვარ. პირველად კი ფრანგული დელეგაცია ლაშა ონიანმა ჩაგვიყვანა. ღამით ჩავედით. ქვემო სვანეთში კულტურის სახლი განათებული დაგვხვდა, უფრო მეტიც, მთელი რაიონი შეკრებილიყო და ჩვენს ჩამოსვლას ელოდა. კონცერტს ბანკეტი მოჰყვა, ქართული ხალხური ცეკვითა და სიმღერით, მერე თბილად დაგვაძინეს და მეორე დღეს ზემო სვანეთის გზას ავუყევით. უშგულში... ეს მართლაც ფანტასტიკური იყო.

ძალიან მომხიბლა ბახმარომაც. მზის ჩასვლა ვნახე... ეს დაუჯერებლად საოცარი რამ არის. ღრუბლებზე მაღლა დგახარ და იქიდან უყურებ როგორ ჩადის მზე. ეს ვიდეოკამერითაც დავაფიქსირე.

ვერასოდეს დავივიწყებ კახეთს, საოცარი ღვინოთი და კახელებისთვის დამახასიათებელი საოცარი მასპინძლობით. საოცრად სტუმართმოყვარე ხალხი ხართ.

ქართული კერძები განსაკუთრებით მიყვარს, მათ შორის ქართული კიტრისა და პომიდვრის სალათა. რადგან კიტრსაც და პომიდორსაც თავისი, ქართული გემო აქვს. საფრანგეთშიც კი, ქართული კერძების მხრივ, არანაირი პრობლემა არა მაქვს. ქართული კერძი მომენატრება თუ არა ჩემგან რამდენიმე წუთის სავალზე, საარბრუკენში ქართულ რესტორანში მივდივარ“.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნიკოლოზ რაჭველისა და ანიტა რაჭველიშ

დეა თავბერიძე





**პირველ აგვისტოს, ალმაშენებლის გამზირზე, მუსიკალური ცენტრის მიმდებარე ტერიტორია საღამოს შვიდი საათიდან გადაიკეტება. ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური ცენტრი, ამჯერად, ანიტა რაჭველიშვილსა და რიკარდო მასის მასპინძლობს. მსმენელი მათი შესრულებით ჯუზეპე ვერდის „აიდას“ მოისმენს. სადღესასწაულო დრესკოდი საღამოს ჩაცმულობაა. შემოსული თანხა აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ ბავშვებს გადაერიცხება. ნიკოლოზ რაჭველის სიმფონიური ორკესტრი ამ საზეიმო ცერემონიალით სეზონს უკვე მესამედ ხურავს.**

**ნიკოლოზ რაჭველი:** „ჯერ გვეგონა, რომ მარიამ როინიშვილის კონცერტით იქნებოდა სეზონის დახურვა. შემდეგ კაპელამ გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთი, ძალიან შთამბეჭდავი კონცერტი ჩატარებულიყო და ისიც გამოცხადდა, როგორც სეზონის დახურვა და უკვე შვებულებაში გასული თანამშრომლები მოვბრუნდით, იმისთვის, რომ ასე გრანდიოზულად გუნდსა და ორკესტრს ასეთ დიდებულ სოლისტებთან ერთად შეგვესრულებინა მონაკვეთები ვერდის ოპერიდან „აიდა“ და ფალიაშვილის ოპერიდან აბესალომ და ეთერი, ამ მასშტაბური აქციისკენ გვიბიძგა ჩვენთან მოსულმა წერილებმა. ეს წერილები მე, ანიტა რაჭველიშვილმა და ფონდ იავნანას სამხატვრო ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ ერთდროულად მივიღეთ. სოფელ სკრის ახალგაზრდები, ეს არის ომიდან დევნილების დასახლება, დახმარებას გვთხოვდნენ“.

**ნიკოლოზ რაჭველი: „სულ რამდენიმე დღეში, ეს დებულება საჯარო გახდება და კულტურის მინისტრი და ჩვენი მუსიკალური ცენტრი ერთობლივ პრესკონფერენციაზე მოგიწვევთ და ჩვენ სამომავლო სამუშაო გეგმებზე, მომავალი სეზონის სტრატეგიაზე, ჩვენს დაგეგმილ გასტროლებსა და დაგეგმილ პროექტებზე მოგითხრობთ“**





**ნიკოლოზ რაჭველი: „იყოს ასეთი ტიპის ღია ცის ქვეშ გალა კონცერტი, რომელზეც ჩვენი ერთგული თაყვანისმცემლები ყოველთვის მოვლენ ასე გამოწყობილები და ეს ღონისძიება დაემსგავსება იმ ევროპულ და დასავლურ ცერემონიებს, რომელიც შორიდან გვხიბლავს და გვინდა, რომ აქაც ასე იყოს“**

**ანიტა რაჭველიშვილი:** „ამ კონცერტის იდეა, მე და ნიკოლოზ რაჭველს, დიდი ხანია გვაქვს. ძალიან გვინდოდა განსაკუთრებული საღამო გვეჩუქებინა თბილისის მსმენელისთვის.

ამ კონცერტის ჩატარების მთავარი მიზეზი სკრის მუსიკალური სკოლის ლტოლვილი ბავშვები არიან. მათ მუსიკის სწავლა სწყურიათ და დახმარების იმედით მათმა პედაგოგმა ქალბატონმა ანი ხმიადაშვილმა მოგვმართა. საგონებელში ჩამაგდო ამ პატარების პრობლემამ და გადავწყვიტე, რომ ყველაფერი გამეკეთებინა და მათ გვერდში ამოვდგომოდი. ნიკას დავუკავშირდი და ერთად დავგეგმეთ ეს საქველმოქმედო კონცერტი-აქცია. თავდაპირველად არ გვქონდა ცხადად წარმოდგენილი თუ რა ტიპის კონცერტი იქნებოდა, ან რა შესრულდებოდა...

ერთ დილასაც გამეღიძა და ვერ ვისვენებდი, იდეებისგან თავი ლამის გამისკდა, ნიკას მივწერე, რომ საოცარი აზრი მქონდა კონცერტის პროგრამასთან დაკავშირებით და აუცილებლად უნდა დაგვეწყო მოქმედება... კონცერტი სამ დღეში დავგეგმეთ. გამიმართლა, რომ ასეთი საოცარი ადამიანები ამომიდგნენ გვერდში. ნიკამ მთელი მობილიზაციით დაიწყო კონცერტისთვის მზადება და, რა თქმა უნდა, თეო ჯორბენაძისა და ნინო ნახუცრიშვილის გენიალური იდეების გარეშე ვერაფერს გავხდებოდით. კონცერტი ძალიან ეფექტური იქნება ვიზუალურადაც და მუსიკალური ასპექტითაც. ბედნიერი ვარ იმით, რომ შემოსული თანხით პატარებს დავეხმარებით“.




**ნიკოლოზ რაჭველი:** „ბავშვებს უნდოდათ მუსიკის შესწავლა, მათ აქვთ მუსიკალური სკოლა, რომელსაც, სამწუხაროდ, წელს შეუწყდა დაფინანსება. ისინი გვთხოვდნენ ფინანსურ დახმარებას, რომ წლის ბოლომდე მოახერხონ პედაგოგების თანხების გასტუმრება. კონკრეტული მუსიკალური სკოლის წლიური ბიუჯეტი 8 000 ლარს წარმოადგენს. აქ რამდენიმე რეგიონალური მუსიკალური სკოლაა, რომელიც დევნილ ბავშვებს ემსახურება. წინა ჯერზე მათ ხატია ბუნიათიშვილი დაეხმარა, მერე ანიტა რაჭველიშვილი და ახლა გადავწყვიტეთ, რომ ერთობლივად გავაკეთოთ და ამ აქციით შემოსული თანხა გადავრიცხოთ ამ ქველმოქმედებაში, ამიტომ ამ გრანდიოზულსა და მასშტაბურ აქციას, ჩვენ, ფაქტობრივად, სეზონის რეალური დახურვა დავარქვით. ეს გრანდიოზული კონცერტი ჩვენი ცენტრის წინ ჩატარდება. დრესკოდი გამოვაცხადეთ. ყველა, ვინც მოვა, უნდა იყოს საღამოს კაბაში, მამაკაცები კი პიჯაკებითა და სმოკინგებით. ეს იქნება ერთგვარი ცერემონიალური ხასიათის სეზონის დახურვა. გვინდა, სეზონის დახურვა ასე დამკვიდრდეს, ღია ცის ქვეშ გალა კონცერტით, რომელზეც ჩვენი ერთგული თაყვანისმცემლები ყოველთვის მოვლენ გამოწყობილები და ეს ღონისძიება დაემსგავსება იმ ევროპულ და დასავლურ ცერემონიებს, რომელიც შორიდან გვხიბლავს და გვინდა, რომ აქაც ასე იყოს“.

**ანიტა რაჭველიშვილი:** „კონცერტზე ვერდის „აიდა“ შესრულდება. მეორე და მეოთხე მოქმედება. რადამესის პარტიას ჩემი მეუღლე, რიკარდო მუსი შეასრულებს. სიდნეიში იმყოფებოდა, როცა დავურეკე და კონცერტის შესახებ ვუამბე, ძალიან მოეწონა აზრი და ამ პროექტში მონაწილეობის დიდი სურვილი გამოთქვა. მოხარული ვარ, ასევე, რომ ჩვენი ოპერის ვარსკვლავებიც დაგვთანხმდნენ ამ საქველმოქმედო აქცია-კონცერტში მონაწილეობაზე. გვერდში ამოგვიდგნენ საოცარი მომღერლები, მაყვალა ასპანიძე, გოჩა დათუსანი, ნიკოლოზ ლაგვილავა და ლევან მაკარიძე. მათი მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის“.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვილის საქველმოქმედო კონცერტი-აქცია



## ანიტა რაჭველიშვილი: „ბედნიერი ვარ იმით, რომ შემოსული თანხით პატარებს დავეხმარებით“

EXCLUSIVE

**რიკარდო მუსი:** „ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, ვიმღერო იქ, სადაც ხელოვან ადამიანებს ძალიან აფასებენ და დიდ პატივს სცემენ. ვამაყობ იმით, რომ აქ ვარ და იმედია, ასეთ საოცარ წამოწყებაში ხშირად მივიღებ მონაწილეობას. მართალი გითხრათ, ცოლის სამშობლოში სიმღერა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა. საერთოდ, ჩვენ, იტალიელები და ქართველები ერთმანეთს ძალიან ვგავართ. ამიტომ, როცა აქ ჩამოვდივარ ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს საკუთარ სახლში ვარ. თითქოს საკუთარ ხალხს ვუმღერი“.

**ანიტა რაჭველიშვილი:** „კონცერტი, მართალია თავდაპირველად მხოლოდ პატარებზე იყო კონცენტრირებული და ეს უმთავრეს მიზეზად დარჩება, მაგრამ ჩვენ მოვინდომეთ, რომ ამ კონცერტისთვის კიდევ ერთი დატვირთვა მიგვეცა. რადგან ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალური ცენტრის სეზონი წელს მე გავხსენი, გადავწყვიტეთ ისევ მე დამეხურა და ღია ცის ქვეშ ასეთი დიდი საზეიმო გალა მოგვეწყო. ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია ასეთი მაღალი დონის კონცერტების გაკეთება და ასეთი მაღალი დონის ორკესტრის მოსმენა.

ორი დღეა, რაც რეპეტიციები დავიწყეთ, გაოცებული ვარ ორკესტრის დაკრულით, ნიკოლოზ რაჭველის გენიალური მუშაობით, მისი პროფესიონალიზმითა და მონდომებით.

ორკესტრის ენთუზიაზმიც ძალიან იგრძნობა და თითოეულ მათგანს ამისთვის მადლობას ვუხდი... გვყავს ასევე საოცარი კაპელა, ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მეუღლეც კი გაოცებულია საქართველოში ასეთი მაღალი დონის ორკესტრისა და კაპელის არსებობით.

ჩვენს პატარა და ლამაზ ქვეყანას დიდი კულტურული პოტენციალი აქვს და სწორედ ამიტომ ვცდილობ, რომ ბავშვებს დავეხმარო მუსიკის შესწავლაში. რომ ეს კულტურული მემკვიდრეობა, რაც საუკუნეების მანძილზე მოგვდევს, არსად დაიკარგოს და ახალი, განათლებული, კულტურული თაობა გავზარდოთ.

ცოტას ვღელავ, ქართველი მსმენელის წინაშე ჩემი გამოსვლა ყოველთვის ღელვასთანაა დაკავშირებული, მაგრამ, ამავე დროს, ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სამშობლოში მომეცა საშუალება, რომ ასეთი საოცარი კონცერტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე ვყოფილიყავი. ეს არ იქნება პირველი და უკანასკნელი კონცერტი ქველმოქმედების მიზნით. მე და ნიკოლოზ რაჭველს გვაქვს სამომავლო გეგმებიც და ვაპირებთ, რომ ბევრი ასეთი საქველმოქმედო კონცერტი-აქცია ჩავატაროთ. მახარებს ის ფაქტიც, რომ ის გაუგებრობა და დავა, რაც ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრსა და კულტურის სამინისტროს შორის იყო, დასრულდა. იმედი მაქვს, ამიერიდან, კულტურის სამინისტრო ყველა კეთილ წამოწყებაში გვერდით დაგვიდგება“.

**ნიკოლოზ რაჭველი:** „ჩაცხრა ეს ფორიაქი, ჩვენსა და კულტურის მინისტრს შორის გაირკვა ურთიერთობები და აღმოჩნდა, რომ გარკვეული მცდარი ინფორმაციის მიწოდების შედეგად, ბატონი გურამის პოზიცია არ იყო ჩამოყალიბებული ისე, როგორც დღეს არის... ჩვენ აბსოლუტურად ყველა საკითხზე ვიმსჯელეთ, შევუდექით თანამშრომლობას. მოგეხსენებათ, ჩვენთან იყო შემოწმებითი სადამსჯელო ჯგუფი. რომელსაც ევალებოდა გამოეკვლია ფინანსური, იურიდიული და შემოქმედებითი საკითხები ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში მუსიკალურ ცენტრში და სწორედ ამ შესწავლისა და დასკვნის საფუძველზე, რომელშიც აღმოჩნდა, რომ მცირეოდენი ხარვეზების გარდა არ იყო არანაირი ფინანსური დარღვევა, ამის შედეგად ჩემი პასუხისმგებლობა, როგორც მმართველისა, არ დადგა, სამხატვრო ხელმძღავნელის დასკვნის შემოქმედებით ნაწილში კი, იყო ძალიან დიდი ცილისწამება, მაგრამ ეს იყო მიკერძოებით დაწერილი, კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომლის, ლიკა კოპალეიშვილის მიერ, რომლის პასუხისმგებლობის საკითხს ჩვენი ცენტრი მალე დააყენებს. და ამ შემოქმედებითი დასკვნის სრული უარყოფა მოხდა კულტურის მინისტრის მხრიდან. შესაბამისად, ჩვენ გავაგრძელეთ თანამშრომლობა, ახლა სპეციალურად ვმუშაობთ ახალ დებულებაზე, რომელიც ჩვენი ინიციატივით შევიდა კულტურის სამინისტროში, სულ მალე ეს დებულება გახდება საჯარო და კულტურის მინისტრი და ჩვენი მუსიკალური ცენტრი, ერთობლივ პრესკონფერენციაზე მოგიწვევთ და ჩვენ სამომავლო სამუშაო გეგმებზე, მომავალი სეზონის სტრატეგიაზე, ჩვენს დაგეგმილ გასტროლებსა და დაგეგმილ პროექტებზე მოგითხრობთ.

მინდა ძალიან დიდი მადლიერება გამოვხატო ჩვენი საზოგადოებისა და ერთგული მსმენელის მიმართ, რომელიც არ ტოვებს თითქმის არც ერთ კონცერტს ჩვენს ცენტრში და აქედან გამომდინარე, ჩვენს შემოქმედებით ხარისხსა და პოტენციალზე საკუთარი, ჩამოყალიბებული აზრი და პოზიცია აქვს... ისინი ძალიან გვედგნენ გვერდში მთელი ამ პერიოდის მანძილზე. განსაკუთრებული მადლობა კი მინდა გადავუხადო გია ყანჩელს, ლექსო თორაძეს და პაატა ბურჭულაძეს. საბედნიეროდ, ჩვენთან ძალიან დიდი არმია იყო და არის გვერდში მდგომი ადამიანებისა, მაგრამ ჩამოთვლილმა სამმა პიროვნებამ ფასდაუდებელი სოლიდარობა გამოგვიცხადა და წვლილი შეიტანეს იმაში, რომ იმ ცილისმწამებლურ შემოქმედებით ბრალდებებზე, რომელიც ჩემ მიმართ კულტურის სამინისტროს დასკვნაში იყო ჩამოთვლილი, ლიკა კოპალეიშვილის მიერ, მათ, სხვადასხავა დონეზე, სათანადო რეაგირება მოახდინეს, როგორც პრესით და ტელევიზიით, ისე პირადი შეხვედრებით და ასე ვთქვათ, მათ ხაზი გაუსვეს იმას, რომ სხვა შეხედულების იყვნენ ჩემი და ჩვენი ორკესტრის რეფორმების მიმართ და რომ ისინი მხარს უჭერდნენ ყველა იმ გეგმას, რომელიც ჩვენ დავისახეთ მიზნად“.



## ანიტა რაჭველიშვილი: „ეს არ იქნება პირველი და უკანასკნელი კონცერტი ქველმოქმედების მიზნით. მე და ნიკოლოზ რაჭველს გვაქვს სამომავლო გეგმებიც და ვაპირებთ, რომ ასეთი ბევრი საქველმოქმედო კონცერტი-აქცია ჩავატაროთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქართველი მომღერლის წარმატება იურმალაზე და მეო



**my View**
**დეა თავზერიძე**

„შანსი მომეცა, საქართველოს სახელით გავიდე იურმალაზე, ბედნიერი ვარ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი ქვეყანა ვასახელო, - უთხრა „პრაიმტაიმს“ სალომე ქათამაძემ იურმალაში გამგზავრებამდე. 24 ივლისს კი იურმალაში „ახალი ტალღა 2013“-ის პირველი საკონკურსო დღე შედგა. 16-მა კონკურსანტმა მსოფლიო ჰიტები შეასრულა. საქართველოს წარმომადგენელმა სალომე ქათამაძემ Boyz II Men-ის ჰიტი End Of The Road შეასრულა. მისმა გამოსვლამ დარბაზში ფურორი მოახდინა... მეორე დღეს კი სალომემ დუეტ „ჯორჯიასთან“ ერთად ქართული პოპური შეასრულა და ჟიურის წევრთა უმრავლესობის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. თუმცა იყო მოულოდნელობაც, ლეონიდ აგუტინმა, სალომესთვის მხოლოდ 10 ქულა გაიმეტა, ტოტო კუტუნიომ კი ქართველ მომღერალს 8 ქულა მისცა. როგორც შემდგომ ჟიურის წევრთა კომენტარებიდან გაირკვა, ნასვამ კუტუნიოს სალომეს სიმღერის დროს ეძინა. ეს დღე სალომესთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან მესამე საკონკურსო დღეს, მიუხედავად იმისა რომ კუბელ მომღერალზე მაღალი ქულები მიიღო, ქართველ კონკურსანტს პირველ ადგილზე გასასვლელად ქულები მაინც არ ეყო და მეორე ადგილს დასჯერდა. მიუხედავად ამისა, სალომე ქათამაძე თამამად შეიძლება „ახალი ტალღა 2013“-ის ფავორიტად ჩაითვალოს, რადგან მან ჟიურის და დარბაზის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქართველ მომღერალს იურმალაზე უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა, მათ შორის ყველაზე აქტიური სალომეს მეუღლე გიგი ზამთარაძეა. ის თბილისში შესარჩევ კონკურსსაც ადევნებდა თვალს და გამარჯვებულის ვინაობის დასახელებამდე ძალიან ღელავდა. სწორედ მაშინ, წყვილმა, „პრაიმტაიმს“ უცნაური გაცნობით დაწყებული სიყვარულის ისტორია უამბო, რომელიც დღემდე გრძელდება.

**სალომე ქათამაძე:** „გიგი არ არის პირველი სიყვარული, ტყუილს ვერ ვიტყვი, მაგრამ პირველად შემიყვარდა ასე. ჩემამდე გიგისაც ჰყავდა შეყვარებული, თუმცა ორივე ვფიქრობთ, რომ ეს არის ნამდვილი სიყვარული“, – ამბობს მომღერალი სალომე ქათამაძე და თავის ნამდვილ სიყვარულს ღიმილით შესცქერის... რაც გათხოვდა, მას შემდეგ თურმე „ფეისბუქს“ იშვიათად სტუმრობს. ამისთვის დრო აღარ მრჩებაო, ამბობს. გათხოვდა, მაგრამ დიასახლისობა მაინც ვერ მოირგო. არც სახლის ლაგების პროცესი ხიბლავს და ვერც სადილის მომზადება ისწავლა. გიგი ამაზე არ ბრაზობს, თუმცა ამ ხნის მანძილზე სალომეს მიერ ერთადერთხელ მომზადებული კრაბის სალათის გემო არ ავიწყდება, – უგემრიელესი იყოო. მომღერალი კი ქმარს ასე ახასიათებს: - ძალიან თბილი და მეგობრულია, ცდილობს, მაქსიმალურად ყველას ასიამოვნოს, კარგი იუმორი აქვს, ხუთვარსკვლავიანი, გიგის გარეშე ერთ წუთსაც ვერ ვძლებ... მიუხედავად ასეთი დახასიათებისა, მაინც ხშირად კამათობენ. გიორგი ამას ასე ხსნის: - სულ ვკამათობდით, თუმცა ეს გართობაა ჩვენთვის, სიცილ-კისკისში ვესწერვებით ერთმანეთს. ჰოდა, გაცნობაც თურმე ასეთი ჰქონდათ.



**exclusive**







**გიგი ზამთარაძე: „როცა მოვუსმინე, გავიფიქრე, რა მაგრად მღერის-მეთქი. სალომე ჩემთვის მსოფლიოში ყველაზე მაგარი მომღერალია“**

## „შანსი მომეცა, საქართველოს სახელით გავიდე იურმალაზე, ბედნიერი ვარ ამით. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი ქვეყანა ვასახელო“

## სალომე ქათამაძე: „მეგობართან გავიცანი სახლში. რაღაცნაირი რეპლიკა ისროლა, რაღაცაზე გამომეკომენტარა. მეც გავესწერვე და იცი, რა მითხრა? შენ გახდომა მოგიხდებოდაო“

**სალომე: -** მეგობართან გავიცანი სახლში. რაღაცნაირი რეპლიკა ისროლა, რაღაცაზე გამომეკომენტარა. მეც გავესწერვე და იცი, რა მითხრა? შენ გახდომა მოგიხდებოდაო. მეც რაღაცები მივაყარე, არც ამან დამაკლო და ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ეს ავი ურთიერთობა იყო, ჩემი კლანჭებით. მაგრამ, მოგვიანებით, რატომღაც გადავწყვიტე, რომ ეს ბიჭი ძალიან კარგი და ძალიან საყვარელია. ასე არც არავინ გამიცნია. მოკლედ, დავინტერესდი. მერე მეორედ შევხვდი, მერე მესამედ.

**გიგი**: - ოღონდ, პაემანი არ გვქონია, სულ მეგობრებთან ერთად ვხვდებოდით ერთმანეთს. ასე „დავმეგობრდით“. მეგობრულად არასდროს შემიხედავს, ეგრევე გულში ჩამივარდა. მეც იგივე რამ დამემართა. სულ სალომეზე ვფიქრობდი. რაღა-





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# სალომე ქათამაძე: „გიგის გარეშე ერთი წუთითაც ვერ ვძლებ, არ შემიძლია“

ცამ მომხიბლა, მაგრამ, არ ვიცი, რამ. სალო ახლა აჭარბებს. იმ პირველ დღეს ერთმანეთში იუმორის დებატები გავმართეთ.

**– როგორც ვიცი, ქორწილი და ჯვრისწერა არ გქონიათ, როდისთვის გეგმავთ?**

– ქორწილს ვაპირებთ, მაგრამ ისე არა, 300-კაციანი ქორწილები რომ იციან, ბებიის ბიძაშვილების დაპატიჟებით. ძალიან ვიწრო წრეში გადავიხდით ჯვრისწერის შემდეგ.





**სალომე**: -მამაჩემი არის მამაო დიდ სამებაში და ჯვარს, ალბათ, იქ დავიწერთ. იქ, ან შიო მღვიმის მონასტერში. ზუსტად არ ვიცით, ეს როდის იქნება, ალბათ, მალე.

**– გიგი, იცოდი სალომე რომ მომღერალი იყო?**

– როცა პირველად ვნახე, მიხვედრით ნამდვილად ვერ მივხვდი, ვინ იყო. მერე გავიგე, „გოლდენ ტალანტი“ აქვს მოგებულიო და ეგრევე „იუთუბიზე“ მოვძებნე. მაინტერესებდა, როგორ მღეროდა.

**– მერე, როცა მოუსმინე და ინტერესი დაიკმაყოფილე, რა გაიფიქრე?**

– რა მაგრად მღერის-მეთქი. მართლა ძალიან მაგრად მღერის, ვერავის სიმღერას ვერ შევადარებ. ქართველებზე არ მაქვს ლაპარაკი, უცხოელებზეც მაგარია. ჩემთვის სალომე მსოფლიოში ყველაზე მაგარი მომღერალია. თავიდან, როცა ერთმანეთი გავიცანით, დავდიოდით და ვამღერებდი ხოლმე ქუჩაში, ტაქსში...

**სალომე:** - მობილურში მქონდა ჩემი უიტნი ჰიუსტონის პლუსი ჩაწერილი. ერთხელაც მოვასმენინე. ეს შენ არ ხარო, არ დაიჯერა თავიდან. აბა, იმღერე, თუ შენ ხარო. ბოლოს ვუმღერე და დავუმტკიცე, რომ მე ვიყავი. მას შემდეგ სულ ამ ტელეფონით დადიოდა, ჩართული ჰქონდა და უსმენდა. ამ სიმღერაზე მაჟრიალებსო, ამბობდა. მე კი ძალიან მსიამოვნებდა და მიხაროდა ეს ყველაფერი.

**– გიგი, შენ თუ მღერი?**

– სიმღერა მეხერხება, სმენა მაქვს. ჩემთვის წავიმღერებ ხოლმე. სუფრასთანაც სიამოვნებით ვმღერი. ერთადაც გვიმღერია სახლში. ვარსკვლავობასა და სალომესთან დუეტის ჩაწერას არ ვაპირებ.

**– გაიპარეთ?**

– არ გავპარულვართ, არც არავინ შეგვიწუხებია, უბრალოდ, გადავწყვიტეთ და მეორე დღეს ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანეთ. მანამდე გიგის დედას ვიცნობდი. ძალიან კარგი ადამიანია, ჩემი დაქალია. დედამთილობა და რძლობა ჩვენს შორის არ არის. ლიკას ვეძახი. გიგის ერთად ვეჩხუბებით ხოლმე, როცა რამე არ მოგვწონს. როცა მოგვწონს, მაშინაც ერთად ვაქებთ. ყველანაირად გვერდით მიდგას. ჩემი მეგობარია, მეხმარება, რჩევასაც მაძლევს. როგორც ჩემი ტოლი, ისე მიგებს ყველაფერში.

**გიგი:** - უბრალოდ, ერთი პრობლემა აქვს ჩვენს გადამკიდეს, არ ვაძინებთ. ხან რომელზე მივდივართ სახლში და ხან რომელზე. ლიკასაც ძილი რომ გაუტყდება, მერე ველარ იძინებს. ჯერ ჯუჯღუნებს, მერე კი ჩვენთან ერთად მასაც ეცინება. მოკლედ, ძმაკაცია ჩვენი.

**– სალომეს საჩუქრებით თუ ანებივრებ?**

– საჩუქრებითა და სიურპრიზებით არ ვანებივრებ. ვაიდა, არ მოეწონოს, ამიტომ, როცა რამის შეძენა უნდა, მიმყავს ხოლმე და ვეუბნები, შეარჩიე, რაც გინდა.






# სალომე ქათამაძის უცნაური გაცნობით დაწყებული რომანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




დეა თავზარიძე

# ბაჩო ცანავას საჩუქარი უწმინდესის სალონ-მუზეუმს








**ბაჩო ცანავასა და მის ულამაზეს ქმნილებებზე „პრაიმტაიმი“ წლების წინ წერდა. მაშინ მას 70-მდე თოჯინა ჰქონდა გამოძერწილი. დღეს უკვე ბევრად მეტი აქვს. ამ ფიგურებს ახალგაზრდა მოქანდაკე 14 წლიდან ქმნის. ეს ჯერ უბრალო და ბავშვური თამაში იყო, რამაც, დროთა განმავლობაში სერიოზული სახე მიიღო. რამდენიმე დღის წინ თავისი ერთი ნამუშევარი ბაჩომ ბათუმში არსებულ უწმინდესის სალონ-მუზეუმს გადასცა.**

**ბაჩო ცანავა:** „საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სავანე „მზიანი ღამე“ ასე ჰქვია ადგილს, სადაც ეს მუზეუმია. ამ მუზეუმში ჩემი ნამუშევარი, ჩემი მეგობრის დედის, ბაბო მიქელაძის დახმარებით მოხვდა. ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა ამისთვის მას მადლობა თქვენი გაზეთის მეშვეობით ვუთხრა. რომ არა ეს ქალბატონი, ჩემი თოჯინა ახლა იქ არ იქნებოდა. ეს არის ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ჩემ შემოქმედებაში მოხდა. აქ ძალიან ბევრი საინტერესო ექსპონატია დაცული, მათ შორის ჩემი ბებოც. მუზეუმის დირექტორმა ბატონმა ოთარ გაგუამ გამოფენის გაკეთებაც შემომთავაზა, რაც ძალიან სასიამოვნო ფაქტია და აუცილებლად ვიზრუნებ ამაზე. მანამდე კი გამოფენის მოწყობა თბილისში მაქვს გადაწყვეტილი. ახლა, ახალ ექსპოზიციაზე ვმუშაობ“.

# ლიტერატურული კონკურსი პატიმრებისთვის

**ლიტერატურული კონკურსი მსჯავრდებულებისთვის. ექვს საუკეთესო მწერალსა და პოეტს პირველ ოქტომბერს პატიმრებისგან არჩეული ჟიური დაასახელებს. ციხეში დაწერილი ნაწარმოებები მალე წიგნადაც გამოიცემა. პირველ ადგილზე გასული ფულადი პრიზით, 500 ლარით, დაჯილდოვდება. მეორე ადგილის პრიზიორი 400 ლარით, ხოლო მესამე ადგილი 300-ით. ლიტერატურული კონკურსი „კალამი“ არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიტივის ინიციატივით კეთდება. ნიშანდობლივია, ალბათ, ის ფაქტიც, რომ ამ ორგანიზაციის დამფუძნებელიც პოეტია.**



**გურამ ადამაშვილი:** „საერთოდ, ორგანიზაცია, შემოქმედი ადამიანებისგან შედგება. ჩვენ ძალიან ბევრი ღონისძიება გვაქვს გაკეთებული, იგივე ლიტერატურული თვალსაზრისით, გასვლითი ტურები, პოეზიის საღამოები სხვადასხვა დაბებსა და რეგიონებში, ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ სახის კონკურსის მოწყობა ციხეში. თვითონ პატიმრებში ძალიან აქტუალურია შემოქმედებითი წვა, ამიტომ ვიფიქრეთ, რომ ძალიან კარგი და საინტერესო პროექტი გამოვიდოდა. პატიმრებში ძალიან დიდი ენთუზიაზმია გაჩენილი. ძალიან ელოდებიან ამ პროექტის დაწყებას. თანაორგანიზატორები არიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკამ მოგვაწოდა 10 საუკეთესო პოეტი და მწერალი, რომლებიც ჟიურის წევრები იქნებიან. მათ გაეცნობა თითოეული პატიმარი და მათი სურვილისამებრ მოხდება სამი საუკეთესოს შერჩევა. სწორედ ისინი გამოავლენენ პატიმრებს შორის გამარჯვებულებს. 6 გამარჯვებული ორი მიმართულებით პროზისა და ლირიკის მიმართულებით გამოვლინდება. ამ ნაწარმოებებიდან 50 საუკეთესო ნაწარმოები შეირჩევა და წიგნად გამოვა. წიგნის პრეზენტაცია 15 ნოემბერს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართება“.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




თამარ გონგაძე

# პროექტი პრობლემებსა და გამოწვევებზე

26 ივლისს კაფე „მოდა-მოდაში“ ერთი არაორდინარული და საინტერესო შეკრების მომსწრე გავხდი. მყუდრო სივრცეში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები თავიანთი სფეროს საყოველთაო პრობლემებზე, მიღწევებსა და გამოწვევებზე საუბრობდნენ. თითოეულ მათგანს პრობლემაზე სასაუბროდ ათი წუთი ჰქონდა. მერე იყო დისკუსია და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დაინტერესებული პირების კონტაქტებისთვის და გაცნობისთვის იდეალური სიტუაცია სუფევდა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მიერ იდეების გაცვლა და ღია დისკუსია ფრენსის ბელსერის იდეაა, შვეიცარიელი ხელოვანის, რომელიც შვიდი წელია უკვე საქართველოშია და როგორც მისი მეგობრები ამბობენ, ცდილობს თავისი ენერგია საქართველოს ხელოვნების განვითარებაში ჩადოს. თბილისისა და ციურიხის, ამ ორი ქალაქის დამეგობრებაში ბელსერი გარკვეულ როლს ასრულებს. ფრენსისი სამხატვრო აკადემიის პედაგოგია. პროექტის გაკეთების იდეაც სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან მოუვიდა. რამდენიმე თვის განმავლობაში სწავლობდნენ ამ ტიპის შეკრების სპეციფიკას. ღონისძიების მხადამჭერი შვეიცარიის საელჩო გახლდათ.

ღია კაფეში თავმოყრილმა რამდენიმე მიმართულების წარმომადგენლებმა განიხილეს - გარემოს დაცვის საკითხები, ეკონომიკა, ტექნოლოგიები, ჯანდაცვა, ხელოვნება, კომუნიკაციები...

ღონისძიების იდეაა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა გაიგონ იმ სფეროს შესახებ, რომელიც მასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული, თუმცა აინტერესებს.




EXCLUSIVE





## არჩილ თალაკვაძე: „ჩვენი სამინისტრო ამას მხოლოდ თავისთვის არ აკეთებს, საზოგადოებას მისთვის გასაგებ ენაზე ესაუბრება“




**ფრენსის ბელსერი (ხელოვანი, ხელოვნების პროექტების კოორდინატორი საქართველოში):** - დიდხანს ვფიქრობდით სად გაგვეკეთებინა ეს შეხვედრა და ეს ადგილი შევარჩიეთ. რთულია, ერთ სივრცეში ამდენი პროფესიის ადამიანის ერთად შეკრება. ვსაუბრობთ პოლიტიკაზე, ჯანმრთელობაზე, ციხეებზე. მნიშვნელოვანია, რომ ყველა იყოს ამ საყოველთაო პრობლემებში ჩართული. ბევრი ადამიანი თავის სათქმელს ქუჩაში ამბობს. გადავწყვიტე, რომ ჩვენი შეხედულებები არა ქუჩაში, არამედ ამ ცივილურ გარემოში გამოგვეთქვა. შემდეგი შეხვედრისთვის გვინდა ძველი ფაბრიკა ვნახოთ და იქ ვისაუბროთ ყველაფერზე - ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე, ჯანმრთელობაზე. მინდა იქ საქართველოს ხელისუფლება მოვიწვიო. ჩემი დიდი სურვილია, პოლიტიკოსები ხალხთან ახლოს მოვიყვანო.

**არჩილ თალაკვაძე, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე:** - ამ ღონისძიებაზე საზოგადოებას ის გამოწვევები და პროექტები წარვუდგინე, რომელიც ჩვენ სისტემაში ბოლო რვა თვის განმავლობაში ხორციელდება. ესენია - ჯანდაცვის რეფორმა, რომელსაც ახლა ვაკეთებთ, სასჯელაღსრულების სისტემაში ინფრასტრუქტურული პროექტები, ადამიანური რესურსები და პერსონალის განახლება, კვების სტანდარტის შეცვლა, ძალადობის პრევენცია სისტემაში, გაზრდილი ბიუჯეტი. წარმოვადგინე, როგორც გამოწვევები, ისე მიღწევები. ჩვენი სამინისტრო ამას მხოლოდ თავისთვის არ აკეთებს, საზოგადოებას მისთვის გასაგებ ენაზე ესაუბრება.


არჩილ თალაკვაძე




**პაატა საბელაშვილი, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენელი:** - ჩვენი ქსელი მესამე წელია C ჰეპატიტის გარშემო კამპანიას ახორციელებს. ეს დაავადება, ანუ პრობლემა, ჩვენს ქვეყანაში 200 ათას ადამიანს აქვს. მკურნალობა 15 ათასი დოლარი გიჯდება, რასაც ვერავინ წვდება. არც არავინ აფინანსებს. ჩვენი მიზანია, ამ თემის ირგვლივ საზოგადოების ინფორმირებულობა. ეს პრობლემა პოლიტიკოსების ყურამდე უნდა მივიტანოთ და დღის წესრიგში დადგეს. შარშან სამიზნედ სახელმწიფო ორგანოები ამოვიღეთ. გაზაფხულიდან მოყოლებული, სასჯელაღსრულების სამინისტროსთან და ჯანდაცვის სამინისტროსთან ვთანამშრომლობთ. ვინაიდან სახელმწიფომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად კარი გახსნა, ახლა უკვე კამპანიის სამიზნე ის ფარმაკომპანიები გახდა, რომლებიც 15 ათას დოლარიან წამალს 15 წელია უცვლელ ფასად ყიდიან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლა ამ წამლების ფასდაკლების დროა. ამ დაავადების მედიკამენტების მწარმოებელი ფირმების „როშის“ და „მერკის“ ოფისთან გვქონდა აქციები, პიკეტი მოვაწყვეთ. ეს ღონისძიებაც ჩვენს ფარგლებში შედის, მხარს ვუჭერთ მას. ასეთი შეკრებები მნიშვნელოვანია.

**ცოტნე ჩიქობავა, თსუ-ს პროფესორის ასისტენტი, ეკონომიკის მაგისტრი:** - ფრენსისი ჩემი მეგობარია. კარგია, როდესაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები თავიანთ იდეებს ცვლიან, ეს, საბოლოო ჯამში, ისევ ჩვენი ქვეყნისთვის კეთდება. ღია დიალოგი ეფექტური და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. მე სიტყვა მქონდა საქართველოს ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე (ჩემი სამაგისტრო ნაშრომია). ხალხისთვის უნდა შეიქმნას პირობა, პლატფორმა, რომლის წყალობითაც ისინი დარჩებიან და აქ იმუშავებენ. იქნება გაცვლითი პროგრამები. ამით იმ რესურსის აკუმულირება მოხდება, რაც ქვეყნების შიგნით არის.

**ყარამან ქუთათელაძე, „არტ ვილა გარიყულას“ დამაარსებელი:** - რეგიონში თანამედროვე ხელოვნების ცენტრის დამაარსებელი გახლავართ. აქ ჩემი მეგობრების შეხვედრაა. მე და ფრენსისი თანამედროვე ხელოვნების განვითარებაზე ერთად ვმუშაობთ. ფრენსისი ცდილობს თავისი ენერგია ჩადოს საქართველოს ხელოვნების განვითარებაში. სამხატვრო აკადემიის კარგი პედაგოგია. ეს იყო პირველი შეხვედრა, რომელსაც მეტი დაინტერესება მოჰყვება.


ყარამან ქუთათელაძე

ღონისძიებაზე თავიანთი სიტყვა წარმოთქვეს, სარა კოლტმა, ამერიკელმა ურბანისტმა და ლანდშაფტის არქიტექტორმა, მაგდა გურულმა, „არტისტერიუმის“ კურატორმა, მამუკა ჯაფარიძემ, არტისტმა... ღია დიალოგმა ჯანსაღი სახე მიიღო და პრობლემების ხმამაღლა განსახილველად ისევ შეკრების სურვილით, დროებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N30 (228), ორშაბათი 29 ივლისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge




„ნიჭიერის“ მეოთხე სეზონისთვის გამალებული მზადება მიდის

ფრენსის პრიმერსკი: „ამიტომაც არის საქართველო ჩემი მეორე სამშობლო“...



exclusive

ნიკოლოზ რაჭველის და ანიტა რაჭველიშვილის საქველმოქმედო კონცერტი-აქცია





exclusive

ახალი სახელმძღვანელო სპორტული მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის




exclusive



exclusive

ქართველი მომღერლის წარმატება იურმალაზე და მეორე საპატიო ადგილი კონკურსში „ახალი ტალღა 2013“




exclusive

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ - შოუს მესამე სეზონი ცირკში გადაინაცვლებს

ISSN 1987-7404



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება